ქვეპროგრამის ფარგლებში სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების მიზნით "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის "ღ.ბ." ქვეპუნქტის შესაბამისად დააფინანსებს უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტში, ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტსა და ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურებას.

უნივერსიტეტის მისიაა, უზრუნველყოს დარგის კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რაც გულისხმობს უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებსა და მოწინავე კომპანიებში სტუდენტების სწავლებისა და სტაჟირების უწყვეტ პროცესს. ამ მიზნით უნივერსიტეტი ქვეპროგრამის ფარგლებში დააფინანსებს ტურიზმის, ტექნოლოგიური, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტების სტუდენტების სასწავლო პრაქტიკის ხარჯებს (მგზავრობისა და სასტუმროს ხარჯები, სავიზო და სასწავლო პრაქტიკასთან დაკავშირებული გადასახდელები/მოსაკრებლები).

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად გარანტირებულია უნივერსიტეტის აკადემიური თავისუფლება, რაც გულისხმობს – აკადემიური პერსონალის, სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტთა უფლებას, დამოუკიდებლად განახორციელონ სწავლება, სამეცნიერო კვლევა და სწავლა, შექმნილი ინტელექტუალური პროდუქტის ხარისხზე პასუხისმგებელია უმაღლესი სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება.

"საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-10 მუხლის თანახმად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსის სტანდარტი დაკმაყოფილებულია თუ დაწესებულებას საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო და კვლევით პროგრამებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეპროგრამის ფარგლებში სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი გააუმჯობესებს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვილობას (მაგ. შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია, ტექნიკური აღჭურვა და სხვ.) და ინფრასტრუქტურას.

დასახელება		პროდუქტები		
		რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა	ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი			367,100
	ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტი			321,000
	ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი			301,200
უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში და მოწინავე კომპანიებში სტუდენტების სასწავლო პრაქტიკის დაფინანსება	უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში და მოწინავე კომპანიებში სტუდენტების სასწავლო პრაქტიკის გავლა			90,000
ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ხელშეწყობა	ავჯის და ინვენტარის შეძენა			210,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი				1,289,300

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა	X	X	X	X
უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში და მოწინავე კომპანიებში სტუდენტების სასწავლო პრაქტიკის დაფინანსება	X	X	X	X
ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ხელშეწყობა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები - აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი, ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტი და ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი - შეუფერხებლად ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას; ხელშეწყობილია უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში და მოწინავე კომპანიებში სტუდენტების სასწავლო პრაქტიკის გავლა.

გაუმჯობესებულია უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
<p>სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები - აგრარული და მემზრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი, ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტი და ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი - შეუფერხებლად ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას</p>	<p>ხელშეწყობილია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა.</p>	<p>რაოდენობა</p>	<p>სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი</p>	<p>წლიური</p>	<p>სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი</p>	<p>ანგარიში</p>
<p>ხელშეწყობილია უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში და მოწინავე კომპანიებში სტუდენტების სასწავლო პრაქტიკის გავლა;</p>	<p>ეფექტურად ხორციელდება უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში და მოწინავე კომპანიებში წლიწადში საშუალოდ 80 სტუდენტის სასწავლო პრაქტიკის გავლა;</p>	<p>რაოდენობა</p>	<p>სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი</p>	<p>წლიური</p>	<p>სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი</p>	<p>ანგარიში</p>
<p>გაუმჯობესებულია სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა</p>	<p>შემენილია ავეჯი და ინვენტარი</p>	<p>რაოდენობა</p>	<p>სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი</p>	<p>წლიური</p>	<p>სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი</p>	<p>ანგარიში</p>

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

აჭარაში მოქმედი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

ქვეპროგრამის კოდი 05 06 02

ქვეპროგრამის დასახელება: სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	950,000
სულ ბიუჯეტი:	950,000

ქვეპროგრამის მიზანი: საერთაშორისო და ნაციონალური საგანმანათლებლო და საზღვაო კანონმდებლობის შესაბამისად უმაღლესი საზღვაო და მომიჯნავე დარგების კვალიფიციური კადრების მომზადება.

ქვეპროგრამის აღწერა: აკადემია თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე და მეზღვაურთა წვრთნის, სერტიფიცირებისა და ვახტის დგომის შესახებ კონვენციის (STCW) შესაბამისად საჭიროებს საწვრთნელი აუზის მშენებლობას, გარდა ამისა ავტორიზაციის მიღების მთავარი და გადამწყვეტი პირობაა უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისთვის უნივერსიტეტს გააჩნდეს საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად მოწყობილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. გარდა იმისა, რომ დაკმაყოფილებული იქნება ავტორიზაციის სტანდარტი, ასევე აღნიშნული ინფრასტრუქტურის საშუალებით უნივერსიტეტს ექნება შესაძლებლობა მოამზადოს სტუდენტები, როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე, ასევე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე. მეზღვაურთა სერტიფიცირების, წვრთნისა და ვახტზე დგომის შესახებ საერთაშორისო კონვენციის (STCW) და „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მეზღვაურებს ესაჭიროებათ 12 თვიანი სავალდებულო საზღვაო პრაქტიკა სავახტო თანაშემწის კომპეტენციის სერტიფიკატის მისაღებად. აღნიშნული 12 თვიანი საზღვაო საცურაო პრაქტიკიდან ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად სტუდენტებისთვის კვალიფიკაციის მისანიჭებლად საკმარისია 6 თვიანი საზღვაო საცურაო პრაქტიკა. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება საზღვაო აკადემიის სტუდენტების 6 თვიანი საზღვაო პრაქტიკა. შესაბამისი მომსახურების შექმნას აკადემია განახორციელებს გარე ორგანიზაციებისაგან (ეს მეთოდი აპრობირებულია ზოგიერთ ევროპულ და აზიურ ქვეყანაში, სადაც საზღვაო განათლების საფასური ითვალისწინებს პრაქტიკის ღირებულებას).

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ხელშეწყობა			700,000
საზღვაო პრაქტიკა	30	8,333	250,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			950,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ხელშეწყობა	x	x	x	x
საზღვაო პრაქტიკა	x	x	x	x

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი: სწავლების ხარისხის განვითარება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. საზღვაო აკადემიის პრესტიჟის და რეიტინგის ამაღლება. სტუდენტების რაოდენობის ზრდა და უცხოელი სტუდენტების მოზიდვა. კვალიფიციური კადრების მომზადება საზღვაო-სავაჭრო ფლოტსა და მომიჯნავე დარგებში დასასაქმებლად.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
<p>საწვრთნელი აუზი საშუალებას მისცემს აკადემიას გააუმჯობესოს სწავლების ხარისხის, იქცეს უფრო მეტად მაღალრეიტინგულ უმაღლეს სასწავლებლად, გაზარდოს სტუდენტთა კონტიგენტი და რაც მთავარია მოამზადოს ისეთი კვალიფიციური კადრები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ ქვეყნის განვითარებაში.</p>	<p>საწვრთნელი აუზის მშენებლობა, საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად მომზადებული სტუდენტები</p>	<p>რაოდენობა</p>	<p>სსიპ-სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია</p>	<p>წლიური</p>	<p>სსიპ-სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია</p>	<p>ანგარიში</p>
<p>დაახლოებით არანაკლებ 30 სტუდენტი გაივლის სრულფასოვან, საერთაშორისო სტანდარტის შესაბამის 6 თვიან საზღვაო პრაქტიკას.</p>	<p>30 სტუდენტი გაივლის სრულფასოვან, საერთაშორისო სტანდარტის შესაბამის 6 თვიან საზღვაო პრაქტიკას.</p>	<p>რაოდენობა</p>	<p>სსიპ-სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია</p>	<p>წლიური</p>	<p>სსიპ-სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია</p>	<p>ანგარიში</p>

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

აჭარაში მოქმედი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

ქვეპროგრამის კოდი 05 06 03

ქვეპროგრამის დასახელება:

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

დასახელება	2020 წელი
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი	750,000
სულ ბიუჯეტი:	750,000

ქვეპროგრამის მიზანი:

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური უმაღლესი პროფესიული, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა;

ქვეპროგრამის აღწერა:

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად საქართველოში უმაღლესი განათლების ძირითადი მიზნებია: ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა და დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტაცია; პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება; პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადება, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე პირთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა და სტუდენტთა და ფართო საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება. აღნიშნული მიზნების მიღწევის მიზნით სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების პროფესიულ, საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებს. ქვეპროგრამის ფარგლებში სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი უმაღლესი განათლების პროფესიულ, საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით დააფინანსებს დაწესებულების აკადემიური პერსონალის, მოწვეული პერსონალის, მკვლევართა, მასწავლებელთა და სხვ. შრომის ანაზღაურებას.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
უმაღლესი განათლების პროფესიული, საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსება			750,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			750,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი

უმადლესი განათლების პროფესიული, საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსება	X	X	X	X
---	---	---	---	---

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი შეუფერხებლად ახორციელებს უმადლესი განათლების პროფესიულ, საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებს;

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ხელშეწყობილია სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში უმაღლესი განათლების განხორციელება	ხელშეწყობილია უმაღლესი განათლება	რაოდენობა	სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	წლიური	სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	ანგარიში

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

აჭარაში მოქმედი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 05 06 04

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი		
დასახელება	2020 წელი	
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი	220,000	
სულ ბიუჯეტი:	220,000	

ქვეპროგრამის მიზანი:

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა

ქვეპროგრამის აღწერა:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებული უფლებამოსილებაა, ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საგანმანათლებლო, სამეცნიერო დაწესებულებების მხარდაჭერა. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი მოპოვებული აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სასწავლო უნივერსიტეტი აერთიანებს 4 ფაკულტეტს: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების, აგრარულ მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების, სამართალმცოდნეობისა და საჯარო მმართველობის, სოციალურ მეცნიერებათა და ჯანდაცვის, და ქართველოლოგიური კვლევების განყოფილებას. ასევე უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს 11 (თერთმეტ) საბაკალავრო: ისტორიის, ფილოლოგიის, ხელოვნებათმცოდნეობის, განათლების, ჟურნალისტიკის, აგრარული მეცნიერებების, საექთნო საქმის, ბიზნესის ადმინისტრირების, საჯარო მმართველობის, სამართალმცოდნეობის, მათემატიკის პროგრამებსა და 11 (თერთმეტ) სამაგისტრო: ისტორიის, ფილოლოგიის, ქართველური ენათმეცნიერების, ხელოვნებათმცოდნეობის, განათლების, აგრარული მეცნიერებების, არქეოლოგიის, ჟურნალისტიკის, მათემატიკის, საჯარო მმართველობის, ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსების პროგრამებს, ასევე მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან პროგრამას და 5 (ხუთ) ავტორიზებულ პროფესიულ მოდულურ პროგრამას: ბუღალტერია, ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი, ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერი სპეციალისტი. პრაქტიკოსი ექთნის პროფესიულ მოდულურ პროგრამებს. სასწავლო უნივერსიტეტი ფუნქციონირებს შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიჭაურში. უნივერსიტეტში სწავლება და სამუშაო კვება უფასოა. მნიშვნელოვანია მაღალმთიან მუნიციპალიტეტში ხელშეწყობილი და მხარდაჭერილი იქნას უნივერსიტეტის საქმიანობა, უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით. ქვეპროგრამის ფარგლებში წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველსაყოფად დაფარავს კომუნალურ ხარჯებს და სხვა გადასახადებს, ასევე დაიფარება უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის მოწყობის ხარჯები.

დასახელება	პროდუქტები		
	საშ. რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა			120,000
ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ხელშეწყობა			100,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			220,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა	X	X	X	X

ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ხელშეწყობა		X	X	X
--	--	---	---	---

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი შეუფერხებლად ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო საქმიანობას; გაუმჯობესებულია ინფრასტრუქტურა.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ხელშეწყობილია ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი უმაღლესი განათლების განხორციელება	ხელშეწყობილია უმაღლესი განათლება	რაოდენობა	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი	წლიური	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი	ანგარიში

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 07

პროგრამის დასახელება:

საჯარო სკოლების საპანსიონო მომსახურების, გაძლიერებული (უცხო ენები და ფიზიკა-მათემატიკა) და ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობა

პროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N 2 საჯარო სკოლა; სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ჩაისუბნის N 2 საჯარო სკოლა; სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის ფრიდონ თურმანიძის სახელობის სოფელ მერისის საჯარო სკოლა; სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის დაბა შუახევის საჯარო სკოლა; სსიპ ქალაქ ბათუმის N4 საჯარო სკოლა; სსიპ ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა; სსიპ ქალაქ ბათუმის N26 საჯარო სკოლა; სსიპ ქალაქ ბათუმის N3 საჯარო სკოლა; სსიპ ქალაქ ბათუმის N17 საჯარო სკოლა.

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	4,202,680	1,050,670	1,050,670	1,050,670	1,050,670
სულ ბიუჯეტი:	4,202,680	1,050,670	1,050,670	1,050,670	1,050,670

პროგრამის განხორციელების პერიოდი:

2020-2023 წლები

პროგრამის მიზანი:

ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ფარგლებში სახელმწიფოს პრიორიტეტია საპანსიონო მომსახურების დაწესებულებების ბენეფიციარი მოსწავლეების დაბრუნება ბიოლოგიურ ოჯახებში, ან განთავსება ალტერნატიულ ოჯახურ გარემოსთან მიხლოვებულ სერვისებში (საოჯახო ტიპის სახლები) და აქცენტი აღებულია გაძლიერებული სწავლების დანერგვაზე, შესაბამისად მიზანშეწონილია გარდამავალ ეტაპზე შეჩერდეს პანსიონებში მოსწავლეთა მიღება.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 62 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო უზრუნველყოფს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ საპანსიონო მომსახურების მქონე საჯარო სკოლების დაფინანსებას.

- სკოლაში უცხო ენებისა (განსაკუთრებით ინგლისური ენის) და ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული ინტენსიური შესწავლა თანამედროვე, საერთაშორისო დონეზე აპრობირებული მეთოდებით;
- ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური თუ სხვა მდგომარეობის გამო სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების მქონე მოსწავლეებისთვის მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად შესაბამისი პირობების შექმნა.

პროგრამის აღწერა:

1. საჯარო სკოლები, რომლებიც ახორციელებენ საპანსიონო მომსახურებას, ბავშვების საცხოვრებელი მატერიალური ბაზის კეთილმოწყობასა და სასწავლო გარემოს სტანდარტებთან მისადაგებას; ხარისხიანი ზოგადი განათლების მიღების უზრუნველყოფა; ყველა მოსწავლეს, მიუხედავად სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა, უფლება აქვს მიიღოს ხარისხიანი განათლება კომფორტულ და ესთეტიურ პირობებში, რაც მოსწავლეს მისცემს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების რეალიზაციის საშუალებას, რაც განმტკიცებულია ბავშვის უფლებათა კოდექსით.
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ინგლისური ენისა და ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული სწავლების მიზნით ქ. ბათუმის საჯარო სკოლის მოსწავლეები უცხო ენის სწავლების გაძლიერებულ კურსებს გაივლიან ქ. ბათუმის N4 საჯარო სკოლაში და ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებულ კურსს ქ. ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლაში. საგნის/საგნების გაძლიერებულად (სპეციალიზირებულად) სწავლება მსოფლიოში მიღებული და გავრცელებული პრაქტიკაა. საგნის/საგნების გაძლიერებული სწავლება ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ამაღლებას.

3. სწავლისას ბევრი ბავშვი განიცდის სწავლასთან დაკავშირებულ სირთულეებს, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს მოსწავლის ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური თუ სხვა მდგომარეობით ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის ვალდებულებას კი წარმოადგენს მოძებნოს ყველა ბავშვის წარმატებით სწავლების გზები. ინკლუზიური განათლების მიზანია, ყველა ბავშვს მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა თანატოლებთან ერთად სწავლისა და ხარისხიანი განათლების მიღებისა საცხოვრებელ ადგილთან ახლოს. სსიპ ქალაქ ბათუმის №26 N3 და N17 საჯარო სკოლებში მასწავლებლები ზრუნავენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. შშმ მოსწავლეები სასწავლო პროცესის განმავლობაში უზრუნველყოფილი იქნებიან მათთვის საჭირო მომსახურებით.

4. პროგრამაში კოორდინატორი კურირებას გაუწევს საჯარო სკოლების საპანსიონო მომსახურების, გაძლიერებული (უცხო ენები და ფიზიკა-მათემატიკა) და ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამას.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
საპანსიონო მომსახურების მქონე საჯარო სკოლების ხელშეწყობა	2,824,680	706,170	706,170	706,170	706,170
გაძლიერებული (უცხო ენები და ფიზიკა-მათემატიკა) და ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობა	1,378,000	344,500	344,500	344,500	344,500
სულ პროგრამა	4,202,680	1,050,670	1,050,670	1,050,670	1,050,670

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

330 მოსწავლე უზრუნველყოფილია პანსიონური მომსახურებით, გაძლიერებული სწავლების კურსი გაიარა 873 მოსწავლემ, ინკლუზიური სწავლება გაიარა 40 მოსწავლემ

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

არაუმეტეს 1257 მოსწავლე მიიღებს ხარისხიან განათლებას.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

- მოსწავლეებისათვის შექმნილია ცხოვრების, აღზრდისა და სწავლისათვის აუცილებელი შესაბამისი საყოფაცხოვრებო პირობები (საცხოვრებელი, კვება, უსაფრთხო გარემო).
- მოსწავლეები მაღალ დონეზე ფლობენ უცხო ენასა და ფიზიკა-მათემატიკას;
- სხვადასხვა სახის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებს აქვთ ხარისხიანი და სრული ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობა;
- ინკლუზიური მოზარდები არიან თვითრეალიზებულნი და საზოგადოებაში ინტეგრირებულნი.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები				გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი				
სოციალურად დაუცველი მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან კვებით და საცხოვრებელი პირობით; მიიღებენ ზოგადი განათლების სრულ კურსს.	არაუმეტეს 307 მოსწავლე უზრუნველყოფილია პანსიონური მომსახურებით და მიიღებს ხარისხიან განათლებას.	არაუმეტეს 307 მოსწავლე უზრუნველყოფილია პანსიონური მომსახურებით და მიიღებს ხარისხიან განათლებას.	არაუმეტეს 307 მოსწავლე უზრუნველყოფილია პანსიონური მომსახურებით და მიიღებს ხარისხიან განათლებას.	არაუმეტეს 307 მოსწავლე უზრუნველყოფილია პანსიონური მომსახურებით და მიიღებს ხარისხიან განათლებას.	რაოდენობა		საჯარო სკოლი, რომლებიც ახორციელებენ საპანსიონო მომსახურებას	
გაიზრდება მოსწავლეთა დაინტერესება უცხო ენებისა და ტექნიკური სწავლებით;	არაუმეტეს 860 მოსწავლე გაივლის გამლიერებული სწავლების კურსს	არაუმეტეს 860 მოსწავლე გაივლის გამლიერებული სწავლების კურსს	არაუმეტეს 860 მოსწავლე გაივლის გამლიერებული სწავლების კურსს	არაუმეტეს 860 მოსწავლე გაივლის გამლიერებული სწავლების კურსს		მშობელთა განცხადებები	სსიპ ქალაქ ბათუმის N4 საჯარო სკოლა; სსიპ ქალაქ ბათუმის №6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა	ხელშეკრულება
ინკლუზიური განათლების პროცესის განვითარება, თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფა შშმ მოსწავლეებისათვის თანატოლებთან ერთად სწავლისა და ხარისხიანი განათლების მიღებისა.	საშუალოდ 70 მოსწავლე სხვადასხვა სკოლაში გაივლის ინკლუზიურ სწავლებას.	საშუალოდ 70 მოსწავლე სხვადასხვა სკოლაში გაივლის ინკლუზიურ სწავლებას.	საშუალოდ 70 მოსწავლე სხვადასხვა სკოლაში გაივლის ინკლუზიურ სწავლებას.	საშუალოდ 70 მოსწავლე სხვადასხვა სკოლაში გაივლის ინკლუზიურ სწავლებას.			სსიპ ქალაქ ბათუმის №26 საჯარო სკოლა სსიპ ქალაქ ბათუმის №3 საჯარო სკოლა სსიპ ქალაქ ბათუმის №17 საჯარო სკოლა	

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

საჯარო სკოლების საპანსიონო მომსახურების, გაძლიერებული (უცხო ენები და ფიზიკა-მათემატიკა) და ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 05 07 01

ქვეპროგრამის დასახელება: საპანსიონო მომსახურების მქონე საჯარო სკოლების ხელშეწყობა'

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	706,170
სულ ბიუჯეტი:	706,170

ქვეპროგრამის მიზანი:

ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ფარგლებში სახელმწიფოს პრიორიტეტია საპანსიონო მომსახურების დაწესებულებების ბენეფიციარი მოსწავლეების დაბრუნება ბიოლოგიურ ოჯახებში, ან განთავსება ალტერნატიულ ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ სერვისებში (საოჯახო ტიპის სახლები) და აქცენტი აღებულია გაძლიერებული სწავლების დანერგვაზე, შესაბამისად მიზანშეწონილია გარდამავალ ეტაპზე შეჩერდეს პანსიონებში მოსწავლეთა მიღება.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 6 2 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო უზრუნველყოფს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ საპანსიონო მომსახურების მქონე საჯარო სკოლების დაფინანსებას.

ქვეპროგრამის აღწერა:

ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ფარგლებში სახელმწიფოს პრიორიტეტია საპანსიონო მომსახურების დაწესებულებების ბენეფიციარი მოსწავლეების დაბრუნება ბიოლოგიურ ოჯახებში, ან განთავსება ალტერნატიულ ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ სერვისებში (საოჯახო ტიპის სახლები) და აქცენტი აღებულია გაძლიერებული სწავლების დანერგვაზე, შესაბამისად მიზანშეწონილია გარდამავალ ეტაპზე შეჩერდეს პანსიონებში მოსწავლეთა მიღება.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 6 2 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო უზრუნველყოფს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ საპანსიონო მომსახურების მქონე საჯარო სკოლებში სააღმზრდელო მომსახურების, საცხოვრებელი პირობების, მკურნალობის, კვებისა და სხვა თანმდევი ხარჯების დაფინანსებას.

ქვეპროგრამის მიზანია საჯარო სკოლები, რომლებიც ახორციელებენ საპანსიონო მომსახურებას, ბავშვების საცხოვრებელი მატერიალური ბაზის კეთილმოწყობა და სასწავლო გარემოს სტანდარტებთან მისადაგება; ხარისხიანი ზოგადი განათლების მიღების უზრუნველყოფა; ყველა მოსწავლეს, მიუხედავად სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა, უფლება აქვს მიიღოს ხარისხიანი განათლება კომფორტულ და ესთეტიკურ პირობებში, რაც მოსწავლეს მისცემს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების რეალიზაციის საშუალებას;

დასახელება	პროდუქტები		
	საშ. რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N 2 საჯარო სკოლა	1	316,520	316,520
სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ჩაისუბნის N 2 საჯარო სკოლა	1	112,730	112,730

სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის ფრიდონ თურმანიძის სახელობის სოფელ მერისის საჯარო სკოლა	1	169,180	169,180
სსიპ „დაბა შუახევის საჯარო სკოლა“	1	107,740	107,740
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	4		706,170

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N 2 საჯარო სკოლა	X	X	X	X
სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ჩაისუბნის N 2 საჯარო სკოლა	X	X	X	X
სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის ფრიდონ თურმანიძის სახელობის სოფელ მერისის საჯარო სკოლა	X	X	X	X
სსიპ დაბა შუახევის საჯარო სკოლა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

სკოლებში გაზრდილია სწავლის და სწავლების მოტივაცია

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
სკოლებში გაზრდილია სწავლის და სწავლების მოტივაცია	სსიპ „სოფელ სალიბაურის N 2 საჯარო სკოლა“ არაუმეტეს 155 მოსწავლეს უწევს საპანსიონო მომსახურებას	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, რესურსცენტრები, საჯარო სკოლები	წელიწადში ერთხელ	სსიპ „სოფელ სალიბაურის N 2 საჯარო სკოლა“	ანგარიში
	სსიპ „ჩაისუბნის N 2 საჯარო სკოლა“ არაუმეტეს 30 მოსწავლეს უწევს საპანსიონო მომსახურებას	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, რესურსცენტრები, საჯარო სკოლები		სსიპ „ჩაისუბნის N 2 საჯარო სკოლა“	ანგარიში
	ფრიდონ თურმანიძის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მერისის საჯარო სკოლა არაუმეტეს 92 მოსწავლეს უწევს საპანსიონო მომსახურებას	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, რესურსცენტრები, საჯარო სკოლები		ფრიდონ თურმანიძის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მერისის საჯარო სკოლა	ანგარიში
	სსიპ „დაბა შუახევის საჯარო სკოლა“ არაუმეტეს 30 მოსწავლეს უწევს საპანსიონო მომსახურებას	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, რესურსცენტრები, საჯარო სკოლები		სსიპ „დაბა შუახევის საჯარო სკოლა“	ანგარიში

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

საჯარო სკოლების საპანსიონო მომსახურების, გაძლიერებული (უცხო ენები და ფიზიკა-მათემატიკა) და ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 07 02

ქვეპროგრამის დასახელება:

გაძლიერებული (უცხო ენები და ფიზიკა-მათემატიკა) და ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	344,500
სულ ბიუჯეტი:	344,500

ქვეპროგრამის მიზანი:

სკოლაში უცხო ენებისა (განსაკუთრებით ინგლისური ენის) და ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული, ინტენსიური შესწავლა თანამედროვე, საერთაშორისო დონეზე აპრობირებული მეთოდებით; ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური თუ სხვა მდგომარეობის გამო სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების მქონე მოსწავლეებისთვის მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად შესაბამისი პირობების შექმნა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ინგლისური ენისა და ფიზიკა - მათემატიკის გაძლიერებული სწავლების მიზნით ქ. ბათუმის საჯარო სკოლის მოსწავლეები უცხო ენის სწავლების გაძლიერებულ კურსებს გაივლიან ქ. ბათუმის №4 საჯარო სკოლაში და ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებულ კურსს ქ. ბათუმის №6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლაში. საგნის/საგნების გაძლიერებულად (სპეციალიზირებულად) სწავლება მსოფლიოში მიღებული და გავრცელებული პრაქტიკაა. საგნის/საგნების გაძლიერებული სწავლება ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ამაღლებას.

სწავლისას ბევრი ბავშვი განიცდის სწავლასთან დაკავშირებულ სირთულეებს, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს მოსწავლის ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური თუ სხვა მდგომარეობით. ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის ვალდებულებას კი წარმოადგენს მოძებნოს ყველა ბავშვის წარმატებით სწავლების გზები. ინკლუზიური განათლების მიზანია, ყველა ბავშვს მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა თანატოლებთან ერთად სწავლისა და ხარისხიანი განათლების მიღებისა საცხოვრებელ ადგილთან ახლოს. ქ. ბათუმის №26 და N17 საჯარო სკოლაში მასწავლებლები ზრუნავენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. შშმ მოსწავლეები სასწავლო პროცესის განმავლობაში უზრუნველყოფილი იქნებიან მათთვის საჭირო მომსახურებით.

ასევე სხვადასხვა სკოლის სმენადაქვეითებული მოსწავლეები გაივლიან მეტყველების თერაპევტის სარეაბილიტაციო კურსს.

ქვეპროგრამაში კოორდინატორი კურირებას გაუწევს საჯარო სკოლების საპანსიონო მომსახურების, გაძლიერებული (უცხო ენები და ფიზიკა-მათემატიკა) და ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამას.

დასახელება	პროდუქტები		
	საშ. რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სსიპ ქალაქ ბათუმის №4 საჯარო სკოლა (ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლება)	1	35,400	35,400

სსიპ ქალაქ ბათუმის №6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა (ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებულ კურსით სწავლება)	1	48,200	48,200
სსიპ ქალაქ ბათუმის №26 საჯარო სკოლა (ინკლუზიური სწავლება)	1	184,200	184,200
სსიპ ქალაქ ბათუმის №3 საჯარო სკოლა (მხედველობა დაქვეითებული მოსწავლეებისათვის საკვირაო სკოლა)	1	37,500	37,500
სსიპ ქალაქ ბათუმის N17 საჯარო სკოლა (აუტისტური სპექტრის მოსწავლეთა ჯგუფი)	1	25,500	25,500
კოორდინატორის შრომის ანაზღაურება (12 თვე)	1	1,100	13,200
კოორდინატორის სამივლინებო და სხვა ხარჯები			500
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			344,500

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სსიპ ქალაქ ბათუმის №4 საჯარო სკოლა (ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლება)	X	X	X	X
სსიპ ქალაქ ბათუმის №6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა (ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებულ კურსით სწავლება)	X	X	X	X
სსიპ ქალაქ ბათუმის №26 საჯარო სკოლა (ინკლუზიური სწავლება)	X	X	X	X
სსიპ ქალაქ ბათუმის №3 საჯარო სკოლა (მხედველობა დაქვეითებული მოსწავლეებისათვის საკვირაო სკოლა)	X	X	X	X
სსიპ ქალაქ ბათუმის №17 საჯარო სკოლა (აუტისტური სპექტრის მოსწავლეთა ჯგუფი)	X	X	X	X
კოორდინატორის შრომის ანაზღაურება (12 თვე)	X	X	X	X
კოორდინატორის სამივლინებო და სხვა ხარჯები	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

- სკოლაში უცხო ენებისა (განსაკუთრებით ინგლისური ენის) და ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული, ინტენსიური შესწავლა თანამედროვე, საერთაშორისო დონეზე აპრობირებული მეთოდებით;
- ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური თუ სხვა მდგომარეობის გამო სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების მქონე მოსწავლეებისთვის სირთულეების დასაძლევად და მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად შესაბამისი პირობების შექმნა.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
სკოლებში გაზრდილია გაძლიერებული სწავლების მოტივაცია	არაუმეტეს 500 მოსწავლე გადის უცხო ენების გაძლიერებული სწავლებას	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, რესურსცენტრები, საჯარო სკოლები	წელიწადში ერთხელ	სსიპ ქალაქ ბათუმის №4 საჯარო სკოლა	ანგარიში
	არაუმეტეს 360 მოსწავლე გადის გაძლიერებული ფიზიკა მათემატიკის სწავლებას	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, რესურსცენტრები, საჯარო სკოლები		სსიპ ქალაქ ბათუმის №6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა (ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებულ კურსით სწავლება)	ანგარიში
	ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური თუ სხვა მდგომარების გამო სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების მქონე მოსწავლეებისთვის სირთულეების დასაძლევად და მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად შესაბამისი პირობების შექმნა.	საშუალოდ 70 ბენეფიციარი გადის ინკლუზიური სწავლების კურსს თანატოლებთან ერთად;	რაოდენობა		განათლების დეპარტამენტი, რესურსცენტრები, საჯარო სკოლები	სსიპ ქალაქ ბათუმის №26 საჯარო სკოლა (ინკლუზიური სწავლება); სსიპ ქალაქ ბათუმის №3 საჯარო სკოლა (მხედველობა დაქვეითებული მოსწავლეებისათვის საკვირაო სკოლა); სსიპ ქალაქ ბათუმის №17 საჯარო სკოლა (აუტისტური სპექტრის მოსწავლეთა ჯგუფი).

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 05 08

პროგრამის დასახელება:

ზოგადი და პროფესიული განათლება

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	3,772,000	862,000	950,000	970,000	990,000
სულ ბიუჯეტი:	3,772,000	862,000	950,000	970,000	990,000

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2020-2023 წლები

პროგრამის მიზანი:

განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა, სწავლის ხარისხის ამაღლება და განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების ხელშეწყობა

პროგრამის აღწერა:

1.1. პროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) საჯარო სკოლებისათვის კონკურსის წესით შეირჩევიან და დასაქმდებიან მასწავლებლები

1.2. დაფინანსდება საშუალოდ ორი საზაფხულო სკოლა

2.1. ჩატარდება საგნობრივი ოლიმპიადები; კონკურსი დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვის; ლიტერატურული მარათონი, სახვითი ხელოვნების კონკურსი და სხვ;

2.2. დაფინანსდება სასკოლო კლუბების ინიციატივები;

2.3. მოეწყობა ექსკურსიები საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ

3.1. გაიცემა კვალიფიკაციის ამაღლების გრანტები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული საჯარო პროფესიული სასწავლებლების პედაგოგებზე.

დასახელება	სულ	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
ქვეპროგრამა 1- ვასწავლოთ მომავალი წარმატებისათვის	1,620,000	360,000	400,000	420,000	440,000
ქვეპროგრამა 2 - კონკურსები და ოლიმპიადები	1,977,000	477,000	500,000	500,000	500,000
ქვეპროგრამა 3 - პროფესიული განათლების ხელშეწყობა	175,000	25,000	50,000	50,000	50,000
სულ პროგრამის ბიუჯეტი	3,772,000	862,000	950,000	970,000	990,000

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

პროგრამის ფარგლებში

• აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) საჯარო სკოლებში კონკურსის წესით შეირჩა და დასაქმდა საშუალოდ 30 მასწავლებელი; დაფინანსდა 2 საზაფხულო სკოლა.

- პროგრამის ფარგლებში კონკურსის წესით შეირჩა და დაფინანსდა 18 სასკოლო კლუბი;
- კონკურსებისა და ოლიმპიადების კატეგორიაში ჩატარდა კონკურსები: სახვითი ხელოვნება, ლიტერატურული მართონი, კონკურსი დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებისათვის, ესეების კონკურსი; საგნობრივი ოლიმპიადა ჩატარდა 6 საგანში; მოეწყო ექსკურსიები - თურქეთის სამეცნიერო ბანაკში, ვროცლავში, პოლონეთი; მედალოსანი მოსწავლისათვის მოეწყო შემეცნებითი ექსკურსია.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) საჯარო სკოლებში კონკურსის წესით შეირჩევა და დასაქმდება საშუალოდ 30 მასწავლებელი, ჩატარდება საშუალოდ ორი საზაფხულო სკოლა;
- პროგრამის ფარგლებში კონკურსის წესით შერჩეული და დაფინანსებულია არანაკლებ 15 სასკოლო კლუბის ინიციატივა; კონკურსებსა და ოლიმპიადებში ჩაერთვება საშუალოდ 15000 მოსწავლე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული საჯარო და კერძო სკოლებიდან; ჩატარებულია სასწავლო შემეცნებითი ექსკურსიები საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ;
- გაცემულია საშუალოდ 5 დაფინანსება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამოქმედო ტერიტორიაზე ასრებული საჯარო პროფესიული სასწავლებლების პედაგოგებზე კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) საჯარო სკოლებში გაზრდილია განათლების ხელმისაწვდომობა;

გაუმჯობესებულია სასწავლო გარემო; სკოლებში გაზრდილია სწავლის მოტივაცია; სკოლებში გაზრდილია მასწავლებელთა მოტივაცია;

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა ხელმისაწვდომია.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები				გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი	
	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი					
მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) საჯარო სკოლებში გაზრდილია განათლების ხელმისაწვდომობა. მოწყობილია საზაფხულო სკოლა.	გაიზრდება საშუალოდ 1500 მოსწავლის განათლების ხელმისაწვდომობა;	გაიზრდება საშუალოდ 1600 მოსწავლის განათლების ხელმისაწვდომობა	გაიზრდება საშუალოდ 1700 მოსწავლის განათლების ხელმისაწვდომობა	გაიზრდება საშუალოდ 1800 მოსწავლის განათლების ხელმისაწვდომობა		რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, რესურსცენტრები, საჯარო სკოლები.	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	ხელშეკრულება
მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) საჯარო სკოლებში გაზრდილია განათლების ხელმისაწვდომობა ; გაუმჯობესებულია სასწავლო გარემო; სკოლებში გაზრდილია სწავლის მოტივაცია; სკოლებში გაზრდილია მასწავლებელთა მოტივაცია; საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა ხელმისაწვდომია.	სკოლებში გაზრდილია სწავლის და სწავლების მოტივაცია	საშუალოდ 15 000 მოსწავლე ჩართულია სხვადასხვა კონკურსებში, ოლიმპიადაში, შეჯიბრებებში. 15 სასკოლო კლუბის ინიციატივის დაფინანსება.	საშუალოდ 15 000 მოსწავლე ჩართულია სხვადასხვა კონკურსებში, ოლიმპიადაში, შეჯიბრებებში. 15 სასკოლო კლუბის ინიციატივის დაფინანსება.	საშუალოდ 15 000 მოსწავლე ჩართულია სხვადასხვა კონკურსებში, ოლიმპიადაში, შეჯიბრებებში. 15 სასკოლო კლუბის ინიციატივის დაფინანსება.	საშუალოდ 15 000 მოსწავლე ჩართულია სხვადასხვა კონკურსებში, ოლიმპიადაში, შეჯიბრებებში. 15 სასკოლო კლუბის ინიციატივის დაფინანსება.	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, რესურსცენტრები, საჯარო სკოლები	წელიწადში ერთხელ	ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი
	საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა ხელმისაწვდომია	საშუალოდ 5 დაფინანსების გაცემა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით	საშუალოდ 10 დაფინანსების გაცემა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით	საშუალოდ 10 დაფინანსების გაცემა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით	საშუალოდ 10 დაფინანსების გაცემა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, უნივერსიტეტები.	წელიწადში ერთხელ	ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

ზოგადი და პროფესიული განათლება	
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 08 01

ქვეპროგრამის დასახელება:

ვასწავლოთ მომავალი წარმატებისთვის

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
--

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	360,000
სულ ბიუჯეტი:	360,000

ქვეპროგრამის მიზანი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) საჯარო სკოლებში მასწავლებელთა დეფიციტის აღმოფხვრა და ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა.
--

ქვეპროგრამის აღწერა:

<p><u>მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ლ ე ბ ი მ ა დ ა ლ მ თ</u> <u>ი ა ნ ა ქ ა რ ა შ ი</u></p> <p>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიანი მუნიციპალიტეტებში (ქედა, შუახევი, ხულო) სწავლების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის მიზნით, მნიშვნელოვანია ახალგაზრდა და კვალიფიციური კადრების შერჩევა და იმ სკოლებში დასაქმება, სადაც ამის განსაკუთრებული საჭიროებაა. რესურსცენტრების მიერ მოწოდებული ინფორმაციით სკოლებში არსებული ვაკანსიების შესახებ დგინდება, რომ ზოგიერთი მუნიციპალიტეტის სკოლებში ამა თუ იმ საგნის მასწავლებელი საერთოდ არ არსებობს. განსაკუთრებით პრობლემურია ინგლისური ენის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლები. შესაბამისად, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე „ვასწავლოთ მომავალი წარმატებისათვის“ ქვეპროგრამის ფარგლებში 2019-2020 სასწავლო წლის ვადით შერჩეულ მასწავლებლებთან გაფორმდება ხელშეკრულება 2020-2021 სასწავლო წლისათვის. დარჩენილ ვაკანსიებზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო კონკურსის წესით შეარჩევს მასწავლებლებს, რომლებიც იმუშავენ მუნიციპალიტეტების იმ საჯარო სკოლებში, სადაც ამის განსაკუთრებული საჭიროებაა.</p> <p>ქვეპროგრამის მონაწილეები შეირჩვიან ორ ეტაპიანი კონკურსის საფუძველზე, რომელიც შედგება წერითი გამოცდისა და გასაუბრებისაგან, ქვეპროგრამაში მონაწილეობის მსურველებმა უნდა დააკმაყოფილონ „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის №1014 ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული პირობები. ქვეპროგრამის ფარგლებში შესაძლებელია შეირჩეს რეზერვი მასწავლებლები კონკურსის ჩატარებიდან 6 თვის ვადით, რომლებსაც ვაკანსიის გაჩენის შემთხვევაში სამინისტრო შესთავაზებს დასაქმებას.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში შერჩეული მასწავლებლები დაიტვირთებიან სკოლებში არსებული ვაკანტური საგაკვეთილო საათებით. აღნიშნული საკმიანობისათვის ისინი მიიღებენ ანაზღაურებას 2015 წლის 28 სექტემბრის N126/ნ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე“ ბრძანების შესაბამისად. ასევე, შერჩეული მასწავლებლები სრულ და არასრულ თვეზე დამატებით მიიღებენ სახელფასო დანამატს 1000 (ათასი) ლარის ოდენობით, გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.</p>
--

<p>საზაფხულო სკოლა</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო დააფინანსებს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საზაფხულო სკოლ(ებ)ის ორგანიზებას. დაფინანსება გაიცემა გრანტის სახით. პროექტის ფარგლებში შეიძლება დაფინანსდეს:</p> <ul style="list-style-type: none"> • საზაფხულო სკოლის მომსახურებლთა/ორგანიზატორთა ჰონორარი, სასტუმროს, ტრანსპორტირების და კვების ხარჯი; • საზაფხულო სკოლის მონაწილეთა/ორგანიზატორთა სასტუმროს, ტრანსპორტირების და კვების ხარჯი; • საზაფხულო სკოლისათვის საჭირო ფართის და აპარატურის დაქირავების ხარჯი; • სხვა საქონლისა და მომსახურები ხარჯი. <p>საზაფხულო სკოლის მოწყობის თაობაზე პროექტის წარმოდგენა შეუძლიათ საქართველოში რეგისტრირებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს.</p>

ქვეპროგრამის ბენეფიციარებს გამოავლენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით შექმნილი საკონკურსო კომისია ღია კონკურსის საფუძველზე. ქვეპროგრამაში მონაწილეობის ვადები, წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა, შეფასების კრიტერიუმები და სხვა დამატებითი პირობები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით.

ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა
 ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერის ფარგლებში დაფინანსდება ქვეპროგრამის ფარგლებში დასაქმებულ და ასევე, წარმატებულ მასწავლებლებთან შეხვედრა, ფასიანი საჩუქრების გადაცემა, რეკლამა და სხვ.

დასახელება	პროდუქტები		
	საშ. რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
მასწავლებლის სახელფასო დანამატი (10 თვე)	30	1000	300,000
საზაფხულო სკოლა	2	20000	40,000
ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა			20,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			360,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მასწავლებლის შრომის ანაზღაურება (10 თვე)	X	X	X	X
საზაფხულო სკოლა	X	X	X	X
ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა			X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) საჯარო სკოლებში გაზრდილია განათლების ხელმისაწვდომობა.
 მოწყობილია საშუალოდ ორი საზაფხულო სკოლა.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) საჯარო სკოლებში გაზრდილია განათლების ხელმისაწვდომობა. მოწყობილია საზაფხულო სკოლა.	საშუალოდ 30 მასწავლებელი საშუალოდ 2 საზაფხულო სკოლა	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, რესურსცენტრები	წლიური	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	ხელშეკრულება

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

ზოგადი და პროფესიული განათლება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 08 02

ქვეპროგრამის დასახელება:

კონკურსები და ოლიმპიადები

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
--

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	477,000
სულ ბიუჯეტი:	477,000

ქვეპროგრამის მიზანი:

სწავლისა და სწავლების მოტივაციის ამაღლება

ქვეპროგრამის აღწერა:

ს ა გ ნ ო ბ რ ი ვ ი ო ლ ი
მ პ ი ა დ ა
2020 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ჩაატარებს საგნობრივ ოლიმპიადას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებისათვის.
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საგნობრივი ოლიმპიადა ჩატარდება 2 ტურად, მათ შორის რუსული სექტორის მოსწავლეებისათვის ფიზიკაში, მათემატიკაში, ქიმიაში და ბიოლოგიაში ოლიმპიადა ჩატარდება რუსულ ენაზე. ოლიმპიადის ორივე ტური ჩატარდება ტესტირების ფორმით. საგნობრივ ოლიმპიადაში მონაწილეობის პირობები და ვადები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით.

ლიტერატურული მ ა
რ ა თ ო ნ ი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ჩაატარებს ლიტერატურულ მართონს, რომლის მიზანია კითხვის პოპულარიზაცია მოსწავლეებში.
კონკურსში მონაწილეობის პირობები და ვადები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით. კონკურსში გამარჯვებულებს გამოავლენს შესაბამისი კომისია.

ს ა ხ ვ ი თ ი ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ი ს კ
ო ნ კ უ რ ს ი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ჩაატარებს ხატვის კონკურსს, რომლის მიზანია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სახვითი ხელოვნების ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების აღმოჩენა და წახალისება.
კონკურსში მონაწილეობის მიღება შეეძლება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ კერძო და საჯარო სკოლების სხვადასხვა კლასის მოსწავლეებს.
კონკურსში მონაწილეობის პირობები და ვადები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით. კონკურსში გამარჯვებულებს გამოავლენს შესაბამისი კომისია.

თეატრალური კონკურსი

საჯარო სკოლები წარმოადგენენ სცენარის და დადგმის პროექტებს ბიუჯეტთან ერთად. საწყის ეტაპზე სამინისტრო შეარჩევს და დააფინანსებს არაუმეტეს 5 საუკეთესო პროექტს. მეორე ეტაპზე გამოვლინდება სამი საუკეთესო პროექტი. კონკურსში მონაწილეობის პირობები და ვადები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით. კონკურსში გამარჯვებულებს გამოავლენს შესაბამისი კომისია.

შენიშვნა: შესაძლებელია დაფინანსდეს რამოდენიმე სკოლის ერთობლივი ინიციატივაც. კერძო სკოლების ინიციატივები დაფინანსდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარმოადგენენ ერთობლივ პროექტს საჯარო სკოლასთან ერთად. ამ შემთხვევაში თანხა ჩაირიცხება საჯარო სკოლის ანგარიშზე.

ესეების კონკურსი

საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეები შეასრულებენ წერით დავალებას სხვადასხვა საკითხზე. კონკურსის მიზანია მოსწავლეებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება. კონკურსში მონაწილეობის პირობები და ვადები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით. კონკურსში გამარჯვებულებს გამოავლენს შესაბამისი კომისია.

სპორტული შეჯიბრი

საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებს ან მოსწავლეებისაგან დაკომპლექტებულ გუნდებს შესაძლებლობა ექნებათ მონაწილეობა მიიღონ სამინისტროს მიერ ორგანიზებულ სპორტულ შეჯიბრში. კონკურსში მონაწილეობის პირობები და ვადები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით. კონკურსში გამარჯვებულებს გამოავლენს შესაბამისი კომისია.

ექსკურსიები საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ჩაატარებს შემეცნებით ტურებს საქართველოსა და საქართველოს ფარგლებს გარეთ საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის. მოსწავლეებს საშუალება ექნებათ დაათვალიერონ ისტორიული ადგილები, ასევე მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებში. ექსკურსიებში მონაწილეობის მიღება შეუძლია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მოქმედ, როგორც საჯარო, ასევე კერძო სკოლის მოსწავლეებს.

დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებები:

- ექსკურსიები მედალოსნებისთვის;
- სასწავლო შემეცნებითი ექსკურსიები საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვის;
- კონკურსის წესით შერჩეული საბაზო საფეხურის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვის თურქეთის სამეცნიერო ბანაკში ვიზიტი;
- კონკურსის (ესეების კონკურსი) წესით შერჩეული მოსწავლეებისთვის ვიზიტი პოლონეთში. საპასუხო ვიზიტის დაფინანსება საქართველოში.

კონკურსი დაწყებითი და საბაზო საფეხურის მ

ოსწავლეებისათვის

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ჩაატარებს კონკურსს მათემატიკაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში (დაწყებითი საფეხური და საბაზო საფეხური) და ისტორიასა და სამოქალაქო განათლებაში (საბაზო საფეხური) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი კერძო და საჯარო სკოლების მოსწავლეებისათვის. კონკურსში მონაწილეობის პირობები და ვადები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით. კონკურსში გამარჯვებულებს გამოავლენს შესაბამისი კომისია.

სასკოლო კლუბების ინიციატივები

ს დაფინანსება

სასკოლო კლუბების განვითარების ხელშეწყობის მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო დაფინანსებს სასკოლო კლუბების ინიციატივებს. დაფინანსების მაქსიმალური თანხა შეადგენს 2 000 (ორი ათასი) ლარს.

გამარჯვებული სასკოლო კლუბის პროექტებს გამოავლენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ შექმნილი სპეციალური კომისია.

შერჩევას უპირატესობა მიენიჭებათ იმ აპლიკანტებს, რომლებიც:

1. წარმოადგენენ პროექტის განაცხადს სრული, ორგანიზებული და თანმიმდევრული ფორმით
2. დამაჯერებლად დაასაბუთებენ პროექტის ეფექტურობას
3. ჩართავენ თავიანთ აქტივობებში საზოგადოების სხვადასხვა ფენებს
4. აპლიკანტებს ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებიდან
5. აპლიკანტებს, რომლებსაც სასკოლო კლუბების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში 2018 და 2019 წლებში არ მიუღიათ დაფინანსება

შენიშვნა: შესაძლებელია დაფინანსდეს რამოდენიმე კლუბის ერთობლივი ინიციატივაც. კერძო სკოლების ინიციატივები დაფინანსდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარმოადგენენ ერთობლივ პროექტს საჯარო სკოლასთან ერთად. ამ შემთხვევაში თანხა დაიხარჯება საჯარო სკოლის ინარჩუნებას.

თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება - თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით კონკურსის ორგანიზება სკოლების გააქტიურება და ინტერნეტის საგანმანათლებლო მიმართულების ინტენსიური გამოყენება, კითხვათა სისტემის შექმნა შემდეგი მიმართულებებით, ჰუმანიტარული და ტექნიკური საგნები, ლოგიკური აზროვნების განვითარება. პროექტის ფარგლებში აჭარის სკოლებში რეგისტრირებული მოსწავლეები სისტემატურად მიიღებენ აღნიშნული მიმართულებით შედგენილ ტესტებს, რაც საშუალებას მისცემთ მათ შეაფასონ და გააუმჯობესონ ცოდნა ტესტის შედეგებზე დაყრდნობით.

ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერის - მუხლში გათვალისწინებულია 2019 წლის ქვეპროგრამის ფარგლებში საგნობრივი ოლიმპიადაში, ლიტერატურული მარათონში, თეატრალურ კონკურსში, სპორტულ შეჯიბრში, სახვითი ხელოვნების კონკურსსა და დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებისათვის კონკურსში გამარჯვებულების დაჯილდოების ხარჯები.

დასახელება	პროდუქტები		
	საშ. რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
საგნობრივი ოლიმპიადა	1	25,000	25,000
ლიტერატურული მარათონი; სახვითი ხელოვნების კონკურსი	2	6,500	13,000
თეატრალური კონკურსი	5	5,000	25,000
ესეების კონკურსი	1	6,000	6,000
სპორტული შეჯიბრი	2	10,000	20,000
ექსკურსიები საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ		173,000	173,000
კონკურსი დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებისათვის	1	25,000	25,000
სასკოლო კლუბების ინიციატივების დაფინანსება	15	2000	30,000
თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება	1	75,000	75,000
ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა			85,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			477,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
საგნობრივი ოლიმპიადა	X	X	X	X

ლიტერატურული მარათონი; სახვითი ხელოვნების კონკურსი; თეატრალური კონკურსი; ესეების კონკურსი, სპორტული შეჯიბრი	X	X	X	X
ექსკურსიები საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ		X	X	
კონკურსი დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებისათვის	X	X	X	X
სასკოლო კლუბების ინიციატივების დაფინანსება	X	X	X	X
თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება			X	X
ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა	X	X	X	

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

სკოლებში გაზრდილია სწავლის და სწავლების მოტივაცია

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
სკოლებში გაზრდილია სწავლის და სწავლების მოტივაცია	საშუალოდ 15 000 მოსწავლე ჩართულია სხვადასხვა კონკურსებში, ოლიმპიადებში, შეჯიბრებებში. 15 სასკოლო კლუბის ინიციატივის დაფინანსება.	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, რესურსცენტრები, საჯარო სკოლები	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა	
პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	
ზოგადი და პროფესიული განათლება	
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 08 03
ქვეპროგრამის დასახელება:	
პროფესიული განათლების ხელშეწყობა	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	
ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:	

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	25,000
სულ ბიუჯეტი:	25,000

ქვეპროგრამის მიზანი:	
პროფესიული განათლების ხელშეწყობა.	

ქვეპროგრამის აღწერა:	
<p>კვალიფიკაციის ამაღლება</p> <p>ქვეპროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვს მოქალაქეს, რომელიც ასწავლის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე განთავსებულ საჯარო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში.</p> <p>ქვეპროგრამაში მონაწილეობა შეუძლია პირს, რომელიც კვალიფიკაციას აიმაღლებს/სტაჟირებას გაივლის ან მონაწილეობას მიიღებს შემდეგი სახის საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად: კონფერენცია, კონგრესი, ფორუმი, სიმპოზიუმი, სემინარი, ტრენინგი ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, შვეიცარიასა და ნორვეგიაში.</p> <p>ქვეპროგრამის მონაწილე მიიღებს ფინანსურ დახმარებას არაუმეტეს 5000 ლარის ოდენობით გრანტის სახით. გრანტის ოდენობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას მიიღებს საგრანტო კომისია. გრანტი შეიძლება გამოყენებულ იქნას ტრანსპორტის, ვიზის, ცხოვრების ხარჯების, სამედიცინო დაზღვევის და ა.შ. მიზნით.</p> <p>ქვეპროგრამის ბენეფიციარებს გამოავლენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით შექმნილი საგრანტო კომისია ღია კონკურსის საფუძველზე. ქვეპროგრამაში მონაწილეობის ვადები და სხვა დამატებითი პირობები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით.</p>	

დასახელება	პროდუქტები		
	საშ. რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
კვალიფიკაციის ამაღლება	5	5,000	25,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			25,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა
--

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
კვალიფიკაციის ამაღლება			X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი
სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა ხელმისაწვდომია.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა ხელმისაწვდომია	საშუალოდ 5 დაფინანსების გაცემა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, უნივერსიტეტები.	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

0509

პროგრამის დასახელება:

უწყვეტი განათლება

პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდი

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	3,282,800	820,700	820,700	820,700	820,700
სულ ბიუჯეტი:	3,282,800	820,700	820,700	820,700	820,700

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2020-2023 წლები

პროგრამის მიზანი:

კურსები: მოსახლეობისათვის ქართული (უცხო ქვეყნის და ქართული ენის არმცოდნე მოქალაქეებისათვის) და აფხაზური ენების შემსწავლელი უფასო კურსები; უცხო ენების და კომპიუტერული უნარ ჩვევების შემსწავლელი უფასო კურსები; უსინათლოთათვის და შშმ პირთათვის უცხო ენებისა და კომპიუტერული უნარ ჩვევების უფასო შემსწავლელი კურსები; TOEFL გამოცდისთვის მოსამზადებელი უფასო კურსი.

ტრენინგები: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო და კერძო სკოლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარება; ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა; ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირების სწავლება; სკოლის ადმინისტრაციისა და კლასის დამრიგებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; კლასკომპლექტში მუშაობის სპეციფიკის გაცნობა და დანერგვა; სტაჟირება: შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში არსებულ ევროპის ბირთვული კვლევების ცენტრში (CERN) ფიზიკის არაუმეტეს 3 მასწავლებლის სტაჟირება; პოლონეთში, კოპერნიკის სამეცნიერო ცენტრში (ქ. ვარშავა) სტაჟირებას გაივლის საბუნებისმეტყველო საგნების (ქიმიის, ბუნებისმეტყველების, ბიოლოგიისა და ფიზიკის) არაუმეტეს 12 მასწავლებელი; პოლონეთში, ქვემო სილეზიის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში (ქ. ვროცლავი) სტაჟირებას გაივლის საზოგადოებრივ მეცნიერებათა მიმართულების საგნების (ისტორიის, გეოგრაფიისა და სამოქალაქო განათლების) არაუმეტეს 9 მასწავლებელი. გერმანიაში ფრანკფურტის გოეთეს სახ. უნივერსიტეტის ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველოლოგიურ ცენტრში სტაჟირებას გაივლის ქართული ენის 12 მასწავლებელი; აჭარის პედაგოგთა VI რეგიონული კონფერენცია: არაუმეტეს 120 მომხსენებელი.

პროგრამის აღწერა:

განათლების პოპულარიზაცია და საზოგადოების სოციალური მხარდაჭერის მიზნით განათლების ფონდი ახორციელებს მოსახლეობისათვის ქართული (ქართული ენის არმცოდნე მოქალაქეებისათვის), აფხაზური და უცხო ენების, კომპიუტერული უნარ ჩვევების შესწავლა, ასევე უსინათლოთათვის და შშმ პირთათვის კომპიუტერული უნარ ჩვევების შესწავლა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მასწავლებლებს შესაძლებლობა აქვთ რეგიონიდან გაუსვლელად აიმაღლონ კვალიფიკაცია, მოემზადონ სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის, ჩაერთონ მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემაში, ითანამშრომლონ კოლეგებთან და ერთობლივად დაგეგმონ და განახორციელონ სხვადასხვა აქტივობები, რომლებიც მათ პროფესიულ განვითარებაზე დადებითად აისახება. პროფესიული განვითარების კურსები ხორციელდება სხვადასხვა მიმართულებით: საგნობრივი, პროფესიული უნარ-ჩვევების და სხვა, რომლებიც თავის მხრივ იშლება მოდულებად. რეგიონულ კონფერენციებში მონაწილეობა მასწავლებლებს შესაძლებლობას მისცემს მიიღოს კრედიტ ქულა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის შესაბამისად. კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მასწავლებელი მუდმივად უნდა იყოს ჩართული აღნიშნულ აქტივობებში, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად უფრო ეფექტური და მასშტაბური ღონისძიებების გატარების საჭიროებაზე მიუთითებს ჩატარებული სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგებიც.

სკოლამდელი აღზრდის მასწავლებელთა გადამზადება; მასწავლებელთა საგნობრივი და პროფესიული უნარების განვითარების ხელშეწყობა, ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა, კლასკომპლექტში მუშაობის სპეციფიკის გაცნობა და დანერგვა, ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირების სწავლება, სკოლის ადმინისტრაციისა და პერსონალის წევრებს შესაძლებლობა ექნებათ განიახლონ ცოდნა, გაეცნონ სასკოლო საზოგადოებასთან მუშაობის მეთოდიკას და პროექტების ორგანიზების საკითხებს. ყოველწლიურად სტაჟირებას გაივლის 3 ფიზიკის მასწავლებელი შვეიცარიაში; ქალაქ ჟენევაში არსებულ ევროპის ბირთვული კვლევების ცენტრში (CERN). პოლონეთში, ვარშავის კოპერნიკის სამეცნიერო ცენტრში სტაჟირებას გაივლის ქიმიის, ბუნებისმეტყველების, ბიოლოგიისა და ფიზიკის 12 მასწავლებელი; პოლონეთში, ქვემო სილეზიის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში (ქ. ვროცლავი) სტაჟირებას გაივლის საზოგადოებრივ მეცნიერებათა მიმართულების საგნების (ისტორიის, გეოგრაფიისა და სამოქალაქო განათლების) 9 მასწავლებელი. გერმანიაში ფრანკფურტის გოეთეს სახ. უნივერსიტეტის ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველოლოგიურ ცენტრში სტაჟირებას გაივლის ქართული ენის 12 მასწავლებელი; აჭარის პედაგოგთა VI რეგიონული კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებს არაუმეტეს 120 მომხსენებელი.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
	3,282,800	820,700	820,700	820,700	820,700
სულ პროგრამა	3,282,800	820,700	820,700	820,700	820,700

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

ქართული (უცხო ქვეყნის და ქართული ენის არმცოდნე მოქალაქეებისათვის), აფხაზური ენის, უცხო ენების შემსწავლელი და TOEFL-ის გამოცდისათვის მოსამზადებელი კურსები გაიარა 2296 მსმენელმა, კომპიუტერული უნარ-ჩვევებს დაეუფლა 176 მსმენელი. 2019 წელს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამის მიმართულებაში განხორციელდა შემდეგი აქტივობები: პრაქტიკოსი მასწავლებლის კომპეტენციის დადასტურების გამოცდისათვის მოსამზადებელი ტრენინგები 17 საგანში გაიარა - 993 მასწავლებელმა; ინკლუზიური განათლების პროგრამა - 375 მსმენელი; სქემის დანერგვის ხელშეწყობის ტრენინგები - 850 მსმენელი; სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრიდან მოწვეული ექსპერტების მასტერ კლასები - (26 მასტერ-კლასი) 520 მსმენელი; უცხოეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერის ირმა მგელაძის 2 სემინარი ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელთათვის - 50 მსმენელი; უცხოელი ექსპერტის რობ დანიის 2 სემინარი ინგლისური ენის მასწავლებელთათვის - 50 მსმენელი; მასწავლებლის ტრენინგების საგნობრივი ვორქშოფები - (25 ვორქშოფი) 500 მსმენელი; ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირების სწავლების ტრენინგი - 21 სკოლა, 430 მსმენელი; სკოლის ადმინისტრაციისა და პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის ტრენინგ კურსები გაიარა 194 მსმენელმა (58 ბიბლიოთეკარი, 75 საქმისმწარმოებელი, 60 დირექტორი).

2019 წლის აპრილში შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში (ცერნი) სტაჟირება გაიარა 3-მა სერთიფიცირებულმა ფიზიკის მასწავლებელმა. 2019 წლის სექტემბერში პოლონეთში, კოპერნიკის სამეცნიერო ცენტრში (ქ. ვარშავა) სტაჟირებას გაიარა საბუნებისმეტყველო საგნების (ქიმიის, ბუნებისმეტყველების, ბიოლოგიისა და ფიზიკის) 11 მასწავლებელმა;

ჩატარდა V რეგიონული კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 110 მომხსენებელმა.

საერთო ჯამში, 2019 წელს აჭარის განათლების ფონდის (ბათუმის მასწავლებლის სახლის) მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობა 3 927 მსმენელმა მიიღო.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

ქართული (უცხო ქვეყნის და ქართული ენის არმცოდნე მოქალაქეებისათვის), აფხაზური და უცხო ენების შემსწავლელ და TOEFL-ის გამოცდისათვის მოსამზადებელ კურსებს გაივლის არაუმეტეს 1960 მსმენელი, კომპიუტერულ უნარ-ჩვევებს დაეუფლება არაუმეტეს 225 მსმენელი, ასევე უსინათლოთათვის უცხო ენებისა და კომპიუტერული უნარ ჩვევების შეისწავლის არაუმეტეს 16 მსმენელი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამის მიმართულებაში პროფესიული განვითარების კუთხით გათვალისწინებულ სხვადასხვა აქტივობებს (ტრენინგებს, მასტერ კლასებს, ვორქშოფებს), ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის, ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირების სწავლების და სკოლის ადმინისტრაციისა და პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის ტრენინგ კურსებს გაივლის არაუმეტეს 7 000 მსმენელი.

შვეიცარიაში, ევროპის ბირთვული კვლევების ცენტრში (CERN) სტაჟირებას გაივლის 3 ფიზიკის მასწავლებელი. პოლონეთში, კოპერნიკის სამეცნიერო ცენტრში (ქ. ვარშავა) სტაჟირებას გაივლის ქიმიის, ბუნებისმეტყველების, ბიოლოგიისა და ფიზიკის 12 მასწავლებელი; პოლონეთში, ქვემო სილეზიის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში (ქ. ვროცლავი) სტაჟირებას გაივლის საზოგადოებრივ მეცნიერებათა მიმართულების საგნების (ისტორიის, გეოგრაფიისა და სამოქალაქო განათლების) 9 მასწავლებელი; გერმანიაში ფრანკფურტის გოეთეს სახ. უნივერსიტეტის ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველოლოგიურ ცენტრში სტაჟირებას გაივლის ქართული ენის 12 მასწავლებელი.

ჩატარდება აჭარის პედაგოგთა VI რეგიონული კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 120 მომხსენებელი.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

ხელმისაწვდომია ქართული (უცხო ქვეყნისა და ქართული ენის არმცოდნე მოქალაქეებისათვის), აფხაზური და უცხო ენების შესწავლა ;

ხელმისაწვდომია კომპიუტერული უნარ ჩვევების შესწავლა ;

ხელმისაწვდომია ასევე უსინათლოთათვის უცხო ენებისა და კომპიუტერული უნარ ჩვევების შესწავლა;

ხელმისაწვდომია მასწავლებელთა გადამზადება – მ/შ ფიზიკის მასწავლებელთა გადამზადება შვეიცარიაში, ევროპის ბირთვული კვლევების ცენტრში (CERN). ხელმისაწვდომია

მასწავლებელთა გადამზადება – მ/შ საბუნებისმეტყველო საგანთა - ბიოლოგიის, ბუნებისმეტყველების, ქიმიისა და ფიზიკის მასწავლებელთა გადამზადება პოლონეთში, ვარშავის კოპერნიკის სახ. სამეცნიერო ცენტრში;

ხელმისაწვდომია მასწავლებელთა გადამზადება – მ/შ საზოგადოებრივ მეცნიერებათა მიმართულების საგნების (ისტორიის, გეოგრაფიისა და სამოქალაქო განათლების) მასწავლებელთა გადამზადება პოლონეთში, ქვემო სილეზიის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში (ქ. ვროცლავი);

ხელმისაწვდომია მასწავლებელთა გადამზადება – მ/შ ქართული ენის მასწავლებელთა გადამზადება გერმანიაში ფრანკფურტის გოეთეს სახ. უნივერსიტეტის ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველოლოგიურ ცენტრში.

მასწავლებელთა კვალიფიცირებული ტრენინგების ქსელის შექმნა, რომლებსაც შეუძლიათ პედაგოგთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა სკოლებში;

პრაქტიკოს პედაგოგთა საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების გაუმჯობესება. საგაკვეთილო პროგრამის და სწავლების მეთოდოლოგიების ეფექტურად გამოყენების უნარების განვითარება. სკოლის ადმინისტრაციისა და პერსონალის წევრები დაეუფლებიან საჭირო უნარ – ჩვევებს და შეიძენენ ახალ ცოდნას, რასაც შემდგომ დაწერგავენ თავიანთ პროფესიულ საქმიანობაში; რეგიონულ კონფერენციებში მონაწილეობით მასწავლებლებს მიეცემათ შესაძლებლობა გამოცდილების გაზიარების.

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 05 10

პროგრამის დასახელება: უმაღლესი განათლება

პროგრამის განმახორციელებელი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	8,764,000	2,094,000	2,190,000	2,220,000	2,260,000
სულ ბიუჯეტი:	8,764,000	2,094,000	2,190,000	2,220,000	2,260,000

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2020-2023 წლები

პროგრამის მიზანი:

განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა, სწავლის ხარისხის ამაღლება და განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების ხელშეწყობა

პროგრამის აღწერა:

- სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამით გათვალისწინებული დაფინანსება გაიცემა სტუდენტებზე, რომლებიც სწავლობენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკრედიტებულ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე.
- უმაღლესი განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამით გათვალისწინებული კონფერენციების, სეზონური სკოლების საჯარო ლექციების დაფინანსება, სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა, ლიტერატურის თარგმნა
- სწავლა საზღვარგარეთ ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, ავსტრალიაში, იაპონიაში, შვეიცარიაში და ნორვეგიაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მეორე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე და მესამე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე, პოსტ საბაკალავრო/პოსტ სამაგისტრო სახელოვნებო პროგრამაზე ჩარიცხული პირების დაფინანსება. სწავლა საზღვარგარეთ ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სტაჟიორების გაზაფხა/მიღება პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.
- ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მიმართულებების ხელშეწყობა

დასახელება	სულ	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
ქვეპროგრამა 1- სტუდენტთა დახმარება	4,000,000	1,000,000	1,000,000	1,000,000	1,000,000
ქვეპროგრამა 2 - უმაღლესი განათლების ხელშეწყობა	1,024,000	204,000	250,000	270,000	300,000
ქვეპროგრამა 3 - სწავლა საზღვარგარეთ	3,570,000	870,000	900,000	900,000	900,000
ქვეპროგრამა 4 - ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მიმართულებების ხელშეწყობა	170,000	20,000	40,000	50,000	60,000
სულ პროგრამის ბიუჯეტი	8,764,000	2,094,000	2,190,000	2,220,000	2,260,000

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

პროგრამის ფარგლებში

- დაფინანსდა დაახლოებით 900 სტუდენტი;
- სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 10 აპლიკანტმა; ჩატარდა 4 კონფერენცია, 4 სეზონური სკოლა და დაფინანსდა 5 საჯარო ლექცია;
- საზღვარგარეთ სწავლის მიზნით გაიცა 57 დაფინანსება

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

- პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია საშუალოდ 900 სტუდენტი;
- პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია საშუალოდ 5 ბენეფიციარის მონაწილეობა სამეცნიერო ღონისძიებაში; საშუალოდ 5 საჯარო ლექცია, 2 კონფერენცია, 2 სეზონური სკოლა, 3 კვალიფიკაციის ამაღლება, 2 წიგნის თარგმნა,
- პროგრამის ფარგლებში საშუალოდ გაცემული 40 გრანტი სტუდენტების საზღვარგარეთ სწავლის დაფინანსების მიზნით; ევროოდისეას პროგრამის ფარგლებში მიღებულია/გაგზავნილია საშუალოდ 8-8 სტაჟიორი.
- ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო მიმართულებებზე დაფინანსებულია 20 სტუდენტი.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

უმაღლესი განათლება ხელმისაწვდომია სოციალურად დაუცველ, ობოლ, მრავალშვილიან ოჯახთა და მაღალმთიანი რეგიონის ბენეფიარტათვის;
საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა/ღონისძიებების ორგანიზება ხელმისაწვდომია; გაზრდილია უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა საზღვარგარეთ;
ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო მიმართულებებზე ხელმისაწვდომია განათლება.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები				გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი				
უმადლესი განათლება ხელმისაწვდომია სოციალურად დაუცველ, ობოლ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე, მრავალშვილიან ოჯახთა და მაღალმთიანი რეგიონის ბენეფიციართათვის	დაფინანსდება საშუალოდ 900 სტუდენტი	დაფინანსდება საშუალოდ 920 სტუდენტი	დაფინანსდება საშუალოდ 950 სტუდენტი	დაფინანსდება საშუალოდ 970 სტუდენტი	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, აკრედიტებული უნივერსიტეტები, სოციალური მომსახურების სააგენტო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	ხელშეკრულება. მიღება-ჩაბარების აქტი
სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა/ღონისძიებების ორგანიზება ხელმისაწვდომია	დაფინანსებულია საშუალოდ 19 ღონისძიება	დაფინანსებულია საშუალოდ 25 ღონისძიება	დაფინანსებულია საშუალოდ 30 ღონისძიება	დაფინანსებულია საშუალოდ 35 ღონისძიება	რაოდენობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს განათლების დეპარტამენტი, აჭარის ა/რ ტერიტორიაზე მოქმედი აკრედიტებული უნივერსიტეტები	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	ხელშეკრულება. მიღება-ჩაბარების აქტი
გაზრდილია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის ამაღლების ხელმისაწვდომობა საზღვარგარეთ	დაფინანსებულია საშუალოდ 40 აპლიკანტი, გაგზავნილია საშუალოდ 8 სტაჟიორი, მიღებულია საშუალოდ 8 სტაჟიორი	დაფინანსებულია საშუალოდ 40 აპლიკანტი, გაგზავნილია საშუალოდ 8 სტაჟიორი, მიღებულია საშუალოდ 8 სტაჟიორი	დაფინანსებულია საშუალოდ 60 აპლიკანტი, გაგზავნილია საშუალოდ 8 სტაჟიორი, მიღებულია საშუალოდ 8 სტაჟიორი	დაფინანსებულია საშუალოდ 60 აპლიკანტი, გაგზავნილია საშუალოდ 8 სტაჟიორი, მიღებულია საშუალოდ 8 სტაჟიორი	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	ხელშეკრულება

<p>უმაღლესი განათლება ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო მიმართულებებზე ხელმისაწვდომია სოციალურად დაუცველ, ობოლ, მრავალშვილიან ოჯახთა და მაღალმთიანი რეგიონის ბენეფიციართათვის.</p>	<p>დაფინანსდება საშუალოდ 20 სტუდენტი</p>	<p>დაფინანსდება საშუალოდ 40 სტუდენტი</p>	<p>დაფინანსდება საშუალოდ 50 სტუდენტი</p>	<p>დაფინანსდება საშუალოდ 60 სტუდენტი</p>	<p>რაოდენობა</p>	<p>განათლების დეპარტამენტი, აკრედიტებული უნივერსიტეტები, სოციალური მომსახურების სააგენტო</p>	<p>წელიწადში ერთხელ</p>	<p>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო</p>
--	--	--	--	--	------------------	--	-------------------------	---

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

უმაღლესი განათლება	
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 10 01

ქვეპროგრამის დასახელება:

სტუდენტთა დახმარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
--

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	1,000,000
სულ ბიუჯეტი:	1,000,000

ქვეპროგრამის მიზანი:

უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა.
--

ქვეპროგრამის აღწერა:

1. 2015, 2016, 2017, 2018, 2019 წელს „სტუდენტთა დახმარების“ ქვეპროგრამის ფარგლებში შერჩეული ბენეფიციარები, რომლებიც გადალახავენ ქვეპროგრამით გათვალისწინებულ ბარიერს. სემესტრის დაფინანსება ერთ სტუდენტზე განისაზღვრება მაქსიმალური ოდენობით 1125 (ათას ას ოცდახუთი) ლარი.

2. 2020 წელს შერჩეული ბენეფიციარები - რომლებიც სწავლობენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ (ბაკალავრიატი) და მეორე (მაგისტრატურა) საფეხურის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე. სემესტრის დაფინანსება ერთ სტუდენტზე განისაზღვრება მაქსიმალური ოდენობით 1125 (ათას ას ოცდახუთი) ლარი. 2020 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში ბენეფიციარების შერჩევა მოხდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე (I კვარტალი) მიიღება პირველი კურსის სტუდენტების საბუთები. მეორე ეტაპზე (III კვარტალი) მიიღება 1-ლი, მე-2; მე-3; მე-4; მე-5 და მე-6 კურსის სტუდენტების საბუთები.

2020 წელს ბენეფიციარების შერჩევის წესი

სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამით გათვალისწინებული თანხით დაფინანსდებიან სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი, ან მეორე საფეხურის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე.

სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის დაფინანსება გაიცემა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული სწავლის საფასურის შესაბამისად სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამით დადგენილი სტუდენტთა დაფინანსების მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში.

სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსება სტუდენტზე გაიცემა სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ სემესტრის მიხედვით. იმ შემთხვევაში თუკი სტუდენტი ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად მოიპოვებს სახელმწიფო გრანტის ნაწილობრივ ოდენობას, სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში მისი სწავლის საფასური შეივსება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული სწავლის საფასურის შესაბამისად, სამინისტროს მიერ დადგენილი სტუდენტთა დაფინანსების მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში.

სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსება შეიძლება მოიპოვოს იმ პირმა (შემდგომში სტუდენტი), რომელიც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, მინიმუმ სამი სასწავლო წელი სრულად სწავლობდა (გარდა კატეგორია - სტუდენტი მაღალმთიანი აჭარისა, რომელზეც ვრცელდება- სტუდენტი, რომელიც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში სწავლობდა და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღო აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში (ქედა, შუახევი, ხულო, ასევე ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების საქართველოს მთავრობის N671 დადგენილებით განსაზღვრულ სოფლებში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში) აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, სწავლობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პირველი/მეორე საფეხურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და ვერ მოიპოვა სახელმწიფო გრანტის სრული ოდენობა ან მოიპოვა სახელმწიფო გრანტის ნაწილობრივი ოდენობა და განეკუთვნება ამ პროგრამით დადგენილ ერთ-ერთ კატეგორიას.

აბიტურიენტი, რომელმაც მოიპოვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის უფლება, მაგრამ კანონმდებლობით დადგენილი წესით არ ჩაირიცხა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვერ მიიღებს დაფინანსებას სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში.

2020 წელს შერჩეულ ბენეფიციარებზე თანხის გაცემის წესი (პირველი ეტაპი)

სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული თანხა გადაეცემათ შემდეგი კატეგორიის სტუდენტებს: 1. პირველი კურსი, პირველ საფეხურზე ჩარიცხულ სტუდენტს (10 ადგილი) და მეორე საფეხურზე (5 ადგილი), რომელიც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში სწავლობდა და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში (ქედა, შუახევი, ხულო, ასევე ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების საქართველოს მთავრობის N671 დადგენილებით განსაზღვრულ სოფლებში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში);

2. პირველი კურსი, პირველ საფეხურზე ჩარიცხულ სტუდენტს (8 ადგილი) და მეორე საფეხურზე (2 ადგილი), რომელიც არის ობოლი (დედით ან მამით, უდედმამო), რომელიც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, მინიმუმ სამი სასწავლო წელი სრულად სწავლობდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;

3. პირველი კურსი, პირველ საფეხურზე ჩარიცხულ სტუდენტს (8 ადგილი) და მეორე საფეხურზე (2 ადგილი), რომელიც არის მრავალშვილიანი ოჯახის წევრი (ოთხი ან მეტი შვილი), რომელიც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, მინიმუმ სამი სასწავლო წელი სრულად სწავლობდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;

4. პირველი კურსი, პირველ საფეხურზე ჩარიცხულ სტუდენტს (10 ადგილი) და მეორე საფეხურზე (5 ადგილი), რომლის ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში და მისი ოჯახის სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 100 000-ზე, რომელიც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, მინიმუმ სამი სასწავლო წელი სრულად სწავლობდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში.

5. პირველი კურსი, პირველ საფეხურზე ჩარიცხულ სტუდენტს (2 ადგილი) და მეორე საფეხურზე (1 ადგილი), რომელიც არის მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, რომელიც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, მინიმუმ სამი სასწავლო წელი სრულად სწავლობდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში.

6. პირველი კურსი, პირველ საფეხურზე ჩარიცხულ სტუდენტს (2 ადგილი) და მეორე საფეხურზე (1 ადგილი), რომელის მშობელს მინიჭებული აქვს მარტოხელა მშობლის (მარტოხელა დედის ან მარტოხელა მამის) სტატუსი, რომელიც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, მინიმუმ სამი სასწავლო წელი სრულად სწავლობდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში.

2020 წელს შერჩეულ ბენეფიციარებზე თანხის გაცემის წესი (მეორე ეტაპი)

სტუდენტების დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული თანხა გადაეცემა შემდეგი კატეგორიის სტუდენტებს:

1. 1 - ლი, მე-2; მე-3; მე-4; მე-5 და მე-6 კურსი, პირველ საფეხურზე ჩარიცხულ სტუდენტს (20 ადგილი) და მეორე საფეხურზე (5 ადგილი), რომელიც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში სწავლობდა და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში (ქედა, შუახევი, ხულო, ასევე ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების საქართველოს მთავრობის N671 დადგენილებით განსაზღვრულ სოფლებში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში).

2. 1 - ლი, მე-2; მე-3; მე-4; მე-5 და მე-6 კურსი, პირველ საფეხურზე ჩარიცხულ სტუდენტს (10 ადგილი) და მეორე საფეხურზე (5 ადგილი), რომელიც არის ობოლი (დედით ან მამით, უდედმამო), რომელიც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, მინიმუმ სამი სასწავლო წელი სრულად სწავლობდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;

3. 1 - ლი, მე-2; მე-3; მე-4; მე-5 და მე-6 კურსი, პირველ საფეხურზე ჩარიცხულ სტუდენტს (10 ადგილი) და მეორე საფეხურზე (5 ადგილი), რომელიც არის მრავალშვილიანი ოჯახის წევრი (ოთხი ან მეტი შვილი), რომელიც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, მინიმუმ სამი სასწავლო წელი სრულად სწავლობდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;

4. 1 - ლი, მე-2; მე-3; მე-4; მე-5 და მე-6 კურსი, პირველ საფეხურზე ჩარიცხულ სტუდენტს (30 ადგილი) და მეორე საფეხურზე (5 ადგილი), რომლის ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში და მისი ოჯახის სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 100 000-ზე, რომელიც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, მინიმუმ სამი სასწავლო წელი სრულად სწავლობდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში;

5. 1 - ლი, მე-2; მე-3; მე-4; მე-5 და მე-6 კურსი, პირველ საფეხურზე ჩარიცხულ სტუდენტს (2 ადგილი) და მეორე საფეხურზე (1 ადგილი), რომელიც არის მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, რომელიც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, მინიმუმ სამი სასწავლო წელი სრულად სწავლობდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში.

6. 1 - ლი, მე-2; მე-3; მე-4; მე-5 და მე-6 კურსი, პირველ საფეხურზე ჩარიცხულ სტუდენტს (2 ადგილი) და მეორე საფეხურზე (1 ადგილი), რომელს მშობელს მინიჭებული აქვს მარტოხელა მშობლის (მარტოხელა დედის ან მარტოხელა მამის) სტატუსი, რომელიც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, მინიმუმ სამი სასწავლო წელი სრულად სწავლობდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში.

ძირითადი პირობები

იმ სტუდენტის მონაცემები, რომელიც ერთდროულად განეკუთვნება ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებულ რამოდენიმე კატეგორიას, დაფინანსების მოსაპოვებლად განიხილება ჯერ პირველი კატეგორიის მიხედვით, ხოლო შემდგომ ამ ქვეპროგრამით განსაზღვრული კატეგორიების ფარგლებში თანმიმდევრობის მიხედვით.

თუ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებულ რომელიმე კატეგორიაში შემავალი სტუდენტების რაოდენობა (შემდგომში - დასაფინანსებელი სტუდენტი), რომლებიც მონაწილეობენ ამ ქვეპროგრამაში, აღემატება შესაბამისი კატეგორიისათვის გამოყოფილი ადგილების (შემდგომში - ადგილი) რაოდენობას, თანხა გაიცემა სტუდენტის ბოლო სემესტრის აკადემიური მოსწრების საშუალო არითმეტიკული ქულის, ან კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული საგნის, ან საგნების საშუალო არითმეტიკული ქულის საფუძველზე.

თუ, ორ ან მეტ სტუდენტს აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად მიღებული აქვს თანაბარი საშუალო არითმეტიკული ქულა, თანხა გაიცემა პირველი საფეხურის სტუდენტის შემთხვევაში - ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული საკონკურსო ქულის საფუძველზე და მეორე საფეხურის სტუდენტის შემთხვევაში - საერთო სამაგისტრო გამოცდის ჯამური, ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად ჩაბარებული გამოცდის/გამოცდების ჯამური შედეგების საფუძველზე.

თუ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებული კატეგორიების მიხედვით დასაფინანსებელ სტუდენტთა რაოდენობა ნაკლებია კატეგორიის მიხედვით განსაზღვრულ რაოდენობაზე, დარჩენილი რაოდენობა დამატება სხვა კატეგორიას თანმიმდევრობის დაცვით. თუ ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებული თანხა დარჩება რომელიმე კატეგორიაში ეკონომიის სახით, დარჩენილი თანხა გადანაწილდება კატეგორიებში ადგილების თანაბრად დამატების გზით. თუ ქვეპროგრამით გათვალისწინებული თანხა დარჩება ეკონომიის სახით, აღნიშნული თანხა გადანაწილდება კატეგორიებში ადგილების თანაბრად დამატების გზით თანხის ამოწურვამდე, რაც გამოიწვევს კატეგორიებში ქვეპროგრამით განსაზღვრული დასაფინანსებელი ბენეფიციარების რაოდენობის ცვლილებას. სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსების მოსაპოვებლად სტუდენტი წარმოადგენს განცხადებას, განაცხადისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა მტკიცდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით.

სტუდენტი, რომლის აკადემიური მოსწრება საშუალო არითმეტიკულით იქნება 71% და მეტი ეძლევა ქვეპროგრამაში მონაწილეობის უფლება. თუკი სტუდენტი აკადემიურ მოსწრებას საშუალო არითმეტიკულით 71% და მეტი შეინარჩუნებს ავტომატურად ხდება პრეტენდენტი შემდეგი სემესტრის დაფინანსების მიღებაზე. აკადემიური მოსწრების გამოთვლა ხდება უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტის საფუძველზე, საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით, მთელი სიზუსტის დამრგვალებით.

დაფინანსებული სტუდენტი, რომელსაც ბოლო სემესტრის რომელიმე საგანში ექნება F შეფასება გამოეთიშება პროგრამას. სტუდენტებს, რომლებიც ვერ გადალახავენ აკადემიური მოსწრების ბარიერს, უფლება აქვთ თავიდან გაიარონ კონკურსი სამინისტროს მიერ განსაზღვრულ ვადებში. სტუდენტს, რომელიც გაემგზავრება გაცვლითი პროგრამით საზღვარგარეთ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის დაფინანსება გაუგრძელდება საზღვარგარეთ სწავლის პერიოდის მანძილზე საზღვარგარეთ გავლილი კრედიტების კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებისა და 71% -იანი ბარიერის გადალახვის დოკუმენტების წარმოდგენამდე. სტუდენტს, რომელსაც სტუდენტის სტატუსი შეუჩერდება/შეუწყდება არაუმეტეს 1 წლისა, შეუნარჩუნდება დაფინანსება სტუდენტის სტატუსის აღდგენის მომენტისათვის პროგრამის არსებობის შემთხვევაში. დაფინანსების აღდგენის დროს მხედველობაში მიიღება სტატუსის შეჩერებამდე ბოლო სემესტრის შეფასება.

ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან/და აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის (რომელზეც სწავლობს შესაბამისი სტუდენტი) სტატუსის დაკარგვის შემთხვევაში სამინისტრო დაფინანსებულ სტუდენტს სწავლის დაფინანსებას გაუგრძელებს, თუ სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს ექვსი თვის ვადაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ან/და იმ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გავლის (რომელზეც სწავლობს დაფინანსებული სტუდენტი) ან დაფინანსებული სტუდენტის ამავე დაწესებულებაში აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე შიდა მობილობით ჩარიცხვის დამადასტურებელ დოკუმენტს.

დაინტერესებულმა პირებმა საბუთები უნდა წარმოადგინონ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (შემდგომში - სამინისტრო) სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში. მოპოვებული დაფინანსების გაუმჯობესების მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ სტუდენტს უფლება აქვს ხელახლა გაიაროს კონკურსი. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში სტუდენტი მიიღებს გაუმჯობესებულ დაფინანსებას, სხვა შემთხვევაში კი შეუნარჩუნდება ძველი დაფინანსება. სამინისტროს მიერ გამოყოფილი დაფინანსება ჩაირიცხება სტუდენტის სახელზე უნივერსიტეტის ანგარიშზე სწავლის საფასურის დასაფარად. სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში არ მოხდება სტუდენტის სწავლის საფასურის დავალიანებების დაფარვა.

ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერის ფარგლებში დაფინანსდება ქვეპროგრამის ბენეფიციარებთან შეხვედრა, ფასიანი საჩუქრების გადაცემა, რეკლამა და სხვ.

დასახელება	პროდუქტები		
	საშ. რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ბენეფიციარის დაფინანსება	900	1100	990,000
ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა			10,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			1,000,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ბენეფიციარის გამოვლენა/დაფინანსება	X	X	X	X
ქვეპროგრამის განხორცილების მხარდაჭერა			X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

უმალესი განათლება ხელმისაწვდომია სოციალურად დაუცველ, ობოლ, მრავალშვილიან ოჯახთა და მაღალმთიანი რეგიონის ბენეფიციართათვის.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
<p>უმადლესი განათლება ხელმისაწვდომია სოციალურად დაუცველ, ობოლ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე, მრავალშვილიან ოჯახთა და მაღალმთიანი რეგიონის ბენეფიციართათვის</p>	<p>დაფინანსდება საშუალოდ 900 სტუდენტი</p>	<p>რაოდენობა</p>	<p>განათლების დეპარტამენტი, აკრედიტებული უნივერსიტეტები, სოციალური მომსახურების სააგენტო</p>	<p>წელიწადში ერთხელ</p>	<p>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო</p>	<p>ხელშეკრულება</p>

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

უმაღლესი განათლება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 10 02

ქვეპროგრამის დასახელება:

უმაღლესი განათლების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
--

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	204,000
სულ ბიუჯეტი:	204,000

ქვეპროგრამის მიზანი:

უმაღლესი განათლების ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის აღწერა:

<p><u>ს ა მ ე ც ნ ი ე რ ო ღ ო ნ ის ძ ი ე ბ ე ბ შ ი მ ო ნ ა წ ი ლ ე ბ ა</u></p> <p>ქვეპროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს მეცნიერთა მონაწილეობას საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში, რათა ინფორმაციის გაცვლისა და გამოცდილების გაზიარების შედეგად გააძლიეროს საქართველოს სამეცნიერო პოტენციალი და ხელი შეუწყოს ქართველი მეცნიერების საერთაშორისო სამეცნიერო ცხოვრებაში ინტეგრაციას. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ აკრედიტირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში მუდმივად ან ხელშეკრულებით მომუშავე მეცნიერებს – აკადემიური ხარისხის (მაგისტრი, დოქტორი) ან სამეცნიერო წოდების (მეცნიერებათა კანდიდატი, მეცნიერებათა დოქტორი) მქონე საქართველოს მოქალაქეებს; აგრეთვე მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს, რომლებიც განაცხადის წარდგენის პერიოდში სწავლობენ ზემოთაღნიშნული იურიდიული სტატუსის მქონე ორგანიზაციებში.</p> <p>დახმარება გაიცემა შემდეგი სახის საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად: კონფერენცია, კონგრესი, ფორუმი, სიმპოზიუმი, სემინარი. უპირატესობა მიენიჭებათ იმ განმცხადებლებს, რომლებიც მონაწილეობენ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, ავსტრალიაში, იაპონიაში, შვეიცარიაში და ნორვეგიაში გამართულ საერთაშორისო ღონისძიებებში.</p> <p>ქვეპროგრამის მონაწილე მიიღებს ფინანსურ დახმარებას არაუმეტეს 3000 ლარის ოდენობით გრანტის სახით, რომელშიც შეიძლება შევიდეს მგზავრობის, ვიზის, ცხოვრებისა და სხვა ხარჯები.</p> <p>ქვეპროგრამაში მონაწილეობის ვადები, წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა და სხვა დამატებითი პირობები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით. ქვეპროგრამის ბენეფიციარებს გამოავლენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით შექმნილი საკონკურსო კომისია ღია კონკურსის საფუძველზე.</p>

კვალიფიკაციის ამაღლება

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ აკრედიტირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში მუდმივად ან ხელშეკრულებით მომუშავე მეცნიერებს – აკადემიური ხარისხის (მაგისტრი, დოქტორი) ან სამეცნიერო წოდების (მეცნიერებათა კანდიდატი, მეცნიერებათა დოქტორი) მქონე საქართველოს მოქალაქეებს; აგრეთვე მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს, რომლებიც განაცხადის წარდგენის პერიოდში სწავლობენ ზემოთაღნიშნული იურიდიული სტატუსის მქონე ორგანიზაციებში.

ქვეპროგრამაში მონაწილეობა შეუძლია პირს, რომელიც კვალიფიკაციას აიმაღლებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, ავსტრალიაში, იაპონიაში, შვეიცარიაში და ნორვეგიაში. კვალიფიკაციის ამაღლების/სტაჟირების პერიოდი განსაზღვრულია არანაკლებ 2 კვირით. კვალიფიკაციის ამაღლების/სტაჟირების ამაღლების მიზნით აპლიკანტი სამინისტროსგან მიიღებს ფინანსურ დახმარებას გრანტის სახით არაუმეტეს 8000 ლარისა წარმოდგენილი სავარაუდო ხარჯთაღრიცხვის მიხედვით. გრანტის ოდენობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას მიიღებს საკონკურსო კომისია. გრანტი შეიძლება გამოყენებულ იქნას ტრანსპორტის, ვიზის, ცხოვრების ხარჯების, სამედიცინო დაზღვევის და ა.შ. მიზნით. ქვეპროგრამის ბენეფიციარებს გამოავლენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით შექმნილი საკონკურსო კომისია ღია კონკურსის საფუძველზე. ქვეპროგრამაში მონაწილეობის ვადები და სხვა დამატებითი პირობები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით.

საჯარო ლექციები

ქვეპროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ორგანიზებას გაუწევს საჯარო ლექციების მოწყობას აჭარაში. ქვეპროგრამაში მონაწილეობის ვადები, წარმოსადგენი დოკუმენტაციის წუსხა და სხვა დამატებითი პირობები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით. ქვეპროგრამის ბენეფიციარებს გამოავლენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით შექმნილი საკონკურსო კომისია ღია კონკურსის საფუძველზე. ლექციები გაიმართება სხვადასხვა აუდიტორიისათვის: სტუდენტები, ლექტორები, მასწავლებლები, საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლები და სხვ. ლექციების ორგანიზების ფარგლებში შეიძლება დაფინანსდეს ჰონორარი, ტრანსპორტირების, ღამისთევისა და კვების ხარჯები, თვალსაჩინოებების მომზადების ხარჯები და ა.შ.

ქვეპროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოში რეგისტრირებულ საქართველოში რეგისტრირებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს. დაფინანსება გაიცემა გრანტის სახით.

კონფერენციის მ

ოწყობა

ქვეპროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო დააფინანსებს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში კონფერენცი(ებ)ის მოწყობას. ქვეპროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოში რეგისტრირებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს. დაფინანსება გაიცემა გრანტის სახით.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება:

- კონფერენციის ორგანიზატორთა ჰონორარი, სასტუმროს, ტრანსპორტირების და კვების ხარჯი;
- კონფერენციის მონაწილეთა სასტუმროს/ტრანსპორტირების/კვების ხარჯი;
- კონფერენციის მოსაწყობად საჭირო აპარატურის შესყიდვის ან/და დაქირავების ხარჯი;
- კონფერენციის ჩატარებისათვის საჭირო დარბაზის დაქირავების ხარჯები;
- კონფერენციის მასალების დაბეჭდვა;
- სხვა საქონელი და მომსახურება.

ქვეპროგრამაში მონაწილეობის ვადები, წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა და სხვა დამატებითი პირობები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით. ქვეპროგრამის ბენეფიციარებს გამოავლენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით შექმნილი საკონკურსო კომისია ღია კონკურსის საფუძველზე.

სეზონური სკოლა

ქვეპროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო დააფინანსებს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სეზონური სკოლ(ებ)ის ორგანიზებას. ქვეპროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოში რეგისტრირებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს. დაფინანსება გაიცემა გრანტის სახით.

პროექტის ფარგლებში შეიძლება დაფინანსდეს:

- სეზონური სკოლის მომხსენებლთა/ორგანიზატორთა ჰონორარი, სასტუმროს, ტრანსპორტირების და კვების ხარჯი;
- სეზონური სკოლის მონაწილეთა სასტუმროს, ტრანსპორტირების და კვების ხარჯი;
- სეზონური სკოლისათვის საჭირო ფართის და აპარატურის დაქირავების ხარჯი;
- სხვა საქონლისა და მომსახურები ხარჯი.

სეზონური სკოლის მოწყობის თაობაზე პროექტის წარმოდგენა შეუძლიათ საქართველოში რეგისტრირებულ პირებს.

ქვეპროგრამის ბენეფიციარებს გამოავლენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით შექმნილი საკონკურსო კომისია ღია კონკურსის საფუძველზე. ქვეპროგრამაში მონაწილეობის ვადები, წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა, შეფასების კრიტერიუმები და სხვა დამატებითი პირობები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით.

უცხოენოვანი სამეცნიერო/სახელმძღვანელო ლიტერატურის თარგმნა
 2020 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო დააფინანსებს უცხოენოვანი სამეცნიერო/სახელმძღვანელო ლიტერატურის თარგმნას და 2021 წელს აღნიშნული ლიტერატურის ბეჭდვას. ქვეპროგრამაში მონაწილეობისათვის წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა და სხვა დამატებითი პირობები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით.
 ქვეპროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოში რეგისტრირებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს. დაფინანსება გაიცემა გრანტის სახით.

დასახელება	პროდუქტები		
	საშ. რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
საჯარო ლექცია	5	3,000	15,000
კონფერენციის მოწყობა	2	40,000	80,000
სეზონური სკოლა	2	25,000	50,000
სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა	5	3,000	15,000
კვალიფიკაციის ამაღლება	3	8,000	24,000
უცხოენოვანი სამეცნიერო/სახელმძღვანელო ლიტერატურის თარგმნა	2	10,000	20,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			204,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
საჯარო ლექცია/კონფერენციის მოწყობა/სეზონური სკოლა	X	X	X	X
სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა/კვალიფიკაციის ამაღლება	X	X	X	X
უცხოენოვანი სამეცნიერო/სახელმძღვანელო ლიტერატურის თარგმნა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა/ღონისძიებების ორგანიზება ხელმისაწვდომია.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა/ღონისძიებ ების ორგანიზება ხელმისაწვდომია	საშუალოდ 5 ბენეფიციარის მონაწილეობა სამეცნიერო ღონისძიებაში; საშუალოდ 5 საჯარო ლექცია, საშუალოდ 2 კონფერენცია, საშუალოდ 2 სეზონური სკოლა, საშუალოდ 3 კვალიფიკაციის ამაღლება, საშუალოდ 2 წიგნის თარგმნა,	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, უნივერსიტეტები.	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

უმაღლესი განათლება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 10 03

ქვეპროგრამის დასახელება:

ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მიმართულებების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	20,000
სულ ბიუჯეტი:	20,000

ქვეპროგრამის მიზანი:

უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა.

ქვეპროგრამის აღწერა:

2020 წელს ბენეფიციარების შერჩევის წესი

ქვეპროგრამით გათვალისწინებული ერთჯერადი ფინანსური დახმარება 1000 ლარის ოდენობით გაიცემა სტუდენტებზე, რომლებიც სწავლობენ საქართველოში ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე STEM (მეცნიერება, ტექნოლოგიები, ინჟინერია, მათემატიკა) მიმართულებით.

ერთჯერადი დახმარება სტუდენტზე გაიცემა სასწავლო წლის განმავლობაში ერთჯერ. იმ შემთხვევაში თუკი სტუდენტი მოიპოვებს დაფინანსებას სამინისტროს "სტუდენტთა დახმარების" ქვეპროგრამის ფარგლებში, აღნიშნულ ქვეპროგრამაში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

ერთჯერადი დახმარება შეიძლება მოიპოვოს იმ პირმა (შემდგომში სტუდენტი), რომელიც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, მინიმუმ სამი სასწავლო წელი სრულად სწავლობდა (გარდა კატეგორია - სტუდენტი მაღალმთიანი აჭარიდან, რომელზეც ვრცელდება- სტუდენტი, რომელიც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში სწავლობდა და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღო აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში (ქედა, შუახევი, ხულო, ასევე ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების საქართველოს მთავრობის N671 დადგენილებით განსაზღვრულ სოფლებში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში) აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, სწავლობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პირველი საფეხურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და განეკუთვნება ამ პროგრამით დადგენილ ერთ-ერთ კატეგორიას.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
<p>40- მდე ახალგაზრდას მიღებული აქვს საერთაშორისო გამოცდილება, უცხო ენის პრაქტიკა და სხვადასხვა უნარ-ჩვევები; ტრენინგებზე გადამზადებულია 250 - მდე ახალგაზრდა; 50 მდე ახალგაზრდას მიღებული აქვს სამუშაო გამოცდილება</p>	<p>ქვეპროგრამაში ჩართული იქნება არანაკლებ 340 ახალგაზრდა</p>	<p>რაოდენობა</p>	<p>სსიპ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი</p>	<p>წლიური</p>	<p>სსიპ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი</p>	<p>მიღება-ჩაბარების აქტი, ხელშეკრულება</p>

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

კარიერული განვითარებისა და ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 18 04 02

ქვეპროგრამის დასახელება:

ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	57,000
სულ ბიუჯეტი:	57,000

ქვეპროგრამის მიზანი:

ქვეპროგრამის მიზანს წარმოადგენს ახალგაზრდა მეწარმეებისა და სტარტ-აპერების კვალიფიკაციის ამაღლება და ახალგაზრდების წახალისება, ახალგაზრდული ეკონომიკის მხარდაჭერა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ახალგაზრდა მეწარმეებისა და სტარტ-აპერების მხარდაჭერა - ღონისძიების ფარგლებში დაფინანსდება 18-დან 29 წლის ჩათვლით აჭარის ა.რ. ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები, ახალგაზრდა მეწარმეებისა და სტარტ-აპერების შერჩევა მოხდება განცხადებისა და შევსებული სააპლიკაციო ფორმის წარმოდგენის შემდგომ კომისიის მეშვეობით.

ახალგაზრდა მეწარმეებსა და სტარტ-აპერებს დაუფინანსდებათ მათ საჭიროებებზე მორგებული არაუმეტეს 10 000 ლარის ღირებულების საქონლი/მომსახურება. შერჩეულ ახალგაზრდებს კომისიური წესით გადაეცემათ შესაბამისი ინვენტარი.

ღონისძიების ფარგლებში ახალგაზრდა მეწარმეებისთვის მათი საქმიანობის ეფექტურად დაგეგმვისა და წარმართვისათვის განხორციელდება შესაბამისი ტრენინგ-სემინარის ჩატარება, რაც მათ ხელს შეუწყობს ბიზნეს იდეის რეალიზებაში და არსებული სამეწარმეო საქმიანობის გაძლიერებაში.

ქვეპროგრამას კოორდინაციას გაუწევს კოორდინატორი

დასახელება	პროდუქტები		
	საშ. რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ახალგაზრდული მეწარმეებისა და სტარტ-აპერების მხარდაჭერა	5	10,000	50,000
კოორდინატორი	1	700	7,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			57,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ახალგაზრდული მეწარმეებისა და სტარტ-აპერების მხარდაჭერა		x	x	x

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

მიღებულია გამოცდილება, ამაღლებულია მოტივაცია, გაძლიერებული ახალგაზრდული ეკონომიკა.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
მხარდაჭერილია სამეწარმეო საქმიანობა ამაღლებულია მოტივაცია	მხარდაჭერილია არანაკლებ 4 პროექტი	რაოდენობა	სსიპ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი	წლიური	სსიპ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი	მიღება-ჩაბარების აქტი, ხელშეკრულება

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 05 18 05

პროგრამის დასახელება:

ახალგაზრდობის ინტელექტუალურ-კულტურული განვითარების მხარდაჭერა

პროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	727,220	182,300	181,640	181,640	181,640
სულ ბიუჯეტი:	727,220	182,300	181,640	181,640	181,640

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2020-2023 წლები

პროგრამის მიზანი:

განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული ახალგაზრდების გამოვლენა, მათი საქმიანობისა და კარიერული განვითარების ხელშეწყობა, კულტურისა და ხელოვნების პროპაგანდა ახალგაზრდობაში, ახალგაზრდების მასიური გააქტიურება, ფიზიკური თუ გონებრივი შესაძლებლობების გამოვლენა, გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევების გაღრმავება, სადისკუსიო ტექნიკის დახვეწა.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ხელოვნების სხვადასხვა დარგით დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებების ორგანიზება. როგორცაა გამოფენები, პერფორმანსები, მასტერკლასები. აგრეთვე დაგეგმილია ინტელექტუალურ-შემეცნებითი ღონისძიებები და კომპლექსური თამაშები, რაც ახალგაზრდებს დაეხმარება გამოავლინონ და განავითარონ თავიანთი ინტელექტუალური, შემოქმედებითი და ფიზიკური შესაძლებლობები.

დასახელება	სულ	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
ქვეპროგრამა 1- ინტელექტუალური თამაშები	603,520	153,400	150,040	150,040	150,040
ქვეპროგრამა 2 -კულტურა და ხელოვნება	123,700	28,900	31,600	31,600	31,600
სულ პროგრამის ბიუჯეტი	727,220	182,300	181,640	181,640	181,640

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

დამწყებ და მოყვარულ ახალგაზრდა ხელოვანთა ხელშეწყობა, ახალგაზრდების მასიური გააქტიურება, ფიზიკური თუ გონებრივი შესაძლებლობების გამოვლენა, გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევების გაღრმავება, სადისკუსიო ტექნიკის დახვეწა. ქვეპროგრამაში ჩაერთვება არანაკლებ 3 000 ახალგაზრდა.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

მასიურად გააქტიურებული ახალგაზრდები, გამოვლენილი ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობები, გაღრმავებული გუნდური მუშაობის უნარჩვევები.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები				გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი	
	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი					
ხელოვნების დარგში გამოვლენილია 100- მდე წარმატებული ახალგაზრდა, მასიურად გააქტიურებული ახალგაზრდები, გამოვლენილი ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობები, გადრმავეული გუნდური უნარჩვევები.	ხელოვნების დარგში გამოვლენილია 100- მდე წარმატებული ახალგაზრდა,	ჩართული იქნება არანაკლებ 100 ახალგაზრდა	ჩართული იქნება არანაკლებ 150 ახალგაზრდა	ჩართული იქნება არანაკლებ 200 ახალგაზრდა	ჩართული იქნება არანაკლებ 250 ახალგაზრდა	რაოდენობა	სსიპ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი	სსიპ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი	ხელშეკრულებ ა. მიღება- ჩაბარების აქტი
	მასიურად გააქტიურებული ახალგაზრდები, გამოვლენილი ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობები, გადრმავეული გუნდური უნარჩვევები.	ჩართული იქნება არანაკლებ 3000 ახალგაზრდა	ჩართული იქნება არანაკლებ 3500 ახალგაზრდა	ჩართული იქნება არანაკლებ 4000 ახალგაზრდა	ჩართული იქნება არანაკლებ 4500 ახალგაზრდა	რაოდენობა	სსიპ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი	სსიპ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი	ხელშეკრულებ ა. მიღება- ჩაბარების აქტი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

ინტელექტუალურ-კულტურული პროექტების მხარდაჭერა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 05 18 05 01

ქვეპროგრამის დასახელება:

ინტელექტუალური თამაშები

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	153,400
სულ ბიუჯეტი:	153,400

ქვეპროგრამის მიზანი:

ქვეპროგრამის მიზანს წარმოადგენს ახალგაზრდობის მასიური გააქტიურება, ფიზიკური თუ გონებრივი შესაძლებლობების გამოვლენა, გუნდური უნარ-ჩვევების გაღრმავება, სადისკუსიო ტექნიკის დახვეწა.

ქვეპროგრამის აღწერა:

რა?სად?როდის? - ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს აჭარის ყველა მუნიციპალიტეტის ახალგაზრდები. ღონისძიება მოიცავს: ბათუმის, მუნიციპალურ და რეგიონულ ჩემპიონატებს. ასევე ზაფხულის დია ჩემპიონატს ახალგაზრდებს შორის. ღონისძიება ხორციელდება აჭარის ინტელექტ კლუბის მიერ ექსკლუზივის საფუძველზე. მონაწილეთა შერჩევა ხდება ცენტრის მიერ რესურსცენტრებთან თანამშრომლობით, დარეგისტრირებული გუნდებიდან.

დებატ კლუბი - წარმოადგენს საბანაკე ტიპის ღონისძიებას, რომლის ფარგლებშიც 40-მდე ახალგაზრდა არაფორმალურ გარემოში შეისწავლის დებატებისა და საჯარო გამოსვლის ტექნიკასა და სპეციფიკას. დებატებს წარუძღვებიან სერთიფიცირებული ტრენერები. ღონისძიება რამდენიმე ეტაპად ჩატარდება: მასტერკლასები დებატებსა და საჯარო გამოსვლის ხელოვნებაში, ტურნირები და ფინალური შეჯიბრებები. კონკურსანტების შერჩევა მოხდება ცენტრის მიერ სამოტივაციო წერილისა და გასაუბრების საფუძველზე გამარჯვებულ ახალგაზრდებს გადაეცემა სიმბოლური პრიზები. ღონისძიებაში ჩართული იქნება აჭარის ყველა მუნიციპალიტეტი. მონაწილეობის მიღება შეუძლიათ 14-დან 29 წლის ჩათვლით აჭარის ა.რ. ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეებს, ასევე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული აკრედიტირებული უმაღლესი, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სასწავლებლების სტუდენტებსა და მოსწავლეებს. ღონისძიების ფარგლებში განხორციელდება ტრენერებისა და კოორდინატორების, მონაწილეთა განთავსების, კვების, საკანცელარიო ნივთებისა და მონაწილეთა ტრანსპორტირების ხარჯების გაწევა.

სითი გეიმი - ღონისძიება მოიცავს როგორც ფიზიკურ, აგრეთვე გონებრივ აქტივობებს. წინასწარ დარეგისტრირებული გუნდები ქალაქის მასშტაბით შეასრულებენ სხვადასხვა დატვირთვის დავალებებს. გამარჯვებულ გუნდს გადაეცემა სოლიდური ჯილდო. მონაწილეობის მიღება შეუძლია 14-დან 29 წლის ჩათვლით აჭარის ა.რ. ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეებს. ღონისძიების ბიუჯეტი მოიცავს ღონისძიების საორგანიზაციო და მატერიალურ-ტექნიკურ ხარჯსა და საპრიზო ფონდს.

ქვეპროგრამას კოორდინაციას გაუწევს კოორდინატორი.

დასახელება	პროდუქტები			
	საშ. რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)	
რა?სად?როდის?	1	40,000	40,000	
დებატ კლუბი	2	30,000	60,000	
სითი გეიმი	1	45000	45,000	
ქვეპროგრამის კოორდინატორი	2	420	8,400	
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			153,400	
ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა				
	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
რა?სად?როდის?	x	x	x	x
დებატ კლუბი		x	x	x
სითი გეიმი			x	x
მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი				
მასიურად გააქტიურებული ახალგაზრდები, გამოვლენილი ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობები, გაღრმავებული გუნდური მუშაობის უნარჩვევები.				

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
მასიურად გააქტიურებული ახალგაზრდები, გამოვლენილი ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობები, გადრეწული გუნდური უნარჩვევები.	ქვეპროგრამაში ჩართული იქნება არანაკლებ 2500 ახალგაზრდა	რაოდენობა	სსიპ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი	წლიური	სსიპ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი	მიღება-ჩაბარების აქტი, ხელშეკრულებ ა

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

ინტელექტუალურ-კულტურული პროექტების მხარდაჭერა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 05 18 05 02

ქვეპროგრამის დასახელება:

კულტურა და ხელოვნება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	28,900
სულ ბიუჯეტი:	28,900

ქვეპროგრამის მიზანი:

განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული ახალგაზრდების გამოვლენა, მათი საქმიანობისა და კარიერული განვითარების ხელშეწყობა, კულტურისა და ხელოვნების პროპაგანდა ახალგაზრდებში

ქვეპროგრამის აღწერა:

დამწყებ და მოყვარულ ახალგაზრდა ხელოვანთა ხელშეწყობა - ღონისძიება გულისხმობს კულტურისა და ხელოვნების დარგში ახალგაზრდების ინიციატივების მხარდაჭერას, როგორცაა: გამოფენები, პერფორმანსები, მასტერკლასები სხვადასხვა მიმართულებით, ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ 14-დან 29 წლის ჩათვლით აჭარის ა.რ. ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეებს, ასევე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული აკრედიტირებული უმაღლესი, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სასწავლებლების სტუდენტებსა და მოსწავლეებს.

ქვეპროგრამას კოორდინაციას გაუწევს კოორდინატორი.

დასახელება	პროდუქტები		
	საშ. რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
დამწყებ და მოყვარულ ახალგაზრდა ხელოვანთა ხელშეწყობა	1	25,000	25,050
ქვეპროგრამის კოორდინატორი	1	550	3,850
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			28,900

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
დამწყებ და მოყვარულ ახალგაზრდა ხელოვანთა ხელშეწყობა		x	x	x

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

გამოვლენილია წარმატებული ახალგაზრდები, ორგანიზებულია გამოფენები და მასტერკლასები.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
გამოვლენილია წარმატებული ახალგაზრდები, ორგანიზებულია გამოფენები და მასტერკლასები	ქვეპროგრამაში ჩართული იქნება არანაკლებ 500 ახალგაზრდა	რაოდენობა	სსიპ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი	წლიური	სსიპ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი	მიღება-ჩაბარების აქტი, ხელშეკრულება

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

საარქივო ფონდის დაცულობის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 05 17

პროგრამის დასახელება:

საარქივო ფონდის დაცვა, შენახვა, გაუმჯობესება

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2022 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	8,732,450	2,183,150	2,183,100	2,183,100	2,183,100
სულ ბიუჯეტი:	8,732,450	2,183,150	2,183,100	2,183,100	2,183,100

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2020-2023წლები

პროგრამის მიზანი:

საარქივო მასალების სტანდარტების შესაბამისი დაცვა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

პროგრამის აღწერა:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული საარქივო ფონდის განვითარება, აღწერა, ცენტრალიზებული წესით აღრიცხვა, სტანდარტების შესაბამისი დაცვა და გამოყენება. დაზიანებული დოკუმენტების რესტავრაცია, დოკუმენტების მეცნიერულ-ტექნიკური დამუშავება, განსაკუთრებული ღირებულების მქონე დოკუმენტებზე სადაზღვევო და ელექტრონული საარქივო ფონდის შექმნა, არქივში დაცული დოკუმენტების საფუძველზე იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე მომსახურება. ისტორიულად ღირებულ საარქივო დოკუმენტების გამოფენის მოწყობა. ურთიერთთანამშრომლობა საზღვარგარეთის არქივებთან და საქართველოს შესახებ არსებული დოკუმენტების შემოტანა. ისტორიის ამსახველი მასალების გამოვლენა ჟურნალისა და ბუკლეტების გამოსაცემად სამეცნიერო კონფერენციების მოწყობა

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

ქვეპროგრამის დასახელება	სულ	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
საარქივო სამმართველოს მართვა და მომსახურების მიწოდება	7,799,210	1,949,810	1,949,800	1,949,800	1,949,800
საარქივო დოკუმენტების ელექტრონული არქივის შექმნა	933,240	233,340	233,300	233,300	233,300
სულ პროგრამა	8,732,450	2,183,150	2,183,100	2,183,100	2,183,100

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

საარქივო სამმართველომ მნიშვნელოვანი სამუშაოები შეასრულა საარქივო დოკუმენტების დაცვის და შენახვის უზრუნველყოფის, საქმისწარმოების ორგანიზაციის, დოკუმენტების გამოყენებისა და პუბლიკაციის, სამეცნიერო მეთოდური მუშაობისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება განმტკიცებისათვის.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

გარკვეული სამუშაოები იქნება შესრულებული საარქივო დოკუმენტების დაცვის, აღრიცხვისა და შენახვის პირობების გაუმჯობესების, საინფორმაციო-საძიებო სისტემის შექმნის და განვითარების, საქმისწარმოების სრულყოფის, დოკუმენტების ფორმირებისა და მატერიალურ -ტექნიკური ბაზის განვითარება განმტკიცების მიზნით.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

საარქივო ფონდის დიგიტალიზაცია, ელექტრონული არქივის შექმნა. საარქივე მასალების სტანდარტების შესაბამისი დაცვა, ხელმისაწვდომობა, გაუმჯობესებული მომსახურება.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
	2020 წელი	2021 წელი	2021 წელი	2021 წელი	2021 წელი				
ელექტრონული არქივის შექმნა, გაუმჯობესებული მომსახურება	გაციფრული დოკუმენტების რაოდენობა	2300000 გვერდი.	2300000 გვერდი.	2300000 გვერდი.	2300000 გვერდი.	რაოდენობა	საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და დიגיტილიზაციის განყოფილება	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველო	მონაცემთა ბაზა

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

საარქივო ფონდის დაცვა, შენახვა, გაუმჯობესება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 05 17 02

ქვეპროგრამის დასახელება:

საარქივო დოკუმენტების ელექტრონული არქივის შექმნა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	233340
სულ ბიუჯეტი:	233340

ქვეპროგრამის მიზანი:

საარქივო დოკუმენტების დაცულობის და ხელმისაწვდომობის გაზრდა

ქვეპროგრამის აღწერა:

საარქივო დოკუმენტების (ქაღალდის ფუძიანი) ციფრული ვერსიის შექმნა, დასკანერებული ფაილების ტექნიკური დამუშავება, ტექნიკური რევიზია, ანოტირება, ელექტრონული ფაილების თავმოყრა სპეციალურ პროგრამაში „საარქივო დოკუმენტების ელექტრონული რეესტრი“.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
პერსონალის დაქირავება (1 წლით)	21	9480	199080
პერსონალის დაქირავება ტერიტორიულ ორგანოებში (1 წლით)	5	6000	30000
პერსონალის დაქირავება (1 წლით)	1	4260	4260
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			233340

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
პერსონალის დაქირავება	X	X	X	X
დოკუმენტების დასკანერება	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

საარქივო დოკუმენტების ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
საარქივო დოკუმენტების ელ. ფორმატში გადაყვანა. დასკანერებული გვერდების რაოდენობა	2300000 გვერდი.	რაოდენობა	საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და დიგიტალიზაციის განყოფილება	წლიური	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველო	მონაცემთა ბაზა

მხარჯავი დაწესებულების პრიორიტეტების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები

პრიორიტეტის დასახელება

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა

პროგრამული კოდი	დასახელება	2020 წელი	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
0601	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა	1,942,510	1,942,510	1,940,000	1,940,000	1,940,000
0602	სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება	9,104,000	9,104,000	10,350,000	11,380,000	12,500,000
0603	პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობა	429,600	429,600	429,600	429,600	429,600
0604	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა	1,206,500	1,206,500	1,206,500	1,206,500	1,206,500
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		12,682,610	12,682,610	13,926,100	14,956,100	16,076,100

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

0602

პროგრამის დასახელება:

სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	43,334,000	9,104,000	10,350,000	11,380,000	12,500,000
სულ ბიუჯეტი:	43,334,000	9,104,000	10,350,000	11,380,000	12,500,000

პროგრამის განხორციელების პერიოდი:

2020–2023 წლები

პროგრამის მიზანი:

მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ჯგუფების, მათ შორის სოციალურად დაუცველი კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული იმ ფინანსური რისკებისაგან დაცვა, რომელიც ვერ იფარება სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული სამედიცინო პროგრამებით.

პროგრამის აღწერა:

მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება – მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარება ძირითადად უზრუნველყოფილია სახელმწიფოს ბიუჯეტით დაფინანსებული სამედიცინო პროგრამებით. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს, ოჯახის მცირე შემოსავლების გამო არ გააჩნია საკმარისი ფინანსური სახსრები დაფაროს იმ სამედიცინო მომსახურების ხარჯები, რომლებიც არ იფარება სახელმწიფოს მიერ და მას ამის საჭიროება დაუდგა. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მიეწოდება სოციალურად დაუცველ და სხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობას.

გულის ქირურგიის დამატებითი სამედიცინო მომსახურება – მოქალაქეთა კარდიოქირურგიული სამედიცინო მომსახურება ძირითადად უზრუნველყოფილია სახელმწიფოს ბიუჯეტით დაფინანსებული სამედიცინო პროგრამებით, მაგრამ მიუხედავად ამისა შესაძლებელია დადგეს ისეთი კარდიოქირურგიული სამედიცინო მომსახურების აუცილებლობა, რომელიც საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული არ არის, ძვირადღირებულ სამედიცინო მომსახურებას მიეკუთვნება და მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის ფინანსურ მხარდაჭერას საჭიროებს. რადგანაც კარდიოქირურგიული ოპერაციები ძვირადღირებულ სამედიცინო მომსახურებას მიეკუთვნება ამიტომ თანადაფინანსება (პაციენტის მიერ გადასახდელი თანხა) პაციენტთა დიდი ნაწილისათვის ხელმიუწვდომელი რჩება, ქვეპროგრამით პაციენტებს დაუფინანსდება ასევე საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით დაფინანსებული კარდიოქირურგიული ოპერაციების თანადახდა სახელმწიფო პროგრამით დამტკიცებული ტარიფის ფარგლებში.

სახსრების ენდოპროთეზირება – უკანასკნელ წლებში საგრძნობლად მოიმატა სახსრების ართროზით დაავადებულ მოქალაქეთა მომართვიანობამ. პაციენტები საჭიროებენ რესურსტევად ოპერაციულ ჩარევას ენდოპროთეზირების სახით. მოსახლეობის დიდ ნაწილს არ გააჩნია საკმარისი ფინანსური სახსრები, რომ უზრუნველყოს აღნიშნული პათოლოგიის ქირურგიული სამედიცინო მომსახურების დაფინანსება, ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მიეწოდება სოციალურად დაუცველ და სხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობას.

ამბულატორიულ მაღალტექნოლოგიურ დიაგნოსტიკურ კვლევას – მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური გამოკვლევები ძვირადღირებულ სამედიცინო მომსახურებას მიეკუთვნება და მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის მიუწვდომელი რჩება, მაშინ როდესაც მთელი რიგი დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრის მიზნით აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მიეწოდება სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობას.

ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურება - ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტთა სამედიცინო მომსახურება ძირითადად უზრუნველყოფილია სახელმწიფოს ბიუჯეტით დაფინანსებული სამედიცინო პროგრამებით, მაგრამ მიუხედავად ამისა ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტთა მნიშვნელოვანი ნაწილის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო ვერ ხერხდება საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ან ესაჭიროებათ ისეთი სამედიცინო მომსახურება, რომელიც საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული არ არის, ძვირადღირებულ სამედიცინო მომსახურებას მიეკუთვნება და პაციენტთა დიდი ნაწილისათვის ხელმიუწვდომელი რჩება.

ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება - მოსახლეობის ნაწილს, მცირე შემოსავლების გამო არა აქვს საშუალება დაფაროს სამედიცინო მომსახურების ხარჯები, რომლებიც სრულად არ იფარება მოქმედი ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით. განსაკუთრებით დახმარებას საჭიროებენ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით დაფინანსებული შემდეგი სოციალური კატეგორიის მოსახლეობა: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ასაკით პენსიონერები, 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვები და მოქალაქეები რომლებიც რეგისტრირებულნი არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით; უსახლკაროთა თავშესაფარის კონტინგენტი;

მოზრდილი მოსახლეობის სამედიცინო რეაბილიტაცია - მოზრდილი მოსახლეობის ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობის აღდგენა/რეაბილიტაცია, რომელთაც გადატანილი დაავადებით ან ტრავმით შეზღუდული აქვთ ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობები შესაბამისად ცხოვრების ხარისხის ამაღლება. პაციენტისათვის ფუნქციონალური დამოუკიდებლობის მოპოვება. მოსახლეობის საზღვარგარეთ მკურნალობის თანადაფინანსება - უკანასკნელ პერიოდში საგრძნობლად მოიმატა საზღვარგარეთ მკურნალობის მსურველთა მობართვიანობამ. რაც გამოწვეულია უფრო მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების სურვილით, ან/და ისეთი მომსახურებით, რაც ამ ეტაპზე საქართველოს სამკურნალო დაწესებულებებში არ ხორციელდება. მიუხედავად იმისა, რომ საზღვარგარეთ ჩატარებული სამედიცინო მომსახურება ნაწილობრივ ფინანსდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამით "მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში", ის ძვირადღირებულ სამედიცინო მომსახურებას მიეკუთვნება და მოქალაქეების დიდი ნაწილისათვის დარჩენილი თანხის დაფარვა ხელმიუწვდომელი რჩება. მათი ფინანსური მხარდაჭერა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ პაციენტისათვის აუცილებელი სამედიცინო მომსახურება ვერ ხერხდება საქართველოში. ქვეპროგრამით განიხილება იმ პაციენტების საზღვარგარეთ მკურნალობის თანადაფინანსება, რომლებიც ნაწილობრივ დაფინანსებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამით "მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში" ქვეპროგრამით დაფინანსდება ასევე 18 წლამდე ასაკის ონკოპემატოლოგიური დაავადების მქონე 3 პაციენტისათვის ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების გადანერგვა.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება	12,460,000	2,800,000	3,000,000	3,160,000	3,500,000
გულის ქირურგიის დამატებითი სამედიცინო მომსახურება	7,192,000	1,192,000	1,800,000	2,000,000	2,200,000
სახსრების ენდოპროთეზირება	2,300,000	450,000	550,000	600,000	700,000
ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევა	3,220,000	700,000	700,000	870,000	950,000
ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურება	11,462,000	2,462,000	2,700,000	3,000,000	3,300,000
ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება	1,900,000	400,000	450,000	500,000	550,000
მოზრდილი მოსახლეობის სამედიცინო რეაბილიტაცია	2,800,000	600,000	650,000	750,000	800,000
მოსახლეობის საზღვარგარეთ მკურნალობის თანადაფინანსება	2,000,000	500,000	500,000	500,000	500,000
სულ პროგრამა	43,334,000	9,104,000	10,350,000	11,380,000	12,500,000

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

დაცული იქნა ბენეფიციარები მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან. შეუნარჩუნდათ ჯანმრთელობა, ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით 2019 წელს დაფინანსდა 10 500-ზე მეტი ბენეფიციარი.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

პროგრამის ბენეფიციარების სიცოცხლის შენარჩუნება და ჯანმრთელობის გაუმჯობესება, შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება; მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობისათვის სიცოცხლის შენარჩუნება და ჯანმრთელობის გაუმჯობესება.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
		2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი				
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობისათვის სიცოცხლის შენარჩუნება და ჯანმრთელობის გაუმჯობესება.	ბენეფიციართა რაოდენობა (არაუმეტეს)	9011	7500	8000	8000	ბენეფიციართა რაოდენობა	პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 060201

ქვეპროგრამის დასახელება:

მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	2,800,000
სულ ბიუჯეტი:	2,800,000

ქვეპროგრამის მიზანი:

სოციალურად დაუცველი და სხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის მკურნალობასთან დაკავშირებული იმ ფინანსური რისკებისაგან დაცვა, რომელიც ვერ იფარება მოქმედი სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით.

ქვეპროგრამის აღწერა:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარება ძირითადად უზრუნველყოფილია სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული სამედიცინო პროგრამებით. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს, ოჯახის მცირე შემოსავლების გამო, არ გააჩნია საკმარისი ფინანსური სახსრები, დაფაროს იმ სამედიცინო მომსახურების ხარჯები, რომლებიც არ იფარება სახელმწიფოს მიერ და მას ამის საჭიროება დაუდგა. ხშირ შემთხვევაში სამედიცინო მომსახურების მიღება მათთვის ფინანსურად ხელმიუწვდომელი რჩება, რის შედეგად იზრდება გართულებულ შემთხვევათა რაოდენობა, შრომისუუნარობისა და სიკვდილიანობის რისკი.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის (შემდეგ-ვაუჩერი) საშუალებით. ვაუჩერის ფორმას, გაცემისა და გამოყენების წესს, ქვეპროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებს განსაზღვრავს და ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

მოსარგებლეთა შერჩევის წესი:
 ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების შემთხვევაში მისი ერთ-ერთი მშობელიც რეგისტრირებული უნდა იყოს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. ასევე ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს სტატუსის მქონე მოქალაქეობის არ მქონე პირები, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები. ქვეპროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ:

პაციენტები სტიქიური მოვლენების და კატასტროფების შედეგად გამოწვეული დაზიანებებით, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახების წევრები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა (0-დან 1 წლამდე ასაკის ბავშვები, რომელთა ერთ-ერთი მშობელი მაინც რეგისტრირებულია „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით). შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები; ომის ვეტერანები ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მონაწილეები, დაღუპულთა ოჯახის წევრები (დედა, მამა, მეუღლე, შვილები) მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 4 და მეტი შვილი ან/და ნაშვილები) ოჯახის წევრები; ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეები; პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირები უსახლკართოთა თავშესაფარის კონტინგენტი; უსახლკაროები; მარტოხელა მშობელი და მისი არასრულწლოვანი შვილები, ტრეპინინგისა და ძალადობის მსხვერპლი პირები და პაციენტები, რომლებსაც ამ დროისთვის არა აქვთ მინიჭებული 200 000-მდე სარეიტინგო ქულა, მაგრამ მათი მატერიალური მდგომარეობა არ იძლევა საშუალებას დააფინანსოს აუცილებელი სამედიცინო მომსახურება, რაც დასტურდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან წარმოდგენილი შუამდგომლობით.

გადაწყვეტილებას ბენეფიციართა მკურნალობის დაფინანსების შესახებ ღებულობს შესაბამისი კომისია, (შემდეგ- კომისია) რომლის შემადგენლობა განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- განცხადება;
 - პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია; (18 წლმდე ასაკის ბავშვებისათვის დაბადების მოწმობის ასლი და მისი კანონიერი წარმომადგენლის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ქსეროასლი);
 - ქვეპროგრამის ბენეფიციარის დამადასტურებელი საბუთი;
 - ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა (პაციენტის დიაგნოზი, ჩარევები და გამოკვლევები მითითებული უნდა იყოს ქვეყანაში დადგენილი კლასიფიკატორების შესაბამისად);
 - სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ანგარიშ-ფაქტურა.
- საქართველოს სტატუსის მქონე მოქალაქეობის არ მქონე პირებისა და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებისათვის ბინადრობის მოწმობა.
- ყველა სხვა დოკუმენტი ქვეპროგრამის განმახორციელებლის მოთხოვნის შესაბამისად.

ქვეპროგრამის ფარგლებში ბენეფიციარების მკურნალობა ფინანსდება ფაქტიური ხარჯით არაუმეტეს შიდა სტანდარტის ტარიფისა შემდეგი პროპორციების დაცვით:

- მკურნალობის ღირებულება - 1000 ლარის ჩათვლით - 100%-ით;
- მკურნალობის ღირებულება - 1000 ლარზე მეტი - 2000 ლარის ჩათვლით - 90%-ით;
- მკურნალობის ღირებულება - 2000 ლარზე მეტი - 3000 ლარის ჩათვლით - 80%-ით;
- მკურნალობის ღირებულება - 3000 ლარზე მეტი - 70%-ით, მაგრამ არაუმეტეს 5000 ლარისა.

პაციენტები სტიქიური მოვლენებისა და კატასტროფების შედეგად გამოწვეული დაზიანებებით სამედიცინო დაწესებულებიდან წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით დაფინანსდება სრულად (თანაგადახდის გარეშე) არაუმეტეს 10 000 ლარისა; აჭარის რეგიონში არსებული უმწეოთა თავშესაფარის კონტიგენტის და უსახლკაროების მკურნალობა დაფინანსდება თანაგადახდის გარეშე ზღვრული ტარიფით არაუმეტეს 3000 ლარისა.

სამედიცინო მომსახურება, რომლის ღირებულება განსაზღვრულია და შესაბამისად ფინანსდება საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით, მაგრამ რაიმე მიზეზის გამო ბენეფიციარი ვერ ხვდება ზემოთ აღნიშნულ პროგრამაში (არის მინიმალური პაკეტის მფლობელი, ამოწურული აქვს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული წლიური ლიმიტი და სხვა) ყველა შემთხვევაში, (მათ შორის კრიტიკული მდგომარეობა/ინტენსიური თერაპია) დაფინანსდება საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ტარიფის 70%-ით, არაუმეტეს 5000 ლარისა. დარჩენილი თანხა დაიფარება პაციენტის მიერ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის პირობების გათვალისწინებით.

ყოველთვიურად 1000 ლარზე ნაკლები შემოსავლის მქონე მოქალაქეების, თვითდასაქმებულების, არარეგულარული შემოსავლის მქონე მოქალაქეების სამედიცინო მომსახურება, რომელთა ბენეფიციარობა განსაზღვრულია ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებიდან წარმოდგენილი შუამდგომლობით, არ დაფინანსდება, თუ ქვეპროგრამის ფარგლებში ასანაზღაურებელი თანხა არ აღემატება 500 ლარს, თუ ქვეპროგრამის ფარგლებში ასანაზღაურებელი თანხა აღემატება 500 ლარს, პაციენტის თანაგადახდა შეადგენს პროგრამის ფარგლებში ასანაზღაურებელი თანხის 30%, მაგრამ არანაკლებ 500 ლარისა.

წლიური 40 000 ლარზე ნაკლები და თვიური 1000 ლარი და მეტი შემოსავლის მქონე მოქალაქეების, რომელთა ბენეფიციარობა განსაზღვრულია ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებიდან წარმოდგენილი შუამდგომლობით, დაფინანსდება 50 %-ით, იმ შემთხვევაში თუ პაციენტის მიერ ასანაზღაურებელი თანხა (წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისად) ტოლია ან მეტია 5000 ლარზე.

ქვეპროგრამის ბენეფიციარებს, რომელთაც წლიური შემოსავალი 40 000 ლარზე ნაკლები და თვიური 1000 ლარი და მეტია იმ შემთხვევაში თუ პაციენტის მიერ ასანაზღაურებელი თანხა წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისად მეტია 500 ლარზე. მათი სამედიცინო მომსახურება დაფინანსდეს 50%-ით, არაუმეტეს 5000 ლარისა.

სამედიცინო მომსახურების დაფინანსების შესახებ პაციენტმა ან მისმა წარმომადგენელმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უნდა მიმართოს პაციენტის სამედიცინო მომსახურების დაწყებამდე ან სამედიცინო მომსახურების პროცესში (სტაციონარიდან გაწერამდე). სამედიცინო მომსახურება რომელიც ფინანსირდება საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ბენეფიციარს ნებისმიერ შემთხვევაში დაუფინანსდება მხოლოდ იმ სამედიცინო დაწესებულებაში, რომელიც მონაწილეობს „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში“ შესაბამისი კომპონენტით..

დაუშვებელია ქვეპროგრამის მოსარგებლის მკურნალობის ერთსა და იმავე ეპიზოდზე ერთი და იგივე ნოზოლოგიური კოდის სხვადასხვა კლინიკაში დაფინანსება ან მკურნალობის გახანგრძლივების შემთხვევაში განმეორებით დაფინანსება.

სტაციონარულ სამედიცინო მომსახურებაზე მყოფი პაციენტის გარდაცვალების შემთხვევაში დაფინანსების საკითხის განხილვის მიზნით პაციენტის წარმომადგენლებმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უნდა მიმართონ გარდაცვალებიდან არაუგვიანეს 10 დღის განმავლობაში.

ინდივიდუალური და კორპორაციული დაზღვევის მოსარგებლები ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ შესაბამისი ლიმიტის ამოწურვის შემდეგ. ქვეპროგრამის ფარგლებში აღნიშნული კატეგორიის ბენეფიციარების მკურნალობა დაფინანსდება დარჩენილი თანხის 70%-ით, წლიური ლიმიტი შეადგენს 5000 ლარს, ანალოგიურ შემთხვევაში სტიქიური მოვლენებისა და კატასტროფების შედეგად გამოწვეული დაზიანებებით პაციენტები წლის განმავლობაში დაფინანსდება არაუმეტეს 10 000 ლარით სრულად (თანაგადახდის გარეშე). გარდა იმ პირებისა, რომელთა წლიური შემოსავალი არის 40 000 ლარი და მეტი.

ა) გადაუდებელი თერაპიის ზოგიერთი ნოზოლოგიის დაფინანსება:

ზედა სასუნთქი გზების სხვა მწვავე ინფექციები მრავლობითი ლოკალიზაციის - J06.8; ზედა სასუნთქი გზების ინფექციები, დაუზუსტებელი - J06.9;

ქვეპროგრამით განსაზღვრული პროპორციებით დაუფინანსდება:

0-6 წლამდე ასაკის ბავშვებს, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 0-დან 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით;

შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე ბავშვებს 18 წლამდე; საშარდე გზების ინფექცია დაუზუსტებელი ლოკალიზაციის - N39.

ქვეპროგრამით განსაზღვრული პროპორციებით დაუფინანსდება: შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე ბავშვებს 18 წლამდე;

6-18 წლამდე ასაკის ბავშვებს რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 0-დან 70 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით;

ბ) ღვიძლისა და ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის დაფინანსება:

საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად არიან რეგისტრირებულნი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში და საჭიროებენ ღვიძლისა და ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის ჩატარებას (საქართველოს სამკურნალო პროფილაქტიკურ დაწესებულებებში) წლის განმავლობაში 15 ბენეფიციარს დაუფინანსდება ერთჯერადად.

- ღვიძლის ტრანსპლანტაცია საჭიროების შემთხვევაში ქ.ბათუმში რეგისტრირებულ პაციენტებს დაუფინანსდება 70 000 ლარით. ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა მუნიციპალიტეტებში რეგისტრირებულ პაციენტებს - 100 000 ლარით..

- ონკოპათოლოგიური (მწვავე ლეიკემია, მწვავე ლიმფოიდური ლეიკემია, მწვავე მიელოიდური ლეიკემია, იუვენური მიელომონოციტარული ლეიკემია, არაჰოჯკინის ლიმფომა, ჰოჯკინის ლიმფომა, მიელოდისპლაზიური სინდრომი, აპლასტიური ანემია, პისტიოციტოზი, თალასემი, მრავლობითი მიელომა) დაავადების მქონე პაციენტებს ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის საჭიროების შემთხვევაში დაუფინანსდება:

- ძვლის ტვინის აუტოლოგიური ტრანსპლანტაცია მაღალდოზირებული ქიმიოთერაპიით, ტრანსპლანტაციის წინა კვლევებით, ორგანიზმის მომზადებით ტრანსპლანტაციისათვის და პოსტტრანსპლანტაციური პერიოდის მართვით ქ.ბათუმში რეგისტრირებულ პაციენტებს დაუფინანსდება 80 000 ლარით. ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა მუნიციპალიტეტებში რეგისტრირებულ პაციენტებს - 100 000 ლარით.

- ძვლის ტვინის ალოგენური ტრანსპლანტაცია მაღალდოზირებული ქიმიოთერაპიით, ტრანსპლანტაციის წინა კვლევებით, ორგანიზმის მომზადებით ტრანსპლანტაციისათვის და პოსტტრანსპლანტაციური პერიოდის მართვით ქ.ბათუმში რეგისტრირებულ პაციენტებს დაუფინანსდება 130 000 ლარით. ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა მუნიციპალიტეტებში რეგისტრირებულ პაციენტებს - 150 000 ლარით;

იმ პაციენტებს, რომელთა წლიური შემოსავალი არის 40 000 ლარი და მეტი ძვლის ტვინისა და ღვიძლის ტრანსპლანტაციის ძვირადღირებული სამედიცინო მომსახურების ხარჯები დაუფინანსდეთ ქვეპროგრამით გათვალისწინებული თანხის 70%-ით.

გ) გაფანტული სკლეროზის მკურნალობის დაფინანსება მაღალეფექტური მედიკამენტით:

გაფანტული სკლეროზით დაავადებულ საქართველოს მოქალაქეებს 20 დან 55 წლის ასაკამდე, დადასტურებული დიაგნოზით, რომლებიც ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად არიან რეგისტრირებულნი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში დაუფინანსდებათ გაფანტული სკლეროზის მკურნალობისათვის საჭირო მაღალეფექტური მედიკამენტების მკურნალობის კურსის ღირებულება (წლის განმავლობაში არაუმეტეს 20 პაციენტი).

ქვეპროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებს მედიკამენტების ღირებულება დაუფინანსდება სააფთიაქო კომპანიების მიერ გაცემული ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით შემდეგი პროპორციებით:

1) 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე პაციენტებს და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებს - 100 %-ით,

2) სხვა დანარჩენ პაციენტს - 90% -ით.

განსხვავებას მედიკამენტის ღირებულებასა და სამინისტროს მიერ დასაფინანსებელ თანხას შორის ფარავს პაციენტი.

დ) რევმატოიდული ართრიტის მძიმე ფორმით დაავადებული პაციენტების მკურნალობის დაფინანსება ძვირადღირებული ბიოლოგიური მედიკამენტებით. რევმატოიდული ართრიტის მძიმე ფორმით დაავადებულ საქართველოს მოქალაქეებს დადასტურებული დიაგნოზით, რომლებიც ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად არიან რეგისტრირებულნი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში დაუფინანსდებათ რევმატოიდული ართრიტის მკურნალობისათვის საჭირო ძვირადღირებული, ბიოლოგიური მედიკამენტების მკურნალობის კურსის ღირებულება (წლის განმავლობაში არაუმეტეს 10 პაციენტი). ქვეპროგრამის მოსარგებლები არიან რევმატოიდული ართრიტის მძიმე ფორმის მქონე პაციენტები, რომელთაც უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში ჩატარებული აქვთ მკურნალობა დაავადების მამოდიფიცირებელი ანტირევმატოიდული მედიკამენტებით, მაგრამ კვლავ აღინიშნება რევმატოიდული ართრიტის მაღალი აქტივობა. ბენეფიციარებს მედიკამენტების ღირებულება დაუფინანსდება სამედიცინო დაწესებულების ან სააფთიაქო კომპანიების მიერ გაცემული ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით შემდეგი პროპორციებით:

1). 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე პაციენტებს და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებს - 100 %-ით, 2).

სხვა დანარჩენ პაციენტს - 90% -ით.

განსხვავებას მედიკამენტის ღირებულებასა და სამინისტროს მიერ დასაფინანსებელ თანხას შორის ფარავს პაციენტი.

ქვეპროგრამის მოცულობით არ დაფინანსდება

ა) სამედიცინო ჩვენებისა და ექიმის დანიშნულების გარეშე მკურნალობა, თვითმკურნალობა; ამბულატორიული მკურნალობისათვის მედიკამენტების ხარჯები;

ბ) საზღვარგარეთ გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარჯები;

გ) სანატორიულ-კურორტული მკურნალობა;

დ) ესთეტიკური ქირურგია, კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული მკურნალობა;

ე) ნებისმიერი სახის გენეტიკური გამოკვლევები, მეტაბოლური დარღვევების სკრინინგი და ამბულატორიულად ჩატარებული სისხლის, შარდის, განავლის ნებისმიერი სახის კლინიკო-დიაგნოსტიკური და ბაქტერიოლოგიური კვლევები;

ვ) სექსუალური დარღვევების, უმვილობის მკურნალობის (მათ შორის ხელოვნური განაყოფიერების) ხარჯები;

ზ) აივ-ინფექციის/შიდსის, ქრონიკული ჰეპატიტის სპეციფიკურ ანტივირუსულ მკურნალობასთან დაკავშირებული ხარჯები;

თ) თუ სამედიცინო მომსახურების საჭიროება დადგა თვითდაზავების, კრიმინალურ აქტებში მონაწილეობის ან ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებული ნარკოტიკული და ფსიქოაქტიური ნივთიერებების ზემოქმედების შედეგად, ასევე ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქვევითი აშლილობების მკურნალობასთან დაკავშირებული ხარჯები.

ი) ორგანოთა ტრანსპლანტაციის ხარჯები; (გარდა საქართველოს სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში ჩატარებული ღვიძლის, ძვლის ტვინის (ღეროვანი უჯრედის) და თვალის რქოვქნა გარსის ტრანსპლანტაციის დაფინანსებისა);

კ) ეგზოპროტეზირების ხარჯები; ლ)

ბარიატრიული (სიმსუქნის გამო) ოპერაციები კუჭზე (ოპერაციები ჭარბი წონის დროს).

მ) ნებისმიერი სახის სტომატოლოგიური (თერაპიული, ქირურგიული, ორთოპედიული და სხვა) მკურნალობა, გარდა 18 წლამდე ასაკის შშმ პირებისა, რომლებსთვისაც ძირითადი დაავადებიდან გამომდინარე პირის ღრუს სანაგის ჩატარებისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ზოგადი ანესთეზია.

ნ) პირები, რომელთა წლიური შემოსავალი არის 40 000 ლარი და მეტი, გარდა საპენსიო ასაკის პირებისა და ძვლის ტვინისა და ღვიძლის ტრანსპლანტაციის სამედიცინო მომსახურების ხარჯებისა).

ო) უკვე ჩატარებული სამედიცინო მომსახურება (პაციენტის სტაციონარიდან გაწერის შემდეგ);

პ) სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებული თანაგადახდა მოსარგებლის მხრიდან. ჟ) ის

სამედიცინო მომსახურება, რომელიც ფინანსირდება სამინისტროში მოქმედი მიზნობრივი პროგრამებით, გარდა „ამბულატორიული მალალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევის“ ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებისა.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	2000	1400	2,800,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			2,800,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებთან ხელშეკრულების გაფორმება	X	X	X	X
მოქალაქეთა განცხადებების განხილვა	X	X	X	X
დაფინანსება	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ბენეფიციარების სიცოცხლის შენარჩუნება, ჯანმრთელობის გაუმჯობესება, შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება; მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ბენეფიციარების სიცოცხლისა შენარჩუნება, ჯანმრთელობის გაუმჯობესება, შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება; მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა	ბენეფიციარებისათვის ფინანსური რისკების შემცირება (ლარი)	1,400	ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს
	ბენეფიციართა რაოდენობა (არაუმეტეს)	2,000	ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 060207

ქვეპროგრამის დასახელება:

გულის ქირურგიის დამატებითი სამედიცინო მომსახურება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	1,192,000
სულ ბიუჯეტი:	1,192,000

ქვეპროგრამის მიზანი:

მოსახლეობის დამატებით კარდიოქირურგიულ მომსახურებაზე (სამედიცინო მომსახურება, რომელიც არ ფინანსირდება სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული სამედიცინო პროგრამებით) ფინანსური ხელმისაწვდომობა, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით დაფინანსებული კარდიოქირურგიული ოპერაციების თანაგადახდისა და გეგმიური გულის ან/და კორონალური არტერიების ანგიოგრაფიის დაფინანსება სახელმწიფო პროგრამით დამტკიცებული ტარიფის ფარგლებში ქვეპროგრამით განსაზღვრული პროპორციების დაცვით.

ქვეპროგრამის აღწერა:

მოქალაქეთა კარდიოქირურგიული სამედიცინო მომსახურება ძირითადად უზრუნველყოფილია სახელმწიფოს ბიუჯეტით დაფინანსებული სამედიცინო პროგრამებით, მაგრამ მიუხედავად ამისა შესაძლებელია დადგეს ისეთი კარდიოქირურგიული სამედიცინო მომსახურების აუცილებლობა, რომელიც საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული არ არის. ძვირადღირებულ სამედიცინო მომსახურებას მიეკუთვნება და მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის ფინანსურ მხარდაჭერას საჭიროებს ძვირადღირებული კარდიოქირურგიული სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება (პაციენტის მიერ გადასახდელი თანხა) პაციენტთა დიდი ნაწილისათვის ხელმიუწვდომელი რჩება, ამიტომ ქვეპროგრამით პაციენტებს დაუფინანსდებათ ასევე საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით დაფინანსებული კარდიოქირურგიული ოპერაციების თანაგადახდა და გეგმიური გულის ან/და კორონალური არტერიების ანგიოგრაფიის დაფინანსება სახელმწიფო პროგრამით დამტკიცებული ტარიფის ფარგლებში ქვეპროგრამით განსაზღვრული პროპორციების დაცვით.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის (შემდეგ-ვაუჩერი) საშუალებით. ვაუჩერის ფორმას, გაცემისა და გამოყენების წესს, ქვეპროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებს განსაზღვრავს და ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- მოქალაქის განცხადება;
 - ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ _ ფორმა NIV-100/ა (პაციენტის დიაგნოზი, ჩარევები და გამოკვლევები მითითებული უნდა იყოს ქვეყანაში დადგენილი კლასიფიკატორების შესაბამისად);
 - სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ანგარიშ-ფაქტურა; -
- საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაცემული მიმართვა (ვაუჩერი) ასანაზღაურებელი თანხის მითითებით;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია; -
- ყველა სხვა დოკუმენტი ქვეპროგრამის განმახორციელებლის მოთხოვნის შესაბამისად.

მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

ქვეპროგრამის მოსარგებლედ განისაზღვრება საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე. (წყვეტილობის არსებობის შემთხვევაში, პირი არ უნდა იყოს რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ტერიტორიის გარეთ).

ა) ქვეპროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურება, რომლის ღირებულება არ არის განსაზღვრული საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით დაფინანსდება ფაქტიური ხარჯით, არაუმეტეს დაწესებულების მიერ გაცემული წინასწარ ანგარიშ-ფაქტურაში (შიდა სტანდარტის ტარიფი) მითითებული თანხისა, შემდეგი პროპორციების დაცვით:

მკურნალობის ღირებულება - 2000 ლარის ჩათვლით დაფინანსდება -90%-ით;

მკურნალობის ღირებულება - 2000 ლარზე მეტი -3000 ლარის ჩათვლით დაფინანსდება - 80%-ით;

მკურნალობის ღირებულება - 3000 ლარზე მეტი -5000 ლარის ჩათვლით დაფინანსდება - 70%-ით;

მკურნალობის ღირებულება -5000 ლარზე მეტი დაფინანსდება -60%-ით;.

წლიური 40 000 ლარზე ნაკლები და თვიური 1000 ლარი და მეტი შემოსავლის მქონე მოქალაქეებს ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება დაუფინანსდება სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურით გათვალისწინებული თანხის 50%-ით;

ბ) ქვეპროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურება, რომლის ღირებულება განსაზღვრულია და შესაბამისად ფინანსდება საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით, მაგრამ რაიმე მიზეზის გამო ბენეფიციარი ვერ ხვდება ზემოთ აღნიშნულ პროგრამაში (არის მინიმალური პაკეტის მფლობელი, ამოწურული აქვს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული წლიური ლიმიტი და სხვა), ყველა შემთხვევაში დაფინანსდება საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ტარიფის 70%-ით.

წლიური 40 000 ლარზე ნაკლები და თვიური 1000 ლარი და მეტი შემოსავლის მქონე მოქალაქეებს ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება დაუფინანსდება საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ტარიფის 50%-ით; საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრულ ტარიფსა და ქვეპროგრამით დაფინანსებულ თანხას შორის სხვაობა იფარება პაციენტის მიერ.

გ) თანადაფინანსება:

პაციენტებს სტატუსის გათვალისწინებით დაუფინანსდებათ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით დაფინანსებული გეგმიური და ურგენტული კარდიოქირურგიული სამედიცინო მომსახურების თანაგადახდა სახელმწიფო პროგრამით დამტკიცებული ტარიფის ფარგლებში შემდეგი პროპორციების დაცვით:

100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე პაციენტებს - 100 %-ით,

100 001-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე პაციენტებს - 80%-ით,

პაციენტებს, რომელთა შემოსავალი ყოველთვიურად 1000 ლარზე ნაკლებია, თვითდასაქმებულთა ან აქვს არარეგულარული შემოსავალი - 70%-ით, წლიური 40 000 ლარზე ნაკლები და თვიური 1000 ლარი და მეტი შემოსავლის მქონე მოქალაქეებს დაუფინანსდებათ კარდიოქირურგიული ოპერაციების თანაგადახდა სახელმწიფო პროგრამით დამტკიცებული ტარიფის ფარგლებში 50%-ით, არაუმეტეს 7000 ლარისა.

დ) გეგმიური გულის ან /და კორონალური

არტერიების ანგიოგრაფიის დაფინანსება

სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მქონე პაციენტებისათვის სტატუსის გათვალისწინებით გულის ან/და კორონალური არტერიების ანგიოგრაფია ფინანსირდება საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით დამტკიცებული ტარიფით შემდეგი პროპორციების დაცვით:

- 70 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე პაციენტები, უსახლკაროთა თავშესაფარის კონტინგენტი, უსახლკაროები, ტრეფიკინგისა და ძალადობის მსხვერპლი პირები - 100 %-ით,
- 70 001-დან 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე პაციენტები - 90 %-ით,
- 100 001-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე პაციენტები, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები; ომის ვეტერანები; ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მონაწილეები, დაღუპულთა ოჯახის წევრები (დედა, მამა, მეუღლე, შვილები); მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 4 და მეტი შვილი ან/და ნაშვილები) ოჯახის წევრები; პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირები; მარტოხელა მშობელი - 80%-ით;
- ასაკობრივი და მიზნობრივი ჯგუფის ბენეფიციარებს (გარდა ზემოთ აღნიშნული ბენეფიციარებისა) -70%-ით;

- წლიური 40 000 ლარზე ნაკლები და თვიური 1000 ლარი და მეტი შემოსავლის მქონე ბენეფიციარებს დაუფინანსდებათ სახელმწიფო პროგრამით დამტკიცებული ტარიფის ფარგლებში 50%-ით;

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრულ ტარიფსა და ქვეპროგრამით დაფინანსებულ თანხას შორის სხვაობა იფარება პაციენტის მიერ.

ქვეპროგრამის ა), ბ) და გ) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ ასევე ინდივიდუალური და კორპორაციული დაზღვევის მოსარგებლები, რომელთაც ამოწურებათ სადაზღვევო ლიმიტის ზღვრული ტარიფი. აღნიშნულ ბენეფიციარებს ქვეპროგრამით დაუფინანსდებათ ა) ქვეპუნქტის შემთხვევაში შიდა სტანდარტის ბ) და გ) ქვეპუნქტების შემთხვევაში საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრულ ტარიფამდე დარჩენილი თანხის 50% არაუმეტეს 7000 ლარისა.

ქვეპროგრამის მოცულობით არ დაფინანსდება: საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული ტარიფის ლიმიტის ღირებულებაზე მეტად მოთხოვნილი თანხა, გეგმიური გულის ან /და კორონალური არტერიების ანგიოგრაფია, რომელსაც თან სდევს კორონალური ანგიოპლასტიკა სტენტირებით, ასევე არ დაფინანსდება პირები, რომელთა წლიური შემოსავალი არის 40 000 ლარი და მეტი, გარდა ასაკით პენსიონერებისა, საზღვარგარეთ ჩატარებული სამედიცინო მომსახურება.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	1,000	1,192	1,192,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			1,192,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებთან ხელშეკრულების გაფორმება	X	X	X	X
მოქალაქეთა განცხადებების განხილვა	X	X	X	X
დაფინანსება	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ქვეპროგრამის ბენეფიციარების სიცოცხლის შენარჩუნება, ჯანმრთელობის გაუმჯობესება, შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება; მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
<p>ქვეპროგრამის ბენეფიციარების სიცოცხლის შენარჩუნება, ჯანმრთელობის გაუმჯობესება, შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება; მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა.</p>	<p>ბენეფიციარებისათვის ფინანსური რისკების შემცირება (ლარი)</p>	<p>1,192</p>	<p>ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია</p>	<p>წელიწადში ერთხელ</p>	<p>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p>	<p>წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს</p>
	<p>ბენეფიციართა რაოდენობა (არაუმეტეს)</p>	<p>1,000</p>	<p>ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია</p>	<p>წელიწადში ერთხელ</p>	<p>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p>	<p>წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს</p>

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 060203

ქვეპროგრამის დასახელება:

სახსრების ენდოპროთეზირება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	450,000
სულ ბიუჯეტი:	450,000

ქვეპროგრამის მიზანი:

მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური კატეგორიისათვის სახსრების ენდოპროთეზირების (გადაგვარებული ან დაზიანებული სახსრის ჩანაცვლება ხელოვნური იმპლანტით) ჩატარებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის აღწერა:

უკანასკნელ წლებში საგრძნობლად მოიმატა სახსრების ართროზით დაავადებულ მოქალაქეთა მობართვიანობამ. პაციენტები საჭიროებენ რესურსტევად ოპერაციულ ჩარევას ენდოპროთეზირების სახით. მოსახლეობის დიდ ნაწილს არ გააჩნია საკმარისი ფინანსური სახსრები, რომ უზრუნველყოს აღნიშნული პათოლოგიის ქირურგიული სამედიცინო მომსახურების დაფინანსება, რის გამოც იზრდება დაავადებათა გართულებების რაოდენობა, დროებითი და მყარი შრომისუუნარობის შემთხვევები. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის (შემდეგ-ვაუჩერი) საშუალებით.

ვაუჩერის ფორმას, გაცემისა და გამოყენების წესს, ქვეპროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებს განსაზღვრავს და ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. ვაუჩერით დასაფინანსებელი თანხა განისაზღვრება წარმოდგენილი ანგარიშგაქტურის საფუძველზე, ქვეპროგრამით გათვალისწინებული პროცორციების დაცვით. ქვეპროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ქვეპროგრამის მოსარგებლის მკურნალობის დაფინანსების ზღვრული თანხა ერთ შემთხვევაზე შეადგენს 5 000 ლარს.

მოსარგებლეთა შერჩევის წესი:
 ქვეპროგრამის მოსარგებლედ განისაზღვრება საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების შემთხვევაში მისი ერთ-ერთი მშობელიც რეგისტრირებული უნდა იყოს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

ქვეპროგრამის ფარგლებში სამედიცინო მომსახურება დაფინანსდება: 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე პაციენტებისათვის ფაქტიური ხარჯის 90 %-ით, სხვა ბენეფიციარებისათვის (რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ 100 000-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა; შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები; ომის ვეტერანები, ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში მონაწილეები, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები (დედა, მამა, მეუღლე, შვილები); მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 4 და მეტი შვილი ან/ და ნაშვილები) ოჯახის წევრები ფაქტიური ხარჯის 80%-ით, სხვა დანარჩენი მოქალაქეებისათვის 70%-ით, მაგრამ არაუმეტეს 5000 ლარისა. წლიური 40 000 ლარზე ნაკლები და თვიური 1000 ლარი და მეტი შემოსავლის მქონე პაციენტებს აღნიშნული სამედიცინო მომსახურება დაუფინანსდებას 50%-ით (არაუმეტეს 5000 ლარისა). სამედიცინო მომსახურების ღირებულების დარჩენილი ნაწილი დაიფარება პაციენტის მიერ.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული სერვისებით ვერ ისარგებლებენ სახელწიფო ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსებული სამედიცინო პროგრამის მოსარგებლები, ასევე ინდივიდუალური და კორპორაციული დაზღვევით მოსარგებლები, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ისინი არ ითვალისწინებს აღნიშნულ ქირურგიულ მკურნალობას.

ქვეპროგრამის მოცულობით არ დაფინანსდება: პირები, რომელთა წლიური შემოსავალი არის 40 000 ლარი და მეტი, გარდა საპენსიო ასაკის პირებისა, ასევე არ დაფინანსდება უკვე ჩატარებული მკურნალობა (პაციენტის სტაციონარიდან გაწერის შემდეგ), საზღვარგარეთ მკურნალობა და სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებული თანაგადახდა მოსარგებლის მხრიდან.

ბენეფიციარების დასაფინანსებლად გამოყენებული იქნება რიგითობისა და მოცდის პრინციპი.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:
 - განცხადება;
 - პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;
 - ქვეპროგრამის ბენეფიციარის დამადასტურებელი საბუთი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
 - ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა (პაციენტის დიაგნოზი, ჩარევები და გამოკვლევები მითითებული უნდა იყოს ქვეყანაში დადგენილი კლასიფიკატორების შესაბამისად);
 - სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ანგარიშ-ფაქტურა.
 ყველა სხვა დოკუმენტი ქვეპროგრამის განმახორციელებლის მოთხოვნის შესაბამისად.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	90	5000	450,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			450,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებთან ხელშეკრულების გაფორმება	x	x	x	x
მოქალაქეთა განცხადებების განხილვა	x	x	x	x
დაფინანსება	x	x	x	x

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება სახსრების ენდოპროთეზირებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ქვეპროგრამის ბენეფიციარების ჯანმრთელობის გაუმჯობესება, შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება; მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა	ბენეფიციართა რაოდენობა (არაუმეტეს)	90	ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს
	ბენეფიციარებისათვის ფინანსური რისკების შემცირება (ლარი)	5000	ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 060204

ქვეპროგრამის დასახელება:

ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	700,000
სულ ბიუჯეტი:	700,000

ქვეპროგრამის მიზანი:

სოციალურად დაუცველი და სხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობისათვის მაღალტექნოლოგიურ დიაგნოსტიკურ კვლევებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის აღწერა:

მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური გამოკვლევები ძვირადღირებულ სამედიცინო მომსახურებას მიეკუთვნება და მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის მიუწვდომელი რჩება, მაშინ როდესაც მთელი რიგი დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრის მიზნით აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის (შემდეგ-ვაუჩერი) საშუალებით. ვაუჩერის ფორმას, გაცემისა და გამოყენების წესს, ქვეპროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებს განსაზღვრავს და ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

ქვეპროგრამით განხორციელებული მომსახურება დაფინანსდება მიმწოდებლის მიერ გაცემული ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს ქვეპროგრამაში გათვალისწინებული ღირებულებისა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ აღებული ვალდებულების (პროპორციების) მოცულობით:

- 1) 70 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე პაციენტები, 200 000 - ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები, უსახლკაროთა თავშესაფარის კონტინგენტი; უსახლკაროების ტრეფიკინგისა და ძალადობის მსხვერპლი პირები - 100 %-ით.
- 2) 70 001-დან 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე პაციენტები - 90 %-ით..
- 3) 100 001-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე პაციენტები - 80%-ით.
- 4) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები; ომის ვეტერანები; ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მონაწილეები, დაღუპულთა ოჯახის წევრები (დედა, მამა, მეუღლე, შვილები); მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 4 და მეტი შვილი ან/და ნაშვილები) ოჯახის წევრები; პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირები; მარტოხელა მშობელი და მისი არასრულწლოვანი შვილები, - 70%-ით;

40 000 ლარზე ნაკლები და თვიური 1000 ლარი და მეტი შემოსავლის მქონე ბენეფიციარებს ქვეპროგრამით განსაზღვრული მომსახურება დაუფინანსდებათ ქვეპროგრამაში გათვალისწინებული მაღალტექნოლოგიური კვლევების ღირებულების - 50%-ით.

იმ შემთხვევაში, როცა გამოკვლევების ღირებულება ნაკლებია ქვეპროგრამით გათვალისწინებულ თანხაზე, ზემოაღნიშნულ პროპორციებით განსაზღვრული მაჩვენებლები გაითვლება წარმოდგენილი ღირებულებიდან, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა მიმწოდებლის ტარიფი აღემატება ქვეპროგრამით გათვალისწინებულ ღირებულებას, მაგრამ პაციენტი მოითხოვს გამოკვლევების ჩატარებას ამ მიმწოდებელთან, გამოკვლევები დაფინანსდება ქვეპროგრამის ტარიფით დადგენილი დაფინანსების პროპორციებით განსხვავებას ღირებულებასა და სამინისტროს მიერ დასაფინანსებელ თანხას შორის ფარავს პაციენტი.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული საჭიროებისას (ექიმის დანიშნულებით) პაციენტისათვის ორი ან მეტი გამოკვლევების დაფინანსება.

მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ:

- საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების შემთხვევაში მისი ერთ-ერთი მშობელიც რეგისტრირებული უნდა იყოს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.
- ქვეპროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში” რეგისტრირებული 200 000-ის ჩათვლით სათვლით სარეიტინგო ქულის მექონე მოქალაქეები.
- შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები; ომის ვეტერანები; ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მონაწილეები და დღეისთვის ოჯახის წევრები (დედა, მამა, მეუღლე, შვილები); მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 4 და მეტი შვილი ან/და ნაშვილები) ოჯახის წევრები; პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირები; უსახლკაროთა თავშესაფარის კონტინგენტი; უსახლკაროები; მარტოხელა მშობელი და მისი არასრულწლოვანი შვილები, ტრეფიკინგისა და ძალადობის მსხვერპლი ქალები;

- ქვეპროგრამით გათვალისწინებული სერვისებით ვერ ისარგებლებენ სახელწიფო ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსებული სამედიცინო პროგრამის, ინდივიდუალური და კორპორაციული დაზღვევით მოსარგებლები, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ისინი არ ითვალისწინებს აღნიშნულ სადიაგნოსტიკო კვლევას.

ბენეფიციარების პროგრამაში ჩასართველად გამოყენებული იქნება რიგითობისა და მოცდის პრინციპი.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- _ მოქალაქის განცხადება;
- _ ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა IV-N100/ა (პაციენტის დიაგნოზი და გამოკვლევები მითითებული უნდა იყოს ქვეყანაში დადგენილი კლასიფიკატორების შესაბამისად);
- სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ანგარიშ-ფაქტურა.
- _ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია.
- ქვეპროგრამის მოსარგებლის დამადასტურებელი საბუთი.

ქვეპროგრამის მოცულობით არ დაფინანსდება საზღვარგარეთ ჩატარებული დიაგნოსტიკური კვლევა და ასევე, უკვე ჩატარებული სამედიცინო მომსახურება. არ დაფინანსდება სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებული თანაგადახდა მოსარგებლის მხრიდან. ასევე არ დაფინანსდება პირები, რომელთა წლიური შემოსავალი არის 40 000 ლარი და მეტი, გარდა საპენსიო ასაკის პირებისა

№	დასახელება	პროდუქტები		
		რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
1	კომპიუტერული ტომოგრაფია	735		266,100
1.1	გულმკერდის კომპიუტერული ტომოგრაფია	26	150	3,900
1.2	გულმკერდის კომპიუტერული ტომოგრაფია კონტრასტირებით	35	220	7,700
1.3	მუცლის ღრუს კომპიუტერული ტომოგრაფია	30	150	4,500
1.4	მუცლის ღრუს კომპიუტერული ტომოგრაფია კონტრასტირებით	35	220	7,700
1.5	თავის ტვინის კომპიუტერული ტომოგრაფია	45	150	6,750
1.6	თავის ტვინის კომპიუტერული ტომოგრაფია კონტრასტირებით	36	220	7,920
1.7	სინუსების-პარანაზალური წიაღების, ყურისა და დრვილისებრი მორჩების კომპიუტერული ტომოგრაფია	35	100	3,500
1.8	კიდურების ძვლოვანი კომპიუტერული ტომოგრაფია რბილქოვილოვანი წარმონაქმნების დროს.	34	150	5,100
1.9	ხერხემლის 1 სეგმენტის კომპიუტერული ტომოგრაფია	30	150	4,500
1.10	მცირე მენჯის ღრუს კომპიუტერული ტომოგრაფია	35	150	5,250
1.11	მცირე მენჯის ღრუს კომპიუტერული ტომოგრაფია კონტრასტირებით	29	220	6,380
1.12	სხვა ორგანოების კომპიუტერული ტომოგრაფია	36	200	7,200
1.13	სხვა ორგანოების კომპიუტერული ტომოგრაფია (კონტრასტირებით)	39	280	10,920
1.14	სამარდე გზების კტ	41	280	11,480
1.15	სამარდე გზების კტ (მულტიფაზური კვლევა)	35	380	13,300

1.16	მსხვილი ნაწლავის კტ (ვირტუალური კოლონოსკოპია)	35	380	13,300
1.17	კტ კორონაროგრაფია	35	580	20,300
1.18	პოზიტრონ-ემისიური კომპიუტერული ტომოგრაფია (PET/CT)	40	2800	112,000
1.19	ერთი თვალის და მხედველობის ნერვის ტომოგრაფია	30	60	1,800
1.20	ორი თვალის და მხედველობის ნერვის ტომოგრაფია	34	100	3,400
1.21	თვალის ფსკერის ფოტოანგიოგრაფია	40	230	9,200
2	ანგიოგრაფიები:	257		93,450
2.1	თავის ტვინის ანგიოგრაფია კონტრასტით	42	350	14,700
2.2	კისრის სისხლძარღვების ანგიოგრაფია	36	350	12,600
2.3	გულმკერდის ანგიოგრაფია	31	350	10,850
2.4	მუცლის ღრუს ანგიოგრაფია	30	400	12,000
2.5	ქვემო კიდურების ანგიოგრაფია	40	400	16,000
2.7	ლვიძლის ანგიოგრაფია	38	350	13,300
2.8	სხვა სისხლძარღვების ანგიოგრაფია	40	350	14,000
3	მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	907		303,250
3.1	თავის ტვინის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	50	250	12,500
3.2	თავის ტვინის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია კონტრასტირებით	50	397	19,850
3.3	თავის ტვინის სისხლძარღვების უკონტრასტო ანგიოგრაფია	42	280	11,760
3.4	ექსტრაკრანიალური სისხლძარღვების კისრის უკონტრასტო ანგიოგრაფია	47	150	7,050
3.5	გულმკერდის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	40	250	10,000
3.6	გულმკერდის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია კონტრასტირებით	40	400	16,000
3.7	მუცლის ღრუს მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	39	250	9,750
3.8	მუცლის ღრუს მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია კონტრასტირებით	30	400	12,000
3.9	ცხვირის დანამატების ღრუების მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	43	150	6,450
3.10	კისრის მალეების მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	45	250	11,250
3.11	მცირე მენჯის ღრუს მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	40	250	10,000
3.12	მცირე მენჯის ღრუს მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია აონტრასტირებით	30	400	12,000
3.13	ხერხემლის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	30	450	13,500
3.14	წელის მალეების მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	40	250	10,000
3.15	წელის მალეების მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია კონტრასტირებით	42	377	15,834
3.16	კიდურების მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	54	225	12,150
3.17	კიდურების მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია კონტრასტირებით	50	375	18,750
3.18	სხვა ორგანოების მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	40	250	10,000

3.19	სხვა ორგანოების მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია (კონტრასტირებით)	48	397	19,056
3.20	ხერხემლის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია კონტრასტით	25	600	15,000
3.21	მთლიანი სხეულის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	22	550	12,100
3.22	მთლიანი სხეულის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია კონტრასტით	35	700	24,500
3.23	გულის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	25	550	13,750
4	ანესთეზია	65	80	5200
5	სისხლძარღვების ინვაზიურ რენტგენო-კონტრასტული ანგიოგრაფია	40	800	32,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი				700,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებთან ხელშეკრულების გაფორმება	x	x	x	x
მოქალაქეთა განცხადებების განხილვა	x	x	x	x
დაფინანსება	x	x	x	x

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

მოსახლეობის ჰოსპიტალიზაციამდე პერიოდში დაავადებათა დაგვიანებული დიაგნოსტიკით გამოწვეული გართულების პრევენცია მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
მოსახლეობის ჰოსპიტალიზაციამდე პერიოდში დაავადებათა დაგვიანებული დიაგნოსტიკით გამოწვეული გართულების პრევენცია მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.	ბენეფიციართა რაოდენობა (არაუმეტეს)	1,939	ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს
	ბენეფიციარებისათვის ფინანსური რისკების შემცირება (ლარი)	361	ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 060206

ქვეპროგრამის დასახელება:

ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	2,462,000
სულ ბიუჯეტი:	2,462,000

ქვეპროგრამის მიზანი:

ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტთათვის (დადასტურებული დიაგნოზით) დამატებით სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტთა სამედიცინო მომსახურება ძირითადად უზრუნველყოფილია სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული სამედიცინო პროგრამებით, მაგრამ მიუხედავად ამისა ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტთა მნიშვნელოვანი ნაწილის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო ვერ ხერხდება საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ან ესაჭიროებათ ისეთი სამედიცინო მომსახურება, რომელიც საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული არ არის, ძვირადღირებულ სამედიცინო მომსახურებას მიეკუთვნება და პაციენტთა დიდი ნაწილისათვის ხელმიუწვდომელი რჩება.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის (შემდეგ-ვაუჩერი) საშუალებით. ვაუჩერის ფორმას, გაცემისა და გამოყენების წესს, ქვეპროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებს განსაზღვრავს და ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

ვაუჩერით დასაფინანსებელი თანხა განისაზღვრება წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე. ქვეპროგრამით გათვალისწინებული პროპორციების დაცვით.

მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების შემთხვევაში მისი ერთ - ერთი მშობელიც რეგისტრირებული უნდა იყოს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. ასევე ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს სტატუსის მქონე მოქალაქეობის არ მქონე პირები, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები. ქვეპროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენს ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული პაციენტები დადასტურებული დიაგნოზით. ვაუჩერის გაცემის საფუძველია:

- განცხადება;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;
- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა (პაციენტის დიაგნოზი, ჩარევები და გამოკვლევები მითითებული უნდა იყოს ქვეყანაში დადგენილი კლასიფიკატორების შესაბამისად);
- სამედიცინო დაწესებულების ან სააფთიაქო კომპანიების მიერ გაცემული ანგარიშ-ფაქტურა.
- საქართველოს სტატუსის მქონე მოქალაქეობის არ მქონე პირებისა და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებისათვის ბინადრობის მოწმობა.
- ყველა სხვა დოკუმენტი ქვეპროგრამის განმახორციელებლის მოთხოვნის შესაბამისად.

ქვეპროგრამის ფარგლებში მკურნალობა დაფინანსდება ფაქტიური ხარჯით შემდეგი პროპორციებით:

- მკურნალობის ღირებულება _ 1000 ლარის ჩათვლით _ 100%-ით;
- მკურნალობის ღირებულება _ 1000 ლარზე მეტი _ 2000 ლარის ჩათვლით _ 90%-ით;
- მკურნალობის ღირებულება _ 2000 ლარზე მეტი _ 3000 ლარის ჩათვლით _ 80%-ით;
- მკურნალობის ღირებულება _ 3000 ლარზე მეტი _ 70%-ით, მაგრამ არაუმეტეს 5000 ლარისა წლიური 40 000 ლარზე ნაკლები და თვიური 1000 ლარი და მეტი შემოსავლის მქონე პაციენტებს დაუფინანსდებათ - 50% -ით, მაგრამ არაუმეტეს 5000 ლარისა.

- საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის, ინდივიდუალური და კორპორაციული დაზღვევის მოსარგებლები ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ შესაბამისი ლიმიტის ამოწურვის შემდეგ. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სახელმწიფო პროგრამის ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში შიდა სტანდარტის (წინასწარი ანგარიშ-ფაქტურა) ტარიფიდან დარჩენილი თანხა ქვეპროგრამით გათვალისწინებული პროპორციების დაცვით. წლიური ლიმიტი შეადგენს 5 000 ლარს. აღნიშნული პირობების დაცვით დაფინანსდება ასევე ის სამედიცინო მომსახურება რომელიც ფინანსდება საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით, მაგრამ რაიმე მიზეზის გამო ბენეფიციარი ვერ ხვდება ზემოთ აღნიშნულ პროგრამაში.

ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტთა სამედიცინო მომსახურება ტარგეტული (გარდა ძუძუს კიბოთი დაავადებულ პაციენტებისათვის - მედიკამენტები ტრასტუზუმაბი (ჰერცეპტინი), პერტუზუმაბი, ლაპატინიბი და ევეროლიმუსი (აფინიტორი)), იმუნოთერაპიული და ბისფოსფონატების ჯგუფის მედიკამენტებით დაფინანსდება სამკურნალო დაწესებულებიდან ან სააფთიაქო კომპანიებიდან წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით, ქვეპროგრამით გათვალისწინებული პროპორციების დაცვით თითოეულ მომართვაზე არაუმეტეს 5000 ლარისა, წლიური ლიმიტი შეადგენს 15000 ლარს.

ა) ძუძუს კიბოს მკურნალობა;
 - ადრეული ძუძუს აგრესიული HER-2 რეცეპტორდადებითი დიაგნოზის მქონე პირების მედიკამენტ ტრასტუზუმაბით (ჰერცეპტინით) მკურნალობა დაფინანსდება სამკურნალო დაწესებულებიდან ან სააფთიაქო კომპანიების მიერ გაცემული ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით სრულად თანაგადახდის გარეშე.

- პაციენტებს საჭიროებიდან გამომდინარე ძუძუს აგრესიული HER-2 რეცეპტორდადებითი მეტასტაზური ძუძუს კიბოს დიაგნოზის შემთხვევაში დაუფინანსდებათ მედიკამენტ პერტუზუმაბის ან ლაპატინიბის მკურნალობის კურსის ღირებულება ტრასტუზუმაბთან (ჰერცეპტინი) ერთად (1 პაციენტზე-8 ციკლი), წლის განმავლობაში 10 პაციენტი. აღნიშნული მედიკამენტების ღირებულება დაფინანსდება სამკურნალო დაწესებულებიდან ან სააფთიაქო კომპანიების მიერ გაცემული ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით სრულად თანაგადახდის გარეშე. პაციენტებს საჭიროებიდან გამომდინარე ჰორმონდამოკიდებული HER-2 - მეტასტაზური ძუძუს კიბოს დიაგნოზის შემთხვევაში დაუფინანსდებათ მედიკამენტ ევეროლიმუსის (აფინიტორი) მკურნალობის კურსის ღირებულება (ერთ პაციენტზე 8 ციკლი). წლის განმავლობაში არაუმეტეს 7 პაციენტი. მედიკამენტ ევეროლიმუსის (აფინიტორი) ღირებულება დაფინანსდება სამკურნალო დაწესებულებიდან ან სააფთიაქო კომპანიების მიერ გაცემული ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით სრულად თანაგადახდის გარეშე.

წლიური 40 000 ლარზე ნაკლები და თვიური 1000 ლარი და მეტი შემოსავლის მქონე პაციენტებს ზემოაღნიშნული მედიკამენტების ღირებულება დაუფინანსდებათ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით 80% -ით. დარჩენილ თანხას ფარავს პაციენტი.

ბ) თანადაფინანსება;
 ქვეპროგრამის ფარგლებში ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტებს (დადასტურებული დიაგნოზით) დაუფინანსდებათ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით გეგმიური სტაციონარული სამედიცინო მომსახურების, ქიმიოთერაპიული (გარდა ამბულატორიული სამედიცინო მომსახურებისა) და სხივური თერაპიული სამედიცინო მომსახურების თანაგადახდა სახელმწიფო პროგრამით დამტკიცებული ტარიფის ფარგლებში არაუმეტეს 5000 ლარისა.

ქვეპროგრამის მოცულობით არ დაფინანსდება:
 საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული ტარიფის ლიმიტის თანაგადახდის ღირებულებაზე მეტად მოთხოვნილი თანხა. მედიკამენტოზური მკურნალობის დროს ამბულატორიული მომსახურებისათვის საჭირო თანხა. ასევე არ დაფინანსდება პირები, რომელთა წლიური შემოსავალი არის 40 000 ლარი და მეტი, გარდა საპენსიო ასაკის პირებისა, საზღვარგარეთ ჩატარებული სამედიცინო მომსახურება, უკვე ჩატარებული სამედიცინო მომსახურება.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	2462	1,000	2,462,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			2,462,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებთან ხელშეკრულების გაფორმება	X	X	X	X
მოქალაქეთა განცხადებების განხილვა	X	X	X	X
დაფინანსება	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული პაციენტების სიცოცხლის შენარჩუნება, ჯანმრთელობის გაუმჯობესება, მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული პაციენტების სიცოცხლის შენარჩუნება, ჯანმრთელობის გაუმჯობესება, მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა.	ბენეფიციართა რაოდენობა (არაუმეტეს)	2,462	ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს
	ბენეფიციარებისათვის ფინანსური რისკების შემცირება (ლარი)	1,000	ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 060209

ქვეპროგრამის დასახელება:

ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	400,000
სულ ბიუჯეტი:	400,000

ქვეპროგრამის მიზანი:

ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობისათვის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის გეგმიური სტაციონარული სამედიცინო მომსახურების, თანადაფინანსების დაფინანსება სახელმწიფო პროგრამით დამტკიცებული ტარიფის ფარგლებში.

ქვეპროგრამის აღწერა:

მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურება ძირითადად უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული მთელი რიგი ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებით, მაინც მოსახლეობის ნაწილს, მცირე შემოსავლების გამო, არა აქვთ საშუალება დაფაროს სამედიცინო მომსახურების ხარჯები, რომლებიც სრულად არ იფარება მოქმედი ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით. განსაკუთრებით დახმარებას საჭიროებენ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით დაფინანსებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ასაკით პენსიონერები, 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვები და სხვა.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის (შემდეგ-ვაუჩერი) საშუალებით. ვაუჩერის ფორმას, გაცემისა და გამოყენების წესს, ქვეპროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებს განსაზღვრავს და ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების შემთხვევაში მისი ერთ-ერთი მშობელიც რეგისტრირებული უნდა იყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში.

ქვეპროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ:

- შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირები;
- მოქალაქეები რომლებიც რეგისტრირებულნი არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით;
- ასაკით პენსიონერები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით;
- 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვები, რომელთა ოჯახები რეგისტრირებულნი არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით;
- უსახლკაროთა თავშესაფარის კონტინგენტი;
- უსახლკაროები;

ბენეფიციარებს დაუფინანსდებათ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით დაფინანსებული გეგმიური სტაციონარული სამედიცინო მომსახურების თანაგადახდა სახელმწიფო პროგრამით დამტკიცებული ტარიფის ფარგლებში ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ასევე:

ძვირადღირებული (რომელთა ღირებულება სახელმწიფო პროგრამით დამტკიცებული ტარიფით აღემატება 15000 ლარს) ქირურგიული ოპერაციული (გეგმიური, გადაუდებელი) მკურნალობის თანაგადახდა არაუმეტეს 20 000 ლარისა. (სახელმწიფო პროგრამით დამტკიცებული ტარიფი მითითებული უნდა იყოს დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშ - ფაქტურაში). აღნიშნული თანადაფინანსებით ისარგებლებს 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობითა და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე უწყვეტად რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქე, გარდა იმ პირებისა, რომელთა წლიური შემოსავალი არის 40 000 ლარი და მეტი (ასაკით პენსიონერების გარდა).

- ინდივიდუალური და კორპორაციული დაზღვევის მოსარგებლეები პირველ რიგში დაფინანსდება სადაზღვევო ლიმიტის ზღვრული ტარიფით. ქვეპროგრამით დაიფარება საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრულ ტარიფამდე დარჩენილი თანხის 50% არაუმეტეს 7000 ლარისა.

- წლიური 40 000 ლარზე ნაკლები და თვიური 1000 ლარი და მეტი შემოსავლის მქონე მოქალაქეებს დაუფინანსდებათ აღნიშნული ოპერაციების თანაგადახდა სახელმწიფო პროგრამით დამტკიცებული ტარიფის ფარგლებში 50%-ით, არაუმეტეს 7000 ლარისა. დარჩენილი თანხა დაიფარება პაციენტის მიერ.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- მოქალაქის განცხადება;
- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა IV-N100/ა (პაციენტის დიაგნოზი და გამოკვლევები მითითებული უნდა იყოს ქვეყანაში დადგენილი კლასიფიკატორების შესაბამისად);
- სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ანგარიშ-ფაქტურა (საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფო პროგრამით დამტკიცებული ტარიფის მითითებით)
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;
- ქვეპროგრამის ბენეფიციარის დამადასტურებელი საბუთი.

ქვეპროგრამის მოცულობით არ დაფინანსდება საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული ტარიფის ლიმიტის თანაგადახდის ღირებულებაზე მეტად მოთხოვნილი თანხა. ასევე არ დაფინანსდება პირები, რომელთა წლიური შემოსავალი არის 40 000 ლარი და მეტი, გარდა საპენსიო ასაკის პირებისა, საზღვარგარეთ ჩატარებული მკურნალობა.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	500	800	400,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			400,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებთან ხელშეკრულების გაფორმება	X	X	X	X
მოქალაქეთა განცხადებების განხილვა	X	X	X	X
დაფინანსება	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა	ბენეფიციართა რაოდენობა (არაუმეტეს)	500	ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს
	ბენეფიციარებისათვის ს ფინანსური რისკების შემცირება (ლარი)	800	ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 060210

ქვეპროგრამის დასახელება:

მოზრდილი მოსახლეობის სამედიცინო რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	600,000
სულ ბიუჯეტი:	600,000

ქვეპროგრამის მიზანი:

მოზრდილი მოსახლეობის (18 წლის ზემოთ) ნებისმიერი ორგანული სისტემის დაავადებით ან დაზიანებით განპირობებული უუნარობის ფუნქციის აღდგენა და შესაბამისად ცხოვრების ხარისხის ამაღლება.

ქვეპროგრამის აღწერა:

მოზრდილი მოსახლეობის ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობის აღდგენა/რეაბილიტაცია, რომელთაც გადატანილი დაავადებით ან ტრავმით შეზღუდული აქვთ ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობები სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით გათვალისწინებული არ არის და ძვირადღირებულ სამედიცინო მომსახურებას მიეკუთვნება. მოსახლეობის ნაწილს, მცირე შემოსავლების გამო, არა აქვთ საშუალება დაფაროს აღნიშნული სამედიცინო მომსახურების ხარჯები. რეაბილიტაციისა და ფიზიკური მედიცინის სამიზნე პათოლოგიებს განეკუთვნება ნევროლოგიური და გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, ფსიქიკური აშლილობები, ძვალ-კუნთოვანი და ონკოლოგიური პათოლოგიები, ტრავმები, მწვავე და ქრონიკული ტკივილის სინდრომი და სხვა. ქვეპროგრამის ფარგლებში თითოეულ პაციენტს მულტიდისციპლინალური გუნდის მიერ სამედიცინო მომსახურებისათვის ინდივიდუალურად შემუშავებული გეგმის მიხედვით მიეწოდება კომპლექსური სერვისი - ფიზიკური თერაპევტის, რეაბილიტოლოგის, ფსიქოლოგის, ფსიქიატრის, ლოგოპედის, შრომითი თერაპევტის, ოკუპაციური თერაპევტის და სხვა საჭირო სპეციალისტების მომსახურება.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის (შემდეგ-ვაუჩერი) საშუალებით. ვაუჩერის ფორმას, გაცემისა და გამოყენების წესს, ქვეპროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებს განსაზღვრავს და ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

ქვეპროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ:

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახების წევრები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა;

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები; ომის ვეტერანები;

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- მოქალაქის განცხადება;
 - ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა IV-N100/ა (პაციენტის დიაგნოზი და გამოკვლევები მითითებული უნდა იყოს ქვეყანაში დადგენილი კლასიფიკატორების შესაბამისად);
 - სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ანგარიშ-ფაქტურა;
 - პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;
 - ქვეპროგრამის ბენეფიციარის დამადასტურებელი საბუთი.
- ბენეფიციარს მომართვის თარიღის გათვალისწინებით ოთხ თვეში ერთჯერ დაუფინანსდება ინდივიდუალური (არანაკლებ 15 დღიანი მომსახურება) კურსის ღირებულება. ვაუჩერით დასაფინანსებელი თანხა განისაზღვრება წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, არაუმეტეს 600 ლარის ოდენობით. წლიური 40 000 ლარზე ნაკლები და თვიური 1000 ლარი და მეტი შემოსავლის მქონე პაციენტებს აღნიშნული სამედიცინო მომსახურება დაუფინანსდებათ 50%-ით. პაციენტის სამედიცინო მომსახურება დაფინანსდება ფაქტიური ხარჯით, არაუმეტეს ვაუჩერში მითითებული თანხისა. ღირებულების დანარჩენ ნაწილს დაფარავს პაციენტი. ბენეფიციარების დასაფინანსებლად გამოყენებული იქნება რიგითობისა და მოცდის პრინციპი.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული სერვისებით ვერ ისარგებლებენ ინდივიდუალური და კორპორაციული დაზღვევით მოსარგებლები, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ისინი არ ითვალისწინებს აღნიშნულ სამედიცინო მომსახურებას. ქვეპროგრამის მოცულობით არ დაფინანსდება პირები, რომელთა წლიური შემოსავალი არის 40 000 ლარი და მეტი, გარდა საპენსიო ასაკის პირებისა, ასევე არ დაფინანსდება უკვე ჩატარებული სამედიცინო მომსახურება. საზღვარგარეთ ჩატარებული სამედიცინო მომსახურება და სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებული თანაგადახდა მოსარგებლის მხრიდან.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	1000	600	600,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			600,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებთან ხელშეკრულების გაფორმება	x	x	x	x
მოქალაქეთა განცხადებების განხილვა	x	x	x	x
დაფინანსება	x	x	x	x

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

დაავადებული პაციენტის ორგანიზმის ფუნქციური მდგომარეობის აღდგენა/გაუმჯობესება, ფუნქციონალური დამოუკიდებლობის მოპოვება და ცხოვრების ხარისხის ამაღლება.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობისათვის სამედიცინო რეაბილიტაციაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა	ბენეფიციართა რაოდენობა (არაუმეტეს)	1,000	ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს
	ბენეფიციარებისათვის ს ფინანსური რისკების შემცირება (ლარი)	600	ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

060205

ქვეპროგრამის დასახელება:

მოსახლეობის საზღვარგარეთ მკურნალობის თანადაფინანსება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	500,000
სულ ბიუჯეტი:	500,000

ქვეპროგრამის მიზანი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის დაცვა საზღვარგარეთ მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან

ქვეპროგრამის აღწერა:

უკანასკნელ პერიოდში საგრძნობლად მოიმატა საზღვარგარეთ მკურნალობის მსურველთა მომართვიანობამ. რაც გამოწვეულია უფრო მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების სურვილით, ან/და ისეთი მომსახურებით, რაც ამ ეტაპზე საქართველოს სამკურნალო დაწესებულებებში არ ხორციელდება. მიუხედავად იმისა, რომ საზღვარგარეთ ჩატარებული სამედიცინო მომსახურება ნაწილობრივ ფინანსდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამით "მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში", ის ძვირადღირებულ სამედიცინო მომსახურებას მიეკუთვნება და მოქალაქეების დიდი ნაწილისათვის დარჩენილი თანხის დაფარვა ხელმიუწვდომელი რჩება. მათი ფინანსური მხარდაჭერა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ პაციენტისათვის აუცილებელი სამედიცინო მომსახურება ვერ ხერხდება საქართველოში. ქვეპროგრამით განიხილება იმ პაციენტების საზღვარგარეთ მკურნალობის თანადაფინანსება, რომლებიც ნაწილობრივ დაფინანსებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამით "მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში".

მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების შემთხვევაში მისი ერთ-ერთი მშობელიც რეგისტრირებული უნდა იყოს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

ქვეპროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ სხვადასხვა დაავადებების მქონე პირები, რომელთა აუცილებელი სამედიცინო მომსახურება ვერ ხერხდება საქართველოს სამკურნალო დაწესებულებებში (სპეციალისტი/ექსპერტის დასკვნის შესაბამისად) და რომლებიც ნაწილობრივ დაფინანსებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამით "მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში"

ქვეპროგრამით პირველი რიგის პრიორიტეტი ენიჭებათ 18 წლამდე ასაკის ბავშვებს, შშმ პირებს და ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტებს. ქვეპროგრამით გათვალისწინებული თანხა მატერიალური დახმარების სახით ჩაერიცხება ბენეფიციარს ან მის კანონიერ წარმომადგენელს საბანკო ანგარიშზე.

გადაწყვეტილებას ბენეფიციართა მკურნალობის დაფინანსების შესახებ ღებულობს შესაბამისი კომისია, (შემდეგ - კომისია) რომლის შემადგენლობა განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.

დაფინანსების საფუძველს წარმოადგენს:

- განცხადება;
- ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია (18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის დაბადების მოწმობის ასლი);
- ბენეფიციარის კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;
- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა (პაციენტის დიაგნოზი, ჩარევები და გამოკვლევები მითითებული უნდა იყოს ქვეყანაში დადგენილი კლასიფიკატორების შესაბამისად);
- სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ანგარიშ-ფაქტურა (თარგმნილი და ნოტარიულად დამოწმებული);
- გადაწყვეტილება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამით "მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში" მიღებული დაფინანსების შესახებ; დახმარების მიმღები პირის საბანკო რეკვიზიტები.
- ყველა სხვა დოკუმენტი ქვეპროგრამის განმახორციელებლის მოთხოვნის შესაბამისად.

ბენეფიციარებს ქვეპროგრამის ფარგლებში დაუფინანსდებათ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამით "მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში" დაფინანსებული თანაგადახდა (წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურდან დარჩენილი თანხა) 70 %-ით, მაგრამ არაუმეტეს 25 000 ლარისა (ეროვნულ ვალუტაში დახმარების დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით).

საჭიროების შემთხვევაში ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ასევე 18 წლამდე ასაკის ონკოპემატოლოგიური დაავადების მქონე 3 პაციენტისათვის ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების გადანერგვა:

- ძვლის ტვინის აუტოლოგიური ტრანსპლანტაცია - არაუმეტეს 100 000 ლარით;
- ძვლის ტვინის ალოგენური ტრანსპლანტაცია - არაუმეტეს 180 000 ლარით;
- ძვლის ტვინის ჰაპლოიდენტური ტრანსპლანტაცია - არაუმეტეს 210 000 ლარით;

სამედიცინო მომსახურების დაფინანსების შესახებ პაციენტმა ან მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უნდა მიმართოს პაციენტის სამედიცინო მომსახურების დაწყებამდე ან სამედიცინო მომსახურების პროცესში (სამედიცინო მომსახურების დასრულებამდე).

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	20	25,000	500,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			500,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მოქალაქეთა განცხადებების განხილვა	X	X	X	X
დაფინანსება	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ბენეფიციარების სიცოცხლის შენარჩუნება, ჯანმრთელობის გაუმჯობესება, შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება; საზღვარგარეთ მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ბენეფიციარების სიცოცხლის შენარჩუნება, ჯანმრთელობის გაუმჯობესება, შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება; საზღვარგარეთ მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა.	ბენეფიციართა რაოდენობა (არაუმეტეს)	20	ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს
	ბენეფიციარებისათვის ფინანსური რისკების შემცირება (ლარი)	25,000	ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 0603

პროგრამის დასახელება:

პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობა

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	1,718,400	429,600	429,600	429,600	429,600
სულ ბიუჯეტი:	1,718,400	429,600	429,600	429,600	429,600

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2020–2023 წლები

პროგრამის მიზანი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების სოფლებში, სამედიცინო პერსონალისათვის (სოფლის ექიმი, სოფლის ექთანი) სოციალური დახმარების დანიშვნა, მათი სოფლებში დამაგრების მიზნით. სოფლის მოსახლეობისათვის უწყვეტი, ბაზისური სამედიცინო მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა;

პროგრამის აღწერა:

სოფლის სამედიცინო პერსონალის სოციალური უზრუნველყოფა – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების სოფლებში განსაკუთრებით მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის (სოფლის ექიმი, სოფლის ექთანი) მაღალი დენადობის გამო სოფლის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს სრულად არ მიეწოდება პირველადი ჯანდაცვით განსაზღვრული სამედიცინო მომსახურება. სამედიცინო პერსონალის (სოფლის ექიმი, სოფლის ექთანი) სოფლებში დამაგრების მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მათი მატერიალური სტიმულირება სოციალური დახმარების სახით.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
სოფლის სამედიცინო პერსონალის სოციალური უზრუნველყოფა	1,718,400	429,600	429,600	429,600	429,600
სულ პროგრამა	1,718,400	429,600	429,600	429,600	429,600

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

სოფლის სამედიცინო პერსონალის ადგილზე დამაგრებით სოფლის მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნა უწყვეტი, ბაზისური სამედიცინო მომსახურებით

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

აჭარის მუნიციპალიტეტების სოფლის სამედიცინო პერსონალის (სოფლის ექიმი, სოფლის ექთანი) სოციალური უზრუნველყოფა. სოფლის მოსახლეობას მიეწოდება უწყვეტი, ბაზისური სამედიცინო მომსახურება.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების სოფლის მოსახლეობისათვის, უწყვეტი, ბაზისური სამედიცინო მომსახურების მიწოდება.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები				გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი	
		2020 წელი	2021 წელი	2022 წელი					2023 წელი
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების სოფლის მოსახლეობისათვის მაღალხარისხიანი, უწყვეტი, ბაზისური სამედიცინო მომსახურების მიწოდება.	სოფლის სამედიცინო პერსონალის სოციალური უზრუნველყოფა	100%	100%	100%	100%	რაოდენობა	პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი
	სოფლის სამედიცინო პერსონალის (სოფლის ექიმი, სოფლის ექთანი) ადგილზე დამაგრება სოციალური უზრუნველყოფის გზით	217	217	217	217	რაოდენობა	პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

060306

ქვეპროგრამის დასახელება:

სოფლის სამედიცინო პერსონალის სოციალური უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	429,600
სულ ბიუჯეტი:	429,600

ქვეპროგრამის მიზანი:

სამედიცინო პერსონალის სოფლებში დამაგრება და მათი სოციალურ-ეკონომიური პირობების გაუმჯობესება მუნიციპალიტეტების სოფლის მოსახლეობისათვის ბაზისური, უწყვეტი სამედიცინო მომსახურების მიწოდებისათვის სოფლის ექიმებისა და ექთნების სოციალური დახმარების დანიშვნა- მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) სოფლის ექიმებისათვის – 300 ლარი, სოფლის ექთნებისათვის 150 ლარი; ხელვაჩაურის და ქობულეთის სოფლის ექიმებისათვის – 150 ლარი, სოფლის ექთნებისათვის 100 ლარი;

ქვეპროგრამის აღწერა:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლებში, განსაკუთრებით მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში დასაქმებულ სამედიცინო პერსონალის (სოფლის ექიმი, სოფლის ექთანი) მაღალი დენადობის გამო სოფლის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს სრულად არ მიეწოდება პირველადი ჯანდაცვით განსაზღვრული სამედიცინო მომსახურება. სამედიცინო პერსონალის სოფლებში დამაგრების მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მათი სოციალური უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის შესრულებაში მონაწილეობის უფლებით სარგებლობენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების სამედიცინო პერსონალი (სოფლის ექიმი და სოფლის ექთანი). დაფინანსება განხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მომსახურების მომწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ქვეპროგრამაში სამედიცინო პერსონალის ჩართვა განხორციელდება მუნიციპალიტეტების გამგებლების მომართვის საფუძველზე.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) სოფლის ექიმების სოციალური დახმარება	43	300	154,800
ქობულეთისა და ხელვაჩაურის სოფლის ექიმების სოციალური დახმარება	64	150	115,200
მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) სოფლის ექთნების სოციალური დახმარება	46	150	82,800
ქობულეთისა და ხელვაჩაურის სოფლის ექთნების სოციალური დახმარება	64	100	76,800
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			429,600

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სოციალური დახმარება	x	x	x	x

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

სოფლის სამედიცინო პერსონალის (სოფლის ექიმი, სოფლის ექთანი) ადგილზე დამაგრებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების სოფლის მოსახლეობისათვის უწყვეტი, ბაზისური სამედიცინო მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა;

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
<p>სოფლის სამედიცინო პერსონალის (სოფლის ექიმი, სოფლის ექთანი) ადგილზე დამაგრებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების სოფლის მოსახლეობისათვის უწყვეტი, ბაზისური სამედიცინო მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა.</p>	<p>სოფლის სამედიცინო პერსონალის (სოფლის ექიმი, სოფლის ექთანი) ადგილზე დამაგრება</p>	<p>მაღალმთიანი მუნიციპალიტეტებში სოფლის ექიმის რაოდენობა – 43 სოფლის ექთანი -46 ქობულეთის და ხელვაჩაურის სოფლის ექიმები – 64 სოფლის ექთანი -64</p>	<p>მუნიციპალიტეტების გამგეობებიდან მოწოდებული ინფორმაცია დასაქმებული სოფლის ექიმების, სოფლის ექთნის რაოდენობისა და მათ მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ</p>	<p>ყოველთვიურად</p>	<p>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p>	<p>მუნიციპალიტეტის გამგეობებიდან მოწოდებული ინფორმაციისა და სოფლის ექიმების და სოფლის ექთანის მიერ ჩატარებული მუშაობის ყოველთვიური ანალიზი</p>

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 0604

პროგრამის დასახელება:

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა

პროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	4,826,000	1,206,500	1,206,500	1,206,500	1,206,500
სულ ბიუჯეტი:	4,826,000	1,206,500	1,206,500	1,206,500	1,206,500

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2020–2023 წლები

პროგრამის მიზანი:

რეგიონში ეპიდემიოლოგიურად კეთილსაიმედო გარემოს უზრუნველყოფა, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და გაუმჯობესება გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საფრთხეებისადმი მზადყოფნისა და დროული რეაგირების გზით; ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა, მოსახლეობის ცნობიერების დონის გაზრდა და ჩართულობა; დაავადებათა ადრეული გამოვლენა და დიაგნოსტიკა, არაგადამდებ დაავადებებთან დაკავშირებული ავადობითა და უნარშეზღუდულობით გამოწვეული მართვადი ტვირთის შემცირება, სამედიცინო დიაგნოსტიკურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მუნიციპალურ დონეზე.

პროგრამის აღწერა:

გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლი, ეპიდსაწინააღმდეგო და პრევენციული ღონისძიებების განხორციელება. პრიორიტეტული საკითხის ირგვლივ სამიზნე ჯგუფებისა და მოსახლეობის ინფორმატიულობის ზრდა, ჩართულობა.

შერჩეულ სამიზნე ჯგუფში სამედიცინო სკრინინგული გამოკვლევების განხორციელება დაავადების ადრეული გამოვლენის მიზნით; შეზღუდული შესაძლებლობების თავიდან აცილება, დაავადებათა ქრონიზაციის შემცირება, სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ორსულებში გართულებათა თავიდან აცილება და ჯანმრთელი მომავალი თაობის ფორმირების ხელშეწყობა იმუნოპროფილაქტიკის ხელშეწყობა, მისი ლოჯისტიკური უზრუნველყოფა და განხორციელების ზედამხედველობა.

სახელმწიფო სტატისტიკის წარმოება, მონაცემთა შეკრება და გადაცემა;

ტუბერკულოზის, აივ ინფექცია/შიდსის და C ჰეპატიტის ინტეგრირებული სკრინინგი და ტუბერკულოზის გამოსავლების გაუმჯობესება აჭარის რეგიონში.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მართვა და მომსახურების მიწოდება	3,258,360	814,590	814,590	814,590	814,590
დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკა	1,567,640	391,910	391,910	391,910	391,910
სულ პროგრამა	4,826,000	1,206,500	1,206,500	1,206,500	1,206,500

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

2018 წელს ეპიდზედამხედველობის სისტემაში მოექცა გადამდები დაავადების 28 658 შემთხვევა, სასწრაფო შეტყობინებას დაექვემდებარა 4726 შემთხვევა, რომელთა 54 %-ში განხორციელდა ეპიდკვლევა.

- მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის ადრეული დიაგნოსტიკის მიზნით რეგიონის მუნიციპალიტეტების (ხელვაჩაურის, ქობულეთის, ქედის, შუახევისა და ხულოს) 0-2 წლამდე ასაკის ბავშვებში ორთოპედის კონსულტაცია, Ca-ის შემცველ მედიკამენტოზურ პრევენცია ჩაუტარდა 3 667 ბავშვს
- ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიების ადრეული გამოვლენის მიზნით, რეგიონში უფასო სამედიცინო მომსახურება გაეწია რეგიონში რეგისტრირებულ 4343 ორსულს.
- 2018 წლის განმავლობაში ღონისძიების „ც ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დიაგნოსტიკის თანადაფინანსება“ ფარგლებში ფარგლებში 343 ბენეფიციარს ჩაუტარდა მკურნალობაში ჩართვამდე აუცილებელი 444 გამოკვლევა. მკურნალობის პროცესის მონიტორინგის მიზნით 435 ბენეფიციარს ჩაუტარდა 1115 გამოკვლევა.
- ღონისძიების „ჰელმინთოზების სპექტრის დადგენა სკოლამდელ ასაკში“ ფარგლებში ქალაქ ბათუმის საბავშვო ბაღებში რეგისტრირებულ 7000 აღსაზრდელს ჩაუტარდათ ჰელმინთოზზე ლაბორატორიული კვლევა.
- სმენის თანდაყოლილი პათოლოგიის ადრეული გამოვლენის მიზნით პირველადი სკრინინგი ჩაუტარდა -53 ახალშობილს, მეორეული სკრინინგი - 13
- ღონისძიება „ბრონქული ასთმის დიაგნოსტიკა სამიზნე ჯგუფში“ 2016-2017 წლებში იდენტიფიცირებულ რისკ-ჯგუფში ალერგიულ დაავადებათა დიაგნოსტიკის კვლევები ჩაუტარდა 599 ბენეფიციარს.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

2020 წლის განმავლობაში ეპიდზედამხედველობის სისტემაში მოექცევა ინფექციური და პარაზიტული დაავადების საპროგნოზოდ 22 000-ზე მეტი შემთხვევა, სასწრაფო შეტყობინებასა და ადექვატურ რეაგირებას დაექვემდებარება 20%, რომელთა 40% -ში განხორციელდება ეპიდკვლევა.

2020 წლის განმავლობაში:

- ბავშვთა განვითარების ადრეულ ასაკში ძვალ-სახსართა თანდაყოლილი დეფორმაციების, მ.შ. მენჯ-ბარძაყის სახსრის თანდაყოლილი ამოვარდნილობისა და დისპლაზიის დროული გამოვლენისა და დიაგნოსტიკის მიზნით, მუნიციპალიტეტების (ქობულეთი, ხელვაჩაური, ქედა, შუახევი და ხულო) პირველადი ჯანდაცვის ცენტრების დონეზე 0-1 წლამდე ასაკის, საპროგნოზოდ 1700 ბავშვს, ჩაუტარდება ორთოპედის კონსულტაცია, Ca-ის შემცველი მედიკამენტოზური პრევენცია, პირველადი დიაგნოზის დაზუსტების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, რენტგენოლოგიური გამოკვლევა, ორთოპედის მიერ შემთხვევის მართვის დროული დაგეგმვა.
- ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიების ადრეული გამოვლენის მიზნით, რეგიონში უფასო სამედიცინო მომსახურება გაეწევა რეგიონის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ, ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტში ჩართულ ყველა ორსულს-საპროგნოზოდ რაოდენობა 4483 ორსული.
- სმენის პირველადი სკრინინგით გამოვლენილ, სმენის დარღვევების მქონე ახალშობილებს (რეგიონის 5 მუნიციპალიტეტში-ქობულეთი, ხელვაჩაური, ქედა, შუახევი და ხულო რეგისტრირებულ) ჩაუტარდება: მეორეული სკრინინგი და საჭიროების შემთხვევაში მათი ჩადრმავებული კვლევები (ტვინის ღეროს სმენის პასუხი, ტიმპანომეტრული კვლევა და კომპიუტერული აუდიომეტრია);
- ალერგიულ დაავადებათა, მ.შ. ბრონქული ასთმის დროული დიაგნოსტიკის მიზნით, ქალაქ ბათუმის საჯარო და კერძო სკოლების პირველ კლასელთა შორის გათვალისწინებულია რისკ-ჯგუფის იდენტიფიცირება, რისკ-ჯგუფს, ასევე მუნიციპალიტეტების პჯდ ქსელიდან რეფერირებულ (6-12 წლის) ბავშვებს ჩაუტარდებათ დიაგნოსტიკური კვლევები.
- აუტიზმის ადრეული დიაგნოსტიკისა და დროული მართვის ხელშეწყობის მიზნით, დაგეგმილია რეგიონის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 2-დან -7 წლის ასაკის ბავშვთა სკრინინგი და საჭიროების შემთხვევაში დიაგნოსტიკა აუტიზმის სადიაგნოსტიკო დაკვირვების სქემით.
- რეგიონის მოსახლეობის ზოგად პოპულაციაში C ჰეპატიტის, აივ ინფექციისა და ტუბერკულოზის აქტიური გამოვლენის ხელშეწყობის

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

ეპიდემიოლოგიურად კეთილსაიმედო გარემოს უზრუნველყოფა/შენარჩუნება, მოსახლეობის დამოკიდებულების ჩამოყალიბება ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად, დაავადებათა ადრეული დიაგნოსტიკა, მოსახლეობის ჯანმრთელობის აცილებადი რისკების მართვა.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი				
<p>ეპიდემიოლოგიურად კეთილსაიმედო გარემოს უზრუნველყოფა/შენარჩუნება, მოსახლეობის დამოკიდებულების ჩამოყალიბება ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად, დაავადებათა ადრეული დიაგნოსტიკა, მოსახლეობის ჯანმრთელობის აცილებადი რისკების მართვა.</p>	<p>სასწრაფო შეტყობინებას დაქვემდებარებულ გადამდებ დაავადებათა საშუალოდ 40% კვლევა</p>	<p>სასწრაფო შეტყობინებას დაქვემდებარებულ გადამდებ დაავადებათა საშუალოდ 40% კვლევა</p>	<p>სასწრაფო შეტყობინებას დაქვემდებარებულ გადამდებ დაავადებათა საშუალოდ 40% კვლევა</p>	<p>სასწრაფო შეტყობინებასა და ეპიდკვლევას დავემდებარებულ შემთხვევათა საპროგნოზოდ 40%</p>	რაოდენობა	<p>სსიპ აჭარის ა.რ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, რეგიონში რეგისტრირებული ყველა ტიპის სამედიცინო (ფიზიკური/იურიდიული) პირი</p>	<p>სსიპ აჭარის ა.რ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი</p>	<p>საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 25 მარტის №01-26/ნ ბრძანების „სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების და მიწოდების წესის შესახებ“ შესაბამისად</p>
	<p>მოსახლეობის ინფორმატიულობის დონის გაზრდის მიზნით ჩატარებული შეხვედრები-150</p>	<p>მოსახლეობის ინფორმატიულობის დონის გაზრდის მიზნით ჩატარებული შეხვედრები-150</p>	<p>მოსახლეობის ინფორმატიულობის დონის გაზრდის მიზნით ჩატარებული შეხვედრები-150</p>	<p>მოსახლეობის ინფორმატიულობის დონის გაზრდის მიზნით ჩატარებული შეხვედრები-150</p>	რაოდენობა	<p>სსიპ აჭარის ა.რ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი</p>	<p>სსიპ აჭარის ა.რ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი</p>	<p>ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად</p>
	<p>პრაქტიკულად ჯანმრთელ მოსახლეობაში სკრინინგული გამოკვლევების რაოდენობა-რეგიონის მოსახლეობის არანაკლებ 12 %-ში</p>	<p>პრაქტიკულად ჯანმრთელ მოსახლეობაში სკრინინგული გამოკვლევების რაოდენობა-რეგიონის მოსახლეობის არანაკლებ 13%-ში</p>	<p>პრაქტიკულად ჯანმრთელ მოსახლეობაში სკრინინგული გამოკვლევების რაოდენობა-რეგიონის მოსახლეობის არანაკლებ 14%-ში</p>	<p>პრაქტიკულად ჯანმრთელ მოსახლეობაში სკრინინგული გამოკვლევების რაოდენობა-რეგიონის მოსახლეობის არანაკლებ 15%-ში</p>	რაოდენობა	<p>სსიპ აჭარის ა.რ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია</p>	<p>სსიპ აჭარის ა.რ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი</p>	<p>დონისძიების შესრულების, ანგარიშგებისა და ანაზღაურების წესის შესაბამისად</p>

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

060402

ქვეპროგრამის დასახელება:

დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	391,910
სულ ბიუჯეტი:	391,910

ქვეპროგრამის მიზანი:

რეგიონში დაავადებათა ადრეული გამოვლენა და დიაგნოსტიკა, შემთხვევის დროული მართვა; არაგადამდებ დაავადებებთან დაკავშირებული უნარშეზღუდულობის თავიდან აცილება, სამედიცინო დიაგნოსტიკურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მუნიციპალურ დონეზე.

ქვეპროგრამის აღწერა

ბავშვთა განვითარების ადრეულ ასაკში ძვალ-სახსართა თანდაყოლილი დეფორმაციების, მ.შ. მენჯ-ბარძაყის სახსრის თანდაყოლილი ამოვარდნილობისა და დისპლაზიის დროული გამოვლენისა და დიაგნოსტიკის მიზნით, 0-1 წლამდე ასაკის ბავშვებში ჩატარდება ორთოპედის კონსულტაცია, Ca-ის შემცველი მედიკამენტოზური პრევენცია, პირველადი დიაგნოზის დაზუსტების მიზნით საჭიროების შემთხვევაში რენტგენოლოგიური გამოკვლევა, ორთოპედის მიერ შემთხვევის მართვის დროული დაგეგმვა. სამედიცინო მომსახურების მიწოდება განხორციელდება მუნიციპალიტეტებში პირველადი ჯანდაცვის ცენტრების დონეზე. ღონისძიებით მოსარგებლეა 0-1 წლამდე ასაკის ბავშვები (ერთჯერადად), რეგისტრირებული აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, კერძოდ, ხელვაჩაურის, ქობულეთის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში.

ორსულეებში ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიების ადრეული გამოვლენის მიზნით ჩატარდება: ინსტრუმენტულ-ლაბორატორიული გამოკვლევა – ულტრასონოგრაფია, ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონალური (თირეოტროპული ჰორმონი, თავისუფალი თიროქსინი) გამოკვლევა, ენდოკრინოლოგის კონსულტაცია, ღონისძიებით მოსარგებლეა ორსულეები, საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ღონისძიებით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის საშუალებით, რომელსაც გასცემს სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამის ანტენატალურ კომპონენტში ჩართულ სამედიცინო დაწესებულებებში მომსახურების მისაღებად. სამედიცინო ვაუჩერის ფორმას, გაცემისა და გამოყენების წესს განსაზღვრავს და ამტკიცებს სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი. საანგარიშო წელს ბენეფიციარებს აღნიშნული მომსახურება მიეწოდებათ ერთჯერადად.

სმენის პირველადი სკრინინგით გამოვლენილ, სმენის დარღვევების მქონე ახალშობილებს ჩატარდება: მეორეული სკრინინგი და საჭიროების შემთხვევაში მათი ჩადრმავებული კვლევები (ტვინის ღეროს სმენის პასუხი, ტიმპანომეტრული კვლევა და კომპიუტერული აუდიომეტრია); ღონისძიებით მოსარგებლეებს წარმოადგენენ მუნიციპალიტეტებში რეგისტრირებული ბავშვები, საპროგნოზო რაოდენობა - 80.

ალერგიულ დაავადებათა ადრეული გამოვლენის მიზნით, ღონისძიება ითვალისწინებს რისკ-ჯგუფის იდენტიფიცირებას ქალაქ ბათუმის საჯარო და კერძო სკოლების პირველ კლასელთა შორის ტესტ-კითხვარით, რისკ-ჯგუფში ჩასატარებელი დიაგნოსტიკა მოიცავს ალერგოლოგის კონსულტაციას, გარეგანი სუნთქვის ფუნქციის გამოკვლევას, კანის პრიკ ტესტს არაინფექციური ალერგენებით, ამოსუნთქულ ჰაერში აზოტის მონოქსიდის განსაზღვრას ანალიზატორით. ღონისძიებით განსაზღვრული დიაგნოსტიკური კვლევების ჩატარება შეეძლება ასევე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში (ქობულეთი, ხელვაჩაური, ქედა, შუახევი, ხულო) რეგისტრირებულ ალერგოლოგთან კონსულტაციაზე პირველადი ჯანდაცვის ცენტრის მიერ რეფერირებულ 6-12 წლის ასაკის 200 ბენეფიციარს.

ბავშვთა გონებრივი განვითარების სრულყოფის ხელშეწყობისა და სოციალური სისუსტეების დროული აღმოფხვრის მიზნით, დაგეგმილია რეგიონის ტერიტორიაზე პჯდ ქსელის მიერ რეფერირებულ 2-დან -7 წლის ასაკის ბავშვთა ფსიქიატრის კონსულტაცია აუტიზმის სკრინინგული შეფასებით და საჭიროების შემთხვევაში დიაგნოსტიკა აუტიზმის სადიაგნოსტიკო დაკვირვების სქემით (ADOS). ღონისძიებით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის საშუალებით, რომელსაც გასცემს სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი შესაბამისი მომსახურების გამწვე სამედიცინო დაწესებულებაში წარსადგენად.

ქალაქ ბათუმში, ქობულეთის მუნიციპალიტეტში (ქალაქი), დაბა ხელვაჩაურისა ტერიტორიაზე მოსახლეობის ზოგად პოპულაციაში C ჰეპატიტის, აივ ინფექციისა და ტუბერკულოზის აქტიური გამოვლენის ხელშეწყობის მიზნით, დაგეგმილია აღნიშნულ ტერიტორიებზე სამედიცინო მომსახურების მიწოდებულ იურიდიულ პირთა მიერ ინტეგრირებული სკრინინგის განხორციელების ხელშეწყობა. ღონისძიებით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის საშუალებით, რომელსაც გასცემს სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი შესაბამისი მომსახურების გამწვე სამედიცინო დაწესებულებაში წარსადგენად.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
მენჯ-ბარძაყის სახსრის დიპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის ადრეული დიაგნოსტიკა	1700 (ბენეფიციარი)	17.6	29,920
ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევა ორსულეებში	4483 (ბენეფიციარი)	50	224,150
სმენის თანდაყოლილი პათოლოგიის მეორეული დიაგნოსტიკა	80 (ბენეფიციარი)	46.25	3,700
ბრონქული ასთმის დიაგნოსტიკა სამიზნე ჯგუფში	3200 (ბენეფიციარი)	8.33	26,640
აუტიზმის დიაგნოსტიკა სამიზნე ჯგუფში	120 (ბენეფიციარი)	166.7	20,000
C ჰეპატიტის, ტუბერკულოზის, აივ ინფექციის აქტიური გამოვლენის ხელშეწყობა	50000 (ბენეფიციარი)	1.75	87,500
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			391,910

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მენჯ-ბარძაყის სახსრის დიპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის ადრეული დიაგნოსტიკა	X	X	X	X
ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევა ორსულეებში	X	X	X	X
სმენის თანდაყოლილი პათოლოგიის მეორეული დიაგნოსტიკა	X	X	X	X
ბრონქული ასთმის დიაგნოსტიკა სამიზნე ჯგუფში	X	X	X	X
აუტიზმის დიაგნოსტიკა სამიზნე ჯგუფში	X	X	X	X
C ჰეპატიტის, ტუბერკულოზის, აივ ინფექციის აქტიური გამოვლენის ხელშეწყობა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ძვალ-სახსართა თანდაყოლილი დეფორმაციების, ამოვარდნილობის ადრეული გამოვლენა და დიაგნოსტიკა, შეზღუდული შესაძლებლობების თავიდან აცილება, დაავადებათა ქრონიზაციის შემცირება, სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

C ჰეპატიტით, აივ ინფექცია/შიდსით, ტუბერკულოზით გამოწვეული ავადობის, სიკვდილიანობისა და ინფექციის გავრცელების შემცირება სამიზნე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ინფიცირების სტატუსის დადგენა/მიდევნება/მოსახლეობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გზით.

ორსულეებში გართულებათა თავიდან აცილება და ჯანმრთელი მომავალი თაობის ფორმირების ხელშეწყობა ახალშობილებში სმენის თანდაყოლილი პათოლოგიების მეორეული დიაგნოსტიკა და დროული მართვის ხელშეწყობა.

ალერგიულ დაავადებათა დროული დიაგნოსტიკა

ბავშვთა გონებრივი და ფსიქიური განვითარების ადრეული შეფასება, სოციალური სისუსტეების თავიდან აცილების ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
შედეგი 1 -პრაქტიკულად ჯანმრთელ მოსახლეობაში პირველადი სკრინინგი დაავადებათა ადრეული გამოვლენის მიზნით	რეგიონის მოსახლეობის არანაკლებ 12%-ში (ბენეფიციართა საპროგნოზო რაოდენობა 59503)	რაოდენობა	სსიპ აჭარის ა.რ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, ღონისძიების განმახორციელებელი ორგანიზაცია	1 წელი	სსიპ აჭარის ა.რ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი	ღონისძიების შესრულების, ანგარიშგებისა და ანაზღაურების წესის შესაბამისად
შედეგი 2 - პირველადი სკრინინგით იდენტიფიცირებულ რისკ-ჯგუფში დიაგნოსტიკური კვლევების განხორციელება დიაგნოზის დადასტურების მიზნით	სკრინინგის შედეგად იდენტიფიცირებული რისკ-ჯგუფი- პირველადად დასკრინულ ბენეფიციართა საპროგნოზოდ 2.5 % (1480 ბენეფიციარი)	რაოდენობა	სსიპ აჭარის ა.რ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, ღონისძიების განმახორციელებელი ორგანიზაცია	1 წელი	სსიპ აჭარის ა.რ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი	ღონისძიების შესრულების, ანგარიშგებისა და ანაზღაურების წესის შესაბამისად

მხარჯავი დაწესებულების პრიორიტეტების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები

პრიორიტეტის დასახელება		მოსახლეობის სოციალური დაცვა				
პროგრამული კოდი	დასახელება	2020 წელი	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
0605	სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია	2,767,280	2,767,280	2,954,000	3,172,200	3,486,200
0606	მოსახლეობის გარკვეული სოციალური კატეგორიების ერთჯერადი მატერიალური დახმარება	380,900	380,900	380,750	380,750	380,750
0607	შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირთა და ხანდაზმულთა უზრუნველყოფა დამხმარე საშუალებებით	713,600	713,600	713,600	713,600	713,600
0612	მოსახლეობის გარკვეული კატეგორიების თავშესაფრით უზრუნველყოფა	951,600	951,600	949,000	949,000	949,000
0609	ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფა	2,800,000	2,800,000	3,000,000	3,000,000	3,000,000
040104	სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის პროგრამა	16,000,000	16,000,000	23,000,000	17,000,000	17,000,000
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		23,613,380	23,613,380	30,997,350	25,215,550	25,529,550

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

მოსახლეობის სოციალური დაცვა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

0605

პროგრამის დასახელება:

სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	12,379,680	2,767,280	2,954,000	3,172,200	3,486,200
სულ ბიუჯეტი:	12,379,680	2,767,280	2,954,000	3,172,200	3,486,200

პროგრამის განხორციელების პერიოდი:

2020-2023 წლები

პროგრამის მიზანი:

18 წლამდე ასაკის ბავშვთა სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის ღონისძიებების განხორციელება.

პროგრამის აღწერა:

ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია /რეაბილიტაცია - ბავშვთა ცერებრალური დამბლის, ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის, კუნთების სხვადასხვა დაავადებების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის კურსების დაფინანსება.
 ძვალ-სახსროვანი სისტემის დეფორმაციის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია - ძვალ-სახსროვანის სისტემის სხვადასხვა დეფორმაციის მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის კურსების დაფინანსება.
 ბავშვთა ადრეული განვითარება - განვითარების დარღვევის ან ასეთი რისკის მქონე ბავშვების განვითარების სტიმულირება და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა.
 შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა სოციალური ადაპტაცია - შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვების სამედიცინო მეთვალყურეობა, მათ საჭიროებებზე მორგებული სწავლება, მათი ფსიქოლოგიური დახმარება, სადღეღამისო მომსახურება კვებით, სოციალური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება.
 აუტიზმის სპექტრის დარღვევების მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია - აუტიზმის სპექტრის დარღვევების მქონე 2-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების რეაბილიტაციის კურსების დაფინანსება.
 სმენაპროთეზირებულ ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაცია - სხვადასხვა ხარისხის სმენადაქვეითებული სმენაპროთეზირებული (კოხლეარული იმპლანტი, სმენის აპარატი) ბავშვების უზრუნველყოფა მათ საჭიროებებზე მორგებული სარეაბილიტაციო მომსახურების კურსებით.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია /რეაბილიტაცია	8,347,400	1,848,000	1,980,000	2,198,200	2,321,200
ძვალ-სახსროვანი სისტემის დეფორმაციის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია	900,800	213,600	213,600	213,600	260,000
ბავშვთა ადრეული განვითარება	2,216,880	492,480	547,200	547,200	630,000
შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა სოციალური ადაპტაცია	108,000	27,000	27,000	27,000	27,000
აუტიზმის სპექტრის დარღვევების მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია	780,000	180,000	180,000	180,000	240,000
სმენაპროთეზირებულ ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაცია	26,600	6,200	6,200	6,200	8,000
სულ პროგრამა	12,379,680	2,767,280	2,954,000	3,172,200	3,486,200

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

პროგრამის ფარგლებში 2019 წელს სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის კურსები ჩაუტარდა 1885 ბენეფიციარს.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის კურსები ჩაუტარდება არანაკლებ 1660 ბენეფიციარს.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

სამიზნე ჯგუფის ბავშვები უზრუნველყოფილი არიან სარეაბილიტაციო მომსახურებით.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
		2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი				
სამედიცინო და სოციალურ რეაბილიტაციაზე ბენეფიციართა მოთხოვნის დაკმაყოფილება	მოსახლეობის დაკმაყოფილების მაჩვენებელი	92%	92%	92%	95%	%	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების
	რეაბილიტაციის კურსის რაოდენობა	10,720	12,000	12,500	13,000	რაოდენობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების
სამედიცინო და სოციალურ რეაბილიტაციაზე ბენეფიციართა რაოდენობა	რაოდენობა (არანაკლებ)	1660	1,800	1850	1900	რაოდენობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	060506
----------------------------------	--------

ქვეპროგრამის დასახელება:

ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია /რეაბილიტაცია
--

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	1,848,000
სულ ბიუჯეტი:	1,848,000

ქვეპროგრამის მიზანი:

ქვეპროგრამით განსაზღვრული დიაგნოზის მქონე ბავშვთა სპეციფიკური აბილიტაცია, რეაბილიტაცია, ფიზიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესება, ადაპტაციური შესაძლებლობების გაძლიერება და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამით განსაზღვრული დიაგნოზის მქონე ბავშვთა თერაპიული ინტერვენცია, რომელიც მოიცავს ფიზიკური თერაპიის ოკუპაციური თერაპიის, მეტყველებისა და ენის თერაპიის, ფსიქოლოგიური კორექციის, ქვევითი თერაპიის სეანსებს; ექიმის მეთვალყურეობას (სეანსი), რაც მოიცავს ბავშვთა ნევროლოგიურ გასინჯვას, სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოებას ინტერდისციპლინური გუნდის მუშაობის კოორდინაციას; საჭიროების შემთხვევაში – ბავშვის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ფსიქოლოგიური დახმარებას (სეანსი). ამასთან, მიმწოდებელს ბენეფიციარის საჭიროებიდან გამომდინარე უნდა შეეძლოს შესაბამისი სპეციალისტების მიერ თერაპიულ ინტერვენციაში შემავალი ყველა ტიპის თერაპიისა და სეანსის ჩატარება.

ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს მიეკუთვნება ბავშვთა ცერებრალური დამბლის, კუნთების პირველადი დაზიანების ცენტრალური ნერვული სისტემის ანთებითი და სისხლძარღვოვანი დაავადებების ნარჩენი მოვლენების, ეპილექსიის, სპინური კუნთოვანი ატროფიისა და მასთან დაკავშირებული სინდრომების, კუნთოვანი დისტროფიის, თანდაყოლილი მიოპათიების კუნთების სხვა (მათ შორის დაუზუსტებელი) დაზიანების, ჰემიპლეგიის, პარაპლეგიის და ტეტრაპლეგიის მქონე 3 წლისა და მეტი (18 წლამდე) ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები, აგრეთვე, ამ მდგომარეობების მქონე 3 წლამდე ასაკის ბავშვები.

სამიზნე ჯგუფისთვის გაწეული მომსახურება (1 კურსი - არანაკლებ 10 დღისა და ჯამში არანაკლებ 22 ღონისძიების) ბენეფიციარებს დაუფინანსდებათ მომსახურების ღირებულების 100%-ით, მაგრამ არაუმეტეს ქვეპროგრამით განსაზღვრულ ტარიფისა - 1 კურსის ღირებულება 330 ლარის ოდენობით. პაციენტებს რეაბილიტაციის კურსით გათვალისწინებულ ღონისძიებები ჩაუტარდებათ ინდივიდუალური აბილიტაცია/რეაბილიტაციის გეგმის შესაბამისად, რომელიც უნდა მოიცავდეს ქვეპროგრამით გათვალისწინებულ ყველა ღონისძიებას და რომლის ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ქვეპროგრამით გათვალისწინებული სრული კურსის ტარიფს. იმ შემთხვევაში, თუ პაციენტი მოითხოვს რეაბილიტაციის დაფინანსებას დაწესებულებაში, სადაც მომსახურება მიეწოდება განსხვავებული პირობებით და მისი ღირებულება აღემატება ქვეპროგრამით გათვალისწინებულ ტარიფს, სამინისტრო უზრუნველყოფს მის დაფინანსებას ინდივიდუალური ხელშეკრულების საფუძველზე ქვეპროგრამით გათვალისწინებული ტარიფის შესაბამისად, ხოლო დარჩენილ ნაწილს დაფარავს ბენეფიციარი.

წელიწადში ერთ ბენეფიციარს დაუფინანსდება არაუმეტეს 8 სარეაბილიტაციო კურსისა, ქვეპროგრამაში ჩართვის პერიოდის გათვალისწინებით. ამასთან, ამ ქვეპროგრამის მოსარგებლე არ შეიძლება იყოს სამიზნე ჯგუფში განსაზღვრული R62.0-ის დიაგნოზის მქონე ბავშვი, რომელიც ჩართულია "ბავშვთა ადრეული განვითარების" ქვეპროგრამაში.

ქვეპროგრამა განხორციელდება სოციალური ვაუჩერის საშუალებით, რომელიც შედგება ჩასატარებელი სარეაბილიტაციო კურსების შესაბამისი რაოდენობის ტალონებისაგან. იგი გაიცემა ბენეფიციარის ქვეპროგრამაში ჩართვის თვიდან საბიუჯეტო წლის ბოლომდე, მაგრამ არაუმეტეს 18 წლის ასაკის მიღწევის/შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მოქმედების ვადის თვის ჩათვლით.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- განცხადება;
- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა, სადაც მითითებული უნდა იყოს დიაგნოზი ICD-10 მიხედვით და რეაბილიტაციის კურსის საჭიროება (ექიმ-სპეციალისტის დასკვნის საფუძველზე);
- ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია ბავშვის იდენტიფიკაცია;
- მშობლის ან ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია (კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევაში, ასევე, კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი);
- შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი ცნობის ასლი (არსებობის შემთხვევაში);
- ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან (არსებობის შემთხვევაში).

ქვეპროგრამაში ჩართვა განხორციელდება მომართვიანობის მიხედვით მომსახურების მიღების უპირატესი უფლების დაცვით. ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების მიღების უპირატესი უფლებით სარგებლობენ (რიგითობის დაცვით):

1. ბენეფიციარები, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში 0-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით;
2. რეინტეგრაციის შემწეობის მიმღები ოჯახების ბავშვები;
3. მინდობით აღზრდაში ან სააღმზრდელო დაწესებულებაში მყოფი ბავშვები, თუკი ამ დაწესებულების მიერ არ ხდება ამ პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება;
4. თუ ოჯახში ერთზე მეტ ბავშვს ესაჭიროება დახმარება ქვეპროგრამის ფარგლებში;
5. მრავალშვილიანი ოჯახის წევრები.

ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც უწყვეტად არიან რეგისტრირებულნი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის მომენტში, არ არიან ჩართული სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის ბავშვთა რეაბილიტაციის/აბილიტაციის ქვეპროგრამაში და ამასთანავე, ერთი-ერთი მშობელი მაინც უწყვეტადაა რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის (წყვეტილობის არსებობის შემთხვევაში, პირი არ უნდა იყოს რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ტერიტორიის გარეთ).

დასახელება	პროდუქტები		
	კურსის რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ფსიქოსომატური რეაბილიტაციის კურსების ჩატარება	5,600	330	1,848,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			1,848,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების შერჩევა	X	X	X	X
ბენეფიციართა განცხადებების მიღება	X	X	X	X
განცხადებების განხილვა	X	X	X	X
ვაუჩერის გაცემა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ბენეფიციართა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, ადაპტაციური შესაძლებლობების გაძლიერება და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ბენეფიციართა ქვეპროგრამაში ჩართულობა	ბენეფიციართა დაკმაყოფილების მაჩვენებელი	90%-ზე მეტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი
ბენეფიციართა რაოდენობა	რაოდენობა (არანაკლებ)	700	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი
ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება	რეაბილიტაციის კურსის რაოდენობა	5600	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

060504

ქვეპროგრამის დასახელება:

ბავშვთა ადრეული განვითარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	492,480
სულ ბიუჯეტი:	492,480

ქვეპროგრამის მიზანი:

ადრეული ინტერვენციის მომსახურების მიწოდების გზით განვითარების დარღვევის ან ასეთი რისკის მქონე ბავშვების განვითარების სტიმულირება, სკოლამდელ ან ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა, ბავშვისა და ოჯახის გაძლიერება.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამით განსაზღვრული დიაგნოზის მქონე იდენტიფიცირებული ბავშვების კოგნიტური, სოციალური, მოტორული შემეცნებითი, კომუნიკაციური და თვითმოვლითი უნარების განვითარება. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს მიეკუთვნება დაბადებიდან 7 წლამდე ასაკის ბავშვები, რომლებსაც აქვთ განვითარების ეტაპების დაყოვნება, შეზღუდული შესაძლებლობა ან ამ მხრივ რისკი, რაც დადასტურებულია ქვეპროგრამით გათვალისწინებული ICD-10-დიაგნოზებით (მათ შორის: დაუნის სინდრომი, ცერებრული დამბლა, განვითარების ზოგადი აშლილობა, მეტყველების განვითარების აშლილობა, გონებრივი ჩამორჩენილობა). პაციენტებს ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მიეწოდება მულტიდისციპლინური ჯგუფის მიერ (ადრეული განვითარების სპეციალისტი, ლოგოპედი, ფსიქოლოგი, სპეციალური პედაგოგი) პაციენტის ინდივიდუალური განვითარების გეგმის შესაბამისად (1 კურსი - არანაკლებ 8 ვიზიტისა, ამასთან 3 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის მხოლოდ ინდივიდუალური მომსახურება, ხოლო 3 წლის ასაკის ზემოთ ჯგუფური მომსახურებაც, მაგრამ თვეში არაუმეტეს 4). სამიზნე ჯგუფისთვის გაწეული მომსახურება ანაზღაურდება მომსახურების ღირებულების 100%-ით, მაგრამ არაუმეტეს ქვეპროგრამით განსაზღვრული ტარიფისა - ერთი კურსის ღირებულება 152 ლარის ოდენობით.

ქვეპროგრამა განხორციელდება სოციალური ვაუჩერის საშუალებით, რომელიც შედგება შესაბამისი თვეების ტალონებისაგან იგი გაიცემა ბენეფიციარის ქვეპროგრამაში ჩართვის თვიდან თითოეულ მომდევნო თვეზე, საბიუჯეტო წლის ბოლომდე, მაგრამ არაუმეტეს ბავშვის 7 წლის ასაკის მიღწევის თვის ჩათვლით. ამასთანავე, ამ ქვეპროგრამის მოსარგებელე არ შეიძლება იყოს სამიზნე ჯგუფში განსაზღვრული R62.0-ის დიაგნოზის მქონე ბავშვი, რომელიც ჩართულია "ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია /რეაბილიტაცია" ქვეპროგრამაში.

- ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:
- განცხადება;
 - ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა, სადაც მითითებული უნდა იყოს დიაგნოზი ICD-10 მიხედვით და რეაბილიტაციის კურსის საჭიროება (ექიმ-სპეციალისტის დასკვნის საფუძველზე);
 - ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია ბავშვის იდენტიფიკაცია;
 - მშობლის ან ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ან სხვა დოკუმენტი რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია (კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევაში, ასევე კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი);
 - შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი ცნობის ასლი (არსებობის შემთხვევაში);
 - ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან (არსებობის შემთხვევაში).

ქვეპროგრამაში ჩართვა განხორციელდება მომართვიანობის მიხედვით მომსახურების მიღების უპირატესი უფლების დაცვით.

ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების მიღების უპირატესი უფლებით სარგებლობენ (რიგითობის დაცვით):

1. ბენეფიციარები, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში 0-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით;
2. თუ ოჯახში ერთზე მეტ ბავშვს ესაჭიროება დახმარება ქვეპროგრამის ფარგლებში;
3. მრავალშვილიანი ოჯახის წევრები.

ქვეპროგრამის მოსარგებლები არიან საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის მომენტში, გარდა ქ. ბათუმში რეგისტრირებული მოქალაქეებისა და არ არიან ჩართული ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამაში. ამასთანავე, 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის ერთი ერთი მშობელი მაინც უწყვეტადაა რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე (წყვეტილობის არსებობის შემთხვევაში, პირი არ უნდა იყოს რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ტერიტორიის გარეთ).

დასახელება	პროდუქტები		
	ბენეფიციართა რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
განვითარების სტიმულირების მომსახურების დაფინანსება	270	1,824	492,480
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			492,480

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების შერჩევა	X	X	X	X
ბენეფიციართა განცხადებების მიღება	X	X	X	X
განცხადებების განხილვა	X	X	X	X
ვაუჩერის გაცემა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

განვითარების შეფერხების მქონე ბავშვების განვითარების სტიმულირება, სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა, ბავშვისა და ოჯახის გაძლიერება

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ბენეფიციართა ქვეპროგრამაში ჩართვა	ბენეფიციართა დაკმაყოფილების მაჩვენებელი	90%	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი
ბენეფიციართა რაოდენობა	რაოდენობა (არანაკლებ)	270	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი
ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება	რეაბილიტაციის კურსის რაოდენობა	3240	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 060501

ქვეპროგრამის დასახელება:

ძვალ-სახსროვანი სისტემის დეფორმაციის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	213,600
სულ ბიუჯეტი:	213,600

ქვეპროგრამის მიზანი:

ძვალ-სახსროვანი სისტემის დეფორმაციის მქონე 18 წლამდე ასაკის მოზარდებისათვის რეაბილიტაციის კურსების მიწოდება.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამით განსაზღვრული დიაგნოზის მქონე ბავშვებისათვის სარეაბილიტაციო ღონისძიებების მიწოდება ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს განეკუთვნება ძვალ-სახსროვანის სისტემის დეფორმაციის (მათ შორის სხვადასხვა ხარისხის სქოლიოზი, მენჯ-ბარძაყის თანდაყოლილი ამოვარდნილობა, დისპლაზია, ტერფმრუდობა და სხვა) მქონე 18 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქეები. სამიზნე ჯგუფისთვის გაწეული მომსახურება მოიცავს ექიმ-სპეციალისტის (ორთოპედ-ტრავმატოლოგი, რეაბილიტოლოგი) კონსულტაციას, სარეაბილიტაციო ღონისძიებების ჩატარებას (სამკურნალო ფიზიკულტურა, სამკურნალო მასაჟი, ელექტროფორეზი - პაციენტის საჭიროებების მიხედვით), მშობლისათვის სამკურნალო ფიზიკულტურის სახლის პირობებში ჩატარების სწავლებას. პაციენტებს რეაბილიტაციის კურსით გათვალისწინებული ღონისძიებები ჩაუტარდებათ ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად, რომელიც უნდა მოიცავდეს ქვეპროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებებს და რომლის ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ქვეპროგრამით გათვალისწინებული სრული კურსის ტარიფს. ქვეპროგრამით გაწეული მომსახურება (1 კურსი - არანაკლებ 10 დღისა და 30 ღონისძიებისა) ბენეფიციარებს დაუფინანსდებათ მომსახურების ღირებულების 100%-ით, მაგრამ არა უმეტეს ქვეპროგრამით განსაზღვრული ტარიფისა - 1 კურსის ღირებულება 178 ლარის ოდენობით.

წლის განმავლობაში ერთ ბენეფიციარს დაუფინანსდება არაუმეტეს 2 სარეაბილიტაციო კურსისა.

ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან:

1. ბავშვები, რომელთა ოჯახები რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში 0-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით;
2. ბავშვები, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფო მზრუნველობაში;
3. შშმ სტატუსის მქონე ბავშვები.

ქვეპროგრამა განხორციელდება სოციალური ვაუჩერის საშუალებით, ბენეფიციართა ქვეპროგრამაში ჩართვა განხორციელდება მომართვიანობის მიხედვით.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- განცხდება;
- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა, სადაც მითითებული უნდა იყოს დიაგნოზი ICD-10 მიხედვით და რეაბილიტაციის კურსის საჭიროება (ექიმ-სპეციალისტის - ორთოპედ/ტრავმატოლოგის დასკვნის საფუძველზე);

- ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია ბავშვის იდენტიფიკაცია;

- მშობლის ან ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ან სხვა დოკუმენტი რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია (კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევაში, ასევე კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი);

- ბენეფიციარობის დამადასტურებელი საბუთი

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად არიან რეგისტრირებულნი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, გარდა ქ.ბათუმში რეგისტრირებული 1 წლამდე ასაკის ბავშვებისა, რომლებიც ჩართული არიან "ბავშვთა მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის მკურნალობა" ქვეპროგრამაში. ამასთანავე, 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის ერთი-ერთი მშობელი მაინც უწყვეტადაა რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე (წყვეტილობის არსებობის შემთხვევაში პირი არ უნდა იყოს რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ტერიტორიის გარეთ).

დასახელება	პროდუქტები		
	კურსის რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
რეაბილიტაციის კურსების ჩატარება	1200	178	213,600
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			213,600

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების შერჩევა	X	X	X	X
ბენეფიციართა განცხადებების მიღება	X	X	X	X
განცხადებების განხილვა	X	X	X	X
ვაუჩერის გაცემა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, გართულებების პრევენცია.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ბენეფიციართა ქვეპროგრამაში ჩართულობა	ბენეფიციართა დაკმაყოფილების მაჩვენებელი	90%	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი
ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.	რეაბილიტაციის კურსის რაოდენობა	1200	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი
ბენეფიციართა რაოდენობა	რაოდენობა (არანაკლებ)	600	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 060503

ქვეპროგრამის დასახელება:

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა სოციალური ადაპტაცია

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	27,000
სულ ბიუჯეტი:	27,000

ქვეპროგრამის მიზანი:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების უზრუნველყოფა მათ საჭიროებებზე მორგებული სამედიცინო, პედაგოგიური და სარეაბილიტაციო მომსახურების კურსებით.

ქვეპროგრამის აღწერა:

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვების საჭიროებების კვლევა, რეაბილიტაციის და სამედიცინო მომსახურების ორგანიზება სადღეღამისო ცენტრში, სადაც 15 დღიანი კურსის განმავლობაში განხორციელდება შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა სამედიცინო მეთვალყურეობა, მათ საჭიროებებზე მორგებული სწავლება, ფიზიკური რეაბილიტაცია, ფსიქოლოგიური დახმარება, სადღეღამისო მომსახურება კვებით, სოციალური უნარ-ჩვევების სწავლება, საგანმანათლებლო და გასართობი ღონისძიებების ორგანიზება, რისთვისაც გათვალისწინებულია 20 ლარი დღეში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის ოჯახურთან მიახლოებული გარემოს შექმნის მიზნით ბავშვის ჩართვა ქვეპროგრამაში განხორციელდება მშობელთან ან ოჯახის სრულწლოვან წევრთან ერთად.

მომსახურების მიღება განხორციელდება სოციალური ვაუჩერის მეშვეობით. ქვეპროგრამაში ჩართვა განხორციელდება მომართვიანობის მიხედვით მომსახურების მიღების უპირატესი უფლების დაცვით. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიღება შესაძლებელია არაუმეტეს 2-ჯერ წელიწადში.

ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების მიღების უპირატესი უფლებით სარგებლობენ (რიგითობის დაცვით):

1. შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები, რომლებიც დარეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში 70 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით;
2. შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები, რომლებიც დარეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში 70 000-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით;
3. თუ ოჯახში ერთზე მეტ ბავშვს ესაჭიროება დახმარება ქვეპროგრამის ფარგლებში;
4. სხვა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- განცხადება;
- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა, სადაც მითითებული უნდა იყოს ადაპტაციის კურსის საჭიროება;
- ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი, ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია ბავშვის იდენტიფიკაცია.
- მშობლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია (კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევაში, ასევე კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი);
- ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან (არსებობის შემთხვევაში);
- შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი ცნობის ასლი.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად არიან რეგისტრირებულნი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ამასთანავე, 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის ერთი-ერთი მშობელი მანც უწყვეტადაა რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე (წყვეტილობის არსებობის შემთხვევაში, პირი არ უნდა იყოს რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ტერიტორიის გარეთ).

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
შშმ ბავშვებისათვის ადაპტაციის კურსების დაფინანსება	30	600	18,000
შშმ ბავშვების მშობლების ან ოჯახის წევრების დაფინანსება	30	300	9,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			27,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების შერჩევა	X	X	X	X
მოქალაქეთა განცხადებების მიღება	X	X	X	X
წარმოდგენილი განცხადებების განხილვა	X	X	X	X
ვაუჩერის გაცემა		X		X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების სოციალური ადაპტაციური შესაძლებლობების გაძლიერება და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების სოციალური ადაპტაციის ამაღლება და საზოგადოებაში ინტეგრაციის გაუმჯობესება	რეაბილიტაციის კურსის რაოდენობა	60	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების რეაბილიტაციის პროცესში მშობლების ან ოჯახის წევრების ჩართულობა	ჩართულობის მაჩვენებელი	90%	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი
ბენეფიციართა რაოდენობა	რაოდენობა	30	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

060505

ქვეპროგრამის დასახელება:

აუტიზმის სპექტრის დარღვევების მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	180,000
სულ ბიუჯეტი:	180,000

ქვეპროგრამის მიზანი:

აუტიზმის სპექტრის დარღვევების მქონე ბავშვთა განვითარების სტიმულირება და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამით განსაზღვრული დიაგნოზის მქონე ბავშვების სოციალური, მოტორული, შემეცნებითი, კომუნიკაციური, თვითმოვლის და დამოუკიდებლად ფუნქციონირების უნარების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფებს მიეკუთვნება დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) განვითარების ზოგადი აშლილობების (F84.0 F84.9) ჯგუფის დიაგნოზის მქონე 2-დან 18 წლამდე ასაკის ჩათვლით ბავშვები.

ბენეფიციარს ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მიეწოდება მულტიდისციპლინური ჯგუფის (ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, ნევროლოგი, ლოგოპედი, სპეციალური პედაგოგი, ქცევითი თერაპევტი და სხვა) მიერ ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შესაბამისად. სამიზნე ჯგუფისთვის გაწეული მომსახურება (1 კურსი-15 სესიონი, მათ შორის გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპიის მინიმალური რაოდენობა - 12 სესიონი) დაუფინანსდებათ მომსახურების ღირებულების 100%-ით, მაგრამ არაუმეტეს ქვეპროგრამით განსაზღვრული ტარიფისა - 1 კურსის ღირებულება 300 ლარის ოდენობით.

ქვეპროგრამის მოსარგებლები არიან საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის მომენტში, გარდა ქ. ბათუმში რეგისტრირებული მოქალაქეებისა. ამასთანავე, 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის ერთი-ერთი მშობელი მანინ უწყვეტადაა რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე (წყვეტილობის არსებობის შემთხვევაში, პირი არ უნდა იყოს რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ტერიტორიის გარეთ).

ქვეპროგრამა განხორციელდება სოციალური ვაუჩერის საშუალებით, რომელიც შედგება შესაბამისი თვეების ტალონებისაგან. იგი გაიცემა ბენეფიციარის ქვეპროგრამაში ჩართვის თვიდან თითოეულ მომდევნო თვეზე საბიუჯეტო წლის ბოლომდე, მაგრამ არაუმეტეს ბავშვის 18 წლის ასაკის მიღწევის თვის ჩათვლით.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- განცხადება;
 - ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა, სადაც მითითებული უნდა იყოს დიაგნოზი ICD-10 მიხედვით, ADOS ტესტის შედეგი და კომპლექსური თერაპიის საჭიროება;
 - ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია ბავშვის იდენტიფიკაცია;
 - მშობლის ან ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია (კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევაში, ასევე კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი);
 - შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი ცნობის ასლი (არსებობის შემთხვევაში);
- ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან (არსებობის შემთხვევაში).

ქვეპროგრამაში ჩართვა განხორციელდება მომართვიანობის მიხედვით მომსახურების მიღების უპირატესი უფლების დაცვით.

ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების მიღების უპირატესი უფლებით სარგებლობენ (რიგითობის დაცვით):

1. ბენეფიციარები, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში 0-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით;
2. თუ ოჯახში ერთზე მეტ ბავშვს ესაჭიროება დახმარება ქვეპროგრამის ფარგლებში;
3. მრავალშვილიანი ოჯახის წევრები.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
კომპლექსური თერაპიის დაფინანსება	600	300	180,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			180,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების შერჩევა	X	X	X	X
ბენეფიციართა განცხადებების მიღება	X	X	X	X
განცხადებების განხილვა	X	X	X	X
ვაუჩერის გაცემა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

აუტიზმის სპექტრის დარღვევების მქონე ბავშვთა განვითარების სტიმულირება, სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა, ბავშვისა და ოჯახის გაძლიერება

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
აუტიზმის სპექტრის დარღვევების მქონე ბავშვთა განვითარების სტიმულირება, სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა, ბავშვისა და ოჯახის გაძლიერება	რეაბილიტაციის კურსის რაოდენობა	600	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი
აუტიზმის სპექტრის დარღვევების მქონე ბავშვების რეაბილიტაციის პროცესში ჩართულობა	ჩართულობის მაჩვენებელი	90%	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი
ბენეფიციართა რაოდენობა	რაოდენობა	50	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

060508

ქვეპროგრამის დასახელება:

სმენაპროთეზირებულ ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	6,200
სულ ბიუჯეტი:	6,200

ქვეპროგრამის მიზანი:

სმენაპროთეზირებული ბავშვების უზრუნველყოფა მათ საჭიროებებზე მორგებული სარეაბილიტაციო მომსახურების კურსებით.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამით განსაზღვრული სამიზნე ჯგუფის სარეაბილიტაციო მომსახურების ორგანიზება. სამიზნე ჯგუფს მიეკუთვნება 10 წლის ასაკამდე სხვადასხვა ხარისხის სმენადაქვეითებული სმენაპროთეზირებული (სმენის აპარატი, კოხლეარული იმპლანტი) ბავშვები.

ბენეფიციარს ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება (1 კურსი: მეტყველების თერაპიის 10 ვიზიტი, მათ შორის 5 ინდივიდუალურ და 5 ჯგუფურ მეცადინეობას და მუსიკათერაპიის 4 ვიზიტი. ერთი ვიზიტის ხანგრძლივობა არანაკლებ 30 წუთისა) მიეწოდება ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად. ქვეპროგრამა, ასევე, ითვალისწინებს რეაბილიტაციის პროცესში მშობლების მონაწილეობას, მათი პრაქტიკული ჩვევების განვითარებასა და შემდგომი სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

სამიზნე ჯგუფისთვის გაწეული მომსახურება ანაზღაურდება მომსახურების ღირებულების 100%-ით, მაგრამ არაუმეტეს ქვეპროგრამით განსაზღვრული ტარიფისა - ერთი კურსი 310 ლარის ოდენობით.

წლის განმავლობაში ბენეფიციარებს დაუფინანსდებათ არაუმეტეს ორი სარეაბილიტაციო კურსისა.

მომსახურების მიღება განხორციელდება სოციალური ვაუჩერის მეშვეობით.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- განცხადება;

- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა, სადაც მითითებული უნდა იყოს დიაგნოზი ICD-10 მიხედვით და რეაბილიტაციის კურსის საჭიროება (ექიმ-სპეციალისტის დასკვნის საფუძველზე);

- ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი, ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია ბავშვის იდენტიფიკაცია.

- მშობლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია (კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევაში, ასევე კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი);

- ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

- შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი ცნობის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის მომენტში, გარდა ქ. ბათუმში რეგისტრირებული მოქალაქეებისა. ამასთანავე, ერთი-ერთი მშობელი მაინც უწყვეტადაა რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის (წყვეტილობის არსებობის შემთხვევაში, პირი არ უნდა იყოს რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ტერიტორიის გარეთ).

დასახელება		პროდუქტები		
		რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
რეაბილიტაციის კურსების ჩატარება		20	310	6,200
რეაბილიტაციის კურსით გათვალისწინებული ღონისძიებები	ღონისძიებათა სარეკომენდაციო რაოდენობა			
მეტყველების ენის თერაპია	10			
მუსიკათერაპია	4			
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი				6,200

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების შერჩევა	X	X	X	X
მოქალაქეთა განცხადებების მიღება	X	X	X	X
წარმოდგენილი განცხადებების განხილვა	X	X	X	X
ვაუჩერის გაცემა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

სმენაპროთეზირებული ბავშვებისათვის რეაბილიტაციის სერვისებზე ხელმისაწვდომობა გაზრდილია, ბავშვის ადაპტაციური შესაძლებლობა გაუმჯობესებულია, მშობლის უნარ-ჩვევები ამაღლებულია და ოჯახი გამლიერებულია

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
სმენაპროთეზირებული ბავშვების განვითარების სტიმულირება, სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა, ბავშვისა და ოჯახის გაძლიერება	რეაბილიტაციის კურსის რაოდენობა	20	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი
სმენაპროთეზირებული ბავშვების რეაბილიტაციის პროცესში ჩართულობა	ჩართულობის მაჩვენებელი	90%	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი
ბენეფიციართა რაოდენობა	რაოდენობა	10	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

მოსახლეობის სოციალური დაცვა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

0606

პროგრამის დასახელება:

მოსახლეობის გარკვეული სოციალური კატეგორიების ერთჯერადი მატერიალური დახმარება

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	1,523,150	380,900	380,750	380,750	380,750
სულ ბიუჯეტი:	1,523,150	380,900	380,750	380,750	380,750

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2020-2023 წლები

პროგრამის მიზანი:

მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების ერთჯერადი მატერიალური დახმარება.

პროგრამის აღწერა:

- 100 წელს გადაცილებული მოქალაქეების ერთჯერადი დახმარება - 100 წელს გადაცილებული მოქალაქეებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების (1000 ლარი) გაცემა
- ახალშობილი ტყუპების ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება - ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა იმ ოჯახებზე, სადაც დაიბადება ტყუპი - 2 ბავშვი 2000 ლარის, 3 ბავშვი - 3000 ლარის, 4 ბავშვი - 4000 ლარის ოდენობით (ტყუპისცალზე -1000 ლარი) და ა.შ.
- მზრუნველობამოკლებულ პირთა რეინტეგრაციის ხელშეწყობა - მზრუნველობამოკლებულ (სახელმწიფო მზრუნველობის შეწყვეტის შემდეგ) პირთა მატერიალური მხარდაჭერა, დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადების ხელშეწყობა საზოგადოებაში სრული რეინტეგრაცია, რისთვისაც გათვალისწინებულია თითოეულ ბენეფიციარზე 15 ლარი დღეში. 2008 წლის რუსული აგრესიის შედეგად დაღუპულთა, დაზიანების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მეომართა და 2012 წელს ავღანეთში დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების დახმარება -მატერიალური დახმარება გაეწევა საომარი მოქმედებების დროს დაღუპული/ დაზიანების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მეომრების ოჯახებს:
- დედისა და ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მატერიალური დახმარება გაეწევა დედებსა და მეუღლეებს თითოეულს 1000 ლარის ოდენობით.
- ავგისტოს თვეში ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწევა მეომრების ოჯახებს - თითოეულს 3000 ლარის ოდენობით.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
100 წელს გადაცილებული მოქალაქეების ერთჯერადი დახმარება	264,000	66,000	66,000	66,000	66,000
ახალშობილი ტყუპების ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება	600,000	150,000	150,000	150,000	150,000
მზრუნველობამოკლებულ პირთა რეინტეგრაციის ხელშეწყობა	219,150	54,900	54,750	54,750	54,750
2008 წლის რუსული აგრესიის შედეგად დაღუპულთა, დაზიანების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მეომართა და 2012 წელს ავღანეთში დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების დახმარება	440,000	110,000	110,000	110,000	110,000
სულ პროგრამა	1,523,150	380,900	380,750	380,750	380,750

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

პროგრამის ფარგლებში 2019 წელს მატერიალური დახმარება გაეწია 234 მოქალაქეს

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწევა არაუმეტეს 282 მოქალაქეს

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების სოციალური დახმარება

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
	რაოდენობა	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი				
დაღუპული და შშმ მეომრების დედებისა და მეუღლეების დახმარება	დაღუპული და შშმ მეომრების დედებისა და მეუღლეების დახმარება	29	28	28	28	რაოდენობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტები ს გამგეობებიდან და თვითმმართველი ქალაქ ბათუმის მერიიდან ბენეფიციართა სიების გამოთხოვა
	დაღუპული და შშმ მეომრების ოჯახების სოციალური და მორალური დახმარება.	დაღუპული და შშმ მეომრების ოჯახების დახმარება	27	26	26	26	რაოდენობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების სოციალური დახმარება	ბენეფიციართა რაოდენობა	226	226	226	226	რაოდენობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი; სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ფილიალიდან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების გამგეობებიდან და თვითმმართველი ქალაქ ბათუმის მერიიდან ბენეფიციართა სიების გამოთხოვა

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

მოსახლეობის გარკვეული სოციალური კატეგორიების ერთჯერადი მატერიალური დახმარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 060601

ქვეპროგრამის დასახელება:

100 წელს გადაცილებული მოქალაქეების ერთჯერადი დახმარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	66,000
სულ ბიუჯეტი:	66,000

ქვეპროგრამის მიზანი:

100 წელს გადაცილებული მოქალაქეების დამატებითი მატერიალური დახმარება.

ქვეპროგრამის აღწერა:

100 წელს გადაცილებულ მოქალაქეების ერთჯერადი მატერიალური დახმარების ქვეპროგრამა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედებს 2002 წლიდან, რაც ითვალისწინებს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგისტრირებულ 100 წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე ერთჯერადი დახმარების გაწევას. ქვეპროგრამა აქტუალურია იმიტომ, რომ აღნიშნულ მოქალაქეთა უმრავლესობა განიცდის ეკონომიურ სიდუხჭირეს და მისი განხორციელება ხელს შეუწყობს მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარება გაცემა სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ფილიალიდან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების გამგეობებიდან და თვითმმართველი ქალაქ ბათუმის მერიიდან წარმოდგენილი სიების საფუძველზე. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ერთჯერადი მატერიალური დახმარება - 1000 ლარის ოდენობით ბენეფიციარს ჩაერიცხება საბანკო ანგარიშზე.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც რომლებიც მატერიალური დახმარების გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებული არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არანაკლებ 1 წელზე მეტი ვადით (წყვეტილობის არსებობის შემთხვევაში, პირი არ უნდა იყოს რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ტერიტორიის გარეთ).

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
100 წელს გადაცილებული მოქალაქეების ერთჯერადი დახმარება	66	1,000	66,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			66,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მოქალაქეთა სიების გამოთხოვა მუნიციპალიტეტების გამგეობებიდან და მერიიდან	X			
წარმოდგენილი სიების გადამოწმება	X	X	X	X
თანხის გაცემა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

100 წელს გადაცილებული მოქალაქეების სოციალური დახმარება.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
100 წელს გადაცილებული მოქალაქეების სოციალური დახმარება	100 და მეტი წლის მოქალაქეების რაოდენობა	66	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ფილიალიდან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიცი-პალიტეტების გამგეობებიდან და თვითმმართველი ქალაქ ბათუმის მერიიდან გამოთხოვილი მოქალაქეთა სიები

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

მოსახლეობის გარკვეული სოციალური კატეგორიების ერთჯერადი მატერიალური დახმარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 060602

ქვეპროგრამის დასახელება:

ახალშობილი ტყუპების ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	150,000
სულ ბიუჯეტი:	150,000

ქვეპროგრამის მიზანი:

ახალშობილი ტყუპების ოჯახების მატერიალური დახმარება.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იქნება ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა იმ ოჯახებზე, სადაც დაიბადება ტყუპი - ტყუპისცალზე გაიცემა დახმარება 1000 ლარის ოდენობით. დახმარების თანხა ჩაირიცხება მშობლის (დედის ან მამის) საბანკო ანგარიშზე. ერთჯერადი დახმარების მისაღებად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უნდა წარედგინოს:

- დაინტერესებული პირის განცხადება;
- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა;
- მშობლების პირადობის მოწმობების (ან სხვა დოკუმენტის, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია) ასლები;
- ახალშობილების დაბადების მოწმობების ასლები;
- საბანკო რეკვიზიტები.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც ტყუპების გაჩენისა და მატერიალური დახმარების გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებული არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არანაკლებ 1 წელზე მეტი ვადით (წყვეტილობის არსებობის შემთხვევაში, პირი არ უნდა იყოს რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ტერიტორიის გარეთ).

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ახალშობილი ტყუპების ოჯახებისათვის დახმარების გაწევა	150	1,000	150,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			150,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მოქალაქეთა განცხადებების მიღება	X	X	X	X
წარმოდგენილი განცხადებების განხილვა	X	X	X	X
თანხის გაცემა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ტყუპების ოჯახების სოციალური დახმარება

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ტყუპების ოჯახების სოციალური დახმარება	ბენეფიციართა რაოდენობა	150	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

მოსახლეობის გარკვეული სოციალური კატეგორიების ერთჯერადი მატერიალური დახმარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 060606

ქვეპროგრამის დასახელება:

2008 წლის რუსული აგრესიის შედეგად დაღუპულთა, დაზიანების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მეომართა და 2012 წელს ავღანეთში დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების დახმარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	110,000
სულ ბიუჯეტი:	110,000

ქვეპროგრამის მიზანი:

2008 წლის აგვისტოში საქართველოს ტერიტორიაზე განვითარებული საომარი მოქმედების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/დაღუპულ და 2012 წელს ავღანეთში საერთაშორისო სამხედრო ოპერაციის შესრულების დროს დაღუპულ მეომართა ოჯახების სოციალური და მორალური მხარდაჭერა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს 2008 წლის აგვისტოს თვეში განვითარებული საომარი მოქმედებების შედეგად დაღუპული 20 სამხედრო მოსამსახურის, მიღებული დაზიანებების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე 4 მეომრის ასევე, 2012 წელს ავღანეთში საერთაშორისო სამხედრო ოპერაციის შესრულების დროს დაღუპულ 3 მეომრის ოჯახებზე მატერიალური დახმარების გაწევას:

- დედისა და ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მატერიალური დახმარება გაეწევა დაღუპული//მიღებული დაზიანებების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სამხედრო მოსამსახურის დედებსა და მეუღლეებს თითოეულს 1000 ლარის ოდენობით, სულ 29 ბენეფიციარს.
- აგვისტოს თვეში ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწევა 27 მეომრის ოჯახს - თითოეულს 3000 ლარის ოდენობით.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარების მისაღებად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების გამგეობებიდან და თვითმმართველი ქალაქ ბათუმის მერიიდან წარმოდგენილი უნდა იქნას ქვეპროგრამის ბენეფიციართა და მათი ოჯახის წევრთაგან მატერიალური დახმარების მიმღებ პირთა სია და საბანკო რეკვიზიტები. შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის შუამდგომლობის საფუძველზე დასაშვებია ოჯახის დახმარების თანხის წილობრივი გაცემა მეუღლეზე, მშობელზე, შვილზე ან შვილის კანონიერ წარმომადგენელზე.

ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან:

2008 წლის აგვისტოს თვეში განვითარებული საომარი მოქმედებების შედეგად დაღუპული/მიღებული დაზიანებების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე და 2012 წელს ავღანეთში საერთაშორისო სამხედრო ოპერაციის შესრულების დროს დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრები, რომლებიც მატერიალური დახმარების გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებული არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არანაკლებ 1 წელზე მეტი ვადით (წყვეტილობის არსებობის შემთხვევაში, პირი არ უნდა იყოს რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ტერიტორიის გარეთ).

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
დაღუპულთა და შშმ მეომრების ოჯახების დახმარება დედისა და ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით	29	1,000	29,000

დადუპულთა და შშმ მეომრების ოჯახების დახმარება 2008 წლის აგვისტოს ომის წლისთავთან დაკავშირებით	27	3,000	81,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			110,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ბენეფიციართა სიების გამოთხოვა მუნიციპალიტეტების გამგეობებიდან და მერიიდან	X		X	
თანხის გაცემა	X		X	

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

დადუპული და შშმ მეომრების ოჯახების სოციალური და მორალური დახმარება.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
დაღუპული და შშმ მეომრების ოჯახების სოციალური და მორალური დახმარება.	დაღუპული და შშმ მეომრების დედებისა და მეუღლეების დახმარება	29	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტები ს გამგეობებიდან და თვითმმართველი ქალაქ ბათუმის მერიიდან ბენეფიციართა სიების გამოთხოვა
	დაღუპული და შშმ მეომრების ოჯახების დახმარება	27	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტები ს გამგეობებიდან და თვითმმართველი ქალაქ ბათუმის მერიიდან ბენეფიციართა სიების გამოთხოვა

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

მოსახლეობის გარკვეული სოციალური კატეგორიების ერთჯერადი მატერიალური დახმარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 060607

ქვეპროგრამის დასახელება:

მზრუნველობამოკლებულ პირთა რეინტეგრაციის ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	54,900
სულ ბიუჯეტი:	54,900

ქვეპროგრამის მიზანი:

მზრუნველობამოკლებულ (სახელმწიფო მზრუნველობის შეწყვეტის შემდეგ) პირთა მატერიალური მხარდაჭერა, დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადების ხელშეწყობა, საზოგადოებაში სრული რეინტეგრაცია.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს 18-დან 25 წლამდე ასაკის პირები, რომლებიც აღარ იმყოფებიან სახელმწიფო ზრუნვაში, არ ჰყავთ თანადგომის ქსელი და ვერ ხერხდება მათი ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაცია. ქვეპროგრამა აქტუალურია იმიტაც, რომ სახელმწიფო მზრუნველობის შეწყვეტის შემდეგ მათი უმრავლესობა განიცდის არამართვითი ეკონომიკურ პრობლემებს, არამედ არ გააჩნიათ საცხოვრებელი ფართი. ქვეპროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს მათი მატერიალური მდგომარეობისა და ყოფითი პირობების გაუმჯობესებას, პროფესიული განათლების მიღებისა და შემდგომი დასაქმების პერსპექტივით, რისთვისაც გათვალისწინებულია 15 ლარი დღეში. ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარება გაიცემა სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ფილიალიდან წარმოდგენილი სიისა და შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე ბენეფიციარს ყოველთვიურად ჩაერიცხება თანხა საბანკო ანგარიშზე. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც მატერიალური დახმარების გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებული არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არანაკლებ 1 წელზე მეტი ვადით (წყვეტილობის არსებობის შემთხვევაში, პირი არ უნდა იყოს რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ტერიტორიის გარეთ) და ვეღარ სარგებლობენ "სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამით".

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. სამ. ფასი	სულ (ლარი)
მზრუნველობამოკლებულ პირთა მატერიალური დახმარება	10	5,490	54,900
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			54,900

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მოქალაქეთა განცხადებების მიღება	X	X	X	X
წარმოდგენილი განცხადებების განხილვა	X	X	X	X
თანხის გაცემა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ბენეფიციართა მატერიალური, ფსიქოსოციალური და ყოფითი პირობები გაუმჯობესებულია

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ბენეფიციართა მატერიალური, ფსიქოსოციალური და ყოფითი პირობები გაუმჯობესებულია	ბენეფიციართა რაოდენობა	10	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

მოსახლეობის სოციალური დაცვა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

0607

პროგრამის დასახელება:

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა და ხანდაზმულთა უზრუნველყოფა დამხმარე საშუალებებით

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	2,854,400	713,600	713,600	713,600	713,600
სულ ბიუჯეტი:	2,854,400	713,600	713,600	713,600	713,600

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2020-2023 წლები

პროგრამის მიზანი:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა, მოზრდილთა და ხანდაზმულ პირთა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა.

პროგრამის აღწერა:

-შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფა - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირებზე სავარძელ- ეტლების გაცემა, მორგება, გამოყენებასთან დაკავშირებული სარეკომენდაციო-საკონსულტაციო და ტექნიკური მომსახურების გაწევა, საგარანტიო მომსახურება
-სმენადაქვეითებულ მოქალაქეთა სმენის აპარატებით უზრუნველყოფა - სმენადაქვეითებულ პირებზე სმენის აპარატების გაცემა, მორგება, გამოყენებასთან დაკავშირებული სარეკომენდაციო-საკონსულტაციო და ტექნიკური მომსახურების გაწევა, საგარანტიო მომსახურება.
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა სხვა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა - სხვადასხვა დამხმარე/მოვლის საშუალებათა საჭიროების მქონე პირთა, მათ შორის ხანგრძლივად მოავადე, იძულებითი წლითი რეჟიმის (ნევროლოგიური, ონკოლოგიური და სხვა პროფილის დაავადებები) პაციენტების მოვლისა და რეაბილიტაციის საშუალებებით უზრუნველყოფა.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
სმენადაქვეითებულ მოქალაქეთა სმენის აპარატებით უზრუნველყოფა	619,000	154,750	154,750	154,750	154,750
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფა	626,400	156,600	156,600	156,600	156,600
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა სხვა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა	1,609,000	402,250	402,250	402,250	402,250
სულ პროგრამა	2,854,400	713,600	713,600	713,600	713,600

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

პროგრამის ფარგლებში 2019 წელს დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფილი იქნა 845 ბენეფიციარი.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფილი იქნება არანაკლებ 883 ბენეფიციარი.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და ხანდაზმულთა სოციალური პირობები გაუმჯობესებულია, მათი ცხოვრების ხარისხი ამაღლებულია.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
		2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი				
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და ხანდაზმულთა სოციალური პირობები გაუმჯობესებულია, მათი ცხოვრების ხარისხი ამაღლებულია.	მოსახლეობის დაკმაყოფილების მაჩვენებელი	95%	95%	95%	95%	%	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი
	ბენეფიციართა რაოდენობა (არანაკლებ)	883	883	883	883	რაოდენობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა და ხანდაზმულთა უზრუნველყოფა დამხმარე საშუალებებით

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

060701

ქვეპროგრამის დასახელება:

სმენადაქვეითებულ მოქალაქეთა სმენის აპარატებით უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	154,750
სულ ბიუჯეტი:	154,750

ქვეპროგრამის მიზანი:

სმენადაქვეითებულ პირთა ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაციის ამაღლება.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სმენის აპარატის საჭიროების მქონე (III-IV ხარისხის სმენის დაქვეითების მქონე მოქალაქეები და 18 წლამდე ასაკის ნებისმიერი ხარისხის სმენადაქვეითებული ბავშვები) პირები. ქვეპროგრამის ფარგლებში სმენის აპარატებით უზრუნველყოფა განხორციელდება სოციალური ვაუჩერის მეშვეობით. მომსახურება დაფინანსდება ვაუჩერში მითითებული თანხით (ქვეპროგრამით გათვალისწინებული ტარიფი) სრულად. იმ შემთხვევაში, თუ სმენის აპარატის ღირებულება აღემატება ქვეპროგრამით გათვალისწინებულ თანხას, სხვაობას გადაიხდის ბენეფიციარი.

იმ შემთხვევაში, თუ ღირებულება ნაკლებია ქვეპროგრამით გათვალისწინებულზე, ანაზღაურება განხორციელდება ფაქტიური ღირებულების მიხედვით. ქვეპროგრამაში ჩართვა განხორციელდება მომართვიანობის მიხედვით მომსახურების მიღების უპირატესი უფლების დაცვით. საბიუჯეტო წლის განმავლობაში, ქვეპროგრამის ფარგლებში ერთ ბენეფიციარზე გაიცემა არაუმეტეს ერთი სმენის აპარატისა, გარდა 18 წლამდე ასაკის სმენადაქვეითებულ ბავშვებისა. შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, მათ დაუფინანსდებათ ორი სმენის აპარატი.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- განცხადება;
- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა, სადაც მითითებული უნდა იყოს სმენის აპარატის საჭიროება, ხოლო ადაპტირებული სმენის აპარატის შემთხვევაში, დამატებით, სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტი - ფორმა N IV-50/2.
- აუდიოგრამა;

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია; 18 წლამდე ასაკის პირის შემთხვევაში კი - დაბადების მოწმობის ასლი და მშობლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია (კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევაში, ასევე კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი);

- სმენის აპარატის ღირებულების წინასწარი ანგარიშ-ფაქტურა;

- შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი ცნობის ასლი (არსებობის შემთხვევაში)

ქვეპროგრამის ფარგლებში სმენის აპარატების გაცემისას უპირატესობა ენიჭებათ 18 წლამდე ასაკის ბავშვებსა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მოქალაქეებს.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ამასთანავე, 18 წლამდე ასაკის პირის შემთხვევაში, 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის ერთი-ერთი მშობელი მაინც უწყვეტად რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. წყვეტილობის არსებობის შემთხვევაში, პირი არ უნდა იყოს რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ტერიტორიის გარეთ.

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სმენის აპარატის ღირებულების ანაზღაურებისათვის განკუთვნილი ვაუჩერის დაფინანსების ლიმიტი სმენის აპარატის შესაბამისი სახეობების მიხედვით განისაზღვრა შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

დასახელება	პროგრამული კოდი	პროდუქტები		
		რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სმენადაქვეითებულ პირებზე სმენის აპარატების გაცემა, მორგება, გამოყენებასთან დაკავშირებული სარეკომენდაციო-საკონსულტაციო და ტექნიკური მომსახურების გაწევა, საგარანტიო მომსახურება.	70101	450	263	118,350
შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სმენადაქვეითებულ ბავშვებზე (18 წლის ასაკამდე) ადაპტირებული სმენის აპარატების გაცემა, მორგება, გამოყენებასთან დაკავშირებული სარეკომენდაციო-საკონსულტაციო და ტექნიკური მომსახურების გაწევა, საგარანტიო მომსახურება.	70102	26	1,400	36,400
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი				154,750

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების შერჩევა	X	X	X	X
მოქალაქეთა განცხადებების მიღება	X	X	X	X
წარმოდგენილი განცხადებების განხილვა	X	X	X	X
ვაუჩერების გაცემა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

სმენადაქვეითებულ მოქალაქეთა სმენის აპარატებით უზრუნველყოფა, მათი დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის ამაღლება

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
სმენადაქვეითებულ მოქალაქეთა სმენის აპარატებით უზრუნველყოფა, მათი დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის ამაღლება	ბენეფიციარების რაოდენობა (არაუმეტეს)	463	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა და ხანდაზმულთა უზრუნველყოფა დამხმარე საშუალებებით

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 060702

ქვეპროგრამის დასახელება:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	156,600
სულ ბიუჯეტი:	156,600

ქვეპროგრამის მიზანი:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა ცხოვრების ხარისხის და სოციალური ინტეგრაციის გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს გადაადგილების პრობლემების მქონე განსაზღვრული სოციალური კატეგორიის პირები, ხოლო ელექტრო სავარძელ-ეტლის საჭიროების შემთხვევაში- შშმ პირები, მათ შორის, 6-დან 18 წლამდე შშმ ბავშვები.

მექანიკური სავარძელ-ეტლის მოთხოვნისას ქვეპროგრამაში ჩართვა განხორციელდება მომართვიანობის მიხედვით მომსახურების მიღების უპირატესი უფლების დაცვით, ხოლო ელექტრო სავარძელ-ეტლის შემთხვევაში გადაწყვეტილებას მოქალაქის დაფინანსების შესახებ ღებულობს შესაბამისი კომისია, რომელიც იქმნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.

ქვეპროგრამა განხორციელდება სოციალური ვაუჩერის მეშვეობით. მომსახურება დაფინანსდება ვაუჩერში მითითებული თანხით (ქვეპროგრამით გათვალისწინებული ტარიფი) სრულად. იმ შემთხვევაში, თუ სავარძელ-ეტლის ღირებულება აღემატება ქვეპროგრამით გათვალისწინებულ თანხას, სხვაობას გადაიხდის ბენეფიციარი. იმ შემთხვევაში, თუ ღირებულება ნაკლებია ქვეპროგრამით გათვალისწინებულზე, ანაზღაურება განხორციელდება ფაქტიური ღირებულების მიხედვით.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ამასთანავე, 18 წლამდე ასაკის პირის შემთხვევაში კი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის ერთი-ერთი მშობელი მაინც უწყვეტადაა რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. წყვეტილობის არსებობის შემთხვევაში, პირი არ უნდა იყოს რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ტერიტორიის გარეთ.

ქვეპროგრამის ბენეფიციარები არიან:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მათ შორის ბავშვები;
- მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში 0-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით;
- ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანები;
- პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირები;
- თავშესაფარის კონტიგენტი.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსებისას უპირატესობა ენიჭებათ 18 წლამდე ასაკის ბავშვებსა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- განცხადება;
- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა, ხოლო ელექტრო სავარძელ-ეტლის შემთხვევაში სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტი - ფორმა N IV-50/2, სადაც მითითებული იქნება კომპონენტით გათვალისწინებული სავარძელ-ეტლის საჭიროება;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია; 18 წლამდე ასაკის შემთხვევაში ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია ბავშვის იდენტიფიკაცია და მშობლის ან ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია (კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევაში, ასევე კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი);

- სავარძელ-ეტლის/ელექტრო სავარძელ-ეტლის ღირებულების წინასწარი ანგარიშ-ფაქტურა;

- ქვეპროგრამის ბენეფიციარის დამადასტურებელი საბუთი.

ამასთანავე, 6-დან 14 წლამდე ასაკის ბავშვის შემთხვევაში წარმოდგენილ დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს:

- ელექტრო სავარძელ-ეტლით დამოუკიდებლად სარგებლობის უნარების შეფასების შედეგები;

- სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი, დადასტურებული დოკუმენტი ელექტრო სავარძელ-ეტლის დამოუკიდებლად სარგებლობის შესაძლებლობისა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობის შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება წარდგენილი დადასტურებული აღნიშნული დოკუმენტი შეფასებისა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობის შესახებ – 6-იდან 14 წლამდე ასაკის შშმ ბავშვს გადაეცემა მექანიკური სავარძელ-ეტლი.

მექანიკური სავარძელ - ეტლის მოთხოვნის შემთხვევაში - დამხმარე საშუალების გაცემა შესაძლებელია სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა - ს საფუძველზეც, რომლის მიხედვით სამედიცინო დიაგნოზი შეესაბამება ქვეპროგრამით განსაზღვრულ ჩამონათვალს:

ა) გულის ქრონიკული უკმარისობა III ხარისხის;

ბ) ფილტვ-გულის ქრონიკული უკმარისობა III ხარისხის;

გ) ჰემიპლეგია, მკვეთრად გამოხატული ჰემიპარეზი, ქვედა პარაპლეგია, მკვეთრად გამოხატული ქვედა პარაპარეზი, ტრიპლეგია, მკვეთრად გამოხატული ტრიპარეზი, ტეტრაპლეგია, მკვეთრად გამოხატული ტეტრაპარეზი, მიოპათიები, მოძრაობის მკვეთრად გამოხატული მოშლით;

დ) მკვეთრად გამოხატული ატაქსია, ჰიპერკინეზული ან ამიოსტატიკური სინდრომი;

ე) ორივე წვივის ტაკვი ან უფრო მაღალი დონის ამპუტაციები;

ვ) ორივე ქვედა კიდურის მსხვილი სახსრების (ორი ან მეტი) ანკილოზი ან მკვეთრი კონტრაქტურა;

ზ) წვივის ტაკვი, შერწყმული მეორე ქვედა კიდურის ფუნქციის მნიშვნელოვნად გამოხატულ დარღვევასთან.

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სავარძელ-ეტლების ღირებულების ანაზღაურებისათვის განკუთვნილი ვაუჩერის დაფინანსების ლიმიტი შესაბამისი სახეობების მიხედვით განისაზღვრა შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

დასახელება	პროგრამული კოდი	ერთეულის დაფინანსების ლიმიტი (ლარებით)
შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებზე ელექტრო სავარძელ- ეტლების გაცემა, მორგება, გამოყენებასთან დაკავშირებული სარეკომენდაციო-საკონსულტაციო და ტექნიკური მომსახურების გაწევა, საგარანტიო მოსახურება.	70201	3,580
ხანდაზმულ პირებზე სავარძელ- ეტლის გაცემა, მორგება, გამოყენებასთან დაკავშირებული სარეკომენდაციო-საკონსულტაციო და ტექნიკური მომსახურების გაწევა, საგარანტიო მოსახურება.	70202	300
შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებზე, მათ შორის ბავშვებზე ადაპტირებული მექანიკური სავარძელ-ეტლის გაცემა, მორგება, გამოყენებასთან დაკავშირებული სარეკომენდაციო-საკონსულტაციო და ტექნიკური მომსახურების გაწევა, საგარანტიო მოსახურება.	70203	550
საერთო ბიუჯეტი		156,600

ქვეპროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 156 600 ლარით, მათ შორის ელექტრო სავარძელ-ეტლისათვის არაუმეტეს 71 600 ლარით.

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების შერჩევა	X	X	X	X
მოქალაქეთა განცხადებების მიღება	X	X	X	X
წარმოდგენილი განცხადებების განხილვა	X	X	X	X
ვაუჩერების გაცემა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ბენეფიციართა სოციალური პირობების ნაწილობრივი გაუმჯობესება, გადაადგილების მოთხოვნის დაკმაყოფილება სავარძელ-ეტლებით.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ბენეფიციართა სოციალური პირობების ნაწილობრივი გაუმჯობესება, გადაადგილების მოთხოვნის დაკმაყოფილება სავარძელ-ეტლებით	ბენეფიციართა ჩართულობის მაჩვენებელი	95%	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა და ხანდაზმულთა უზრუნველყოფა დამხმარე საშუალებებით

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

060704

ქვეპროგრამის დასახელება:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა სხვა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	402,250
სულ ბიუჯეტი:	402,250

ქვეპროგრამის მიზანი:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, სოციალური და მორალური მხარდაჭერა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს განეკუთვნება სხვადასხვა დამხმარე/მოვლის საშუალებათა საჭიროების მქონე პირები, მათ შორის ხანგრძლივად მოავადე (ნევროლოგიური, ონკოლოგიური და სხვა პროფილის დაავადებები) პაციენტები, რომელთაც აქვთ იძულებითი წოლითი რეჟიმი.

გადაწყვეტილებას მოქალაქის დაფინანსების შესახებ ღებულობს შესაბამისი კომისია, რომელიც იქმნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.

ქვეპროგრამა განხორციელდება სოციალური ვაუჩერის მეშვეობით. მიწოდებული საქონლის(მომსახურების) ღირებულება დაფინანსდება სრულად ფაქტობრივი ღირებულების შესაბამისად ვაუჩერში მითითებული თანხით, მაგრამ არა უმეტეს ქვეპროგრამით გათვალისწინებული ლიმიტისა. იმ შემთხვევაში, თუ დამხმარე საშუალების ღირებულება აღემატება ქვეპროგრამით გათვალისწინებულ თანხას, სხვაობას გადაიხდის ბენეფიციარი. იმ შემთხვევაში, თუ ღირებულება ნაკლებია ქვეპროგრამით გათვალისწინებულზე, ანაზღაურება განხორციელდება ფაქტიური ღირებულების მიხედვით. ამასთანავე, ერთ ბენეფიციარს სამინისტროს მიერ აუნაზღაურდება არაუმეტეს ორი დამხმარე საშუალების ღირებულება.

ქვეპროგრამის ბენეფიციარები არიან:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მათ შორის ბავშვები;
- მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში 0-დან 200000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით;
- ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანები;
- პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლი პირები;
- თავშესაფარის კონტიგენტი.

ქვეპროგრამაში ჩართვა განხორციელდება მომართვიანობის მიხედვით მომსახურების მიღების უპირატესი უფლების დაცვით.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსებისას უპირატესობა ენიჭებათ 18 წლამდე ასაკის ბავშვებსა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მოქალაქეებს.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- განცხადება;
- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა, სადაც მითითებული უნდა იყოს ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებული დამხმარე საშუალებათა საჭიროება;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია; 18 წლამდე ასაკის შემთხვევაში ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია ბავშვის იდენტიფიკაცია; ამასთანავე მშობლის ან ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია (კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევაში, ასევე კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი);
- დამხმარე/მოვლის საშუალების წინასწარი ანგარიშ-ფაქტურა;
- ქვეპროგრამის მოსარგებლის დამადასტურებელი საბუთი.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ამასთანავე, 18 წლამდე ასაკის პირის შემთხვევაში კი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის ერთი-ერთი მშობელი მაინც უწყვეტადაა რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. წყვეტილობის არსებობის შემთხვევაში, პირი არ უნდა იყოს რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ტერიტორიის გარეთ.

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულ დამხმარე საშუალებათა ღირებულების ანაზღაურებისათვის განკუთვნილი ვაუჩერის დაფინანსების ლიმიტი დამხმარე საშუალებათა შესაბამისი სახეობების მიხედვით განისაზღვრა შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

N	პროგრამული კოდი	დასახელება	ერთეულის დაფინანსების ლიმიტი (ლარებით)
1	70301	ხმის წარმომქმნელი აპარატი (ლარინგექტომიის შემდგომარეობა)	3,000
2	70302	შშმ პირთათვის განკუთვნილი ამწე	1,990
3	70303	კოხლეარული იმპლანტის პროცესორი	15,000
4	70304	ნაწოლების საწინააღმდეგო ლეიბი	120
5	70305	ნახველის ამოსადები აპარატი	260
6	70306	ჟანგბადის კონცენტრატორი	1,300
7	70307	ფუნქციური საწოლი	1,100
საერთო ბიუჯეტი			402,250

ქვეპროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 402 250 ლარით, მათ შორის კოხლეარული იმპლანტის პროცესორისთვის არაუმეტეს 183 000 ლარით.

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების შერჩევა	X	X	X	X
მოქალაქეთა განცხადებების მიღება	X	X	X	X
წარმოდგენილი განცხადებების განხილვა	X	X	X	X
ვაუჩერების გაცემა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმული პირების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, ბენეფიციართა და მათი ოჯახების სოციალური და მორალური მხარდაჭერა.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმული პირების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, ბენეფიციართა და მათი ოჯახების სოციალური და მორალური მხარდაჭერა.	ბენეფიციართა ჩართულობის მაჩვენებელი	95%	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

მოსახლეობის სოციალური დაცვა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 0612

პროგრამის დასახელება:

მოსახლეობის გარკვეული კატეგორიების თავშესაფრით უზრუნველყოფა

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	3,798,600	951,600	949,000	949,000	949,000
სულ ბიუჯეტი:	3,798,600	951,600	949,000	949,000	949,000

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2020-2023 წლები

პროგრამის მიზანი:

მოსახლეობის გარკვეული კატეგორიების თავშესაფრით უზრუნველყოფა.

პროგრამის აღწერა:

დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფა - სხვადასხვა პრობლემების მქონე (მარტოხელა, მიუსაფარი, ძალადობაგანცდილი) დედათა და ბავშვთა თავშესაფრით, კვებით, პირადი ჰიგიენის ნივთებით უზრუნველყოფა. მათი ფსიქოლოგიური დახმარება, სოციალური უნარ-ჩვევების სწავლება.

ფსიქიკური პრობლემების მქონე გერიატრიული პაციენტების თავშესაფრით უზრუნველყოფა- ფსიქიკური პრობლემების მქონე გერიატრიული პაციენტების თავშესაფრით, კვებით, პირადი ჰიგიენის ნივთებით უზრუნველყოფა, რეაბილიტაცია, მათი და ოჯახის წევრების ფსიქოლოგიური დახმარება.

ფსიქიკური აშლილობის მქონე შშმ პირთა საცხოვრისით უზრუნველყოფა - ფსიქიკური აშლილობის მქონე შშმ პირთა უზრუნველყოფა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსებით დაკომპლექტებული საცხოვრისით, კვებით, პირადი ჰიგიენის ნივთებით, მათი ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია, სოციალური მხარდაჭერა და თემში ინტეგრაციის ხელშეწყობა;

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფა	745,110	186,660	186,150	186,150	186,150
ფსიქიკური პრობლემების მქონე გერიატრიული პაციენტების თავშესაფრით უზრუნველყოფა	1,826,250	457,500	456,250	456,250	456,250
ფსიქიკური აშლილობის მქონე შშმ პირთა საცხოვრისით უზრუნველყოფა	1,227,240	307,440	306,600	306,600	306,600
სულ პროგრამა	3,798,600	951,600	949,000	949,000	949,000

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

პროგრამის ფარგლებში 2019 წელს თავშესაფრით უზრუნველყოფილი იქნა 77 ბენეფიციარი.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

თავშესაფრით უზრუნველყოფილი იქნება არანაკლებ 104 ბენეფიციარი.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

ბენეფიციართა საცხოვრებელი პირობები და ფსიქოლოგიური მდგომარეობა გაუმჯობესებულია, მათი სოციალური ინტეგრაციის ხარისხი ამაღლებულია.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
		2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი				
<p>ბენეფიციართა საცხოვრებელი პირობები და ფსიქოლოგიური მდგომარეობა გაუმჯობესებულია, მათი სოციალური ინტეგრაციის ხარისხი ამაღლებულია.</p>	<p>დაკმაყოფილებულ ბენეფიციართა რაოდენობა</p>	104	104	104	104	რაოდენობა	<p>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი</p>	<p>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p>	<p>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი</p>

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

მოსახლეობის გარკვეული კატეგორიების თავშესაფრით უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

061203

ქვეპროგრამის დასახელება:

დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	186,660
სულ ბიუჯეტი:	186,660

ქვეპროგრამის მიზანი:

ჩვილ ბავშვთა მიტოვების პრევენცია, დედათა და ბავშვთა უსაფრთხოება, ბიოლოგიური ოჯახის გაძლიერება, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა პრობლემების მქონე (მარტოხელა, ძალადობაგანცდილი, მიუსაფარი) დედებისა და ბავშვების დროებითი 24-საათიანი თავშესაფრით უზრუნველყოფა, ბენეფიციარების სადღეღამისო მომსახურება სამჯერადი კვებით, რომელთაგან ერთ-ერთი უნდა იყოს სამკომპონენტო სადილი (მათ შორის ბავშვის კვების პროდუქტებით მომარაგება), ბენეფიციართა უზრუნველყოფა ასაკის, სქესის, სეზონის შესაბამისი ტანსაცმითა და პირადი ჰიგიენის ნივთებით, მათი ფსიქოლოგიური დახმარება, პროფესიული და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, დასაქმებაში დახმარება, საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო მომსახურების ორგანიზება, სოციალური უნარ-ჩვევების სწავლება, რისთვისაც გათვალისწინებულია 17 ლარი დღეში.

ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფია:

1. სხვადასხვა პრობლემების თანადგომის ქსელის არმქონე დედები არასრულწლოვან შვილებთან ერთად, თუკი ერთი შვილი მაინც არის 10 წლამდე ასაკის;
2. ორსული თანადგომის ქსელის არმქონე ქალები (26 კვირის და მეტი ვადის ორსულობა).

ქვეპროგრამაში ჩართვა განხორციელდება მომართვიანობის მიხედვით. გადაწყვეტილებას მოქალაქის დაფინანსების შესახებ დებულობს შესაბამისი კომისია, რომელიც იქმნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით. მომსახურების მიღება განხორციელდება სოციალური ვაუჩერის მეშვეობით. ვაუჩერის მოქმედების ვადა განისაზღვრა ვაუჩერის გაცემის დღიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, თუ ვაუჩერში სხვა ვადა არ არის მითითებული. ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების ერთდროულად მიმდებ ბენეფიციართა რაოდენობა არ აღემატება 30 პირს.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- განცხადება;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;
- ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;
- ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან (არსებობის შემთხვევაში);
- საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ფილიალის სოციალური მუშაკის დასკვნა.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე (წყვეტილობის არსებობის შემთხვევაში, პირი არ უნდა იყოს რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ტერიტორიის გარეთ). და არ არიან ჩართული ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამაში.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფა	30	6,222	186,660
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			186,660

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების შერჩევა	X	X	X	X
მოქალაქეთა განცხადებების მიღება	X	X	X	X
წარმოდგენილი განცხადებების განხილვა	X	X	X	X
ვაუჩერების გაცემა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

სხვადასხვა პრობლემების მქონე დედათა და ბავშვთა უსაფრთხოება დაცულია, საცხოვრებელი პირობები გაუმჯობესებულია, ბიოლოგიური ოჯახი გაძლიერებულია.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
სხვადასხვა პრობლემების მქონე დედათა და ბავშვთა უსაფრთხოება დაცულია, საცხოვრებელი პირობები გაუმჯობესებულია, ბიოლოგიური ოჯახი გაძლიერებულია.	ბენეფიციარების რაოდენობა	30	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

მოსახლეობის გარკვეული კატეგორიების თავშესაფრით უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

061202

ქვეპროგრამის დასახელება:

ფსიქიკური პრობლემების მქონე გერიატრიული პაციენტების თავშესაფრით უზრუნველყოფა
--

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	457,500
სულ ბიუჯეტი:	457,500

ქვეპროგრამის მიზანი:

ფსიქიკური პრობლემების მქონე გერიატრიული პაციენტების თავშესაფრით უზრუნველყოფა, პაციენტებისა და მათი ოჯახის წევრების სოციალური და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა.
--

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ბენეფიციარები არიან ხანდაზმული (ქალები - 60 წლიდან, მამაკაცები - 65 წლიდან) ფსიქიკური პრობლემების მქონე პირები, რომელთა მართვა სახლის პირობებში შეუძლებელია და ამავე დროს ვერ აკმაყოფილებენ სტაციონარულ მომსახურების პირობებს. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დროებითი 24-საათიანი თავშესაფრით უზრუნველყოფა, სადღეღამისო მომსახურება სამჯერადი კვებით, ბენეფიციარების უზრუნველყოფა პირადი ჰიგიენის ნივთებით, პაციენტის ფსიქიატრიული მდგომარეობის შეფასება, ფსიქოტროპული და საჭიროებისამებრ, თანმხლები სომატური დაავადებების მედიკამენტებით მკურნალობა. პაციენტებს რეაბილიტაცია ჩაუტარდებათ მულტიდისციპლინარული მეთოდით ინდივიდუალური მართვის გეგმის შესაბამისად, სხვა სომატური გართულების შემთხვევაში გათვალისწინებულია სამედიცინო მომსახურების ორგანიზება. ზემოაღნიშნული ღონისძიებების ღირებულება შეადგენს 25 ლარს დღეში. ქვეპროგრამა განხორციელდება სოციალური ვაუჩერის მეშვეობით. ვაუჩერის მოქმედების ვადა განისაზღვრა ვაუჩერის გაცემის დღიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, თუ ვაუჩერში სხვა ვადა არ არის მითითებული. ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების ერთდროულად მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობა არ აღემატება 50 პირს.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- განცხადება;
- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა სპეციალიზებული დაწესებულების მიერ დადასტურებული დიაგნოზით;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;
- დასკვნა ბენეფიციარის ქვეპროგრამაში ჩართვის საჭიროების შესახებ გაცემული შესაბამისი სპეციალისტების მიერ (არა ნაკლებ 3 სპეციალისტი, მათ შორის სოციალური მუშაკი).

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე (წყვეტილობის არსებობის შემთხვევაში, პირი არ უნდა იყოს რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ტერიტორიის გარეთ).

პროგრამით დასაფინანსებელი ნოზოლოგიური ჯგუფები
 F00-F009 ორგანული ბუნების აშლილობანი, სიმპტომატურ აშლილობათა ჩათვლით
 F00* - დემენცია ალცჰაიმერის დაავადების დროს (G30-).
 F01* - სისხლმარღვოვანი (ვასკულარული) დემენცია.
 F02* - დემენცია სხვა თავში მოყვანილი დაავადებების დროს.
 F03 - დაუზუსტებელი დემენცია.
 F04 - ორგანული ამნეზიური სინდრომი, რომელიც არ არის გამოწვეული ალკოჰოლით ან სხვა ფსიქოტროპული ნივთიერებების მიღებით.
 F05 - დელირიუმი, რომელიც არ არის განპირობებული ალკოჰოლით ან სხვა ნივთიერებებით.
 F06 - ტვინის დაზიანებით და დისფუნქციით, აგრეთვე სხვა ფიზიკური დაავადებით გამოწვეული ფსიქიკური აშლილობანი.
 F07 - ტვინის დაზიანებით და დისფუნქციით, აგრეთვე ფიზიკური დაავადებით გამოწვეული პიროვნული და ბიპევიორული აშლილობანი.
 F09 - დაუზუსტებელი ორგანული და სიმპტომატური აშლილობანი.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ფსიქიკური პრობლემების მქონე გერიატრიული პაციენტების თავშესაფრით უზრუნველყოფა	50	9,150	457,500
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			457,500

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მომსახურების მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებების შერჩევა	X	X	X	X
მოქალაქეთა განცხადებების მიღება	X	X	X	X
წარმოდგენილი განცხადებების განხილვა	X	X	X	X
ვაუჩერების გაცემა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ხანდაზმული ფსიქიკური პრობლემების მქონე პაციენტებისა და მათი ოჯახის წევრების/მომვლელის სოციალური პირობები გაუმჯობესებულია.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ხანდაზმული ფსიქიკური პრობლემების მქონე პაციენტებისა და მათი ოჯახის წევრების/მომვლელის სოციალური პირობები გაუმჯობესებულია.	ბენეფიციარების რაოდენობა	50	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

მოსახლეობის გარკვეული კატეგორიების თავშესაფრით უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 061204

ქვეპროგრამის დასახელება:

ფსიქიკური აშლილობის მქონე შშმ პირთა საცხოვრისით უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	307,440
სულ ბიუჯეტი:	307,440

ქვეპროგრამის მიზანი:

ფსიქიკური აშლილობის მქონე შშმ პირთა სოციალური მხარდაჭერა და თემში ინტეგრაციის ხელშეწყობა;

ქვეპროგრამის აღწერა:

სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს 18 წლისა და მეტი ასაკის პირი, რომელსაც ფსიქიკური აშლილობის გამო დადგენილი აქვს შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი, არ აღენიშნება სოციალური და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების დეფიციტი და არ აქვს შესაბამისი მხარდამჭერი გარემო;

არაუმეტეს 24 ბენეფიციარზე გათვლილი, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსებით დაკომპლექტებული საცხოვრისი, მომსახურებას განახორციელებს 24 საათის განმავლობაში: სამჯერადი კვება, ბენეფიციარების უზრუნველყოფა პირადი ჰიგიენის ნივთებით, ბენეფიციარის საჭიროებებისა და ინტერესების შესაბამისად აღჭურვილი ფიზიკური გარემო, სხვადასხვა აქტივობების და გასართობი თუ სხვა ღონისძიებების მიწოდება. პაციენტებს ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია ჩაუტარდებათ მულტიდისციპლინარული გუნდის მიერ შედგენილი ინდივიდუალური ზრუნვის გეგმის შესაბამისად. ინდივიდუალური გეგმის გადახედვა/ხელახალი შეფასება განხორციელდება პერიოდულად (არაუგვიანეს 6 თვისა); საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება უზრუნველყოფს ბენეფიციართა სამედიცინო მომსახურების გაწევს ორგანიზებას;

ზემოაღნიშნული ღონისძიებების ღირებულება შეადგენს 35 ლარს დღეში.

ქვეპროგრამა განხორციელდება სოციალური ვაუჩერის მეშვეობით. ვაუჩერის მოქმედების ვადა განისაზღვრა ვაუჩერის გაცემის დღიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, თუ ვაუჩერში სხვა ვადა არ არის მითითებული. ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების ერთდროულად მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობა არ აღემატება 24 პირს.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- განცხადება;
- ფსიქიატრიული დაწესებულების დასკვნა ბენეფიციარის საცხოვრისში ჩართვის რეკომენდაციით.
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;
- შშმ სტატუსის დამადასტურებელი საბუთი.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე (წყვეტილობის არსებობის შემთხვევაში, პირი არ უნდა იყოს რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ტერიტორიის გარეთ).

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ფსიქიკური აშლილობის მქონე შშმ პირთა საცხოვრისით უზრუნველყოფა	24	12,810	307,440
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			307,440

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მომსახურების მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებების შერჩევა	X	X	X	X
მოქალაქეთა განცხადებების მიღება	X	X	X	X
წარმოდგენილი განცხადებების განხილვა	X	X	X	X
ვაუჩერების გაცემა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის საჭირო დამოუკიდებელი ცხოვრების უნარების შენარჩუნება/განვითარება. ბენეფიციართა და მათი ოჯახის წევრების/მომვლელის სოციალური მხარდაჭერა.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
<p>საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის საჭირო დამოუკიდებელი ცხოვრების უნარების შენარჩუნება/განვითარება. ბენეფიციართა და მათი ოჯახის წევრების/მომვლელის სოციალური მხარდაჭერა.</p>	<p>ბენეფიციარების რაოდენობა</p>	<p>24</p>	<p>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი</p>	<p>წელიწადში ერთხელ</p>	<p>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p>	<p>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი</p>

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

მოსახლეობის სოციალური დაცვა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 0609

პროგრამის დასახელება:

ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფა

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	11,800,000	2,800,000	3,000,000	3,000,000	3,000,000
სულ ბიუჯეტი:	11,800,000	2,800,000	3,000,000	3,000,000	3,000,000

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2020–2023 წლები

პროგრამის მიზანი:

ეკომიგრანტი ოჯახების უსაფრთხო საცხოვრებლით უზრუნველყოფა

პროგრამის აღწერა:

ამ ეტაპისთვის სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებულ (ეკომიგრანტების) ოჯახების ერთიან ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში დაახლოებით 300 - მდე განაცხადია განსახილველი, რომელთა დაზარალება დადასტურებულია შესაბამისი მუნიციპალიტეტების მიერ, ხოლო შესწავლასა და დაზარალების კატეგორიის მინიჭებას ითხოვს დამატებით 150-მდე ბენეფიციარი. სახელმწიფოს მიერ ასობით ეკომიგრანტ ოჯახთა დაკმაყოფილების მიუხედავად, დაზარალებულთა რაოდენობა მაინც არ მცირდება მნიშვნელოვნად, ვინაიდან სტიქიური პროცესები უკონტროლოა და ყოველი უხვი ნალექის მოსვლის დროს აქტიურდება. აღნიშნულის გამო, ამ მიმართულებით მყარი სტატისტიკა არ შეიძლება გვექნოდეს. ამდენად, ეკომიგრანტ ოჯახებს ესაჭიროება ფინანსური მხარდაჭერა უსაფრთხო გარემოში ადგილმონაცვლეობისათვის. პროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ ეკომიგრანტები, რომლებსაც შუამდგომლობს შესაბამისი თვითმმართველი ერთეულები, როგორც მათ ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახებს და რომლებიც 2010 წლის 1 იანვრიდან, შუამდგომლობის აღძვრამდე უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე (აღნიშნული რეგულაცია არ ვრცელდება ქორწინების შედეგად ოჯახში შემატებულ წევრებზე, არასრულწლოვნებსა და სტუდენტებზე). მოსარგებლეთა შერჩევის წესი: ბენეფიციართა შერჩევას უზრუნველყოფს უფლებამოსილი კომისია (შემდგომში - კომისია). კომისიის შემადგენლობა, უფლებამოსილება, ბენეფიციართა შერჩევის წესი და კრიტერიუმები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სამართლებრივი აქტით (შემდგომში - განკარგულება).

პროგრამაში ჩაერთვებიან პრიორიტეტულობის ქულა მინიჭებული ბენეფიციარნი, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული (ეკომიგრანტების) ოჯახების ერთიან ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში ან აღნიშნულზე ინფორმაცია მატერიალური სახით მოწოდებული იქნება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ. პროგრამაში ჩართვის საფუძველია თვითმმართველი ერთეულის მიერ აღძრული შუამდგომლობა მოქალაქის განაცხადის საფუძველზე. დაზარალებულ ოჯახებს კომისიის გადაწყვეტილებით ეძლევათ შეთავაზება არანაკლებ 1 თვისა, საქართველოს ტერიტორიაზე საცხოვრებელი ფართის (უძრავი ქონების სახე: ბინა ან კერძო სახლი მიწის ნაკვეთი(ებ)ით ან მის გარეშე) მოძიებისათვის. თუ დაზარალებული ოჯახი, ვერ შეარჩევს შესასყიდად სასურველ საცხოვრისს, პრიორიტეტულობის ქულის გათვალისწინებით კომისია რიგით სხვა დაზარალებულ ოჯახს უგზავნის შეთავაზებას. ოჯახს, რომელმაც მისთვის განკუთვნილ ვადაში ვერ ისარგებლა შეთავაზებით, ფართის შესყიდვის მოთხოვნით შეუძლია მიმართოს კომისიას იმ ეტაპზე როცა შეძლებს საცხოვრისის შერჩევას. ასეთ შემთხვევაში, ვინაიდან დაზარალებულ ოჯახს ადრინდელ ეტაპზე მიღებული ჰქონდა შეთავაზება, კომისია წარმოდგენილი ფართის ექსპერტიზაზე გადაგზავნის მიზნით იმსჯელებს ურიგოდ.

კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, ბენეფიციარის მიერ შესასყიდად შერჩეულ საცხოვრის (დარეგისტრირებულ უძრავ ქონებას, საცხოვრებელ ფართს (მათ შორის დამხმარე შენობა/ნაგებობას) და მიწის ნაკვეთ(ებ)ს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)) ჩაუტარდება ექსპერტიზა უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების დადგენის და შენობა ნაგებობის ტექნიკური მდომარეობის დადგენის (გარდა იმ შემთხვევისა თუ ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი ფოტომასალა ცხადყოფს, რომ საცხოვრებელი სახლი დაზიანებულია და საცხოვრებლად უვარგისია) მიზნით. ექსპერტიზის ხარჯებს ფარავს სამინისტრო. ექსპერტიზის ღირებულება განსაზღვრება მომსახურების მიმწოდებელ მხარესა და სამინისტროს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობისა და მომსახურების ტარიფების შესაბამისად. ბენეფიციარს უფლება აქვს, კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადაში განმეორებით წარადგინოს სამინისტროში სხვა საცხოვრებელი ფართი, თუ: 1. ჩატარებული შეფასების შედეგად დადგენილი საბაზრო ღირებულება 25 000 ლარზე ნაკლებია, ბენეფიციარი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზაში 200 000 ან ნაკლები სარეიტინგო ქულით და ვერ ფარავს ექსპერტიზით დადგენილ საბაზრო ღირებულებასა და გამყიდველის მიერ დაწესებულ ფასს შორის არსებულ სხვაობას;

2. დადებულ იქნა უარყოფითი საექსპერტო დასკვნა შერჩეული ფართის ტექნიკურ მდგომარეობაზე;
 3. წარმოდგენილი ფოტომასალის საფუძველზე საცხოვრებელი ფართის ექსპერტიზაზე გადაგზავნა ჩაითვალოს არამიზანშეწონილად.

ზემოთხსენებულ შემთხვევებში, აგრეთვე კომისიის გადაწყვეტილებით სხვა საპატიო შემთხვევის დადგომისას (მათ შორის: ადგილობრივი მუნიციპალიტეტის შუამდგომლობა, ომის ვეტერანი, შშმ-ის ოჯახი) ბენეფიციარის მიერ დამატებით მცდელობაზე წარმოდგენილი ფართის ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს სამინისტრო. სხვა შემთხვევებში განმეორებით მცდელობაზე წარმოდგენილი საცხოვრებელი ფართის ექსპერტიზის ხარჯებს იხდის ბენეფიციარი.

კომისია, კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის შესყიდვისთვის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან სამინისტროსათვის ამ მიზნით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, ნასყიდობის ღირებულების მაქსიმალურ ოდენობას ერთ საცხოვრებელ ფართზე განსაზღვრავს საექსპერტო დასკვნით განსაზღვრული საბაზრო ღირებულების შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარისა. იმ შემთხვევაში, თუ საცხოვრებელი ფართის გასაყიდი ღირებულება აღემატება პროგრამით განსაზღვრულ თანხას, სურვილისა და შეთანხმების შემთხვევაში, ბენეფიციარი ფართის შეძენის მიზნით თავად ფარავს დარჩენილ სხვაობას. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, სახლების შესყიდვის მსურველთა განაცხადების დაკმაყოფილების თაობაზე გამოიცემა მინისტრის ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტი.

საექსპერტო დასკვნების მიღების შემდგომ, უფლებამოსილი კომისია იღებს გადაწყვეტილებას ბენეფიციარის დაკმაყოფილების თაობაზე. რაზედაც გამოიცემა მინისტრის ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტი. კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმებული პირობადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საცხოვრებელი ფართი რეგისტრირდება დაზარალებული ოჯახის სრულწლოვანი წევრების თანასაკუთრებად. პირობადებული ნასყიდობის ხელშეკრულების შესაბამისი მუხლის თანახმად, მყიდველი, უძრავი ქონების შესყიდვიდან 3 წლის განმავლობაში შეზღუდულია გამყიდველთან შეთანხმების გარეშე გაასხვისოს ან/და ამავე მიზნით დაყოს ცალკეულ საკადასტრო ერთეულზე საცხოვრებელი სახლი, გარდა თანამესაკუთრეთა შორისა. აღნიშნული შეთანხმება/თანხმობა შესაძლებელია განხორციელდეს კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე საპატიო საფუძვლის წარმოშობისას (სხვა საცხოვრისის შესყიდვა/გადაცვლა იმავე შეზღუდვით და ა.შ). პროგრამის ფარგლებში სამინისტრო უზრუნველყოფს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული სარეგისტრაციო მომსახურებისათვის განსაზღვრულ შემდეგი საფასურის გადახდას: ა) უძრავ ნივთზე უფლების რეგისტრაცია - 4 სამუშაო დღის ვადაში - 50 ლარი; ბ) უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების რეგისტრაცია - 4 სამუშაო დღის ვადაში - 50 ლარი; გ) სარეგისტრაციოდ წარდგენილ გარიგებაზე მხარეთა ხელმოწერების დადასტურება - დაუყოვნებლივ - 5 ლარი. სამინისტრო არ გადაიხდის დაჩქარებული მომსახურების რეგისტრაციისათვის და სარეგისტრაციოდ დამატებით წარდგენილ გარიგებაზე მხარეთა ხელმოწერების დადასტურებისათვის განსაზღვრულ საფასურს.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2020 წელი	2021წელი	2022 წელი	2023წელი
ეკომიგრანტი ოჯახების განსახლება	11,500,000	2,725,000	2,925,000	2,925,000	2,925,000
შესასყიდი სახლების ექსპერტიზა	251,700	63,555	62,715	62,715	62,715
სარეგისტრაციო მომსახურების საფასური	48,300	11,445	12,285	12,285	12,285
სულ პროგრამა	11,800,000	2,800,000	3,000,000	3,000,000	3,000,000

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

2019 წლის მდგომარეობით 117 ბენეფიციარი უზრუნველყოფილი იქნება უსაფრთხო საცხოვრებლით.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

109 ეკომიგრანტი ოჯახი იქნება საცხოვრებლით უზრუნველყოფილი

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

ეკომიგრანტები უზრუნველყოფილი არიან უსაფრთხო საცხოვრებელით

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები				გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი	
		2020 წელი	2021 წელი	2022 წელი					2023 წელი
ეკომიგრანტები უზრუნველყოფილი არიან უსაფრთხო საცხოვრებელით	ბენეფიციართა რაოდენობა (არაუმეტეს)	109	117	117	117	ბენეფიციართა რაოდენობა	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

მოსახლეობის სოციალური დაცვა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

040104

პროგრამის დასახელება:

სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის პროგრამა

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	73,000,000	16,000,000	23,000,000	17,000,000	17,000,000
სულ ბიუჯეტი:	73,000,000	16,000,000	23,000,000	17,000,000	17,000,000

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2020-2023 წლები

პროგრამის მიზანი:

სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება

პროგრამის აღწერა:

ქალაქ ბათუმში, მეჯინისწყლის დასახლებაში ე.წ „ოცნების ქალაქი“-ს ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფა	73,000,000	16,000,000	23,000,000	17,000,000	17,000,000
სულ პროგრამა	73,000,000	16,000,000	23,000,000	17,000,000	17,000,000

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

ქალაქ ბათუმში, მეჯინისწყლის დასახლებაში ე.წ „ოცნების ქალაქი“-ს ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულია ტენდერი

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

მიმდინარეობს ქალაქ ბათუმში, მეჯინისწყლის დასახლებაში ე.წ „ოცნების ქალაქი“-ს ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

გაუმჯობესებულია სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობები

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები				გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი				
გაუმჯობესებულია სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობები		582		968	ოჯახი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 06 თებერვლის N27 განკარგულებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი	სივრცითი მოწყობისა და ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტი	მიღება-ჩაბარების აქტი

მხარჯავი დაწესებულების პრიორიტეტების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები

პრიორიტეტის დასახელება

დასაქმების ხელშეწყობა

პროგრამული კოდი	დასახელება	2020 წელი	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
0610	დასაქმების ხელშეწყობის უზრუნველყოფა	704,010	704,010	702,610	702,610	702,610
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		704,010	704,010	702,610	702,610	702,610

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

დასაქმების ხელშეწყობა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

0610

პროგრამის დასახელება:

დასაქმების ხელშეწყობის უზრუნველყოფა

პროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	2,811,840	704,010	702,610	702,610	702,610
სულ ბიუჯეტი:	2,811,840	704,010	702,610	702,610	702,610

პროგრამის განხორციელების პერიოდი:

2020-2023 წლები

პროგრამის მიზანი:

დასაქმების ხელშეწყობის მართვის ეფექტიანი უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანია სამუშაო ძალის მდგრადი გაუმჯობესება, მათი შესაძლებლობებისა და პოტენციალის განვითარება შრომის ბაზრის საჭიროებებზე ორიენტირებული პროფესიული და არაფორმალური სწავლების უზრუნველყოფით, შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისა და მათი შემდგომი დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობისათვის. სააგენტოს პოპულარიზაციის ხარისხის ამაღლება, რათა სააგენტოს ეფექტიანი და ხელმისაწვდომი მომსახურების ინფორმირებულობის ხარისხი გაიზარდოს და აჭარის მოსახლეობისა და დაინტერესებული მხარეების უმრავლესობა მოიცვას.

პროგრამის აღწერა:

პროგრამა მოიცავს:

- 1) საინფორმაციო კამპანიის წარმოებას - სააგენტოს საქმიანობისა და სერვისების შესახებ ინფორმირებულობას სხვადასხვა აქტივობებისა და მეთოდების გამოყენებით და პერსონალური თანამშრომლობის გზით დამსაქმებლებთან და სამუშაოს მაძიებლებთან კომუნიკაციის გააქტიურებას შრომითი კონსულტანტების მეშვეობით;
- 2) პროფესიული უნარების შეძენა/ამაღლების მსურველ სამუშაოს მაძიებელთა მომზადება შრომის ბაზრის მოთხოვნად პროფესიებში და სამუშაო გამოცდილების და ინდივიდუალური განათლების მქონე პირის, კვალიფიკაციის სრულყოფა და შრომის ბაზარზე მისი მდგრადობის გაუმჯობესება სამუშაოსთან თავსებადი გადამზადების მოკლევადიანი კურსის შეთავაზებით და სერთიფიცირების გზით;
- 3) შპმ პირების პროფესიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენა/ამაღლება მათთვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო მოდულის შეთავაზებით
- 4) სტუდენტების შრომითი უნარების განვითარება სამუშაო გამოცდილების მიღების გზით, მათი შრომის ბაზარზე დამკვიდრებისა და თვითრეალიზების გაზრდილი შესაძლებლობებისათვის;
- 5) ორგანიზაციებში დასაქმებულთა პროფესიული უნარების ზრდა და კვალიფიკაციის ამაღლება მათი სამუშაოზე მდგრადობის უზრუნველსაყოფად;

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
დასაქმების ხელშეწყობის მართვა	1,735,840	435,010	433,610	433,610	433,610
სააგენტოს საქმიანობის პოპულარიზაცია	248,800	62,200	62,200	62,200	62,200
დასაქმების ხელშეწყობა პროფესიული მომზადება/გადამზადების გზით	480,000	120,000	120,000	120,000	120,000
შშმ პირთა პროფესიული გადამზადებისა და დასაქმების ხელშეწყობა	83,200	20,800	20,800	20,800	20,800
სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობა	124,000	31,000	31,000	31,000	31,000
კვალიფიკაციის ამაღლება არაფორმალური განათლების გზით	140,000	35,000	35,000	35,000	35,000
სულ პროგრამა	2,811,840	704,010	702,610	702,610	702,610

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

დასაქმების სააგენტოს 2019 წლის პროგრამის ფარგლებში- 74 ბენეფიციარმა დაასრულა პროფესიული მომზადების, ხოლო 19 პროფესიული გადამზადების კურსი; ასევე 42 სტუდენტი დაეუფლა პროფესიულ უნარებს. 8 შშმ გადის სწალების კურსს; მიმდინარეობს: აჭარის ტერიტორიაზე მოქმედ ორგანიზაციებში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ღონისძიებების განხორციელება; სააგენტოს საქმიანობისა და შეთავაზებული სერვისების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება, პოტენციურ დამსაქმებელთან კომუნიკაციის გააქტიურება, ვაკანსიების მოძიება.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

აჭარის რეგიონში მცხოვრები მოქალაქეების პროფესიული უნარების ზრდა და კვალიფიკაციის ამაღლება; ეფექტიანი და ხელმისაწვდომი მომსახურების უზრუნველყოფა;

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

სააგენტოს სერვისებით მოსარგებლეთა გაზრდილი რაოდენობა; დასაქმების გაზრდილი შესაძლებლობები; სერტიფიცირებული, შესაბამისი პროფესიული კომპეტენციის მქონე, კონკურენტუნარიანი მაღალკვალიფიკაციური პირები

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები				გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი	
		2020 წელი	2021 წელი	2022 წელი					2023 წელი
სააგენტოს სერვისით მოსარგებლეთა და დასაქმების მაჩვენებლის ზრდადობა	სააგენტოს სერვისით მოსარგებლე	12500	13500	14500	15500	რაოდენობა	სააგენტოს მიერ ადმინისტრირება და შრომის ბაზრის მართვის ელექტრონული სისტემა	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	შრომის ბაზრის მართვის ელექტრონული სისტემის სტატისტიკურ მონაცემთა ანალიზი
	საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების პროფესიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვა	არაუმეტეს 223	არაუმეტეს 223	არაუმეტეს 223	არაუმეტეს 223	რაოდენობა	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო, ელექტრონული ტენდერის შედეგად გამოვლენილი	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	შრომის ბაზრის მართვის ელექტრონული სისტემის სტატისტიკურ მონაცემთა ანალიზი
	დასაქმება	800	900	1100	1300	რაოდენობა	სააგენტოს მიერ ადმინისტრირება და შრომის ბაზრის მართვის ელექტრონული სისტემა	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	შრომის ბაზრის მართვის ელექტრონული სისტემის სტატისტიკურ მონაცემთა ანალიზი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

დასაქმების ხელშეწყობის უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 061004

ქვეპროგრამის დასახელება:

სააგენტოს საქმიანობის პოპულარიზაცია

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	62,200
სულ ბიუჯეტი:	62,200

ქვეპროგრამის მიზანი:

უმუშევრობის შემცირება დასაქმების ხელშეწყობი სერვისების შესახებ ინფორმირებულობისა და სააგენტოს საქმიანობის პოპულარიზაციის უზრუნველყოფის გზით

ქვეპროგრამის აღწერა:

მართვის ეფექტიანი უზრუნველყოფა აუცილებელი პირობის სახით გულისხმობს თავად სააგენტოს პოპულარიზაციის ხარისხის ამაღლებას, რათა სააგენტოს ეფექტიანი და ხელმისაწვდომი მომსახურების ინფორმირებულობის ხარისხი გაიზარდოს და აჭარის მოსახლეობისა და შესაბამისი დაინტერესებული მხარეების უმრავლესობა მოიცვას.

ქვეპროგრამა მოიცავს საინფორმაციო კამპანიის წარმოებას - სააგენტოს საქმიანობისა და სერვისების შესახებ ინფორმირებულობას სხვადასხვა აქტივობებისა და მეთოდების გამოყენებით და პერსონალური თანამშრომლობის გზით დამსაქმებელთან და სამუშაოს მაძიებლებთან კომუნიკაციის გააქტიურებას შრომითი კონსულტანტების მეშვეობით.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება: საინფორმაციო მასალის მომზადება;

აჭარის ტერიტორიაზე ოპერირებადი კომპანიებისა და სამუშაოს მაძიებლების ინფორმირებულობა სააგენტოს სერვისების შესახებ; პროფესიული სწავლების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, სკოლამდელი განათლებისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფესიული სწავლებისა და სააგენტოს მიზნობრივი პროგრამების შესახებ პრეზენტაციების მომზადება და ჩატარება;

დასაქმების ფორუმის ორგანიზება და სამუშაოს მაძიებლების მომზადება დამსაქმებელთან წარსადგენად;

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
საინფორმაციო კამპანიის წარმოება	1	15,000	15,000
სააგენტოს საქმიანობისა და შეთავაზებული სერვისების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება, პოტენციურ დამსაქმებელთან კომუნიკაციის გააქტიურება, ვაკანსიების მოძიება;	4	8,250	33,000
დასაქმების მხარდამჭერი ღონისძიებების ორგანიზება	12	600	7,200

დასაქმების ფორუმის ორგანიზება	1	7,000	7,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			62,200

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ელექტრონული ტენდერის გამოცხადება საინფორმაციო კამპანიის წარმოებაზე	X	X		
საინფორმაციო კამპანიის ორგანიზება	X	X	X	X
დასაქმების ფორუმის ორგანიზება		X		
დასაქმების მხარდამჭერი ღონისძიებების ორგანიზება	X	X	X	X
სააგენტოს საქმიანობისა და შეთავაზებული სერვისების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება, პოტენციურ დამსაქმებელთან კომუნიკაციის გააქტიურება, ვაკანსიების მოძიება;	X	X	X	X
მონიტორინგი	X	X	X	X
მონიტორინგის შედეგების/ანგარიშის მომზადება, და ანალიზი	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

სააგენტოს ეფექტიანი და ხელმისაწვდომი სერვისებით მოსარგებლე და დასაქმებული მოქალაქეების რაოდენობის ზრდა; დასაქმების გაზრდილი შესაძლებლობები.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
სააგენტოს სერვისებით მოსარგებლეთა გაზრდილი რაოდენობა; დასაქმების გაზრდილი შესაძლებლობები	სააგენტოს სერვისით ახალი მოსარგებლე	1000	სააგენტოს მიერ ადმინისტრირებადი შრომის ბაზრის მართვის ელექტრონული სისტემა	წლის განმავლობაში	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	შრომის ბაზრის მართვის ელექტრონული სისტემის სტატისტიკურ მონაცემთა ანალიზი
	მოძიებული ვაკანსია	500	სააგენტოს მიერ ადმინისტრირებადი შრომის ბაზრის მართვის ელექტრონული სისტემა	წლის განმავლობაში	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	შრომის ბაზრის მართვის ელექტრონული სისტემის სტატისტიკურ მონაცემთა ანალიზი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

დასაქმების ხელშეწყობის უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

061007

ქვეპროგრამის დასახელება:

დასაქმების ხელშეწყობა პროფესიული მომზადება/გადამზადების გზით

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	120,000
სულ ბიუჯეტი:	120,000

ქვეპროგრამის მიზანი:

საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების პროფესიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენა/ამაღლება, მათი შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.

ქვეპროგრამის აღწერა:

შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნისა და მიწოდების დისბალანსისა და უმუშევრობის შემცირება შესაძლებელია ბაზრისა და სამუშაო ძალის როგორც სტრუქტურული ასევე ხარისხობრივი სრულყოფის გზით, რაც ბაზრის საჭიროებებზე ორიენტირებული პროფესიული სწავლებით მიიღწევა.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

- 1) პროფესიული უნარების შეძენა/ამაღლების მსურველ სამუშაოს მაძიებელთა მომზადება შრომის ბაზრის მოთხოვნად პროფესიებში. სწავლება განხორციელდება მოკლევადიანი ინტენსიური სასწავლო მოდულით, რომელიც მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ კურს პროფესიული მიმართულებით, ცოდნის შეძენა/ამაღლებას უცხო ენებში პროფესიისთვის საჭირო ტერმინოლოგიით, სამუშაო გამოცდილების და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას საწარმოო პრაქტიკის უზრუნველყოფის გზით.
- 2) სამუშაო გამოცდილების და ინდივიდუალური განათლების მქონე პირის, კვალიფიკაციის სრულყოფა და შრომის ბაზარზე მისი მდგრადობის გაუმჯობესება სამუშაოსთან თავსებადი გადამზადების მოკლევადიანი კურსის შეთავაზებით და სერთიფიცირების გზით. სასწავლო მოდული მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ კურს პროფესიული მიმართულებით და ცოდნის ამაღლებას უცხო ენებში პროფესიისთვის საჭირო ტერმინოლოგიით.
- 3) დაბრუნებულ მიგრანტთა რეგიონალურ შრომის ბაზარზე რეინტეგრაციის მხარდაჭერა, დასაქმებისა და თვითდასაქმების შესაძლებლობების გაზრდა, ინდივიდუალური განათლება/განვითარების გზით. მოსარგებლები მათი შესაძლებლობებისა და უნარების გათვალისწინებით შედგენილი კარიერული განვითარების გეგმის საფუძველზე გაივლიან მოკლევადიან სწავლებას და ბიზნესის უნარების განვითარებაზე ორიენტირებული ტრენინგ კურსს.

ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების მიღების უფლებით ისარგებლებენ:

1. საქართველოს მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილე პირის, დაღუპული ან გარდაცვლილად გამოცხადებული, ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირის ოჯახის წევრი;
2. ყოფილი პატიმრები და პრობაციონერები;
3. სოციალური მომსახურების სააგენტოს მიზნობრივი სოციალური პროგრამების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების წევრები;
4. შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები (ან მეურვე/ოჯახის წევრი);
5. იძულებით გადაადგილებული პირები;
6. ეკომიგრანტები;
7. ძალოვანი სტრუქტურის ვეტერანები;
8. ტრეფიკინგის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი;
9. განრიდების და მედიაციის პროგრამაში ჩართული არასრულწლოვანი პირები;
10. მარტოხელა დედები;
11. ყველა სხვა შრომისუნარიანი სამუშაოს მაძიებელი, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ზემოთ ჩამოთვლილ ჯგუფებს

ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების მიღების მსურველი დარეგისტრირებული უნდა იყოს სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს შრომის ბაზრის მატვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში. ბენეფიციართა შერჩევა განხორციელდება წინასწარ შემუშავებული და სააგენტოს მიერ დამტკიცებული ქვეპროგრამის შესრულების წესის თანახმად პროგრამით მოსარგებლეთა შერჩევისას უპირატესი უფლებით ისარგებლებენ პირები, რომლებიც მიეკუთვნებიან ზემოთ ჩამოთვლილ პირველ ცხრა კატეგორიას. სულ ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების მიღებით ისარგებლებს 95 ბენეფიციარი.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება	70	1400	98,000
სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული გადამზადება	20	600	12,000
დაბრუნებულ მიგრანტთა სწავლება	5	2000	10,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			120,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ქვეპროგრამის შესახებ მოსახლეობის ინფორმირება	X			
ელექტრონული ტენდერის გამოცხადება პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე	X			
ქვეპროგრამის მოსარგებლე ბენეფიციართა შერჩევა და პროფესიული ჯგუფების დაკომპლექტება	X			
სასწავლო პროცესის ორგანიზება	X	X	X	
ბენეფიციართა პროფესიული სწავლების მონიტორინგის ჩატარება	X	X	X	
მონიტორინგის შედეგების/ანგარიშის მომზადება და შეფასება	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ქვეპროგრამის მოსარგებლეს აქვს შექმნილი/ამაღლებული პროფესიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ცოდნა უცხო ენაში, კონკურენტუნარიანია შრომის ბაზარზე დასაქმებისათვის; გადამზადებულ ბენეფიციარებს შენარჩუნებული აქვთ მდგრადობა სამუშაო ადგილზე

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ქვეპროგრამის მოსარგებლეს აქვს შეძენილი/ამაღლებული პროფესიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ცოდნა უცხო ენაში, კონკურენტუნარიანია შრომის ბაზარზე დასაქმებისათვის; გადამზადებულ ბენეფიციარებს შენარჩუნებული აქვთ მდგრადობა სამუშაო ადგილზე	პროგრამის მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა	95	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო, პროფესიული გადამზადების მიმწოდებელი	წელიწადში ერთხელ	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	მონიტორინგის ჯგუფისა და გადამზადების მიმწოდებელი პროფ.სასწავლებელის მიერ მოწოდებული ანგარიში
	სერტიფიცირებულ ბენეფიციართა რაოდენობა;	არაუმეტეს 95	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო, პროფესიული გადამზადების მიმწოდებელი	წელიწადში ერთხელ	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	მონიტორინგის ჯგუფისა და გადამზადების მიმწოდებელი პროფ.სასწავლებელის მიერ მოწოდებული ანგარიში
	პროფესიული სწავლების შემდგომ დასაქმებული მოქალაქეები	30%	დასაქმებულთა სტატისტიკა	წლის განმავლობაში	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	სააგენტოს მიერ ადმინისტრირებადი შრომის ბაზრის მართვის ელექტრონული სისტემის სტატისტიკურ მონაცემებთან ანალიზი
	დასაქმებულთა მდგრადობის შენარჩუნება სამუშაო ადგილზე	50%	სააგენტოს მიერ ადმინისტრირებადი შრომის ბაზრის მართვის ელექტრონული სისტემა	წელიწადში ერთხელ	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	სააგენტოს მიერ ადმინისტრირებადი შრომის ბაზრის მართვის ელექტრონული სისტემის სტატისტიკურ მონაცემებთან ანალიზი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

დასაქმების ხელშეწყობის უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

061006

ქვეპროგრამის დასახელება:

შშმ პირთა პროფესიული გადამზადებისა და დასაქმების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	20,800
სულ ბიუჯეტი:	20,800

ქვეპროგრამის მიზანი:

შშმ პირების პროფესიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შექმნა/ამაღლება მათთვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო მოდულის შეთავაზებით.

ქვეპროგრამის აღწერა:

შრომის ბაზარზე დამკვიდრება და თვითრეალიზაცია განსაკუთრებით რთულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, ვინაიდან ნაკლებად ხელმისაწვდომია მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული დასაქმების ხელშეწყობის მომსახურება და ისინი სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ. სააგენტოს მიერ განხორციელებულ დასაქმების ხელშეწყობის პროგრამებში შშმ პირების ჩართულობის დაბალ მაჩვენებელი ცხადყოფს შრომის ბაზრის თავისებურებებისა და შშმ პირთა ინდივიდუალური უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების აუცილებლობას. შშმ პირთა დასაქმების პრობლემის გადაჭრისა და მათი შრომითი უფლებების რეალიზებისათვის შემუშავებული სასწავლო მოდული, შშმ პირებზე მორგებულ სამუშაოსთან დაკავშირებულ აქტივობებს მოიცავს და ორიენტირებული იქნება მათი კარიერული მართვის უნარების გაუმჯობესებასა და შემდგომ დასაქმებაზე.

შშმ პირების შრომითი უნარების ინდივიდუალური შეფასების და აღიშნული შეფასების საფუძველზე გამოვლენილ ძლიერ მხარეებზე დაფუძნებით დგება ქვეპროგრამის მოსარგებლეთა ინდივიდუალური დასაქმების გეგმა, რომელიც მოიცავს: შშმ პირების შრომითი უნარების ინდივიდუალურ (მათ შორის სამუშაოზე დაფუძვნებულ) სწავლებას და სუბსიდირებად სტაჟირებას შემდგომი დასაქმების მიზნით. სულ ქვეპროგრამის ფარგლებში მომზადდება/გადამზადდება 8 ბენეფიციარი.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
შშმ პირთა გადამზადება	8	2600	20,800
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			20,800

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი

ელექტრონული ტენდერის გამოცხადება პროფესიული გადაამზადების მიწოდებაზე	X	X		
დასაქმებისათვის საჭირო პროფესიული უნარების შექმნა/ამაღლების მსურველი შშმ პირების მობილიზება	X	X	X	
შშმ პირების შრომითი უნარების ინდივიდუალური შეფასების და აღიშნული შეფასების საფუძველზე გამოვლენილ ძლიერ მხარეების გათვალისწინებით სავარაუდო პროფესიების განსაზღვრა	X	X	X	
აჭარის ტერიტორიაზე ოპერირებადი ორგანიზაციების საჭიროებებისა და პირობების გათვალისწინებით ქვეპროგრამის პროფესიების განსაზღვრა	X	X	X	
ბენეფიციარის შეფასების საფუძველზე გამოვლენილ ძლიერ მხარეებზე დაფუძნებული განათლების გეგმის შემუშავება	X	X	X	
სასწავლო პროცესის ორგანიზება		X	X	X
ქვეპროგრამის მონიტორინგის განხორციელება	X	X	X	X
მონიტორინგის შედეგების/ანგარიშის მომზადება და შეფასება	X	X	X	X
განხორციელებული საქმიანობის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და ქვეპროგრამის ანალიტიკური შეფასება			X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ქვეპროგრამის მოსარგებლე შშმ პირს აქვს შექმნილი პროფესიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევები და კონკურენტუნარიანია შრომის ბაზარზე დასაქმებისათვის

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ქვეპროგრამის მოსარგებლე შშმ პირს აქვს შეძენილი პროფესიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევები და კონკურენტუნარიანია შრომის ბაზარზე დასაქმებისათვის	ქვეპროგრამის მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა	8	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო, პროფესიული გადამზადების მიმწოდებელი	წელიწადში ერთხელ	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	მონიტორინგის ჯგუფისა და გადამზადების მიმწოდებელი პროფ.სასწავლებელის მიერ მოწოდებული ანგარიში
	გადამზადებულ/სერტიფიცირებულ მონაწილეთა რაოდენობა;	არაუმეტეს 8	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო, პროფესიული გადამზადების მიმწოდებელი	წელიწადში ერთხელ	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	მონიტორინგის ჯგუფისა და გადამზადების მიმწოდებელი პროფ.სასწავლებელის მიერ მოწოდებული ანგარიში
	გადამზადების შედეგად დასაქმებული მოქალაქეები	30%	დასაქმებულთა სტატისტიკა	წლის განმავლობაში	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	სააგენტოს მიერ ადმინისტრირებული შრომის ბაზრის მართვის ელექტრონული სისტემის სტატისტიკური მონაცემების ანალიზი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

დასაქმების ხელშეწყობის უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 061008

ქვეპროგრამის დასახელება:

სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	31,000
სულ ბიუჯეტი:	31,000

ქვეპროგრამის მიზანი:

სწავლის პარალელურად სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობი ღონისძიებების გატარებით სტუდენტებში შრომითი უნარების განვითარება და დასაქმების მაჩვენებლის ზრდა

ქვეპროგრამის აღწერა:

საქართველოს შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობაში უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონე (25,6 %) საქსტატის მონაცემებით ახალგაზრდებში აღინიშნება. პრობლემის მიზეზი სამუშაოს დეფიციტის გარდა, სწავლასთან შეუთავსებელი გრაფიკი, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ახალგაზრდების კვალიფიკაციისა და უნარების შეუსაბამობა და სამუშაო გამოცდილების არქონაა. ქვეპროგრამის ფარგლებში შემუშავდება კოორდინირებული სამოქმედო გეგმა სტუდენტებისათვის პროფესიული, საკვანძო კომპეტენციებისა და პიროვნული განვითარებისათვის საჭირო თანაბარი პირობების შექმნისათვის; სტუდენტებს საშუალება მიეცემათ შეიძინონ ახალი უნარ-ჩვევები, მოახდინონ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება, რაც ერთის მხრივ მათი კარიერული ზრდის პერსპექტივაა და მეორეს მხრივ ანაზღაურების მიღების შესაძლებლობა.

ქვეპროგრამის მოსარგებლეა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტის სტატუსის მქონე პირი. ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების მიღების უპირატესი უფლებით ისარგებლებენ:

1. საქართველოს მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილე პირის, დაღუპული ან გარდაცვლილად გამოცხადებული, ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირის ოჯახის წევრი;
2. ყოფილი პატიმრები და პრობაციონერები;
3. სოციალური მომსახურების სააგენტოს მიზნობრივი სოციალური პროგრამების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების წევრები;
4. შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები (ან მეურვე/ოჯახის წევრი);
5. იძულებით გადაადგილებული პირები;
6. ეკომიგრანტები;
7. მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტი, რომლის საერთო შეწონილი საშუალო ქულა შედგენს 81 (ოთხმოცდა ერთი) ქულას.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სტუდენტთა მომზადება	50	620	31,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			31,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი

ელექტრონული ტენდერის ორგანიზება სატრენინგო მომსახურების შესყიდვა	X			
შრომის ბაზრის საჭიროებების გათვალისწინებით მოკლევადიანი განთლების მოდულების შემუშავება	X			
ქვეპროგრამის შესახებ მოსახლეობის ინფორმირება	X			
ქვეპროგრამის მოსარგებლეთა შერჩევა	X			
სასწავლო პროცესის ორგანიზება	X	X	X	
სერტიფიცირებულ ბენეფიციართა დასაქმების ხელშეწყობა		X	X	X
ქვეპროგრამის მიმდინარეობის მონიტორინგი	X	X	X	X
მონიტორინგის შედეგების/ანგარიშის მომზადება, და ანალიზი	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ქვეპროგრამის მოსარგებლე სტუდენტების შრომითი უნარების განვითარება სამუშაო გამოცდილების მიღების გზით

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ქვეპროგრამის მოსარგებლე სტუდენტების შრომითი უნარების განვითარება სამუშაო გამოცდილების მიღების გზით	ქვეპროგრამის მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა	50	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო, პროფესიული გადამზადების მიმწოდებელი	წელიწადში ერთხელ	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	მონიტორინგის ჯგუფისა და გადამზადების მიმწოდებელი პროფ.სასწავლებელი ს მიერ მოწოდებული ანგარიში
	გადამზადებულ მონაწილეთა რაოდენობა;	არაუმეტეს 50	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო, პროფესიული გადამზადების მიმწოდებელი	წელიწადში ერთხელ	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	მონიტორინგის ჯგუფისა და გადამზადების მიმწოდებელი პროფ.სასწავლებელი ს მიერ მოწოდებული ანგარიში
	გადამზადების შედეგად დასაქმებული მოქალაქეები	30%	დასაქმებულთა სტატისტიკა	წლის განმავლობაში	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	სააგენტოს მიერ ადმინისტრირებული შრომის ბაზრის მართვის ელექტრონული სისტემის სტატისტიკური მონაცემების ანალიზი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

დასაქმების ხელშეწყობის უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 061005

ქვეპროგრამის დასახელება:

კვალიფიკაციის ამაღლება არაფორმალური განათლების გზით

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	35,000
სულ ბიუჯეტი:	35,000

ქვეპროგრამის მიზანი:

აჭარის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მოქმედ ორგანიზაციებში დასაქმებულთა პროფესიული უნარების ზრდა და კვალიფიკაციის ამაღლება მათი სამუშაოზე მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

ქვეპროგრამის აღწერა:

შრომის ბაზრის მოდერნიზაცია საჭიროებს დასაქმებული შრომითი ძალის უნარების სისტემატურად ამაღლებას ახალი საბაზრო მოთხოვნებისა და საჭიროებების შესაბამისად.

ხშირ შემთხვევაში დამსაქმებლები დამოუკიდებლად ვერ უზრუნველყოფს წარმოების შესაძლებლობების გაზრდას ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვით, ვინაიდან, დაბალია ცნობიერება ადამიანური რესურსების დაგეგმვის, მათი განვითარებისათვის სტაბილური პირობების შექმნის და გრძელვადიანი პერსპექტივის დასახვის კუთხით. გარდა ამისა, შრომის ბაზარი მოითხოვს სამუშაო ძალის მუდმივ განახლებას და ზრდას.

დამსაქმებელს მასთან დასაქმებული კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობისათვის სჭირდება მხარდაჭერა სწავლების ფინანსების, მეთოდური მასალების განვითარების, ინსტრუქტორების მომზადების მხრივ. აღნიშნული ხელს შეუწყობს ორგანიზაციების განვითარებას, უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნას, რაც ორგანიზაციის მდგრად განვითარებას განაპირობებს.

ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების მიღებით ისარგებლებს 70 ბენეფიციარი.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
კვალიფიკაციის ამაღლება არაფორმალური განათლების გზით	70	500	35,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			35,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ელექტრონული ტენდერის გამოცხადება მომწოდებლის გამოსავლენად		X		

რეგიონის შრომის ბაზრის საჭიროებების გათვალისწინებით არაფორმალური განათლების მოდულების შემუშავება		X	X	
ექვეპროგრამის შესახებ დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობა და ჩართვის მსურველი ორგანიზაციების რეგისტრაცია		X	X	
ბენეფიციართა შერჩევა და ჯგუფების დაკომპლექტება			X	X
ტრენინგების ორგანიზება			X	X
ექვეპროგრამის მონიტორინგის განხორციელება		X	X	X
მონიტორინგის შედეგების/ანგარიშის მომზადება და შეფასება		X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ორგანიზაციებში სხვადასხვა პროფესიით დასაქმებული პერსონალის საბაზრო მოთხოვნებისა და საჭიროებების შესაბამისად კვალიფიკაციის გაზრდა და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
<p>ორგანიზაციებში სხვადასხვა პროფესიით დასაქმებული პერსონალის საბაზრო მოთხოვნებისა და საჭიროებების შესაბამისად კვალიფიკაციის გაზრდა და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება.</p>	<p>ქვეპროგრამის მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა</p>	<p>70</p>	<p>სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო, ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებელი</p>	<p>წლის განმავლობაში</p>	<p>სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო</p>	<p>მონიტორინგის ჯგუფისა და ელექტრონული ტენდერის შედეგად გამოვლენილი მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიში</p>
	<p>გადამზადებულ/ სერტიფიცირებულ მონაწილეთა რაოდენობა;</p>	<p>არაუმეტეს 70</p>	<p>სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო, ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებელი</p>	<p>წლის განმავლობაში</p>	<p>სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო</p>	<p>მონიტორინგის ჯგუფისა და ელექტრონული ტენდერის შედეგად გამოვლენილი მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიში</p>

პრიორიტეტის დასახელება

სოფლის მეურნეობის დარგის შემდგომი განვითარება

პროგრამული კოდი	დასახელება	2020 წელი	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
0701	აგროსასურსათო სექტორის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა	2,365,730	2,365,730	2,365,730	2,365,730	2,365,730
0705	აგროსექტორის მდგრადი განვითარება	316,800	316,800	250,000	250,000	250,000
0706	სოფლის მეურნეობის განვითარება მაღალტექნოლოგიური ტექნოლოგიების დანერგვის გზით	1,357,900	1,357,900	1,708,700	1,708,700	1,708,700
0707	აგროსერვისის განვითარება რეგიონში	2,537,725	2,537,725	2,710,157	2,710,157	2,710,157
0708	ლაბორატორიული კვლევითი მომსახურება	328,720	328,720	370,000	370,000	370,000
0709	მეცატრუსეობის განვითარების ხელშეწყობა	400,000	400,000	400,000	400,000	400,000
0711	მსხვილფეხა პირუტყვის ჯიშგანახლების ხელშეწყობა	151,200	151,200	160,460	160,460	160,460
0713	სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია	1,000,000	1,000,000	1,000,000	1,000,000	1,000,000
0714	სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა	1,146,000	1,146,000	1,200,000	1,200,000	1,200,000
0715	ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე ხორცისა და ხორც-პროდუქტების წარმოების ხელშეწყობის პროგრამა	100,000	100,000	100,000	100,000	100,000
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		9,704,075	9,704,075	10,265,047	10,265,047	10,265,047

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

სოფლის მეურნეობის დარგის შემდგომი განვითარება

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 07 05

პროგრამის დასახელება:

აგროსექტორის მდგრადი განვითარება

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	1,066,800	316,800	250,000	250,000	250,000
სულ ბიუჯეტი:	1,066,800	316,800	250,000	250,000	250,000

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2020-2023 წლები

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანს წარმოადგენს აჭარაში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის პოპულარიზაცია; დარგში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა; სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელი ფერმერებისა და აგრომეწარმეების საქმიანობის ეფექტურობისა და მდგრადობის ამაღლება; აგრარული და საბუნებისმეტყველო მიმართულების სტუდენტ-კურსდამთავრებულთა სტაჟირება-კვალიფიკაციის ამაღლება და სამეცნიერო-პრაქტიკულ რეკომენდაციებზე დაფუძნებული სოფლის მეურნეობის მაპროფილებელი დარგების განვითარება.

პროგრამის აღწერა:

აგრარული დარგის განვითარებას კომპლექსური მიდგომები და გრძელვადიან პერიოდზე გათვლილი ღონისძიებების შემუშავება სჭირდება. სოფლის მეურნეობის დარგების განვითარების ხელისშემშლელი მრავალი ფაქტორიდან ერთ-ერთს სწორედ წარმოებული პროდუქციის სუსტი კონკურენტუნარიანობა, ცნობადობის დაბალი დონე და ახალი სარეალიზაციო ბაზრების სუსტი დივერსიფიცირება წარმოადგენს. აღნიშნულის გათვალისწინებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზაციის ფარგლებში ინტენსიურად ახორციელებს საერთაშორისო აგრარული გამოფენების, ფორუმების, ფესტივალებისა და კონფერენციების ორგანიზებას, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს წარმოებული პროდუქციის ცნობადობას, ახალი ბიზნეს კონტაქტების დამყარებას და რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის ზრდას. პროგრამის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელი ფერმერებისა და აგრომეწარმეების საქმიანობის ეფექტურობისა და მდგრადობის ამაღლება ექსტენციის მიწოდების საშუალებით, ასევე სოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგებში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით განხორციელდება აგრარული და საბუნებისმეტყველო მიმართულების სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლება და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში სტუდენტ-კურსდამთავრებულებს მიეცემა შესაძლებლობა სტაჟირება გაიარონ როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში, ასევე მის სისტემაში შემავალ დაწესებულებებში.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა:

დასახელება	სულ	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზაცია, საექსპორტო და საინვესტიციო პოტენციალის ზრდა	375,000	60,000	105,000	105,000	105,000
აგრარული ექსტენციის მიწოდება	520,800	139,800	127,000	127,000	127,000
საგანმანათლებლო და სამეცნიერო პრაქტიკის დანერგვა	171,000	117,000	18,000	18,000	18,000
სულ პროგრამა	1,066,800	316,800	250,000	250,000	250,000

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები:

2019 წელს სამინისტროს ორგანიზებით ჩატარდა ბიზნეს ფორუმი, რომელშიც მონაწილეობდა 10 ქვეყნის აგრარულ სფეროში დასაქმებული 30-მდე კომპანია და მასმედიის წარმომადგენლები. ფორუმის ფარგლებში გაიმართა ორმხრივი შეხვედრები და საინფორმაციო ტურები. 2019 წელს ექსტენცია ჩატარდა მემცენარეობის, მეცხოველეობის და მეფუტკრეობის დარგების მიმართულებით 2400 ფერმერულ მეურნეობაში. 2019 წელს სტაჟირება გაიარა აგრარული მიმართულების 16 სტუდენტმა და კურსდამთავრებულმა.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები:

2020 წლის გამოწვევების გათვალისწინებით შემუშავდა პროგრამა "აგროსექტორის მდგრადი განვითარება" შემდეგი ქვეპროგრამებით: "ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზაცია, საექსპორტო და საინვესტიციო პოტენციალის ზრდა", რომლის ფარგლებშიც ჩატარდება საერთაშორისო-საინვესტიციო ბიზნეს ფორუმი, თაფლის ფესტივალის და თევზის ფესტივალის მხარდაჭერა. „აგრარული ექსტენციის მიწოდება“ ფარგლებში განხორციელდება ექსტენციის მიწოდება სოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგებში დასაქმებულ ფერმერებთან და აგრომეწარმეებთან. ქვეპროგრამის „საგანმანათლებლო და სამეცნიერო პრაქტიკის დანერგვა“ მიხედვით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროში და მის დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში ანაზღაურებად სტაჟირებას გაივლის აგრარული და საბუნებისმეტყველო მიმართულების სტუდენტები და კურსდამთავრებულები, ასევე ქვეპროგრამის ფარგლებში 15 მეცნიერ-მკვლევარი სოფლის მეურნეობის მაპროფილებელი დარგების მიმართულებით წარმოადგენენ ცალკეული დარგების პრობლემატიკის შესწავლის და მათი შემდგომი განვითარებისათვის საჭირო მეცნიერულ რეკომენდაციებს.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი:

ჩატარებული ფორუმებისა და საერთაშორისო ღონისძიებების შედეგად მოხდება ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის ცნობადობის ზრდა, რეგიონის აგრარული სფეროთი დაინტერესებულ პირებს შორის ახალი ბიზნეს კავშირების დამყარება, საექსპორტო პროდუქციის რეალიზაციის მაჩვენებლების გაუმჯობესება და ინვესტორთა დაინტერესება. სოფლის მეურნეობის დარგებში ჩატარებული ექსტენციის შედეგად სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო პრაქტიკულ და თეორიულ უნარ-ჩვევებს დაუფლებული ფერმერები და აგრომეწარმეები. სტუდენტ-კურსდამთავრებულთა ანაზღაურებადი სტაჟირების გზით გაუმჯობესდება აგრარული და საბუნებისმეტყველო მიმართულების სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის ამაღლება, მათი მოტივაციის ზრდა და პრაქტიკული უნარების გამომუშავება. აგრარული მიმართულების მეცნიერთა ჩართულობით სოფლის მეურნეობის მაპროფილებელ დარგებში შემუშავებული სამეცნიერო-პრაქტიკული რეკომენდაციები და წარმოდგენილი ანგარიშები.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
	დასახელება	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი				
ჩატარებული საერთშორისო საინვესტიციო ბიზნეს ფორუმი, თაფლის ფესტივალის მხარდაჭერა, თევზის ფესტივალის მხარდაჭერა	ფორუმი	1	1	1	1	ღონისძიება	პოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტი	მონიტორინგის ფარგლებში განხორციელებული კვლევები	
	ფესტივალი	1	1	1	1	ღონისძიება			
	ფესტივალი	1	1	1	1	ღონისძიება			
განხორციელებული ექსტენცია	ექსტენციას დაქვემდებარებული ფერმერული მეურნეობა	3400	3400	3400	3400	ფერმერი და აგრომეწარმე	აგრარული განვითარების დეპარტამენტი	მონიტორინგის ფარგლებში განხორციელებული კვლევები	
კვალიფიკაცია ამაღლებული აგრარული და საბუნებისმეტყველო მიმართულების სტუდენტები და კურსდამთავრებულები	სტუდენტების და კურსდამთავრებულების სტაჟირება	10	10	10	10	კაცი	აგრარული განვითარების დეპარტამენტი	მონიტორინგის ფარგლებში განხორციელებული კვლევები	
სოფლის მეურნეობის მაკროფილებელ დარგებში შემუშავებული სამეცნიერო-პრაქტიკული რეკომენდაციები და წარმოდგენილი ანგარიშები.	აგრარული მიმართულების სამეცნიერო-პრაქტიკული რეკომენდაციები	4	4	4	4	წარმოდგენილი ანგარიში	აგრარული განვითარების დეპარტამენტი	მონიტორინგის ფარგლებში განხორციელებული კვლევები	

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

აგროსექტორის მდგრადი განვითარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

070504

ქვეპროგრამის დასახელება:

საგანმანათლებლო და სამეცნიერო პრაქტიკის დანერგვა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	117,000
სულ ბიუჯეტი:	117,000

ქვეპროგრამის მიზანი:

აგრარული და საბუნებისმეტყველო მიმართულების სტუდენტ-კურსდამთავრებულთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების და კვალიფიკაციის ამაღლება, სამეცნიერო-პრაქტიკულ რეკომენდაციებზე დაფუძნებულ სოფლის მეურნეობის მაპროფილებელი დარგების განვითარება.

ქვეპროგრამის აღწერა:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგებში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით აუცილებელია აგრარული და საბუნებისმეტყველო მიმართულების სტუდენტების და კურსდამთავრებულების სტაჟირება. აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში აგრარული და საბუნებისმეტყველო მიმართულების სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს მიეცემა შესაძლებლობა სტაჟირება გაიარონ, როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში, ასევე მის სისტემაში შემავალ დაწესებულებებში. ქვეპროგრამის ფარგლებში მოკლევადიან პერიოდში (6 თვე) მოხდება მათი დასაქმება შესაბამისი ანაზღაურებით, რაც თითოეულ სტუდენტს თუ დარგის სპეციალისტს გაუჩნებს მოტივაციას ღრმად დაეუფლონ პრაქტიკულ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას, ლაბორატორიული კვლევის საფუძვლებს და გარემოს დაცვის ორგანიზაციულ მიდგომებს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ანაზღაურებადი სტაჟირების და შესაბამისი პრაქტიკული საქმიანობების გავლის შედეგად მოხდება სტუდენტების და კურსდამთავრებულების კვალიფიკაციის დონის ამაღლება. ქვეპროგრამის მიზნის მისაღწევად დაგეგმილია აგრარული და საბუნებისმეტყველო მიმართულების 10 სტუდენტისა და კურსდამთავრებულის სტაჟირება.

ბ) დღეისათვის აგრარული სექტორი მრავალი გამოწვევის წინაშე დგას, რაც უპირველეს ყოვლისა საჭიროებს ცალკეული დარგების მიმართულებით სამეცნიერო კვლევების საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებით ოპტიმალური ღონისძიებების დაგეგმვას, რომლის გარეშეც შეუძლებელია დარგის მიზანმიმართული, მდგრადი განვითარება. სწორედ ამიტომ, აუცილებელია აგრარულ სფეროში მოღვაწე მეცნიერების უშუალო მონაწილეობით განხორციელდეს სოფლის მეურნეობის მაპროფილებელ დარგებში სიღრმისეული სამეცნიერო-პრაქტიკული რეკომენდაციები და მისი შედეგები გამოყენებულ იქნას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ სამოქმედო გეგმების, ცალკეული დარგების განვითარების სტრატეგიების და პროგრამების შემუშავება/განხორციელების პროცესში. აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში 15 მეცნიერ-მკვლევარი სოფლის მეურნეობის მაპროფილებელ დარგებში არსებულ პრობლემებზე წარმოადგენენ ყოველთვიურ ანგარიშებს, რომელიც ორიენტირებული იქნება აღნიშნული დარგების პრობლემატიკის შესწავლის და მათი შემდგომი განვითარებისათვის საჭირო მეცნიერული რეკომენდაციების შემუშავებაზე.

დასახელება		პროდუქტები		
		რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
აგრარული და საბუნებისმეტყველო მიმართულების სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა სტაჟირება	სტაჟირების ანაზღაურება (10 სტუდენტი და კურსდამთავრებული)	6 თვე	300	18,000
სოფლის მეურნეობის მაპროფილებელ დარგებში შემუშავებული სამეცნიერო-პრაქტიკული რეკომენდაციები და წარმოდგენილი ანგარიშები	მეცნიერ-მკვლევარების შრომის ანაზღაურება (15 მეცნიერ-მკვლევარი)	12 თვე	550	99,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი				117,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა:

ლონისძიება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების შერჩევა და მეცნიერ-მკვლევარებზე ხელშეკრულების გაფორმება	X			
აგრარული და საბუნებისმეტყველო მიმართულების სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა სტაჟირება		X	X	X
სოფლის მეურნეობის მაპროფილებელ დარგებში შემუშავებული სამეცნიერო-პრაქტიკული რეკომენდაციები და წარმოდგენილი ანგარიშები	X	X	X	X

მიმდინარე წლის მოსალოდნელი შედეგი:

სტაჟირება გავლილი, კვალიფიკაცია ამაღლებული აგრარული და საბუნებისმეტყველო მიმართულების სტუდენტები და კურსდამთავრებულები. სოფლის მეურნეობის მაპროფილებელ დარგებში შემუშავებული სამეცნიერო-პრაქტიკული რეკომენდაციები და წარმოდგენილი ანგარიშები.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
სტაჟირება გავლილი აგრარული და საბუნებისმეტყველო მიმართულების სტუდენტები და კურსდამთავრებულები	10	კაცი	აგრარული განვითარების დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	მონიტორინგის ფარგლებში განხორციელებული კვლევები
სოფლის მეურნეობის მაპროფილებელ დარგებში შემუშავებული სამეცნიერო-პრაქტიკული რეკომენდაციები და წარმოდგენილი ანგარიშები.	4	წარმოდგენილი ანგარიში	აგრარული განვითარების დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	მონიტორინგის ფარგლებში განხორციელებული კვლევები

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

აგროსექტორის მდგრადი განვითარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 070505

ქვეპროგრამის დასახელება:

ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზაცია, საექსპორტო და საინვესტიციო პოტენციალის ზრდა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	60,000
სულ ბიუჯეტი:	60,000

ქვეპროგრამის მიზანი:

საერთაშორისო ფორუმების, ფესტივალებისა და კონფერენციების ორგანიზებით, ადგილობრივი წარმოების პროდუქციის ცნობადობის ზრდა, საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირების ხელშეწყობა და რეგიონის საინვესტიციო შესაძლებლობების წარმოჩენა

ქვეპროგრამის აღწერა:

აგრარული დარგის განვითარებას კომპლექსური მიდგომები და გრძელვადიან პერიოდზე გათვლილი ღონისძიებების შემუშავება სჭირდება. ჩვენი რეგიონისათვის დამახასიათებელი ნიადაგურ-კლიმატური პირობები რეალურ შესაძლებლობას აძლევს ადგილობრივ ფერმერებს გააუმჯობესონ წარმოებული პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლები და გაზარდონ ექსპორტზე ორიენტირებული პროდუქციის რაოდენობა, რომელიც მათი მატერიალური კეთილდღეობის საწინდარია. სოფლის მეურნეობის დარგების განვითარების ხელისშემშლელი მრავალი ფაქტორებიდან ერთ-ერთს სწორედ წარმოებული პროდუქციის სუსტი კონკურენტუნარიანობა, ცნობადობის დაბალი დონე და სარეალიზაციო ბაზრების ნაკლები დივერსიფიცირება წარმოადგენს, რომელშიც მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ღონისძიებები სახელმწიფოს მხრიდან უნდა განხორციელდეს. ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზაციის ფარგლებში ინტენსიურად ახორციელებს საერთაშორისო აგრარული ფორუმების, ფესტივალებისა თუ კონფერენციების ორგანიზებას, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს წარმოებული პროდუქციის ცნობადობას, ახალი ბიზნეს კონტაქტების დამყარებას და რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის ზრდას.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია აგრარული დარგის მიმართულებით საერთაშორისო ფორუმის, ფესტივალის და კონფერენციის ორგანიზება, რომელიც ხელს შეუწყობს რეგიონში წარმოებული პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის ზრდას, ტრადიციული დარგების პარალელურად დამხმარე დარგების განვითარებას.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
საერთაშორისო-საინვესტიციო ბიზნეს ფორუმი	1	50,000	50,000
თაფლის ფესტივალის მხარდაჭერა	1	5,000	5,000
თევზის ფესტივალის მხარდაჭერა	1	5,000	5,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			60,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა:

ღონისძიება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
საერთაშორისო-საინვესტიციო ბიზნეს ფორუმის ორგანიზება		X	X	X
თაფლის ფესტივალის მხარდაჭერა	X	X	X	X
თევზის ფესტივალის მხარდაჭერა	X	X	X	X

მიმდინარე წლის მოსალოდნელი შედეგი:

ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის ცნობადობის ზრდა, რეგიონის აგრარული სფეროთი დაინტერესებულ პირებს შორის ახალი სამეცნიერო და ბიზნეს კავშირების დამყარება, საექსპორტო პროდუქციის რეალიზაციის მაჩვენებლების გაუმჯობესება და ინვესტორთა დაინტერესება

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
საერთშორისო საინვესტიციო ბიზნეს ფორუმი	1	ღონისძიება	პოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	მონიტორინგის ფარგლებში განხორციელებული კვლევები
თაფლის ფესტივალის მხარდაჭერა	1	ღონისძიება				
თევზის ფესტივალის მხარდაჭერა	1	ღონისძიება				

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

აგროსექტორის მდგრადი განვითარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	070506	
----------------------------------	--------	--

ქვეპროგრამის დასახელება:

აგრარული ექსტენციის მიწოდება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	139,800
სულ ბიუჯეტი:	139,800

ქვეპროგრამის მიზანი:

სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელი ფერმერებისა და აგრომეწარმეების საქმიანობის ეფექტურობისა და მდგრადობის ამაღლება

ქვეპროგრამის აღწერა:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აგრარული სპეციფიკის, ნიადაგურ-კლიმატური პირობების მრავალფეროვნების და მავნებელ-დაავადებების ინტენსიურად გავრცელების რისკების გათვალისწინებით, სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის მიწოდებას განსაკუთრებული დატვირთვა და მნიშვნელობა ენიჭება ვინაიდან ფერმერებისა და აგრომეწარმეების ეფექტურობა პირდაპირ დამოკიდებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნასთან და მათ სამეურნეო საქმიანობაში გამოყენების შესაძლებლობასთან. აქედან გამომდინარე, საჭიროა რეგიონის ფერმერებისა და აგრომეწარმეებისათვის თანამედროვე ტექნოლოგიებზე და მასალებზე ორიენტირებული ინტენსიური ექსტენციის მომსახურების მიწოდება, რისთვისაც აუცილებელია ექსტენციის სერვისის მიწოდებაში მაღალკვალიფიციური აგრარული სფეროს სპეციალისტების ჩართულობა მემცენარეობის, მეცხოველეობის, მეფუტკრეობის, მცენარეთა დაცვისა და სხვა დარგების მიხედვით. იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს წარმოებული პროდუქციის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები, აჭარისათვის დამახასიათებელი სოფლის მეურნეობის სტრატეგიული დარგების მიმართულებით აუცილებელია შედეგზე ორიენტირებული ექსტენციის სერვისის მიწოდება. ექსტენციის პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით მიზანშეწონილია 2020 წლის განმავლობაში შერჩეული იქნას კვალიფიციური აგროსპეციალისტები 10 თვიანი პერიოდით ექსტენციის ფაზების შესაბამისად. შედეგად, მიწოდებული ექსტენცია იქნება თეორიულ-პრაქტიკული, ეკონომიკურად ეფექტური და მდგრადი, რომელშიც მთლიანობაში ჩაერთვება 3400 ფერმერული მეურნეობა სხვადასხვა დარგების მიმართულებით.

ქვეპროგრამის ფარგლებში აგრარული დარგის სპეციალისტების შერჩევა განხორციელდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დასახელება	პროდუქტები			
	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
შერჩეული აგრარული დარგის სპეციალისტების შრომის ანაზღაურება (10 თვე)	კაცი	8	12,800	128,000
ექსტენციონისტებისათვის სპეციალური ფორმების და საჭირო აღჭურვილობის შეძენა	კაცი	20	590	11,800
სულ ჯამი				139,800

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა:

ღონისძიება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
კონკურსის ჩატარება და გამარჯვებულ აგრარული დარგის სპეციალისტებთან ხელშეკრულებ(ებ)ის გაფორმება	X	X		
ექსტენციონისტებისათვის სპეციალური ფორმების და საჭირო აღჭურვილობის შეძენა	X	X	X	
საველე პირობებში ექსტენციის განხორციელება	X	X	X	X

მიმდინარე წლის მოსალოდნელი შედეგი:

ჩატარებული ექსტენციის შედეგად სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო პრაქტიკულ და თეორიულ უნარ-ჩვევებს დაუფლებული ფერმერები და აგრომეწარმეები.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ექსტენციას დაქვემდებარებული ფერმერული მეურნეობა	3400	ფერმერი და აგრომეწარმე	აგრარული განვითარების დეპარტამენტი	წელიწადში ორჯერ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	მონიტორინგის ფარგლებში განხორციელებული კვლევები

პროგრამის განაცხადის ფორმა

პროიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

სოფლის მეურნეობის დარგის შემდგომი განვითარება

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 07 06

პროგრამის დასახელება:

სოფლის მეურნეობის განვითარება მაღალეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის გზით

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	6,484,000	1,357,900	1,708,700	1,708,700	1,708,700
სულ ბიუჯეტი:	6,484,000	1,357,900	1,708,700	1,708,700	1,708,700
პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2020 - 2023 წლები				

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის დივერსიფიკაციის მიზნით მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარება, სასათბურე მეურნეობების განვითარების გზით რეგიონისათვის ახალი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა და ფუნქციის მინიჭება, სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამული გაძლიერების უზრუნველყოფა. იმპორტირებული პროდუქციის ქართული პროდუქციით ჩანაცვლება ექსპორტის გაზრდა, სოფლად მოსახლეობის სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

პროგრამის აღწერა:

მაღალეფექტური მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების ხელშეწყობა ფერმერთა და აგრომეწარმეთა ხელშეწყობის შედეგების ანალიზი და სტატისტიკური მონაცემთა ბაზების შექმნის უზრუნველყოფა; სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის წარმოების ინტენსიფიკაციის დონის ამაღლება; ფერმერთა და აგრომეწარმეთა შრომის ნაყოფიერებისა და შემოსავლების გაზრდა. პროგრამით დასახული მიზნის მისაღწევად საჭიროა განხორციელდეს შემდეგი ქვეპროგრამები: 1) სასათბურე მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა; 2) მაღალეფექტური მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების ხელშეწყობა; 3) სამინისტროს პროგრამული უზრუნველყოფა;

ქვეპროგრამების ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებები: ა) სასათბურე მეურნეობ(ებ)ის მოწყობა; ბ) მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ბაღების გაშენება; გ) პროგრამის შესყიდვა და დანერგვა;

ქვეპროგრამებს განახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რომელიც უზრუნველყოფს ბენეფიციართა შერჩევას და ქვეპროგრამით გათვალისწინებული საქონლის ბენეფიციარებზე გადაცემას ქვეპროგრამებში გათვალისწინებული პირობებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
სასათბურე მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა	2,670,000	375,000	765,000	765,000	765,000
მაღალეფექტური მრავალწლიანი სასოფლო - სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების ხელშეწყობა	3,484,000	652,900	943,700	943,700	943,700
სამინისტროს პროგრამული უზრუნველყოფა	330,000	330,000			

სულ პროგრამის ბიუჯეტი:	6,484,000	1,357,900	1,708,700	1,708,700	1,708,700
------------------------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები:

2019 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამის „სოფლის მეურნეობის განვითარება მაღალეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის გზით“ ფარგლებში სამინისტროს მიერ განხორციელებული იქნა ქვეპროგრამები: 1) „მაღალეფექტური მრავალწლიანი სასოფლო - სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში რეგიონის 52.4 ჰა სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთზე თანადაფინანსებით გაშენდა ინტენსიური და ნახევრად ინტენსიური კაკლის, მოცვის, ვაზის, კივის, ჟოლოს, საადრეო მანდარინის და სხვადასხვა მრავალწლიანი სასოფლო - სამეურნეო კულტურების თანამედროვე ბაღები; 2) „სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა“ ფარგლებში რეგიონის ფერმერებს და აგრომეწარმეებს თანაგადახდით გადაეცათ 1317 ერთეული ბადის მობილური შემასხურებელი (შესაწამლი) აპარატი, 150 ერთეული მოტობლოკი სათიბელას კომპლექტაციით, 150 ერთეული მოტოკულტივატორი, ასევე ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრს მართვაში გადაეცა 5 ერთეული ტრაქტორი აღჭურვილი სხვადასხვა აგრეგატებით (სითხის გამფრქვევი, სახნავი გუთანა, თივის საწნები); 3) „ვენახის ფართობებისათვის რკინა -ბეტონის საყრდენი ბოძებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა“ ფარგლებში რეგიონის მევენახეობის სექტორში დასაქმებულ ფერმერებს და აგრომეწარმეებს თანაგადახდის პრინციპით გადაეცა 5000 ერთეული ვენახის საყრდენი რკინა - ბეტონის (შპალერი) ბოძები; 4) „მცირე გადამამუშავებელი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა“ ფარგლებში რეგიონის ფერმერებს და აგრომეწარმეებს თანაგადახდით გადაეცათ 410 ერთეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი და შესანახი საშუალებები.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები:

2020 წლის პროგრამა „სოფლის მეურნეობის განვითარება მაღალეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის გზით“ წარმოდგენილია შემდეგი ქვეპროგრამებით კერძოდ: 1) „სასათბურე მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა“; 2) „მაღალეფექტური მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების ხელშეწყობა“; 3) „სამინისტროს პროგრამული უზრუნველყოფა“.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი:

2020 – 2023 წლის საშუალო ვადიან პერიოდში სასათბურე მეურნეობების განვითარების ხელშეწყობით რეგიონის დაბლობ ზონას მიენიჭება ახალი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულება და ფუნქცია, ფერმერებსა და აგრომეწარმეებს დახურულ გრუნტში მიეცემათ მაღალპროდუქტიული ჯიშის სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაშენების შესაძლებლობა. ფინანსური და ტექნიკური დახმარების გზით გაშენდება მაღალეფექტური მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურები.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები									
მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები				გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	მასშტაბი (საბიუჯეტო)	მონიტორინგის მეთოდი	
	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი					
სასათბურე მეურნეობის განვითარება	სასათბურე მეურნეობში წარმოებული ბოსტნეული კულტურების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება	5000	10930	10930	10930	კვ.მ	პროგრამების მართვის დეპარტამენტი, აგრარული განვითარების დეპარტამენტი	აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო	მონიტორინგის ფარგლებში განხორციელებული კვლევები
მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურის ბაღების გაშენება	ინტენსიური ტექნოლოგიებით გაშენებული ხეხილოვანი ბაღები	71	76	76	76	ჰა			
სამინისტროს პროგრამული უზრუნველყოფა	სამინისტროს მონაცემთა ბაზების სრულყოფა	1	1	1	1	პროექტი			

ქვეპროგრამის პროექტის განაცხადი

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სოფლის მეურნეობის განვითარება მაღალტექნოლოგიური ტექნოლოგიების დანერგვის გზით

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 07 06 13

სასათბურე მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	375,000
სულ ბიუჯეტი:	375,000

ქვეპროგრამის მიზანი:

მაღალმწარმოებლური ტექნოლოგიების გამოყენებით სასათბურე სექტორის განვითარების გზით ფერმერულ მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობა მოსახლეობის შემოსავლების ზრდა.

ქვეპროგრამის აღწერა:

აჭარის რეგიონის მცირე მიწიანობის პირობებში რესურსების რაციონალური გამოყენება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ამ მხრივ მნიშვნელოვან ფაქტორს სასათბურე მეურნეობების განვითარება წარმოადგენს, რაც ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების პერიოდის, რაოდენობისა და პროგრამის ბენეფიციართა შემოსავლების ზრდას.

ქვეპროგრამის ფარგლებში ფერმერებისა და აგრომეწარმეების საკუთრებაში და/ან გრძელვადიან სარგებლობაში არსებულ მიწის ფართობებზე მოეწყობა ინდივიდუალური სასათბურე მეურნეობები. კერძოდ: შესყიდული 105 მ²; 200 მ², 300 მ², 500 მ² სათბურების მოწყობისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიხედვით. "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად შერჩეულ პირთან გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე ქვეპროგრამის ბენეფიციართან განხორციელდება სათბურების მშენებლობა. სათბურების მშენებლობის (გარდა მიწის სამუშაოებისა) ღირებულების 80%-ის თანადაფინანსება განხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან, ხოლო 20% -ის თანადაფინანსება - ქვეპროგრამის ბენეფიციარის მიერ.

ქვეპროგრამის ფარგლებში აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო საქონლის/მომსახურების/სამუშაოების შესყიდვას განხორციელებს საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ შესაბამისად. ქვეპროგრამის ბენეფიციარები შეირჩევა აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბენეფიციართა შესარჩევი კომისიის მიერ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად.

დასახელება	პროდუქტები			
	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ინდივიდუალური სასათბურე მეურნეობების მოწყობა	კვ.მ	5,000	75	375,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი				375,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება და გამარჯვებულთან ხელშეკრულებ(ებ)ის გაფორმება	X	X	X	X
ფერმერთა და აგრომეწარმეთა შერჩევა	X	X	X	X
საქონლის/მომსახურების მოწოდება და მიწოდება ბენეფიციარებზე	X	X	X	X

მიმდინარე წლის მოსალოდნელი შედეგი

ფერმერებზე და აგრომეწარმეებთან მოწყობილი ინდივიდუალური სასათბურე მეურნეობები

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
მოწყობილი სასათბურე მეურნეობები	5,000	კვ.მ	პროგრამების მართვის დეპარტამენტი	წლის განმავლობაში ორჯერ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	მონიტორინგის ფარგლებში განხორციელებული კვლევები

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	
სოფლის მეურნეობის განვითარება მაღალტექნოლოგიური ტექნოლოგიების დანერგვის გზით	
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	070614
ქვეპროგრამის დასახელება:	
მაღალტექნოლოგიური მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების ხელშეწყობა	

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	652,900
სულ ბიუჯეტი:	652,900

ქვეპროგრამის მიზანი:

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მრავალწლიანი ბაღების გაშენების გზით ფერმერთა და აგრომეწარმეთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის აღწერა:

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული ბაღების დიდი ნაწილი ამორტიზირებულია, ხასიათდება მეწლეობით და დაბალმოსავლიანობით. სწორედ ამიტომ საჭიროა ძველი ამორტიზირებული ნარგაობების ჩანაცვლება ახალი ინტენსიური და ნახევრად ინტენსიური თანამედროვე ბაღებით, რომელიც სამომავლოდ უნდა გახდეს ფერმერებისა და აგრომეწარმეებისთვის ფინანსურად მომგებიანი შემოსავლის წყარო. ამასთან, მრავალწლიანი ბაღების გაშენება მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს რეგიონში ეკოლოგიური წონასწორობის აღდგენას.

ბოლო წლებში ქვეპროგრამების ფარგლებში ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე მაღალშემოსავლიანი მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ნერგების მიწოდებამ ცხადყო, რომ მოსახლეობაში გაჩნდა ინტერესი ახალი ბაღების ინტენსიური ტექნოლოგიებით გაშენების მიმართულებით. გასული წლების გამოცდილებამ დაადასტურა, რომ მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაშენების პროცესში მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორია წარმოებული ნერგის მახასიათებლები (ფესვთა სისტემა, ღერო, სიმაღლე, წლოვანება და სხვ), ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფერმერის და/ან აგრომეწარმის ჩართულობას და პასუხისმგებლობას ნერგის შერჩევის პროცესში შესაბამისად, ქვეპროგრამის ფარგლებში ბენეფიციარი თვითონ შეარჩევს სანერგე მეურნეობას, საიდანაც განახორციელებს ნერგის შესყიდვას, ხოლო ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი პირველადი დოკუმენტების საფუძველზე (სანერგე მეურნეობის/მიმწოდებლის მიერ გაცემული ინვოისი, ნერგის მახასიათებლები) გაფორმებული სამმხრივი ხელშეკრულებით (ბენეფიციარის, სანერგე მეურნეობის/მიმწოდებელსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შორის) გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, სოფლის მეურნეობის სამინისტრო სანერგე მეურნეობასთან/მიმწოდებელთან განახორციელებს შესაბამის ანგარიშსწორებას (სუბსიდირებას).

ამასთან, ბენეფიციარი სანერგე მეურნეობას/მიმწოდებელს შეარჩევს იმ სანერგე მეურნეობებიდან, რომლებიც ჩართული არიან ა(ა)იპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს პროექტში „დანერგე მომავალი“ აღნიშნულით უზრუნველყოფილი იქნება, როგორც მიმწოდებლის კონკურენტულ გარემოში შერჩევა, ასევე კვალიფიციური მწარმოებლის მიერ წარმოებული ნერგის მიღება.

ქვეპროგრამის ფარგლებში კივის და კენკროვანი კულტურების ნერგების ღირებულება დაფინანსება (სუბსიდირება) განხორციელდება სრულად - სახელმწიფო ღირებულების 100 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს ერთეულ ძირ ნერგზე ქვეპროგრამით განსაზღვრული ღირებულებისა, ხოლო სხვა მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნერგების ღირებულების დაფინანსდება (სუბსიდირება) განხორციელდება სახელმწიფო ღირებულების 70 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს ერთეულ ძირ ნერგზე ქვეპროგრამით განსაზღვრული ღირებულებისა.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მულჩიფირი და წვეთოვანი სარწყავი სისტემები შესყიდული იქნება სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ შესაბამისად.

კენკროვანი კულტურების კომპონენტში შერჩეულ ბენეფიციარებს შესაბამისი მულჩიფირი და წვეთოვანი სარწყავი სისტემა გადაეცემა უსასყიდლოდ. ხოლო კაკლის კულტურის კომპონენტში შერჩეულ ბენეფიციარებს წვეთოვანი სარწყავი სისტემა გადაეცემა ბენეფიციარის მხრიდან სახელმწიფო ღირებულების 30%-ის ხაზინის შესაბამისი ანგარიშზე გადახდის პირობით

ქვეპროგრამის ფარგლებში ერთ ბენეფიციართან გასაშენებელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ზღვრული ფართობი შეადგენს: კენკროვანი კულტურებისათვის - 0.05 ჰა-დან - 1 ჰა-ს ჩათვლით, ხოლო სხვა დანარჩენი სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის - 0.1 ჰა-დან -1 ჰა-ს ჩათვლით.

ქვეპროგრამას განხორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო. საქონლის (გარდა მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნერგებისა, რომლის შესყიდვას განხორციელებს ბენეფიციარი, ხოლო სამინისტრო ფინანსური დახმარების ფარგლებში, ახდენს ანგარიშსწორებას (სუბსიდირებას) სანერგე მეურნეობასთან) შესყიდვას სამინისტრო განხორციელებს საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" შესაბამისად. ქვეპროგრამის ბენეფიციარების შერჩევა განხორციელდება სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბენეფიციართა შესარჩევი კომისიის მიერ, განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად.

დასახელება	პროდუქტები			
	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულზე დაფინანსებული თანხა	სულ (ლარი)
საადრეო მანდარინის ნერგები (20 ჰა)	ძირი	20,000	2.1	42,000
კაკლის ნერგები (25 ჰა)	ძირი	8,250	12	99,000
მოცვის ნერგები (15 ჰა)	ძირი	49,500	7	346,500
ქოლოს ნერგები (1 ჰა)	ძირი	4,700	1.5	7,050
მულჩიფირი	მეტრი	54,000	2.1	113,400
კივის ნერგები (2 ჰა)	ძირი	1,000	3.5	3,500
ვაზის ნერგები (5 ჰა)	ძირი	12,500.0	2.1	26,250
სხვა მრავალწლიანი სასოფლო - სამეურნეო კულტურების ნერგები (ლიმონი, ფორთოხალი, ხურმა - სულ 3 ჰა)	ძირი	3,800	4.0	15,200
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი				652,900

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

ლონისძიებები	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება და გამარჯვებულ(ებ)თან ხელშეკრულებ(ებ)ის გაფორმება	X	X	X	X
ფერმერთა და აგრომეწარმეთა შერჩევა	X	X	X	X

შესყიდული საქონლის/მომსახურების/მოწოდება და მიწოდება ბენეფიციარებზე	X	X	X	X
---	---	---	---	---

მიმდინარე წლის მოსალოდნელი შედეგი

71 ჰა-ზე გაშენებული მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ბაღები.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული, ცალი	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
გაშენებული მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ბაღები	71.0	ჰა	პროგრამების მართვის დეპარტამენტი	წლის განმავლობაში ორჯერ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	მონიტორინგის ფარგლებში განხორციელებული კვლევები

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სოფლის მეურნეობის განვითარება მაღალტექნოლოგიური ტექნოლოგიების დანერგვის გზით		
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	07 06 19	

ქვეპროგრამის დასახელება:

სამინისტროს პროგრამული უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	330,000
სულ ბიუჯეტი:	330,000

ქვეპროგრამის მიზანი:

სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამული გაძლიერება

ქვეპროგრამის აღწერა:

<p>სოფლის მეურნეობის მიმართულებით საქმიანობა აჭარის რეგიონში სულ უფრო მზარდი ხდება, ბოლო მონაცემებით გაორმაგებულია მოთხოვნილება სამინისტროს პროგრამებში მონაწილეობაზე ექსტენციისა და სხვადასხვა სერვისებით მომსახურებებზე. შესაბამისად, გაიზარდა დასამუშავებელი მონაცემების რაოდენობა. ამჟამად სამინისტრო მონაცემებს ამუშავებს ხელით MS EXCEL-ის ფაილებში. ბევრი სტატისტიკური ფორმები ჯერ კიდევ დამუშავების სტადიაშია.</p> <p>არსებული პრობლემები შეიძლება შემდეგნაირად შემჯამდეს:</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> არაელექტრონული საქმის წარმოება და არასრულყოფილი სააღრიცხვო სისტემა; <input type="checkbox"/> ფერმერთა ერთიანი აღრიცხვიანობის არარსებობა (მაგ. შეუძლებელია მყისიერად გადამოწმდეს ფერმერზე გაწეული კონსულტაციები); <input type="checkbox"/> სხვადასხვა სერვისით გაწეულ მომსახურებებს შორის ურთიერთკავშირი; <input type="checkbox"/> მასალების მიღების და რეგიონალურ ოფისებში მათი ხარჯვის ერთიანი ბაზის არ ქონა; <input type="checkbox"/> სტატისტიკური მასალის მომზადების სირთულე; <input type="checkbox"/> ფერმერთა რეგისტრაციის და მათი მომსახურების მართვის ინფორმაციული სისტემის არ ქონა <p>ჩამოთვლილი პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია მართვის ინფორმაციული სისტემის დანერგვით, რაც პირველ ეტაპზე ნაწილობრივ და შემდგომი განვითარების პირობებში სრულად მოხსნის აღნიშნულ პრობლემებს.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში შესყიდული იქნება ელექტრონული პროგრამა რომელიც გააძლიერებს სამინისტროს შესაძლებლობებს ოპერატიული მონაცემების, განხორციელებული პროგრამების აღრიცხვისა და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების მიმართ სიღრმისეული ანალიზების მომზადების კუთხით.</p>

დასახელება	პროდუქტები			
	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ (ლარი)
პროგრამული უზრუნველყოფა	პროგრამა	1	330000	330,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი				330,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება და გამარჯვებულთან ხელშეკრულებ(ებ)ის გაფორმება	X	X	X	X
პროგრამული უზრუნველყოფა		X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

დამუშავებული მონაცემთა ბაზები

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
სამინისტროს პროგრამური უზრუნველყოფა	1	პროგრამა	პროგრამების მართვის დეპარტამენტი, აგრარული განვითარების დეპარტამენტი	სისტემატიურად	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	მონიტორინგის ფარგლებში განხორციელებული კვლევები

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

სოფლის მეურნეობის დარგის შემდგომი განვითარება

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 0713

პროგრამის დასახელება:

სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	4,000,000	1,000,000	1,000,000	1,000,000	1,000,000
სულ ბიუჯეტი:	4,000,000	1,000,000	1,000,000	1,000,000	1,000,000

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2020-2023 წლები

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანს წარმოადგენს სამელიორაციო ინფრასტრუქტურის განვითარება, სარწყავი და სადრენაჟე სისტემების რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა.

პროგრამის აღწერა:

აჭარაში მწყობრიდანაა გამოსული სამელიორაციო სისტემების დიდი ნაწილი, რის გამოც სასოფლო-სამეურნეო ნათესებზე უარყოფით გავლენას ახდენს გვალვები, ხოლო დაბლობ ზონაში მოსული ჭარბი ნალექები ქმნიან ჭარბ-ტენიანობას. აქედან გამომდინარე, აუცილებელი ხდება, ერთი მხრივ გვალვიან მიწებზე სარწყავი სისტემების აღდგენა და მეორეს მხრივ ჭარბტენიანი მიწების დაშრობისთვის საჭირო სადრენაჟე სისტემების რეაბილიტაცია. პროგრამა ითვალისწინებს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული დაშრობი, სარწყავი და შიდაქსელური არხების რეაბილიტაციას.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა:

დასახელება	ერთეული	პროდუქტები		
		რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
აჭარის ა/რ ადმინისტრაციულ საზღვრებში სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია	კმ	32.789	26,338	863,609
2021 წლისათვის სარეაბილიტაციო სარწყავი და დამშრობი არხების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება	პროექტი	16	1,875	30,000
ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება				26,000
არხების მოვლა-შენახვა				80,391
სულ პროგრამის ბიუჯეტი				1,000,000

პროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი

2021 წლის სარწყავი არხების რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება		X	X	X	X
სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია		X	X	X	X
ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება		X	X	X	X
არხების მოვლა-შენახვა		X	X	X	X

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები:

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სამელიორაციო სისტემის რეაბილიტაცია-მოდერნიზაციის სამუშაოები განხორციელდა 57.88 კმ-ზე.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები:

მიმდინარე წელს სამელიორაციო სისტემის გაუმჯობესების მიზნით რეაბილიტაცია განხორციელდება 32,789 კმ-ზე.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი:

სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია/რეაბილიტაციის შედეგად რეაბილიტირებული სარწყავი არხები დატბორვა-დაჭაობებისაგან დაცული სასოფლო-სამეურნეო სავარგულები

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები				გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი				
არხების რეაბილიტაცია	32.789	40	40	40	კმ	პროგრამების მართვის დეპარტამენტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სამუშაოებზე მუდმივი ზედამხედველობა და მიღება ჩაბარების აქტები

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

სოფლის მეურნეობის დარგის შემდგომი განვითარება

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 0707

პროგრამის დასახელება:

აგროსერვისის განვითარება რეგიონში

პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	10,668,196	2,537,725	2,710,157	2,710,157	2,710,157
სულ ბიუჯეტი:	10,668,196	2,537,725	2,710,157	2,710,157	2,710,157

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2020-2023 წლები

პროგრამის მიზანი:

- ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“-ს ადმინისტრაციული აპარატის მოქნილი, მაღალეფექტური და კოორდინირებული მართვის სისტემის უზრუნველყოფა;
- სტრუქტურულ ქვედანაყოფებში შრომის ნაყოფიერების ამაღლება და ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“-ს ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება;
- მაღალტექნოლოგიური სადემონსტრაციო ბაღების მოწყობა, ტექნოლოგიურად ადჭურვილი სანერგე-სასათბურე და საჩითილე მეურნეობების ჩამოყალიბება, მაღალპროდუქტიული მეცხოველეობა, აგრარულ ინოვაციებს დაუფლებული ფერმერები და აგროსპეციალისტები.
- მაღალმთიან აჭარაში სანერგე, საჩითილე მეურნეობების განვითარება და ვეტერინარული კლინიკის ფუნქციონირება
- რეგიონში არსებული მეფუტკრე ფერმერების ფუტკრის ოჯახებით (ამანათ ნაყარი) უზრუნველყოფა.
- შეღავათიან ფასში სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ფერმერებზე გაწეული მომსახურება
- შუახევის მუნიციპალიტეტში დასრულდება აგრომომსახურების ცენტრის მშენებლობა.
- ფერმერებზე/აგრომეწარმეებზე აგრომომსახურების განხორციელება
- ციტრუსოვნათა სხვადასხვა მავნებლების წინააღმდეგ წამლობითი ღონისძიებები
- მებოსტნეობისა და მესათბურეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ჩითილის წარმოება

პროგრამის აღწერა:

ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“-ს საქმიანობასა და მმართველობის სფეროში შედის ციტრუსოვნათა, ვაზის, ხეხილ-კენკროვანთა სადემონსტრაციო-საკოლექციო, სანერგე და სასათბურე მეურნეობები, ასევე რეგიონში მეცხოველეობის განვითარების ხელშეწყობა. ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“ კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობას იღებს დარგობრივი პოლიტიკის განვითარებაში, ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვასა და განხორციელებაში, ხელს უწყობს აგროსასურსათო სექტორში პროდუქციის წარმოების ზრდას, ფერმერთა და აგრომეწარმეთა ცოდნის და კვალიფიკაციის ამაღლებას. პროგრამის ფარგლებში ჩაქვისა და გვარა-ხუცუბნის ტერიტორიაზე არსებული სანერგე მეურნეობებში, აქცენტი გაკეთდება მაღალხარისხიანი, უვირუსო და ჯიშური თავისებურებებით გამორჩეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნერგების წარმოებაზე მაღალმთიან აჭარაში სანერგე, საჩითილე მეურნეობების და ვეტერინარული კლინიკის ინფრასტრუქტურის მოწყობის შედეგად შესაძლებელი იქნება მაღალმთიან ზონაზე ადაპტირებული სარგავი და საჩითილე მასალის წარმოება, კერძო ვეტერინარიის ხელშეწყობით გაუმჯობესდება ვეტერინარული მომსახურებები

სადედე-სადემონსტრაციო ნაკვეთებში განხორციელდება სრულფასოვანი აგროტექნიკური ღონისძიებები, გვარა ხუცუბნის სანერგე მეურნეობაში ფუნქციონირებს ქართული სახლი (ღვინის მარანი); 2020 წლისათვის დაგეგმილია მეფუტკრე ფერმერებისა და აგრომეწარმეების მიერ შეძენილი 1500 ცალი ფუტკრის ოჯახის (ამანათ-ნაყარის) სუბსიდირება; ფერმერების ხელშეწყობის მიზნით შეღავათიან ფასებში განხორციელდება სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით მომსახურება. შუახვევის მუნიციპალიტეტში დასრულდება აგრომომსახურების ცენტრის მშენებლობა; ციტრუსოვნათა სხვადასხვა მავნებლების წინააღმდეგ ჩატარდება წამლობითი ღონისძიებები

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა:

დასახელება	სულ	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის ორგანიზაციული უზრუნველყოფა და მართვა	1,850,628	462,657	462,657	462,657	462,657
ჩაქვისა და გვარა ხუცუბნის სანერგე მეურნეობების განვითარება	3,796,180	871,180	975,000	975,000	975,000
მაღალმთიან აჭარაში სანერგე, საჩითილე მეურნეობების და ვეტერინარული კლინიკის განვითარების ხელშეწყობა	1,945,710	445,710	500,000	500,000	500,000
მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობა	835,838	204,338	210,500	210,500	210,500
აგრო-მომსახურების განვითარების ხელშეწყობა	2,239,840	553,840	562,000	562,000	562,000
სულ პროგრამა	10,668,196	2537725	2,710,157	2,710,157	2,710,157

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები:

მეფუტკრეობა აჭარის სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგია. რეგიონის მთაგორიანი რელიეფი და მისი მრავალფეროვანი ფლორა საშუალებას იძლევა გაიზარდოს ფუტკრის ოჯახებისა და მეფუტკრეობის რაოდენობა რისთვისაც აუცილებელია მიზანმიმართულად განხორციელდეს ფუტკრის ოჯახების გამრავლება. თავლოვანი მცენარეების მაღალი პოტენციური შესაძლებლობის მიუხედავად აჭარაში 2018 წელს ფუტკრის ოჯახების კლების ტენდენცია შეინიშნებოდა, რაც გამოწვეულია ფუტკრის დაავადებებით ვაროატოზი, აკარაპიდოზი, ბრაულოზი, ნოზემატოზი, ამერიკული სიდამპლე, ევროპული სიდამპლე და სხვა დაავადებები რომლებმაც მნიშვნელოვან ზიანი მიაყენეს მეფუტკრე ფერმერებს. 2018-2019 წლის განმავლობაში აგრარული ექსტენციის მიწოდების ქვეპროგრამის ფარგლებში ყველა მუნიციპალიტეტის მეფუტკრე ფერმერებს, ფუტკრის ოჯახების მოვლისა და წამლობითი ღონისძიებების თაობაზე მიეწოდათ ინფორმაცია, თუმცა ფუტკრის დაავადებების გავრცელებისათვის შექმნილმა ხელსაყრელმა გარემომ პირობებმა ფუტკრის ოჯახების განვითარება შეაფერხა. 2019 წელს განხორციელდა მეფუტკრე ფერმერების და აგრომეწარმეების მიერ შესყიდული 1200 ცალი ფუტკრის ოჯახის (ამანათ-ნაყარის) სუბსიდირება, რაც არ დარჩა საკმარისი მოცემული საკითხის გადასაჭრელად.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები:

ჩაქვის და გვარა ხუცუბნის სანერგე მეურნეობებში მიმდინარე წელს კონტეინერებში დაიმყნო ვაზის 40000 ცალი, 20 000 ცალი ტრიფოლიატას, ხეხილის 6000 ცალი და კაკლის 2000 ცალი საძირე. წარმოებული იქნა და სარეალიზაციოდ მომზადდა 14000 ცალი ორ წლიანი და 16000 ცალი ერთწლიანი მანდარინის სტანდარტული ნერგი, ხეხილის სხვადასხვა სახეობის 7900 ცალი ნერგი, 30000 ცალი ვაზის საღვინე და სასუფრე ჯიშები, კენკროვანი კულტურებიდან 5000 ძირი ჟოლოს ნერგი. ფერმერებში დაინერგება ახალი ტექნოლოგიები და ამალღდება ცნობიერება ფერმერთა ეკონომიკური შემოსავლების გაუმჯობესების კუთხით. მაღლმთიან აჭარაში მოეწყო საჩითილე, სანერგე მეურნეობები და ვეტერინარული კლინიკა. მნიშვნელობანია პერსპექტიულ სასოფლო-სამეურნეო კულტურებთან დაკავშირებით არსებულ ნაკლებ ინფორმირებულობასთან მიმართებაში დაიგეგმება მარკეტინგული ღონისძიებები. ციტრუსოვნების იმ ბალებში, სადაც სრულფასოვანი აგროტექნიკური და შესაბამისი წამლობითი ღონისძიებები არ განხორციელებულა, ზოგიერთ შემთხვევაში მანდარინის ნაყოფები იმდენად დაზიანდა, რომ მან დაკარგა სასაქონლო სახე, შესაბამისად ფერმერებს გაუჭირდათ მისი რეალიზაცია. 2020 წლისათვის დაგეგმილია ციტრუსოვნათა სხვადასხვა მავნებლების მიერ დაზინებული ფართობების სულ 1200 ჰექტარის წამლობითი ღონისძიებები.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

ჩაქვისა და გვარა-ხუცუბნის სანერგე მეურნეობებში 39,6 ჰა ფართობზე გაშენებულ სადემონსტრაციო ნაკვეთებზე განხორციელდა შესაბამისი აგროტექნიკური ღონისძიებები. ციტრუსოვნების სანერგე მეურნეობაში წარმოებული იქნება 20000 ცალი ციტრუსის სხვადასხვა ჯიშის ახალი ნამყენი; ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობაში წარმოებული იქნება 6000 ცალი ხეხილის ნამყენი; 2000 ცალი კაკლის ახალი ნამყენი; კაკლის ნერგის წარმოების მიზნით მომზადდება 10000 ცალი საძირე; ჩაქვის ციტრუსოვნათა სანერგე მეურნეობაში სარეალიზაციოდ წარმოებული იქნება ციტრუსის ორწლიანი 14000 ცალი და ერთწლიანი 16000 ცალი ნერგი. ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობაში სარეალიზაციოდ მომზადდება ერთწლიანი და ორწლიანი სხვადასხვა სახის ხეხილის 10100 ნერგი. ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობაში სარეალიზაციოდ წარმოებული იქნება 30000 ცალი ვაზის მწვანე ნერგი; აგროვადებში მიღებული იქნება ციტრუსის მოსავალი 35000 კგ, ყურძნის მოსავალი 20000 კგ. და სხვადასხვა სახის ხეხილის მოსავალი 4000 კგ. შეღავათიან ფასში სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით 500-ზე მეტ ფერმერს გაეწევა მომსახურება და შუახევის მუნიციპალიტეტში დასრულდება აგრომომსახურების ცენტრის მშენებლობა. ქედის მუნიციპალიტეტში დასრულდება ვეტერინარული კლინიკის მშენებლობა. მებოსტნეობის და მესათბურეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით იწარმოება არანაკლებ 750 0000 ცალი ჩითილი; ციტრუსოვნათა სხვადასხვა მავნებლების წინააღმდეგ 1200 ჰექტარზე განხორციელდება წამლობითი ღონისძიებები. ფერმერებზე აგრომეწარმეებზე გაწეული იქნება ნედლი რძის ტრანსპორტირების ხილის/კენკრის შრობის, შენახვის მომსახურებები.

პროგრამის საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები						მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
	დასახელება	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	გაზომვის ერთეული			
ჩაქვისა და გვარა ხუცუბნის სანერგე მეურნეობების განვითარება	სარეალიზაციოდ წარმოებული ნერგი	70100	95000	95000	95000	ცალი	ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრი	ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრი	მონიტორინგი და კორესპონდენციები
	წარმოებული ნამყენი	28000	38500	38500	38500	ცალი			
	მიღებული მოსავალი	59000	55000	55000	55000	კგ.			
მაღალმთიან აჭარაში სანერგე და საჩითილე მეურნეობების განვითარება და ვეტერინარული კლინიკის ფუნქციონირება.	შუახვევის მუნიციპალიტეტში თანამედროვე ტექნოლოგიებით მოწყობილი ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობები, საჩითილე მეურნეობება და ვეტერინარული კლინიკა	5	5	5	5	ცალი			მიღება-ჩაბარების აქტი
აგრო-მომსახურების განვითარება	ფერმერებზე შეღავათიან ფასში სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით მომსახურება	500	800	800	800	ფერმერი			
აგრო-მომსახურების განვითარება	ციტრუსოვნათა სხვადახვა მავნებლების წინააღმდეგ წამლობითი ღონისძიებები	1200	1200	1200	1200	ჰექტარი			

<p>აგრო-მომსახურების განვითარება</p>	<p>შუახევის მუნიციპალიტეტში დასრულებული აგრომომსახურების ცენტრის ინფრასტრუქტურული სამუშაოები</p>	<p>1</p>							<p>მიღება-ჩაბარების აქტი</p>
<p>მეფუტკრეობის განვითარება</p>	<p>მეფუტკრე ფერმერებისა აგრომეწარმეების მიერ შესყიდული ფუტკრის ოჯახის (ამანათ-ნაყარი) სუბსიდირება</p>	<p>1500</p>	<p>1500</p>	<p>1500</p>	<p>1500</p>	<p>ამანათ-ნაყარი</p>			

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

აგროსერვისის განვითარება რეგიონში

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

070707

ქვეპროგრამის დასახელება:

ჩაქვისა და გვარა ხუცუბნის სანერგე მეურნეობების განვითარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრი“

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	871,180
სულ ბიუჯეტი:	871,180

ქვეპროგრამის მიზანი:

არსებული მაღალტექნოლოგიური სადედე-სადემონსტრაციო სანერგე მეურნეობების მოვლა და უვირუსო სარგავი მასალის წარმოება

ქვეპროგრამის აღწერა:

ა(ა)იპ "აგროსერვის ცენტრი"ს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სადემონსტრაციო და სანერგე მეურნეობების მოვლისათვის ჩატარდება აგრო-ტექნიკური სამუშაოები; შეძენილი იქნება სხვადასხვა ჯიშის ხილის საძირეები; დაიმყნობა ვაზის, ხეხილისა და ციტრუსის სხვადასხვა ჯიშები; სარეალიზაციოდ მომზადდება ვაზის, ერთწლიანი და ორწლიანი სხვადასხვა სახეობის ხეხილისა და ციტრუსის ნერგები. ასევე კაკლის ნერგის წარმოების მიზნით მომზადდება საძირეები.

დასახელება		პროდუქტები			
		ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სანერგე მეურნეობების მოვლა და ადმინისტრირება	ჩაქვისა და გვარა-ხუცუბნის სანერგე მეურნეობის შტატგარეშე მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება (46კაცი)	თვე	12	38,165	457,980
	სანერგე მეურნეობების ფუნქციონირების ხარჯები	თვე	12	16,041	192,500
	პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესყიდვა	კგ/ლ	1,273	108.7	138,400
ნერგების წარმოება		ცალი	70,100	1.17	82300
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი					871,180

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა:

ლონისძიება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ჩაქვისა და გვარა-ხუცუბნის სანერგე მეურნეობის შტატგარეშე მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება (46 კაცი)	X	X	X	X
სანერგე მეურნეობების ფუნქციონირების ხარჯები	X	X	X	X
პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესყიდვა (კგ/ლ)	X	X		
ნერგების წარმოება	X	X	X	

მიმდინარე წლის მოსალოდნელი შედეგი:

<p>ჩაქვისა და გვარა-ხუცუბნის სანერგე მეურნეობებში 39,6 ჰა ფართობზე გაშენებულ სადემონსტრაციო ნაკვეთებზე განხორციელდა შესაბამისი აგროტექნიკური ღონისძიებები. ციტრუსოვნების სანერგე მეურნეობაში წარმოებული იქნება 20000 ცალი ციტრუსის სხვადასხვა ჯიშის ახალი ნამყენი; ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობაში წარმოებული იქნება 6000 ცალი ხეხილის ნამყენი; 2000 ცალი კაკლის ახალი ნამყენი; კაკლის ნერგის წარმოების მიზნით მომზადდება 10000 ცალი საძირე; ჩაქვის ციტრუსოვანთა სანერგე მეურნეობაში სარეალიზაციოდ წარმოებული იქნება ციტრუსის ორწლიანი 14000 ცალი და ერთწლიანი 16000 ცალი ნერგი. ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობაში სარეალიზაციოდ მომზადდება ერთწლიანი და ორწლიანი სხვადასხვა სახის ხეხილის 10100 ნერგი. ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობაში სარეალიზაციოდ წარმოებული იქნება 30000 ცალი ვაზის მწვანე ნერგი; აგროვადებში მიღებული იქნება ციტრუსის მოსავალი 35000 კგ, ყურძნის მოსავალი 20000 კგ. და სხვადასხვა სახის ხეხილის მოსავალი 4000 კგ.</p>

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

აგროსერვისის განვითარება რეგიონში

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

070708

ქვეპროგრამის დასახელება:

მაღალმთიან აჭარაში სანერგე, საჩითილე მეურნეობების და ვეტერინარული კლინიკის განვითარების ხელშეწყობა
--

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრი“

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	445,710
სულ ბიუჯეტი:	445,710

ქვეპროგრამის მიზანი:

მაღალმთიან აჭარაში სანერგე, საჩითილე მეურნეობებისა და ვეტერინარული კლინიკის მოწყობა, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნერგებისა და ჩითილების წარმოება, კერძო ვეტერინარული სერვისების განვითარება.

ქვეპროგრამის აღწერა:

<p>2019 წელს დასრულდა სანერგე და საჩითილე მეურნეობების ძირითადი ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რის შედეგადაც 2 ჰექტარზე მოეწყო ხეხილისა და ვაზის სადემონსტრაციო სანერგე მეურნეობები. ასევე მოეწყო და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღიჭურვა ახალი საჩითილე მეურნეობა. მოცემული მეურნეობები მთლიანად მოემსახურება მთიანი აჭარის ფერმერებსა და აგრომეწარმეებს. ასევე საჩითილე მეურნეობაში მოწყობილია ჩითილებისა და ნერგების სარეალიზაციო მაღაზია. მიმდინარე წელს ფერმერები და აგრომეწარმეები მიიღებენ იმავე ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში წარმოებულ სარგავ და საჩითილე მასალას. ქედის მუნიციპალიტეტში თანადაფინანსებით მოეწყობა ვეტერინარული კლინიკა. 2019-2020 წლებში მოწყობილი ვეტერინარული კლინიკები კანონმდებლობით გათვალისწინებულ წესით გრძელვადიანი სარგებლობის უფლებით გადაეცემათ ვეტერინარებს.</p>
--

დასახელება	პროდუქტები			
	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
მაღალმთიან აჭარაში ვაზის სანერგე მეურნეობის, ხეხილის სანერგე მეურნეობისა და საჩითილე მეურნეობის ფუნქციონირების ხარჯები	თვე	12	10829,16	129,950
ქედის მუნიციპალიტეტში ვეტერინარული კლინიკის მშენებლობა თანადაფინანსებით	ცალი	1	40,000	40,000
მაღალმთიან აჭარაში ვაზის სანერგე მეურნეობის, ხეხილის სანერგე მეურნეობისა და საჩითილე მეურნეობის შტატგარეშე მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება (16 კაცი)	თვე	12	11,405.0	136,860

სადემონსტრაციო სანერგე და საჩითილე მეურნეობებისათვის ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შესყიდვა	ცალი	3	46,300	138,900
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	445,710			

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა:

ღონისძიება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მაღალმთიან აჭარაში ვაზის სანერგე მეურნეობის, ხეხილის სანერგე მეურნეობისა და საჩითილე მეურნეობის ფუნქციონირების ხარჯები	X	X	X	X
ქედის მუნიციპალიტეტში ვეტერინარული კლინიკის მშენებლობა თანადაფინანსებით	X	X	X	
მაღალმთიან აჭარაში ვაზის სანერგე მეურნეობის, ხეხილის სანერგე მეურნეობისა და საჩითილე მეურნეობის შტატგარეშე მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება (16 კაცი)	X	X	X	X
სადემონსტრაციო სანერგე და საჩითილე მეურნეობებისათვის ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შესყიდვა	X	X	X	

მიმდინარე წლის მოსალოდნელი შედეგი:

მაღალმთიან აჭარაში სანერგე მეურნეობებში 2 ჰა ფართობზე გაშენებულ სადემონსტრაციო ნაკვეთებზე განხორციელდება შესაბამისი აგროტექნიკური ღონისძიებები. საჩითილე მეურნეობაში არსებულ აგრომადაზიის მეშვეობით განხორციელდება, როგორც ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის მიერ ნაწარმოები ნერგების ნერგების რეალიზაცია, ასევე საჩითილე მეურნეობაში წარმოებული 750 000 ცალი სხვადასხვა ბოსტნეულის ჩითილის რეალიზაცია ფერმრებზე. ქედის მუნიციპალიტეტში მოეწყობა ვეტერინარული კლინიკა. გრძელვადიანი სარგებლობის უფლებით ვეტერინარებს გადაეცემათ ვეტერინარული კლინიკები.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
თანამედროვე ტექნოლოგიებით მოწყობილი სადემონსტრაციო ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობების არსებობა მაღალმთიან აჭარაში	2	ცალი	მონიტორინგი და კორესპოდენციები	წელიწადში ერთხელ	ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრი“	მიღება-ჩაბარების აქტი
ქედის მუნიციპალიტეტში მოწყობილი ვეტერინარული კლინიკა	1	ცალი	მონიტორინგი და კორესპოდენციები	წელიწადში ერთხელ	ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრი“	მიღება-ჩაბარების აქტი
მაღალმთიან აჭარის საჩითილე მეურნეობაში ნაწარმოები 750 000 ცალი ჩითილის რეალიზაცია	1	ცალი	მონიტორინგი და კორესპოდენციები	წელიწადში ერთხელ	ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრი“	მიღება-ჩაბარების აქტი
ვეტერინარული კლინიკების გადაცემა კერძო ვეტერინართა ჯგუფზე	2	ცალი	მონიტორინგი და კორესპოდენციები	წელიწადში ერთხელ	ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრი“	მიღება-ჩაბარების აქტი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

აგროსერვისის განვითარება რეგიონში

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

070711

ქვეპროგრამის დასახელება:

მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრი“

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	204,338
სულ ბიუჯეტი:	204,338

ქვეპროგრამის მიზანი:

მეფუტკრეობის დარგის განვითარება, მეფუტკრე ფერმერის/აგრომეწარმის მიერ შეძენილი ფუტკრის ოჯახების (ამანათ-ნაყარის) სუბსიდირების გზით.

ქვეპროგრამის აღწერა:

მეფუტკრეობა აჭარის სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგია. რეგიონის მთაგორიანი რელიეფი და მისი მრავალფეროვანი ფლორა საშუალებას იძლევა გაიზარდოს ფუტკრის ოჯახებისა და მეფუტკრეების რაოდენობა რისთვისაც აუცილებელია მიზანმიმართულად განხორციელდეს ფუტკრის ოჯახების გამრავლება. თავლოვანი მცენარეების მაღალი პოტენციური შესაძლებლობის მიუხედავად აჭარაში 2018 წელს ფუტკრის ოჯახების კლების ტენდენცია შეინიშნებოდა, რაც გამოწვეულია ფუტკრის დაავადებებით: ვაროატოზი, აკარაპიდოზი, ბრაულოზი, ნოზემატოზი, ამერიკული სიდამპლე, ევროპული სიდამპლე და სხვა დაავადებები რომლებმაც მნიშვნელოვან ზიანი მიაყენეს მეფუტკრე ფერმერებს. 2018-2019 წლის განმავლობაში აგრარული ექსტენციის მიწოდების ქვეპროგრამის ფარგლებში ყველა მუნიციპალიტეტის მეფუტკრე ფერმერებს, ფუტკრის ოჯახების მოვლისა და წამლობითი ღონისძიებების თაობაზე მიეწოდათ ინფორმაცია, თუმცა ფუტკრის დაავადებების გავრცელებისათვის შექმნილმა ხელსაყრელმა გარემომ პირობებმა ფუტკრის ოჯახების განვითარება შეაფერხა. სწორედ ამიტომ 2019 წელს მოცემული ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა მეფუტკრე ფერმერების და აგრომეწარმეების მიერ შესყიდული 1200 ცალი ფუტკრის ოჯახების (ამანათ-ნაყარის) სუბსიდირება.

ქვეპროგრამის ფარგლებში მეფუტკრე ფერმერი/აგრომეწარმე თვითონ შეარჩევს ფუტკრის ოჯახის მწარმოებელს, საიდანაც განახორციელებს ფუტკრის ოჯახის შესყიდვას, ხოლო მის მიერ წარმოდგენილი პირველადი დოკუმენტების საფუძველზე გაფორმებული სამმხვრივი ხელშეკრულებით (მეფუტკრე ფერმერი/აგრომეწარმე, ფუტკრის ოჯახის მწარმოებელი და აგროსერვის ცენტრი) გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აგროსერვის ცენტრი ფუტკრის ოჯახის მწარმოებელთან განახორციელებს შესაბამის ანგარიშსწორებას.

აგროსერვის ცენტრი ფუტკრის ოჯახის მწარმოებელთან განახორციელებს შესაბამის ანგარიშსწორებას. ქვეპროგრამის ფარგლებში ფუტკრის ოჯახის (ამანათ-ნაყარი) დაფინანსდება არაუმეტეს 80 ლარით. ქვეპროგრამის ბენეფიციარების შერჩევას განახორციელებს ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის ბენეფიციართა შესარჩევი კომისია ამავე კომისიის მიერ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად. ქვეპროგრამის ბენეფიციარების შერჩევას განახორციელებს ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის ბენეფიციართა შესარჩევი კომისია ამავე კომისიის მიერ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი (ლარი)	სულ (ლარი)
შტატგარეშე მუშა მოსამსახურეთა ანაზღაურება (6 ადამიანი)	12	5,910	70,920
ფუნქციონირების ხარჯები	12	1,118	13,418
ფერმერების/აგრომეწარმეების მიერ შესყიდული ფუტკრის ოჯახის სუბსიდირება	1,500	80.00	120,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			204,338

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა:

ლონისძიება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
შტატგარეშე მუშა მოსამსახურეთა ანაზღაურება (6 ადამიანი)	X	X	X	X
ფუნქციონირების ხარჯები	X	X	X	X
ფერმერების/აგრომეწარმეების მიერ შესყიდული ფუტკრის ოჯახის სუბსიდირება	X	X		

მიმდინარე წლის მოსალოდნელი შედეგი:

ქვეპროგრამის ფარგლებში თვითმართველი ქ.ბათუმის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების მეფუტკრე ფერმერებისა და აგრომეწარმეების მიერ შესყიდული 1500 ფუტკრის ოჯახის ღირებულება სუბსიდირებულია.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
მეფუტკრე ფერმერებისა აგრომეწარმეების მიერ შესყიდული ფუტკრის ოჯახის (ამანათ-ნაყარი) სუბსიდირება	1,500	ოჯახი	მონიტორინგი და კორესპოდენციები	წელიწადში ერთხელ	ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრი“	მონიტორინგი და კორესპოდენციები

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

აგროსერვისის განვითარება რეგიონში

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

070713

ქვეპროგრამის დასახელება:

აგრო-მომსახურების განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრი“

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	553,840
სულ ბიუჯეტი:	553,840

ქვეპროგრამის მიზანი:

შეღვათიან ფასში სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ფერმერებზე გაწეული მომსახურება; ძლიერ დასნებოვნებულ ციტრუსოვანთა სხვადასხვა მავნებლების წინააღმდეგ 1200 ჰექტარზე განხორციელებული წამლობითი ღონისძიების თანადაფინანსება; შუახევის მუნიციპალიტეტში დასრულებული აგრომომსახურების ცენტრის მშენებლობა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში ცენტრის მიერ განხორციელდება შესაბამისი წესის შემუშავება, რომლის ფარგლებშიც სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით (გაზრდილი გამავლობისა და წვევა-ჩაჭიდების მქონე გაბარიტის მანევრირების უნარიანი ტრაქტორებით) მოხდება ფერმერთა და აგრომეწარმეების მომსახურება.

ციტრუსოვანთა სხვადასხვა მავნებლების შედეგად ციტრუსოვანთა ნარგავების მასიური დასნებოვნება გამოიხატა 2018-2019 წლებში. ციტრუსოვანთა იმ ბაღებში, სადაც სრულფასოვანი აგროტექნიკური და შესაბამისი წამლობითი ღონისძიებები არ განხორციელებულა, შედეგად ზოგიერთ შემთხვევაში ციტრუსის ნაყოფები იმდენად დაზიანდა, რომ მან დაკარგა სასაქონლო სახე, შესაბამისად ფერმერებს გაუჭირდათ მისი რეალიზაცია. 2020 წლისათვის დაგეგმილია ციტრუსოვანთა სხვადასხვა მავნებლის მიერ დაზიანებული ფართობების სულ 1200 ჰექტარის წამლობითი ღონისძიებები. ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრი უზრუნველყოფს ფერმერის/აგრომეწარმის მიერ შესაწამლ 1 ჰექტარზე მომსახურების 50 პროცენტის არაუმეტეს 40 ლარის სუბსიდირებას.

ასევე ა(ა)იპ აგროპოექტების მართვის ცენტრის 2017-2019 წლებში ქობულეთის, ქ. ბათუმის, ქედისა და ხულოს მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე აშენდა აგრომომსახურებისა და ლოჯისტიკური ცენტრები ხოლო 2020 წელს აგრომომსახურების ცენტრის მშენებლობა დასრულდება შუახევის მუნიციპალიტეტში აგრომომსახურების ცენტრები აღჭურვილია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამხარისხებელი და შემფუთავი ტექნოლოგიური ხაზებით, სატრანსპორტო საშუალებებით, მაცივარ - კამერებით და წარმოების სხვა საშუალებებით. 2020 წლის განმავლობაში ქვეპროგრამის ფარგლებში მოწყობილი აგრომომსახურებისა და ლოჯისტიკური ცენტრების მართვა/განკარგვა/სარგებლობა/გასხვისება განხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა :

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ქვეპროგრამის ფუნქციონირების ხარჯი	8 თვე	5,340	42,720
შტატგარეშე მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება 5 ადამიანი	8 თვე	5,140	41,120
ციტრუსოვანთა სხვადახვა მავნებლების წინააღმდეგ წამლობითი ღონისძიებების თანადაფინანსება 1200 ჰექტარზე	12 თვე	25,000	300,000
შუახევის აგრომომსახურების ცენტრის მშენებლობის დასრულება	1	170,000	170,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			553,840

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა:

ღონისძიება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ქვეპროგრამის ფუნქციონირების ხარჯი	X	X	X	
შტატგარეშე მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება 5 ადამიანი	X	X	X	
ციტრუსოვანთა მავნებლების წინააღმდეგ წამლობითი ღონისძიებების თანადაფინანსება 1200 ჰექტარზე	X	X	X	X
შუახევის აგრომომსახურების ცენტრის მშენებლობის დასრულება	X	X	X	

მიმდინარე წლის მოსალოდნელი შედეგი:

შეღავათიან ფასში სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით 500-ზე მეტ ფერმერს გაეწევა მომსახურება. ძლიერ დასნებოვნებულ ციტრუსოვანთა სხვადახვა მავნებლებლების წინააღმდეგ 1200 ჰექტარზე განხორციელდება წამლობითი ღონისძიება. ასევე შუახევის მუნიციპალიტეტში დასრულდება აგრომომსახურების ცენტრის მშენებლობა.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ფერმერებზე შეღავათიან ფასში სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით მომსახურება	500	ფერმერი	მონიტორინგი და კორესპოდენციები	წელიწადში ერთხელ	ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრი“	მიღება-ჩაბარების აქტი
ციტრუსოვანთა მანებლების წინააღმდეგ წამლობითი ღონისძიებების თანადაფინანსება 1200 ჰექტარზე	1,200	ჰექტარი	მონიტორინგი და კორესპოდენციები	წელიწადში ერთხელ	ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრი“	მიღება-ჩაბარების აქტი
შუახევის მუნიციპალიტეტში დასრულებული აგრომომსახურების ცენტრის ინფრასტრუქტურული სამუშაოები	1	ცალი	მონიტორინგი და კორესპოდენციები	წელიწადში ერთხელ	ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრი“	მიღება-ჩაბარების აქტი

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

სოფლის მეურნეობის დარგის შემდგომი განვითარება

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

0711

პროგრამის დასახელება:

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშგანახლების ხელშეწყობა

პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრი“

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	632,580	151,200	160,460	160,460	160,460
სულ ბიუჯეტი:	632,580	151,200	160,460	160,460	160,460

პროგრამის განხორციელების პერიოდი:

2020-2023 წლები

პროგრამის მიზანი:

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშგანახლება

პროგრამის აღწერა:

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მეცხოველეობა ძირითადად წარმოდგენილია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სახით. სტატისტიკური მონაცემებიდან ირკვევა, რომ რეგიონში ამ მხრივ საგრძნობი კლებაა, რაც ძირითადად გამოწვეულია დაბალპროდუქტიულობითა და ჯიშობრივი გაუარესებით. ყოველივე ამან განაპირობა ჯიშგანახლების აუცილებლობა, რომელიც ხელოვნური განაყოფიერების გზით უნდა განხორციელდებოდეს. ვინაიდან აღნიშნული სერვისული მომსახურება საგრძნობ ფინანსურ რესურს მოითხოვდა 2012 წლიდან გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში დაიწყო ჯიშგანახლების პროგრამა ხოლო 2016 წლიდან პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების დაფინანსება ხორციელდება საბიუჯეტო სახსრებით.

2016 წელს აგროსერვის ცენტრმა ავტონომიის განვითარების სააგენტოს დაფინანსებით დაიწყო პროექტი "ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვა საქართველოში ფაზა 2". პროგრამის ფარგლებში 2017 წელს ქობულეთისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში აშენდა თანამედროვე ტიპის ვეტ კლინიკები და აღიჭურვა თანამედროვე ვეტერინარული ხელსაწყოებით. რომლებიც გადაეცათ კერძო ვეტერინარ სპეციალისტებს სარგებლობაში თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილი კლინიკების მეშვეობით სხვადასხვა ვეტერინარული მომსახურებიდან სპეციალისტებს გაუჩნდებათ შემოსავლები, მათ შორის ხელოვნური განაყოფიერების მომსახურებიდან.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშგანახლების, მეცხოველეობის დარგში ჩართული ფერმერებისა და კერძო ვეტერინარების ხელშეწყობის მიზნით 2018-2019 წლებში პროგრამით განხორციელდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების მომსახურების თანადაფინანსება. 2020 წელს პროგრამით განხორციელდება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების მომსახურების თანადაფინანსება პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების მომსახურების ღირებულება განისაზღვრება 60 ლარით, საიდანაც ფერმერის მიერ ერთი სული ფურის განაყოფიერებაზე გადასახდელი თანხა იქნება ღირებულების 17% (10 ლარი) მდლმთიან რეგიონში (ქედა, შუახევი და ხულოს მუნიციპალიტეტები) ხოლო ქ. ბათუმში, ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში იქნება 50%. (30 ლარი) ხოლო დარჩენილი თანხის სუბსიდირებას განახორციელებს ა(ა)იპ "აგროსერვის ცენტრი" პროგრამაში ჩართულ სპეციალისტებზე.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა:

დასახელება		პროდუქტები		
		რაოდენობა თვე/ცალი	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
პროგრამის ადმინისტრირება	შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზრაურობა (4 კაცი)	12	3730	44,760
	პროგრამის ადმინისტრირების ხარჯები	12	1375	8,440
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშგანახლების თანადაფინანსება		2600	37.6923	98000
სულ პროგრამის ბიუჯეტი				151,200

პროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზრაურობა (4 კაცი)	X	X	X	X
პროგრამის ადმინისტრირების ხარჯები	X	X	X	X
თანადაფინანსების წესის შემუშავება და შესაბამისი სამართლებრივი აქტების გამოცემა	X			
დადგენილი წესის შესაბამისად თანადაფინანსების თანხების გაცემა	X	X	X	X

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები:

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშგანახლების მიზნით ხელოვნური განაყოფიერების გზით 2019 წელს განაყოფიერებული იქნა 2600 სული ფური.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები:

მიმდინარე წელს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშგანახლების მიზნით, ხელოვნურად განაყოფიერდება 2600 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. ფერმერების ნაკლებ ინფორმირებულობასთან დაკავშირებით დაიგეგმება შესაბამისი ღონისძიებები, რაც შემდგომ წლებში შესაძლებლობას მიცემს ვეტერინარებს კერძო ვეტერინარიის პირობებში განხორციელონ იგივე მომსახურება სუბსიდირების გარეშე.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი:

ჯიშგანახლების მიზნით, ხელოვნური გზით განაყოფიერებული 2600 ფური

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები				გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი				
ხელოვნური გზით განაყოფიერებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (ფური)	2,600	2,600	2,600	2,600	სული	მონიტორინგი და კორესპოდენციები	ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრი“	მონიტორინგის ფარგლებში განხორციელებული კვლევები

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

სოფლის მეურნეობის დარგის შემდგომი განვითარება

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 0708

პროგრამის დასახელება:

ლაბორატორიული კვლევითი მომსახურება

პროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი“

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	1,438,720	328,720	370,000	370,000	370,000
სულ ბიუჯეტი:	1,438,720	328,720	370,000	370,000	370,000

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2020-2023 წლები

პროგრამის მიზანი:

- ლაბორატორიული კვლევითი მომსახურება, ლაბორატორიული შესაძლებლობების გაძლიერება და სურსათის უვნებლობის, ცხოველთა ჯანმრთელობისა და ფიტოსანიტარიული კონტროლის მიზნებისათვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კვლევების (ტესტირების) წარმოება.
 - ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ შეთანხმების შედეგად საქართველოს მიერ სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობასთან დასაახლოებელი სამართლებრივი აქტების (რომელიც ლაბორატორიულ კვლევებს ეხება) ეტაპობრივი შესრულება.

პროგრამის აღწერა:

სასმელი წყლის, მცენარეული და ცხოველური წარმოშობის კვების პროდუქტების, გარემოს ობიექტების (ზღვა, მდინარეები, ტბები, ჰაერი) ნიმუშების ქიმიური და მიკრობიოლოგიური კვლევები; მცენარეთა საკარანტინო და სხვა მავნე ორგანიზმების გამოკვლევა; ნიადაგის ნაყოფიერების დონის შეფასება, მავნებელ-დაავადებების ზუსტი იდენტიფიცირება და შესაბამისად პრაქტიკულად სასარგებლო რეკომენდაციების გაცემა; ექსტენციის სერვისების მოწოდება ეფექტური მობილური ლაბორატორიული მომსახურების ამოქმედებით; რეგიონში მეთევზეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ლაბორატორიის აღჭურვა და ლაბორატორიული კვლევების დანერგვა იხთიოპათოლოგიის მიმართულებით; ლაბორატორიის საქმიანობისა და აკრედიტაციის სფეროს გაფართოება; ფერმერებისა და მიზნობრივი ჯგუფებისათვის მოქნილი სერვისის მიწოდების გაუმჯობესება; საერთაშორისო ლაბორატორიათაშორის გამოცდებში (ტესტირებები) აქტიური მონაწილეობა; ახალგაზრდა, უცხო ენების მცოდნე, პერსპექტიული კადრების (სპეციალისტების) მოზიდვა, სტაჟირება და შედგომი პროფესიული გადამზადება; საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან და სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებთან მჭიდრო თანამშრომლობა;

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა:

დასახელება	სულ	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
პროგრამა – ლაბორატორიული კვლევითი მომსახურება	1,438,720	328,720	370,000	370,000	370,000
სულ პროგრამა	1,438,720	328,720	370,000	370,000	370,000

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

ლაბორატორიულმა კვლევითმა ცენტრმა გააფართოვა ლაბორატორიული კვლევების სფერო. შეძენილია თანამედროვე აპარატურა, მობილური ექსტენციის სპეციალური ავტომანქანა (მოძრავი ლაბორატორია), საგრძნობლად გაუმჯობესდა ლაბორატორიის ფინანსური მდგომარეობა;

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები :

2020 წელს ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი გეგმავს ლაბორატორიული კვლევების სფეროს გაფართოებას ევროპული რეგულაციების მოთხოვნების შესაბამისად და საკუთარი შემოსავლების ზრდას.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი:

- ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა და ადამიანის ჯანმრთელობისა და ეკონომიკური ინტერესების დაცვა;
- სამამულო პროდუქციის საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა;
- სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის ზრდა;
- ადგილობრივი ფერმერების და აგრომეწარმეების ცოდნის დონის ამაღლება და შემოსავლების ზრდა;

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
	საბაზისო (2019 წ.)	ნიმუშის/სინჯის რაოდენობა							
		2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი				
მოსახლეობის ხარისხიანი საკვები პროდუქტებითა და სასმელი წყლით მომარაგებისა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს რისკ-ფაქტორების შემცირება;	ჩატარებული სასმელი, ზედაპირული, ჩამდინარე, ზღვის, აუზებისა და წყალსატევების წყლის, მცენარეული და ცხოველური წარმოშობის კვების პროდუქტების, ცხოველის საკვების ნიმუშების ლაბორატორიული კვლევები; პრევენციული ღონიძიებები	12000	12100	12200	12300	რაოდენობა	სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი“; საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი; სტატისტიკის სამმართველო	სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი“;	მონიტორინგი, სტატისტიკური
წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობა	გამოკვლეული მცენარეთა საკარანტინო და სხვა მავნე ორგანიზმები	250	255	260	270	რაოდენობა	სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი“; სტატისტიკის სამმართველო		მონიტორინგი, სტატისტიკური
ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება	აგროქიმიურად გამოკვლეული ნიადაგის ნიმუშები	50	100	130	150	რაოდენობა	სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი“; სტატისტიკის სამმართველო		მონიტორინგი, სტატისტიკური

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

